სამეცნიერო რეცენზირებადი/რეფერირებადი ჟურნალი
Scientific peer-reviewed journal

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე

BULLETIN

OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

№ 1 (27)

ქუთაისი
KUTAISI

2026

ISSN 2233-3711
e-ISSN 3088-4527
DOI: https://doi.org/10.52340/atsu

მთავარი რედაქტორი:
ნესტან კუტივაძე

Editor:
Nestan Kutivadze

პასუხისმგებელი მდივანი:
ოთარ ნიკოლეიშვილი

Executive Secretary:
Otar Nikoleishvili

ელექტრონული გამოცემის რედაქტორი:
გიორგი ჭიჭინაძე

Electronic Journal Editor:
Giorgi Chichinadze

სარედაქციო კოლეგია:
იმერ ბასილაძე (საქართველო)
თამაზ გვენეტაძე (გერმანია)
ომარ კიკვიძე (საქართველო)
ქრისტიან ლასი (დიდი ბრიტანეთი)
შოთა ლომინაშვილი (საქართველო)
ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია)
ავთანდილ ნიკოლეიშვილი (საქართველო)
გიორგი ონიანი (საქართველო)
ივანე საღინაძე (საქართველო)
სერგო სვანაძე (საქართველო)
ალექსანდრე სლადკოვსკი (პოლონეთი)
ვახტანგ ქობალია (საქართველო)
გიორგი ღავთაძე (საქართველო)
თემურ ღვინიანიძე (საქართველო)
გულნარა შელია (საქართველო)
გიორგი ჩირაძე (საქართველო)
ნინო ჩიხლაძე (საქართველო)
ფოლკმარ ჰანზენი (გერმანია)
იორგ ჰარდი (დიდი ბრიტანეთი)

EDITORIAL BOARD:
Imer Basiladze (Georgia)
Tamaz Gvenetadze (Germany)
Omar Kikvidze (Georgia)
Christian Laes (UK)
Shota Lominashvili (Georgia)
Vladimer Menshikov (Latvia)
Avtandil Nikoleishvili (Georgia)
Giorgi Oniani (Georgia)
Ivane Saghinadze (Georgia)
Sergo Svanadze (Georgia)
Aleksander Sladkowski (Poland)
Vakhtang Kobalia (Georgia)
Giorgi Ghavtadze (Georgia)
Temur Ghvinianidze (Georgia)
Gulnara Shelia (Georgia)
Giorgi Chiradze (Georgia)
Nino Chikhladze (Georgia)
Folkmar Hanzen (Germany)
Joerg Hardy (UK)

2019 წლიდან განთავსებულია EBSCO-ს
(Central & Eastern European Academic Source) სამეცნიერო ბაზაში
It has been included in EBSCO since 2019

ინგლისურენოვან ტექსტზე პასუხისმგებელი:
თამარ გრიგალაშვილი

Responsible for English Text:
Tamar Grigalashvili

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
შორენა ხუნდაძე

Computing:
Shorena Khundadze

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

© Printed by Akaki Tsereteli State University

59 Tamar Mepe Str. Kutaisi 4600, Tel: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

ნომერი ეძღვნება გამორჩეული ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს.

This issue is dedicated to the 150th anniversary of the birth of the distinguished Georgian scholar and public figure, Ivane Javakhishvili.

შინაარსი
CONTENTS

აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებანი
Agricultural and Biological Sciences

დოდო თავდიდიშვილი, ცირა ხუციძე, დავით ცაგარეიშვილი, მანანა ფხაკაძე, ნატო ბურჯალიანი
ბოცვრის საკვები სუბპროდუქტების ხარისხის მაჩვენებლების კვლევა....8
Dodo Tavdidishvili, Tsira Khutsidze, Davit Tsagareishvili
Manana Pkhakadze, Nato Burjaliani
Study of the Quality Characteristics of Rabbit Meat Edible By-Products 18

ნინო ძოწენიძე, ნანა მარგველაშვილი
ნაქერალას და ხვამლის ქედების სამკურნალო მცენარეები და მათი გავრცელების ლოკაციები.....24
Nino Dzotsenidze, Nana Margvelashvili
Medicinal Plants of the Nakerala and Khvamli Ridges and Their Distribution Locations.....34

ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები
Arts and Humanities

დავით იობიძე
ინსტრუმენტალისისა და ინესივის (INESS) ერთ ელემენტში სინკრეტიზმი ძველ ბერძნულ და კლასიკურ სირიულ ენებში და მათი ფუნქციური გადაფარვა ქართულში: ტიპოლოგიურ-შედარებითი ანალიზი.....42
David Iobidze
Syncretism of the Instrumental and Inessive in a Single Form in Ancient Greek and Classical Syriac and Their Functional Overlap in Georgian: A Typological-Comparative Analysis.....62

Tamaz Devidze
Morphosyntactic Parallelism as a Cohesion Strategy in the Hymns of the New Iadgari.....66
თამაზ დევიძე
მორფოსინტაქსური პარალელიზმი, როგორც კოჰეზიის სტრატეგია ახალი იადგარის საგალობლებში.....82

დიანა ნემსიწვერიძე
ფრაზეოლოგია როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენი გენდერულ ასპექტში: (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე).....85
Diana Nemsitsveridze
Phraseology as a Linguocultural Phenomenon in the Gender Aspect: Evidence from English and Georgian Language Materials.....97

რუსუდან ნიშნიანიძე
ჯონ რიდი - ქართული პოემის პერსონაჟი.....101
Rusudan Nishnianidze
John Reed - a Character from a Georgian Poem.....111

თამთა შავიანიძე
გენდერული საკითხები თამაზ ბიბილურის პროზაში.....117
Tamta Shavianidze
Gender Issues in Tamaz Bibiluri's Prose.....125

ელიტა კახიძე
ზაქარია ჭიჭინაძე - აჭარაში ზეპირსიტყვიერი ტექსტების მომძიებელი დაგამომცემელი.....131
Elita Kakhidze
Zakaria Chichinadze-Researcher and Publisher of Oral Texts in Adjara.....136

ქრისტინე ბოჭორიშვილი
მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის თაობა ბერნჰარდ შლინკის რომანში შვილიშვილი.....139
Kristine Botchorishvili
The Post-World War II Generation in Bernhard Schlink's Novel The Granddaughter.....146

ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტრული აღრიცხვა
Business, Managemen t and Accounting

ნანა შონია, დიანა ბიბილეიშვილი
ადამიანური კაპიტალის ევოლუცია საქართველოში ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ-ეკონომიკური მემკვიდრეობიდან ციფრულ ეპოქამდე.....153
Nana Shonia, Diana Bibileishvili
The Evolution of Human Capital in Georgia: From Ivane Javakhishvili's Historical-Economic Legacy to the Digital Era 171

ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები
Economics, Econometrics and Finance

თამილა ნუცუბიძე
საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარება და რეგიონული ინტეგრირება: სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრატეგიების მნიშვნელობა.....176
Tamila Nutsubidze
Capital Market Development in Georgia and Regional Integration: Understanding Policy Strategies.....195

საინჟინრო საქმე
Engineering

მერაბ ბარათაშვილი, თორნიკე ბარათაშვილი, მერაბ ირემაძე
CO_2-ის ემისიების და ენერგიის მოხმარების შემცირება ცემენტ-პლასტმასის ომპოზიტური ქვის ბლოკებში ცემენტის მინიმიზაციის გზით.....200
Merab Baratashvili, Tornike Baratashvili, Merab iremadze
Reduction of CO_2 Emissions and Energy Consumption through Cement Minimization in Cement–Plastic Composite Masonry Blocks.....205

ამირან გრძელიშვილი, დავით გრძელიშვილი
მრავალშრიანი თბოსაიზოლაციო საკედლე ბლოკები.....208
Amiran Grdzelishvili, David Grdzelishvili
Multi-layered Thermal Insulation Wall Blocks 215

ნატო ფაილოძე, ნანული აბესაძე, ლია ლურსმანაშვილი
ქართული ეროვნული საგანძური-ორნამენტი ტრიკოტაჟის ნაწარმში....221
Nato Failodze, Nanuli Abesadze, Lia Lursmanashvilil
Georgian National Heritage Ornament in Knitwear.....231

გარემოთმცოდნეობა
Environmental Science

Tamari Mumladze, Tsitsino Turkadze, Inga Bochoidze, Manana Gabidzashvili, Nino Guleishvili
Recycling of Aluminium–Polymer Composite Packaging Waste Using Green Solvent-Based Delamination.....235

თამარი მუმლაძე, ციცინო თურქაძე, ინგა ბოჭოიძე,
მანანა გაბიძაშვილი, ნინო გულეიშვილი
ალუმინ–პოლიმერული კომპოზიტური შეფუთვის ნარჩენების გადამუშავება მწვანე გამხსნელებზე დაფუძნებული განცალკევების მეთოდების გამოყენებით.....246

საზოგადოებრივი მეცნიერებები
Social Sciences

ნატო ქობულაძე
უწყვეტი განათლების ცენტრის მნიშვნელობა უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელებაში.....259
Nato Kobuladze
The importance of the Center for Continuing Education in implementing the University's third mission.....268

Tamar Valishvili, Sophio Silagadze
The Role of Student Activities and Leadership in Non-Formal Educational Initiatives: 'Medical Sunday School' as a Model.....274
თამარ ვალიშვილი, სოფიო სილაგაძე
სტუდენტური აქტივობებისა და ლიდერობის როლი არაფორმალურ საგანმანათლებლო ინიციატივებში:
"სამედიცინო საკვირაო სკოლა" როგორც მოდელი.....285

რობიზონ ხურცილავა, დავითი ხურციძე
ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც მზღვეველის მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველი.....290
Robizon Khurtsilava, Daviti Khurtsidze
Intent and Gross Negligence of the Motor Vehicle Owner as Grounds for Releasing the Insurer from the Performance of Its Obligation.....320

დავით გეგეჭკორი
თეოდორ რუზველტი და პანამის არხი.....336
David Gegechkori
Theodore Roosevelt and Panama Channel.....344

George Gavtadze, Aza Iphshiradze
Rethinking of the Public Administration Philosophy - a Basis for Ensuring Developing Countries Sustainable Development.....348
გიორგი ღავთაძე, აზა იფშირაძე
საჯარო ადმინისტრირების ფილოსოფიის გადახედვა - განვითარებადი ქვეყნების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საფუძველი.....360

აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებანი

Agricultural and Biological Sciences

სურსათმცოდნეობა

ბოცვრის საკვები სუბპროდუქტების ხარისხის მაჩვენებლების კვლევა

დოდო თავდიდიშვილი
dodo.tavdidishvili@atsu.edu.ge
ცირა ხუციძე
cirakh@ atsu.edu.ge
დავით ცაგარეიშვილი
davit.tsagareishvili.1@atsu.edu.ge
მანანა ფხაკაძე
manana.fxakadze@atsu.edu.ge
ნატო ბურჯალიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.01

ჩატარებულია ბოცვრის ღვიძლის, თირკმელების და გულის ორგანოლეპტიკური, ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევები. დადგენილია, რომ ისინი გამოირჩევა ცილების მაღალი შემცველობით, ცხიმების მცირე რაოდენობით და დაბალი ენერგეტიკული ღირებულებით. ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების შესწავლამ აჩვენა, რომ ხორცპროდუქტების ლპობის მიკროფლორისადმი მდგრადობის განმსაზღვრელი pH-ის სიდიდე და სიახლის განმსაზღვრელი ამინოამიაკური აზოტის შემცველობა იყო სტანდარტით დადგენილი ნორმების ფარგლებში, სინჯები ამიაკისა და ამონიუმის მარილებზე და ცილების პირველადი დაშლის პროდუქტებზე - უარყოფითი, რეაქცია პეროქსიდაზაზე - დადებითი, სუბპროდუქტების სიახლეზე და უსაფრთხოებაზე მიუთითებდა ასევე სინჯების პრეპარატ-ანაბეჭდების მიკროსკოპია.

საკვანძო სიტყვები: *ბოცვერი, სუბპროდუქტები, ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები, ქიმიური შედგენილობა, ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები*

შესავალი. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რაციონალური გამოყენება კვების მრეწველობის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მათი გადამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიების საფუძველზე და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად და ოპტიმალურად იყენებს ხორცის საწარმოები არა მხოლოდ ძირითად ნედლეულს, არამედ დაკვლის შედეგად მიღებულ მეორად პროდუქტებსაც.

დღესდღეობით, სახორცე მეცხოველეობის პერსპექტიულ

მიმართულებად ითვლება მებოცვრეობა. მოსახლეობის მზარდი ინტერესი ბოცვრის ხორცისადმი განპირობებულია მისი მაღალი კვებითი ღირებულებით, დიეტური თვისებებით და თანამედროვე მოთხოვნებით ჯანსაღი საკვებისადმი (Dalle Zotte 2011, 319-331, Siudak 2022:127–134, Tavdidishvili 2019, 553-559).

ბოცვრის ხორცის გადამუშავების პროცესი პრაქტიკულად უნარჩენოა: სრულფასოვან ხორცთან ერთად მიიღება ასევე მეორადი პროდუქტები: საკვები სუბპროდუქტები და ტექნიკური დანიშნულების ნარჩენები. საკვებ სუბპროდუქტებს მიეკუთვნება ღვიძლი, თირკმელები, გული, ენა (I კატეგორიის სუბპროდუქტები), ფილტვები, კუჭი (II კატეგორიის სუბპროდუქტები), ტექნიკური დანიშნულების სუპროდუქტებს - თავი, ყურები, თათები, ნაწლავები, სისხლი.

სხვადასხვა სახის ცხოველების საკვები სუბპროდუქტები ფართოდ გამოიყენება მრავალფეროვანი კერძებისა და კონსერვების დასამზადებლად, ძეხვეულის წარმოებაში - ცილოვანი დანამატის და გარე გარსის სახით (ნაწლავები). დადგენილია, რომ სხვა ცხოველების ნაწლავებთან შედარებით ბოცვრის ნაწლავები გამოირჩევა მაღალი წყლისშეღწევადობით და თერმომედეგობით. ნაწლავები ასევე გამოიყენება კეტკუტის (ძაფი ქირურგიული ოპერაციებისათვის) და მუსიკალური ინსტრუმენტების სიმების დასამზადებლად. ცხოველების სისხლის, ყურებისა და ნაწლავებისაგან ამზადებენ ცილოვან დანამატს (ფქვილის სახით) ცხოველების კომბინირებული საკვებისათვის, სასუქს და წებოს. პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება სუბპროდუქტების გამოყენება კოსმეტიკურ მრეწველობაში კოლაგენური ჰიდროლიზატების სახით და ფარმაციაში (Alao 2017, 1-18, Насонова 2018, 64-73).

ბოვრის გადამუშავების მეტად ღირებული მეორადი პროდუქტია ქონი, რომელიც აკრავს ცხოველის შინაგან ორგანოებს. სხვა ცხოველური ცხიმებისაგან განსხვავებით ის ადვილად მოინელება ორგანიზმის მიერ და გამოირჩევა დიეტური, კვებითი და გემოვნური თვისებებით. პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების მაღალი, ხოლო ქოლესტერინის და ნაჯერი ცხიმების დაბალი შემცველობა ბოცვრის ქონს სასარგებლო და სამკურნალო თვისებებს ანიჭებს: ბოცვრის ქონი ლეციტინის წყაროა, აქვს ჭრილობების შემახორცებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ასევე ხელს უწყობს ორგანიზმიდან რადიონუკლიდების გამოდევნას (https://eurokrol.ru/o-polze-krolichego-zhira/).

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, მათ შორის ბოცვრის საკვები სუბპროდუქტებიდან მაღალი კვებითი ღირებულებით გამოირჩევა ადვილად შესათვისებელი, სრულფასოვანი ცილით მდიდარი და

ცხიმის მცირე რაოდენობის შემცველი ღვიძლი, ენა, თირკმლები და გული. ისინი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს შეუცვლელ ამინომჟავებს, ექსტრაქტულ ნივთიერებებს, ფერმენტებს, A ვიტამინს და B ჯგუფის ვიტამინებს, მინერალებს: რკინას (განსაკუთრებით ღვიძლი), ფოსფორს, კალიუმს, თუთიას და სხვ., ასევე, პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების სხვადასხვა რაოდენობას. II კატეგორიის სუბპროდუქტები ნაკლებად ღირებულია, მაგრამ მათში მეტია შემაერთებელი ქსოვილი, რაც ააქტიურებს ნაწლავის მიკროფლორას და ხელს უწყობს საჭმლის მონელებას (Антипова 2017, 119-125, Деревицкая 2019, 25-27, Khamitova 2025, 157-164, Latoch 2024, 1609).

სასარგებლო თვისებებთან ერთად საკვებ სუბპროდუქტებს გააჩნია მთელი რიგი უკუჩვენება (Nollet 2011, 1-472). გასათვალისწინებია, რომ სუბპროდუქტები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ქოლესტერინს, ხოლო ღვიძლი და თირკმლები შესაძლოა შეიცავდეს ტოქსიკურ ნივთიერებებს, მათი მოხმარება არ არის მიზანშეწონილი ართრიტის, ათეროსკლეროზის და რევმატიზმის შემთხვევაში. სუბპროდუქტები ასევე სიფრთხილით უნდა მიირთვან პურინის მეტაბოლიზმის დარღვევების, კუჭ-ნაწლავის დაავადებების და სისხლში რკინის ჭარბი რაოდენობის მქონე პირებმა.

ჯანმრთელი ადამიანისათვის სუბპროდუქტების მოხმარების რეკომანდირებული ნორმაა კვირაში 1- 2-ჯერ 100-150 გ-ის ოდენობით.

სუბპროდუქტები მალფუჭადი პროდუქტებია. მათი ხარისხი მკვეთრად უარესდება, თუ 24 საათის განმავლობაში არ დამუშავდება: ისინი მუქდება, ხდება ლორწოვანი, იძენს არასასიამოვნო სუნს, სწრაფად ვითარდება ლპობითი მიკროფლორა. ამიტომ მათი დამუშავება უნდა მოხდეს ტანხორციდან ამოღებისთანავე შემდეგი ტექნოლოგიური სქემის მიხედვით: გაწმენდა, გარეცხვა და გაგრილება:

ღვიძლი: ნაღვლის ბუშტისა და სადინარების მოცილება, გარეცხვა და გაგრილება;

თირკმლები: გაჭრა, ცხიმის და შარდსაწვეთების მოცილება, სპეციფიკური სუნის მოსაშორებლად რამოდენიმე საათით ცივ წყალში დალბობა წყლის რამდენჯერმე გამოცვლით, გარეცხვა და გაგრილება;

გული: არტერიის მოცილება და პერიკარდიუმის გამოთავისუფლება, გარეცხვა და გაგრილება;

ფილტვები: გარეცხვა სისხლის მოსაცილებლად და გაგრილება;

კუჭი: ნედლი ცხიმის მოცილება, გაჭრა სიგრძეზე და შიგთავსის ამოღება, შიდა გარსის (კუტიკულას) მოცილება, საბოლოო გაწმენდა, გარეცხვა და გაგრილება.

მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით სუბპროდუქტების მოხმარება მხოლოდ თერმული დამუშავების შემდეგ არის შესაძლებელი, როდესაც ტემპერატურა პროდუქტის სიღრმეში მინიმუმ 10 წუთის განმავლობაში 70°C-ს აღწევს.

ლიტერატურულ წყაროებში არსებული მონაცემები და ჩვენ მიერ ჩატერებული კვლევები ბოცვრის ხორცის ხარისხის შესახებ ადასტურებს მის მაღალ ბიოლოგიურ და კვებით ღირებულებას, მაგრამ მონაცემები სუბპროდუქტების თვისებებზე საკმაოდ შეზღუდულია. არადა მათ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია საკვები პროდუქტების, ცხოველების საკვების და სხვა დანიშნულების ნაწარმის მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიების დასამუშავებლად.

სამუშაოს მიზანია ბოცვრის გადამუშავების შედეგად მიღებული საკვები სუბპროდუქტების ხარისხის მაჩვენებლების კვლევა.

კვლევის ობიექტები და მეთოდები. კვლევები ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნოლოგიურ და მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიებში.

კვლევის ობიექტებად არჩეული იყო ბოცვრის სუბპროდუქტები: ღვიძლი, თირკმელები და გული. მათი ხარისხის შეფასებას ვაწარმოებდით კომპლექსურად: ორგანოლეპტიკური მახასიათებლების, ქიმიური შედგენილობის, ფიზიკურ-ქიმიური და მიკროსკოპული მაჩვენებლების მიხედვით.

ორგანოლეპტიკური მახასიათებლების შეფასებას ვაწარმოებდით შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: გარეგნული სახე, კონსისტენცია, ფერი, სუნი (სტანდარტი 32244-2013).

ბოცვრცის სუბპროდუქტების ქიმიურ შედგენილობას ვადგენდით ტენიანობის, ცილის, ცხიმის, ნაცრის შემცველობის განსაზღვრით. მიღებული მონაცემების საფუძველზე ვანგარიშობდით ენერგეტიკულ ღირებულებას.

ტენიანობას ვსაზღვრავდით 105°C ტემპერატურაზე წონაკის გამოშრობის მეთოდით მუდმივ მასამდე; ცილის შემცველობას - კიელდალის მეთოდით; ცხიმის შემცველობას - სოქსლეტის მეთოდით; ნაცრიანობას - დანაცრების მეთოდით მუფელის ღუმელში.

სუბპროდუქტების ფიზიკურ-ქიმიურ და მიკროსკოპულ ანალიზს ვატარებდით სტანდარტის (ГОСТ 20235.1-74) თანახმად შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: არეს pH, აქროლადი ცხიმოვანი მჟავების შემცველობა, სინჯი ბულიონში ცილის დაშლის პირველად პროდუქტებზე(რე აქცია CuSO4-თან), ამიაკი და ამონიუმის მარილები, რეაქცია პეროქსიდაზაზე.

ნიმუშების მდგრადობას ლპობის მიკროფლორისადმი - არეს pH ვსაზღვრავდით პოტენციომეტრული მეთოდით, pH-მეტრზე ინსტრუქციის თანახმად. ხორცის სიახლეს ვიკვლევდით აქროლადი ცხიმოვანი მჟავების შემცველობის მიხედვით და სინჯით ბულიონში ცილის დაშლის პირველად პროდუქტებზე (რეაქცია CuSO4-ის 5%-იან ხსნართან); კეთილხარისხოვნებას - ამიაკის და ამონიუმის მარილების არსებობით ნესლერის რეაქტივით, სიჯანსაღეს - რეაქციით პეროქსიდაზაზე.

ნიმუშების პრეპარატ-ანაბეჭდების მიკროსკოპიას ვაწარმოებდით ხორცის სიახლის შეფასების ექსპრეს-მეთოდით, რომელიც ეფუძნება გრამის წესით შეღებვას, მიკრობთა საერთო რაოდენობის დათვლას და კუნთოვანი ქსოვილის დაშლის დონის დადგენას.

ცხრილებში და გრაფიკებზე მოყვანილია ჩატარებული ცდების მონაცემები, თითოეული მნიშვნელობა წარმოადგენს სამი განსაზღვრის საშუალოს.

კვლევის შედეგები და ანალიზი. ბოცვრის ღვიძლის, თირმელებისა და გულის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების შეფასებამ (ცხრ. 1) აჩვენა, რომ მათი ხარისხი შეესაბამება კარგი ხარისხის პროდუქტებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ისინი არ იყო გადიდებული. ზედაპირი მბზინავი და გლუვი აქვთ, ჭრილში ტენიანი. ღვიძლის კონსისტენცია დრეკადი, თირკმლებისა და გულის - მკვრივი, ხელის დაჭერით წარმოქმნილი ღრმული სწრაფად ივსება. ღვიძლი მოწითალო-ყავისფერია, თირკმლების ფერი ღია ყავისფერიდან მუქ ყავისფერამდე მერყეობს, ხოლო გული მუქი წითელი ფერისაა. სუბპროდუქტების პარენქიმა - ფერის ცვლილებების გარეშე.

ცხრილი 1. ბოცვრის სუბპროდუქტების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები

მაჩვენებლები	სუბპროდუქტები		
	ღვიძლი	თირკმელი	გული
გარეგნული სახე	მბზინავი და გლუვი ზედაპირი, ჭრილში ტენიანი		
	სისხლძარღვებისა და სანაღვლე გზების, ლიმფური კვანძების, ნაღვლის ბუშტის ან უცხო ქსოვილის გარეშე	ცხიმოვანი კაფსულის, ზედაპირული სისხლძარღვების ლიმფური კვანძების და შარდსაწვეთის გარეშე	გულის პარკისა და გარეთა სისხლძარღვების გარეშე, ზედაპირზე მჭიდროდ მიმაგრებული ცხიმით

კონსისტენცია	დრეკადი, ხელის დაჭერით წარმოქმნილი ღრმული სწრაფად ივსება	მკვრივი, ხელის დაჭერით წარმოქმნილი ღრმული სწრაფად ივსება	მკვრივი, ხელის დაჭერით წარმოქმნილი ღრმული სწრაფად ივსება
ფერი	მოწითალო-ყავისფერი	ღია ყავისფერიდან მუქ ყავისფერამდე	მუქი წითელი
სუნი	სპეციფიური, კარგი ხარისხის ღვიძლისათვის დამახასიათებელი	სპეციფიური, შარდის სუსტი სუნი, რაც დამახასი-ათებელია თირკმე-ლებისათვის	სპეციფიური, კარგი ხარისხის სუბპრო-დუქტებისათვის დამახასიათებელი

სამუშაოს შემდეგ ეტაპზე განვსაზღვრეთ გამოსაკვლევი ნიმუშების ქიმიური შედგენილობა (ცხრ. 2).

ცხრილის მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ ტენის ყველაზე მაღალი მნიშვნელობა აღინიშნება თირკმელებში, რაც იმით აიხსნება, რომ ორგანიზმში ის უზრუნველყოფს წყლისა და მინერალების ფილტრაციას. ღვიძლის ტენიანობა თირკმლებთან შედარებით უფრო ნაკლებია, გული კი ყველაზე „მშრალია“, რადგან თითქმის მთლიანად შედგება მკვრივი კუნთოვანი ქსოვილისაგან.

ცხრილი 2. ბოცვრის სუბპროდუქტების ქიმიური შედგენილობა და ენერგეტიკული ღირებულება

საკვები ნივთიერებები	საკვლევი ნიმუშები		
	ღვიძლი	თირკმელი	გული
ტენი, %	72,6±2,42	75,1±2,54	70,4±2,46
ცილა, %	20,1±1,23	16,7±1,21	20,8±1,21
ცხიმი, %	9,1±0,28	1,9±0,12	6,0±0,14
ნახშირწყლები, %	-	-	-
ნაცარი, %	1,3±0,14	1,1±0,12	1,3±0,14
ცილების და ცხიმების თანაფარდობა	1:0,45:0	1:0,1:0	1:0,3:0
ენერგეტიკული ღირებულება, კკალ	161,5	83,0	137,2

ცილის შემცველობით გამოსაკვლევი სუბპროდუქტები არ ჩამორჩებიან ცხოველებისა და ფრინველების ხორცს. ყველაზე მეტი რაოდენობით ცილას შეიცავს გული და ღვიძლი. თირკმელებში მისი შემცველობა უფრო ნაკლებია.

ცხიმის შემცველობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცხოველური პროდუქტების გემოვნურ მაჩვენებლებზე, კონსისტენციასა და ენერგეტიკულ ღირებულებაზე, სუბპროდუქტებში საკმაოდ დაბალია. მათგან ყველაზე ცხიმიანია ღვიძლი, ხოლო თირკმელებში მისი რაოდენობა მცირეა.

ნაცრის რაოდენობა გამოსაკვლევ ნიმუშებში პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ენერგეტიკული ღირებულიბის მიხედვით პროდუქტები დაბალკალორიულია.

განვსაზღვრეთ ბოცვრის ღვიძლის, თირკმელებისა და გულის მოხმარების შედეგად ძირითად საკვებ ნივთიერებებზე ადამიანის დღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე (ნახ. 1) .

დადგენილია, რომ 100-100 გ ბოცვრის ღვიძლი, თირკმლები და გული ადამიანის დღიურ მოთხოვნილებას ცილაზე აკმაყოფილებს შესაბაისად: 22,3; 23,1 და 18,6 %-ით; ცხიმზე - 10,1, 6,7 და 2,3%-ით. კალორიულობის მხრივ კი დღიურ მოთხოვნილებას ღვიძლი აკმაყოფილებს 5,8%-ით, თირკმლები - 4,9%-ით, გული - 2,96 %-ით.



ნახ. 1. საკვებ ნივთიერებებზე ბოცვრის სუბპროდუქტების დღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე %.

ბოცვრის სუბპროდუქტების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები წარმოდგენილია მე–3 ცხრილში.

ცხრილი 3. ბოცვრის სუბპროდუქტებიის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ღვიძლი	თირკმელი	გული
pH	6,22±0,28	6,34±0,04	5,89±0.11
რეაქცია პეროქსიდაზაზე	დადებითი	დადებითი	დადებითი
ამიაკი და ამონიუმის მარილები	უარყოფითი ექსტრაქტი მომწვანო-ყვითელი ფერისაა	უარყოფითი ექსტრაქტი მომწვანო-ყვითელი ფერისაა	უარყოფითი ექსტრაქტი მომწვანო-ყვითელი ფერისაა
სინჯი ბულიონ-ში ცილის პირ-ველადი დაშლის პროდუქტებზე (რეაქცია CuSO4-თან)	უარყოფითი	უარყოფითი	უარყოფითი
ამინოამიაკური აზოტის რაოდენობა, %	1,11±0,03	0, 87±0,02	0,51±0,02

ცხრილის ანალიზი აჩვენებს, რომ ლპობის მიკროფლორისადმი მდგრადობის განმსაზღვრელი pH-ის სიდიდე ბოცვრის სუბპროდუქტების საცდელ ნიმუშებში არ აღემატება სტანდარტით დადგენილ ნორმას. ნორმის ფარგლებშია ასევე ამინოამიაკური აზოტის შემცველობა. სინჯები ამიაკისა და ამონიუმის მარილებზე და ცილების პირველადი დაშლის პროდუქტებზე ბულიონში იყო უარყოფითი, ხოლო რეაქცია პეროქსიდაზაზე - დადებითი, რაც მოწმობს რომ სუბპროდუქტები მიღებულია ჯანსაღი ცხოველისაგან, რადგან ფერმენტი პეროქსიდაზა ხორცის ყველა სინჯში იყო აქტიური.

მე–4 ცხრილში მოყვანილია სუბპროდუქტების პრეპარატ-ანაბეჭდების მიკროსკოპიის შედეგები.

ცხრილი 4. სუბპროდუქტების პრეპარატ-ანაბეჭდების მიკროსკოპული მაჩვენებლები

მაჩვენებელი	ღვიძლი	თირკმელი	გული
ნაცხი ზედაპირიდან	მინაზე კუნთოვანი ქსოვილის დაშლის კვალი არ არის. ნაცხის შეფერილობა შეუმჩნეველია.		
	ერთეული მიკროორგანიზმები (2)	ერთეული მიკროორგანიზმები (1)	ერთეული მიკრო-ორგანიზმები (1)
ნაცხი სიღრმიდან	მიკროორგანიზმები არ არის გამოვლენილი	მიკრო-ორგანიზმები არ არის გამოვლენილი	მიკრო-ორგანიზმები არ არის გამოვლენილი

მე–3 და მე–4 ცხრილების მონაცემები მიუთითებს, რომ გამოსაკვლევი ბოცვრის სუბპროდუქტების ფიზიკურ-ქიმიური და მიკროსკოპული მაჩვენებლები შეესაბამება ხარისხოვანი ხორცპროდუქტებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და უვნებელია.

დასკვნა

1. განსაზღვრულია დღესდღეობით ნაკლებად შესწავლილი ბოცვრის საკვები სუბპროდუქტების ქიმიური შედგენილობა, ენერგეტიკული ღირებულება და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები.
2. ჩატარებული კვლევის შედეგები მეტყველებს, რომ ბოცვრის ღვიძლი, თირკმლები და გული წარმოადგენს მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტებს, რომლებიც გამოირჩევა ცილების მნიშვნელოვანი შემცველობით, ცხიმების მცირე რაოდენობით და დაბალი ენერგეტიკული ღირებულებით. ყველაზე მეტი რაოდენობით ცილას შეიცავს გული (20,8%) და ღვიძლი (20,1%), თირკმელებში მისი შემცველობა უფრო ნაკლებია (16,7%). თირკმელები ასევე ყველაზე ნაკლები რაოდენობით შეიცავს ცხიმებს (1,9 %)) და საკმაოდ დაბალკალორიულია (83,0 კკალ); ღვიძლსა და გულში ცხიმის შემცველობა შეადგენს შესაბამისად 9,1 და 6,0%-ს, ენერგეტიკული ღირებულება კი - 161,5 და 137,2 კკალ-ს.
3. დადგენილია, რომ 100-100 გ ბოცვრის ღვიძლი, თირკმელები და გული ადამიანის დღიურ მოთხოვნილებას ცილაზე აკმაყოფილებს შესაბამისად 22,3; 23,1 და 18,6 %-ით; ცხიმზე - 10,1, 6,7 და 2,3%-ით. კალორიულობის მხრივ კი დღიურ მოთხოვნილებას ღვიძლი აკმაყოფილებს 5,8%-ით, თირკმლები - 4,9%-ით, გული - 2,96 %-ით.
4. ბოცვრის ხორცის საკვები სუბპროდუქტების (ღვიძლი, თირკმელები

და გული) ორგანოლეპტიკური, ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები და მიკროსკოპული კვლევები მეტყველებს მათ სანიტარულ და ჰიგიენურ საიმედობაზე.

5. მიღებული მონაცემების ერთობლიობა განაპირობებს ბოცვრის ღვიძლის, თირკმლებისა და გულის გამოყენების მიზანშეწონილობას როგორც მაღალხარისხოვანი ნედლეულის, ასევე ცილოვანი გამამდიდრებლის სახით ჯანსაღი და დიეტური დანიშნულების საკვების წარმოებაში.

ლიტერატურა

Alao et al. 2017. „The Potential of Animal By-Products in Food Systems: Production, Prospects and Challenges.“ *Sustainability, MDPI*, vol. 9(7), pages 1-18. https://doi.org/10.3390/su9071089

Dalle Zotte, A., Szendro, Z. 2011. "The role of rabbit meat as functional food." *Meat Science*, 88 (3): 319–331. Doi: 10.1016/j.meatsci.2011.02.017

Khamitova, B., Taspoltayeva, A., Kozhabekova G. 2025. "RESEARCH ON THE USE OF CHICKEN BY-PRODUCTS IN THE PRODUCTION OF SALTISON WITH PLANT ADDITIVES." *Bulletin of Shakarim University. Technical Sciences.* 1(17)):157-164. (In Kazakh) https://doi.org/10.53360/2788-7995-2025-1(17)-20

Latoch, A.; Stasiak, D.M.; Siczek, P. 2024. **"**Edible Offal as a Valuable Source of Nutrients in the Diet-A Review." *Nutrients 16*, 1609. https://doi.org/10.3390/nu16111609

Nollet, L.M.; Toldrá, F. 2011. *Handbook of Analysis of Edible Animal By-Products.* CRC Press: Boca Raton, FL, USA. DOI https://doi.org/10.1201/b10785

Tavdidishvili, Dodo, Tsira Khutsidze, David Tsagareishvili. 2018. „A STUDY OF THE QUALITY AND BIOLOGICAL VALUE OF MEAT OF DIFFERENT BREEDS OF RABBIT BRED IN GEORGIA.“ *Potravinarstvo Slovak Journal of Food Sciences*. 2018: 553-559. https://doi.org/10.5219/934

Siudak, Zuzanna, Sylwia Pałka. 2022. "RABBIT MEAT AS FUNCTIONAL FOOD.“ *Rocz. Nauk. Zoot.*, 1, Vol. 49, no. 2. 2022:127–134 https://rnz.iz.edu.pl ›RNZ_2022_49_2_art04_en

Антипова, Л.В, Шигина, А.И. 2017. "Рациональное использование субпродуктов при переработке индеек". *Вестник Воронежского государственного университета инженерных технологий*. 2017; 79(1):119-125. https://doi.org/10.20914/2310-1202-2017-1-119-125

ГОСТ 20235.1-74. *Мясо кроликов. Методы химического и микроскопического анализа свежести мяса.* М. Стандартинформ. Дата актуализации: 01.07.2023. https://internet-law.ru › gosts/gost/17132/

ГОСТ 32244-2013. *Межгосударственный стандарт. Субпродукты мясные обработанные.* Технические условияю 2015. М. Стандартинформ. 2014. https://internet-law.ru › gosts/gost/55821/

Деревицкая, О. К. и др. 2019. „Субпродукты индейки как пищевые источники витаминов и минеральных веществ". *Пищевая промышленность*, № 10, 2019: 25–27. DOI: 10.24411/0235-2486-2019-10151

Насонова, В.В. 2018. "Перспективные пути использования субпродуктов". *Теория и практика переработки мяса.* 3(3), 2018: 64-73. DOI 10.21323/2414-438X2018-3-3-64-73

О пользе кроличьего жира. https://eurokrol.ru/o-polze-krolichego-zhira/

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის" მხარდაჭერით [გრანტის ნომერი - AR-25-2690].

Food Science

Study of the Quality Characteristics of Rabbit Meat Edible By-Products

Dodo Tavdidishvili
dodo.tavdidishvili@atsu.edu.ge
Tsira Khutsidze
cirakh@ atsu.edu.ge
Davit Tsagareishvili
davit.tsagareishvili.1@atsu.edu.ge
Manana Pkhakadze
manana.fxakadze@atsu.edu.ge
Nato Burjaliani
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.01

Organoleptic, chemical, and physicochemical examinations of rabbit liver, kidneys, and heart have been conducted. It has been established that they are characterized by high protein content, low fat content, and low energy value. The study of physicochemical characteristics showed that the pH value, which determines the resistance of meat products against putrefactive microflora, and the amino-ammonia nitrogen content,

which determines freshness, were within the standard norms; the tests for ammonia and ammonium salts and for primary protein decomposition products were negative; the reaction for peroxidase was positive. The freshness and safety of the by-products were also confirmed by microscopic examination of smear preparations obtained from the samples.

Keywords: *Rabbit, by-products, Organoleptic examinations, physicochemical characteristics*

Introduction. The rational use of agricultural raw materials is a highly important task for the food industry, which can only be achieved through waste-free processing technologies and depends on how effectively and optimally meat enterprises use not only the primary raw materials but also the secondary products obtained from slaughtering.

Today, rabbit breeding is considered a promising direction in meat animal husbandry. The growing public interest in rabbit meat is driven by its high nutritional value, dietary properties, and modern demand for healthy food.

The processing of rabbit meat is virtually waste-free: in addition to complete meat, secondary products are also obtained, including edible by-products and technical waste. Edible by-products include the liver, kidneys, heart, and tongue (Category I by-products), as well as the lungs and stomach (Category II by-products). Technical by-products include the head, ears, feet, intestines, and blood.

Edible by-products of various animal species are widely used in cooking a variety of dishes and canned food, as well as in the production of sausages, as a protein supplement, and as a natural casing (intestines). It has been established that compared to the intestines of other animal species, rabbit intestines are distinguished by high water permeability and heat resistance. Intestines are also used in the production of catgut (thread for surgical operations) and strings for musical instruments. From the blood, ears, and intestines of animals, a protein supplement (in the form of flour) is prepared for compound animal feed, as well as fertilizer and glue. A promising direction is the utilization of by-products in the cosmetic industry, particularly in the form of collagen hydrolysates, as well as in pharmaceutical applications.

A particularly valuable secondary product of rabbit processing is the fat that surrounds the animal's internal organs. Unlike other animal fats, it is easily digested by the body and is distinguished by its dietary, nutritional, and taste properties. The high content of polyunsaturated fatty acids and the low content of

cholesterol and saturated fats give rabbit fat beneficial and medicinal properties: rabbit fat is a source of lecithin, has wound-healing and anti-inflammatory effects, and also promotes the elimination of radionuclides from the body.

Among the edible by-products of farm animals, including rabbits, the liver, tongue, kidneys, and heart stand out for their high nutritional value, as they are easily digestible, rich in complete protein, and contain a small amount of fat. They contain significant quantities of essential amino acids, extractive substances, enzymes, vitamins A and B-group vitamins, and minerals: iron (especially the liver), phosphorus, potassium, zinc, and others, as well as varying amounts of polyunsaturated fatty acids. Category II by-products are less valuable; however, they contain more connective tissue, which supports intestinal microflora and helps digestion.

Along with their beneficial properties, edible by-products have some contraindications. It should be noted that by-products contain significant amounts of cholesterol, while the liver and kidneys may contain toxic substances; their consumption is not advisable in cases of arthritis, atherosclerosis, and rheumatism. By-products should also be consumed with caution by individuals with disorders of purine metabolism, gastrointestinal diseases, and excess iron in the blood.

The recommended consumption norm of by-products for a healthy person is 1-2 times per week in an amount of 100–150 g.

By-products are highly perishable. Their quality deteriorates sharply if they are not processed within 24 hours: they darken, become slimy, get an unpleasant smell, and putrefactive microflora develops rapidly. Therefore, they must be processed immediately after being extracted from the carcass according to the following technological scheme: cleaning, washing, and cooling.

From a microbiological safety standpoint, by-products may only be consumed after heat treatment, when the product's center reaches 70°C for at least 10 minutes

Data from the current literature and studies we conducted on the quality of rabbit meat confirm its high biological and nutritional value; however, data on the properties of by-products are quite limited. However, as noted above, they possess significant potential for the development of scientifically grounded technologies for food products, animal feed, and other specialized products.

This work aims to study the quality-defining indicators of edible by-products obtained from rabbit processing.

Research objects and methods. The studies were conducted in the technological and microbiological laboratories of the Department of Food Production Technologies at Akaki Tsereteli State University.

The objects of the study were rabbit by-products: liver, kidneys, and heart. Their quality was assessed comprehensively: according to organoleptic characteristics, chemical composition, physicochemical, and microscopic indicators.

Organoleptic characteristics were assessed according to the following indicators: appearance, consistency, color, and odor (Standard 32244-2013).

The chemical composition of rabbit meat by-products was determined by measuring moisture, protein, fat, and ash content. Based on the data obtained, the energy value was calculated.

Moisture content was determined by the method of drying the sample at 105°C to constant mass; protein content - by the Kjeldahl method; fat content - by the Soxhlet method; and ash content - by the incineration method with preliminary drying.

The physicochemical and microscopic analysis of the by-products was conducted in accordance with the standard (GOST 20235.1-74) using the following indicators: pH of the medium, volatile fatty acid content (mg KOH), a test for primary protein decomposition products in broth (reaction with $CuSO_4$), ammonia and ammonium salts, and a peroxidase reaction.

The resistance of samples against putrefactive microflora (the pH of the medium) was determined by the potentiometric method using a Mi150 pH meter, following its instructions. The freshness of the meat was examined based on volatile fatty acid content and a test for primary protein decomposition products in broth (reaction with a 5% $CuSO_4$ solution); purity quotient - by the presence of ammonia and ammonium salts using Nessler's reagent; and freshness - by the peroxidase reaction.

Microscopy of sample smear preparations was carried out using an express method for assessing meat freshness, based on Gram staining and counting the level of microbial presence and muscle tissue decomposition.

The tables and graphs present the experimental data, with each value representing the mean of three determinations.

Research results and analysis. The evaluation of the organoleptic characteristics of rabbit liver, kidneys and heart (Table 1) showed that their quality meets the requirements for high-quality products. The organs were not enlarged. Their surface was glossy and smooth, and moist on the cut. The consistency of the liver is elastic, while that of the kidneys and heart is firm; the indentation formed by finger pressure fills quickly. The liver was reddish-brown, the kidneys ranged in color from light to dark brown, and the heart was dark red. No color changes were observed in the parenchyma of the by-products.

The chemical composition analysis of the examined samples revealed that the moisture content was 72.6% in the liver, 75.1% in the kidneys, and 70.4% in the heart. The higher moisture value in the kidneys is explained by their role in the filtration of water and minerals in the body. The heart is the "driest", as it consists almost entirely of dense muscle tissue.

In terms of protein content, the by-products under examination are not inferior to the meat of animals and poultry. The highest protein content is found in the heart (20.8%) and liver (20.1%), while in the kidneys it is lower (16.7%).

Fat content, which has a significant impact on the taste, texture, and energy value of animal products, is relatively low in the examined by-products. Among them, the liver (9.1%) and heart (6.0%) show the highest fat content, whereas the kidneys contain only a small amount (1.9%).

The ash content in the samples under examination is practically the same (1.1–1.3%).

In terms of energy value, the products are low-calorie: liver — 161.5 kcal, kidneys — 83.0 kcal, heart — 137.2 kcal.

It has been established that 100 g each of rabbit liver, kidneys, and heart satisfies the daily human requirement for protein by 22.3%, 23.1%, and 18.6%, respectively, for fat by 10.1%, 6.7%, and 2.3%. In terms of caloric content, the liver satisfies the daily requirement by 5.8%, the kidneys by 4.9%, and the heart by 2.96%.

The study of the physicochemical indicators of rabbit by-products showed that the pH value, which determines resistance against putrefactive microflora, does not exceed the standard norm in the test samples of rabbit by-products. The amino-ammonia nitrogen content is also within the normal range. The tests for ammonia and ammonium salts, as well as for primary protein decomposition products in broth, were negative, whereas the peroxidase reaction was positive, indicating that the by-products were obtained from a healthy animal, as peroxidase activity was detected in all meat samples.

The freshness of the by-products was also confirmed by microscopic analysis - imprints of muscle tissue on the glass are almost absent, and the staining of the smear is barely noticeable. In the smear preparations from the surface layers of the samples, individual cocci and rods are visible. No microorganisms were detected in the smear preparations taken from the deep layers.

The data obtained indicate that the physicochemical and microscopic indicators of the rabbit by-products under examination meet the requirements set for high-quality meat products and are safe for consumption.

Conclusion

1. The chemical composition, energy value, and physicochemical properties of rabbit edible by-products, which remain insufficiently studied to this day, have been determined.

2. The results of the conducted research indicate that rabbit liver, kidneys, and heart are products of high nutritional value, distinguished by a significant protein content, a low amount of fat, and a low energy value. The highest protein content is found in the heart (20.8%) and liver (20.1%), while in the kidneys it is lower (16.7%). The kidneys also contain the least amount of fat (1.9%) and are low in calories (83.0 kcal); the fat content in the liver and heart is 9.1% and 6.0%, respectively, and their energy values are 161.5 and 137.2 kcal (kilocalories).

3. It has been established that 100 g each of rabbit liver, kidneys, and heart satisfies the daily human requirement for protein by 22.3%, 23.1%, and 18.6%, respectively, for fat by 10.1%, 6.7%, and 2.3%. In terms of caloric content, the liver satisfies the daily requirement by 5.8%, the kidneys by 4.9%, and the heart by 2.96%.

4. The organoleptic and physicochemical indicators, also microscopic rearches of rabbit edible by-products (liver, kidneys and heart) confirm their sanitary and hygienic reliability .

5. The totality of the data obtained justifies the use of rabbit liver, kidneys, and heart both as high-quality raw material and as a protein enricher in the production of healthy and dietary food products.

This work was supported by "Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia" (SRNSFG) [Grant number - AR-25-2690].

მეცნიერება მცენარეთა შესახებ

ნაქერალას და ხვამლის ქედების სამკურნალო მცენარეები და მათი გავრცელების ლოკაციები

ნინო ძოწენიძე
nino.dzotsenidze@atsu.edu.ge
ნანა მარგველაშვილი
nana.margvelashvili@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.02

სისტემატიკურად იქნა შესწავლილი ნაქერალას და ხვამლის ქედების ფლორაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები. სამკურნალო მცენარეებს ოდითგანვე დიდი გამოყენება ჰქონდათ მედიცინასა და პარფიუმერიაში, როგორც ძვირფასს ნედლეულს ანტივირუსული, ანტიბაქტერიული, სპაზმოლიტური, ჰიპოტენზიური, გულსისძარღვთა, დერმატოლოგიური, ანტიჰელმითური, სეკრეციის გამაძლიერებელი პრეპარატების მისაღებად. საკვლევ რაიონში აღმოჩნდა საკურნალო მცენარის ოცდაათი სახეობა. დომინანტი ოჯახებია: labiatae (სამი სახეობით) და Compositae (ხუთი სახეობით). ბალახოვანია ოცი სახეობა, ბუჩქოვანი-ოთხი,ხემცენარეა-ექვსი. ორი სახეობა გვიმრანაირია, ერთი-შიშველთესლოვანი, ოცდარვა სახეობა კი - ფარულთესლოვანი. მხოლოდ ორი სახეობაა კავკასიის ენდემი: Cenecio rombifolius da Valeriana tiliifolia. თავად საკვლევი ტერიტორია, მიეკუთვნება კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციას, ხვამლისა და ნაქერალას ქედები გაერთიანებულია დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ტყისა და ალპურ ქვეპროვინციებში. ნაქერალას ქედი გამოყოფილია ცალკე დამოუკიდებელ ქვერაიონად რაჭის კირქვიანი ქედისა და ლეჩხუმის რაიონის ფარგლებში. ეს უკანასკნელი მოიცავს: 1.ლეჩხუმ-რაჭის დაბალმთიან ქვერაიონი, 2. ნაქერალას ქვერაიონი 3. საწალიკე-ხიხათა-ლეკნარის ქვერაიონი 4. შქმერის ქვერაიონი. ნაქერალას ქვერაიონში ავტორები აერთიანებენ ნაქერალას ქედს, თავშავას მასივს, შაორის ქვაბულს. ჩვენს საკვლევ ტერიტორიაში შედის:რაჭის ქედის დასავლეთი ნაწილი, კერძოდ: თავშავა, ნაქერალა, საწალიკე, წმინდა გიორგი.

საკვანძო სიტყვები: *ქედი, მცენარეები, სახეობა, სამკურნალო, ლოკაცია*

შესავალი. საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციას, ა. კოლაკოვსკის მიხედვით (Колаковский 1958, 177-181; 1961, 310-400) ხვამლისა და ნაქერალას ქედები გაერთიანებულია დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების

ტყისა და ალპურ ქვეპროვინციებში. ე. სოხაძე (სოხაძე 1969, 30-75) მათ აერთიანებს კოლხეთის პროვინციის ჩრდილოეთ კოლხეთის მთის ქვეპროვინციის კირქვიანების ოლქში. რ. გაგნიძე (გაგნიძე 1996, 105-220) ნაქერალასა და ხვამლის მასივებს იხილავს კოლხეთის პროვინციის დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ქვეპროვინციის რაჭა-ლეჩხუმის ოლქში. მორფოლოგიურად ხვამლის ზედაპირი კასტრულ ეროზიული პროცესებით დანაწევრებულ პლატოს წარმოადგენს. მისი ტოპოზედაპირის სახეს განსაზღვრავს ძაბრების, ჭებისა და ქვეშ გამდინარე წყაროს წყლების კომპლექსი, რომელთა სიღრმე მეტწილად 40-50 მ-ია,ხოლო სიგრძე რამდენიმე ათეული მეტრი. დასახელებული კასტრული წარმონაქმნები ხვამლს აძლევენ ტალღოვანდაცხრილული ზედაპირის სახეს. წკვარამებსა და უვალებს შორის არსებული წყალგამყოფები ამოზნექილი თხემებით ხასიათდება და ბრტყელ ზედაპირებს თითქმის მოკლებულია. 1700 მეტრის სიმაღლეზე არის'ბოგა-საყინულე", რომელშიც ზამთარში ჩახვეტილი თოვლი მთელი ზაფხულის განმავლობაში რჩება, აქ ტემპერატურა ნულ გრადუსზე დაბალია, შიგ ყინულის ლოლოები და ზოდებია. ხვამლის დასავლეთი მხარე ორსაფეხურიანი ციცაბო კლდეებისაგან შედგება, ეს მხარე მიუვალია, აქვს მხოლოდ ერთი შემოსასვლელი, რომელიც პირველი საფეხურის ძირას იწყება, საფეხურები თანდათან მაღლდება დასავლეთის მიმართულებით. დაბალი ჩრდილო ანუ ზედა ცარცული კუესტა უფრო სუსტად არის დაკარსტული. ნაქერალას კირქვიანი ქედი ცალკე ბოტანიკურ გეოგრაფიულ რაიონად არის გამოყოფილი-ნაქერალას რაიონის სახელწოდებით (Колаковский 1958, 177-181). რ. გაგნიძის, ლ. კემულარია-ნათაძის მიხედვით (Гагнидзе, Кемулариа-натадзе 1986,140-148) ნაქერალას ქედი გამოყოფილია ცალკე დამოუკიდებელ ქვერაიონად რაჭის კირქვიანი ქედისა და ლეჩხუმის რაიონის ფარგლებში. ეს უკანასკნელი მოიცავს: 1.ლეჩხუმ-რაჭის დაბალმთიან ქვერაიონი, 2. ნაქერალას ქვერაიონი 3. საწალიკე-ხიხათა-ლეკნარის ქვერაიონი 4. შქმერის ქვერაიონი. ნაქერალას ქვერაიონში ავტორები აერთიანებენ ნაქერალას ქედს, თავშავას მასივს, შაორის ქვაბულს. ჩვენს საკვლევ ტერიტორიაში შედის:რაჭის ქედის დასავლეთი ნაწილი, კერძოდ: თავშავა, ნაქერალა, საწალიკე, წმინდა გიორგი.

კლიმატური რეჟიმი ხვამლის კირქვიანი მასივის ზემო სარტყლისათვის თავისებურია, რაც დაკავშირებულია ტენის კონდენსაციასთან, რომელიც მოტანილია შავი ზღვიდან სამხრეთ დასავლეთის ქარებით. ამით აიხსნება აქ ხშირი სქელი ნისლი. ხვამლის მცენარეულობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: მასივი ძირიდან 1000მ სიმაღლეზე დაფარულია მეორადი ტყით, ხშირად ბუჩქნარებით. ტყის ძირითადი შემადგენელი სახეობებია:

Quercus pontica, Carpinus caucasuca, Carpinus orientalis, Acer trautvetteri, Corylus avelana, Crataegus pentagina, Rubus caucasicus, Lonicera caprifolia, Stafilea colchica სამხრეთ ფერდობებზე ადგილ-ადგილ გვხვდება მუხის ტყეები წიფლის მონაწილეობით. ზღვის დონიდან 1000მ-ის ზემოთ გვხვდება Fagus orientalis, რომლის როლი სიმაღლესთან დაკავშირებით თანდათანობით იზრდება. ნაძვი და სოჭი ტყის შემადგენლობაში გვხვდება დაახლოებით ზღვის დონიდან 1300 მეტრიდან, ხოლო 1400-1500 მეტრზე ისინი ქმნიან მაღალღეროვან წიფლნარ-მუქწიწვოვან ტყეებს. ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე ტყეში სჭარბობს Fagus orientalis, Carpinus caucasica, Picea orientalis, Abies nordmaniana, Ulmus eliptica ქვეტყისათვის დამახასიათებელია: Corylus avelana, Daphe glomerata, Laurocerasus officinalis, Ilex colchica, Rubus caucasicus, ამ სარტყელში გვიმრებიდან ცოტაა- Ptedium tauricum და Dryopteris filix -mas, არ არის Castanea sativa, Rhododendron Pontus. ზ. დ. 1500 მეტრიდან ტყეები ღებულობენ უფრო მეზოფილურ ხასიათს, მერქნიანი მცენარეებიდან აქ ჭარბობს წიფელი, ნაძვი, ნაკლებად მონაწილეობს Pinus sylvestris, Ulmus elliptica, Tilia begoniifolia. გამეჩხრებულ ტყეებში გვხვდება: Ilex colchica, Fragaria alnus, Laurecerasus officinalis. აღმონაცენთა ფანჯრებში დამახასიათებელია: გვიმრები და Paeonia wittmanniana. გვიმრები ამ სარტყელში მეტია, ვიდრე ქვედაში. ტყის ზემო საზღვარი მასივის ამ ნაწილში მდებარეობს 1600-1700მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ ტყეები იქმნება გამეჩხერებული წიფლისაგან, ნაძვებისაგან, ფიჭვებისა და მაღალმთის ნეკერჩხლისაგან ქვეტყეში გვხვდება Frangula alnus, Ribes nigrum და Daphne glomerata. ალაგ-ალაგ Taxus baccata და Junioerus depressa. ტყის ზემოთ მდებარე მცენარეულობა რიგ შემთხვევაში შემორჩენილია ტყის ცალკეული მონაკვეთებით, რაც წარმოდგენილია ბუჩქებით, მდელოს მეორადი მაღალბალახეულობით.

სუბალპურ სარტყელში გავრცელებულია თავისებური კლდის მცენარეები. ტყის ცალკეული მონაკვეთები აქ შემორჩენილია ციცაბო და კლდოვან ადგილებზე 1800-1900მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამ ტყის მერქნიანი მცენარეების შემადგენლობაში შედის: Fagus orientalis, Pinus sylvestris და Picea orientalis. ნაკლებად გვხვდება Betula Litvinowii და Acer trautvetteri, ბუჩქებიდან უმეტესად წარმოდგენილია: Daphne avelana, Laurocerasus officinalis, Frangula alnus და Vaccinium mirtillus. ნაკლებადაა: Caprifolia loricera, Juniperus oblonga, Corylus avelana , Crataegus pentagina (საქართველოს ფლორა 1971, 87).

კვლევის მეთოდი და შედეგები. ხვამლისა და ნაქერალას ქედების ტყის კომპლექსებს ქმნის 236 სახეობა, რომელიც გართიანებულია 154 გვარში, მდელოს კომპლექსებს ქმნის 181 სახეობა, კლდეებისა და ნაშალ-

ღორღიანების ფლორის კომპლექსებს 79 სახეობა, მაღალბალახეულის კომპლექსებში შედის 16 სახეობა, რუდერალურ ადგილებში გავრცელებულია 18 სახეობა (ქუთათელაძე 1962, 33-40).

კვლევა ჩატარებულ იქნა 2024-25 წლებში. საკვლევი მცენარეების აღება ხდებოდა ვეგეტაციის სხვადასხვა პერიოდში. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ხვალისა და ნაქერალას ქედების ძირითადი ფიტოსტრუქტურული შემადგენლობა. მასალა შეგროვდა შემდეგ ლოკაციებზე: თავშავა, ნაქერალა, საწალიკე, წმინდა გიორგი. კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა: მცენარეულობის ტიპს, ლოკაციას, სახეობრივ შემადგენლობას, სიმრავლეს. აღწერილი იქნა შემდეგი სამკურნალო მცენარეები:

ოჯ: Aspidiaceae. Dryopteris filix mas L-ჩადუნა. გვხვდება როგორც ხვამლზე. ასევე ნაქერალას წიფლნარებში. სამკურნალოდ გამოიყენება მისი ფესურა, როგორც პარაზიტი ჭიების საწინააღმდეგო საშუალება.

ოჯ: Hypolepidaceae. Pteridium tauricum L. -ეწრის გვიმრა. გვხვდება 1300 მ სიმაღლეზე ზღ.დ. იყენებენ: ჩირქოვანი მუწუკების, ეგზემური წყლულების სამკურნალოდ, მცენარეული მალამოს მოსამზადებლად.

ოჯ: Taxaceae. Taxus baccata L.-უთხოვარი. დაბალი სიმაღლის წიწვოვანი ხეა. საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება შერეულ და წიწვოვან ტყეებში. მის წიწვებს იყენებენ გულის სამკურნალოდ.

ოჯ: Compositae. Achillea millefolium L.-ფარსმანდუკი. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გულის არითმიის დროს ასევე საშარდე ბუშტის ანთებისას მის მონახარშს.გვხვდება ნაქერალას და ხვამლის მთის შუა და სუბალპურ სარტყელში, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქებს შორის.

ოჯ: Anacardiaceae. Cotinus coggygria L.-თრიმლი. იყენებენ სისხლის შემადედებელ საშუალებად, ახასიათებს ასევე ანტისეპტიკური მოქმედება. გვხვდება ნაქერალას და ხვამლის სამხ. ფერდობებზე, მთისწინა ბუჩქნარებსა და ტყის პირებზე, მთის შუა სარტყლამდე.

Tussilago farfara L.-ვირისტერფა. საკვლევ რაიონში გვხვდება მთის შუა, იშვიათად ზედა სარტყელში, ნესტიან ჩამონაზვავებზე, ხევებში.ხალხურ მედიცინაში გამოიყენება მისი ფოთლები ბრონქიალური ასთმის დროს და აგრეთვე როგორც ამოსახველებელი საშუალება.

Inula helenium L.- კულმუხო. გვხვდება საკვლევი რაიონის ტენიან ადგილებში, ბუჩქნარებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში. კულმუხო ეფექტური საშუალებაა სასუნთქი გზების ქრონიკული დააბადებების სამკურნალოდ. ასევე გამოიყენება მუნისა და ეგზემას წინააღმდეგ.მის ეთერზეთს კი პარაზიტი ჭიების საწინააღმდეგო თვისება გააჩნია.

Senecio rhombifolius (Willd.) Sch. Bip.-ხარის შუბლა. გვხვდება როგორც ხვამლზე, ასევე ნაქერალაზე, მთის შუა და სუბალპურ სარტყელში, ტყის

პირას მდელოებზე და მაღალბალახეულში. მას იყენებენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ბრონქიალური ასთმის, ჰიპერტონიის, სისხლძარღვების სპაზმების დროს, ასევე ოფთალმოლოგიაში-თვალის გუგის გასაფართოებლად.

Solidago virgaurea L.-ოქროწკეპლა. ნაქერალაზე და ხვამლზე იზრდება ტყის სარტყელში, მთის წინების ტყეებიდან სუბალპურ ტყეებამდე. მისი აყვავილებული ბალახი გამოიყენება, როგორც კუჭის შემკვრელი, სურავანდის საწინააღმდეგო და შარდმდენი საშუალება.

ოჯ:Corylaceae. Corilus avellana L.-ჩვეულებრივი თხილი. ნაქერალაზე და ხვამლზე გვხვდება როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილო ფერდობებზე. სამკურნალოდ იყენებენ ფოთლებს და ქერქს, რომლებსაც სისხლძარღვების შევიწროების თვისება გააჩნიათ.

ოჯ: Cornaceae. Cornus mas L.-შინდი. ძირითადად გვხვდება საკვლევი ტერიტორიის სამხრეთ ფერდობებზე. შინდი შეიცავს პექტინს, მოქმედებს, როგორც შემკვრელი, გამოიყენება ჩაის სახით.

ოჯ: Elaeagnaceae. Hyppophae rhamnoides L.-ქაცვი. გვხვდება საკვლევი ტერიტორიის როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ფერდობებზე. მისი ზეთი გამოიყენება კანის დაავადებების სამკურნალოდ, სწრაფად ხსნის სიწითლეს, ტკივილებს და წვის შეგრძნებას გამწვავებული ეგზემის დროს.

ოჯ: Ericaceae. Rhododendron caucasicum Pall.-შქერი. გვხვდება ნაქერალაზე და ხვამლზე სუბალპურ სარტყელში. მისი ფოთლების ნაყენი ადიდებს გულის შეკუმშვის ძალას და რიტმს, გამოიყენება ნერვული სისტემის დამაშვიდებლად, ამავე დროს გააჩნია ბაქტერიოციდული თვისება.

Vaccinium mirtillus L.-მოცვი. მოცვი დაბალი სიმაღლის ფოთოლმცვენი ბუჩქია.ნაქერალას და ხვამლი ქედებზე გვხვდება ძირითადად სუბალპურ ზონაში და უფრო ქვემოთაც. მოცვი ფართოდ გამოიყენება ოფთალმოლოგიაში, მხედველობის გასაუმჯობესებლად, ხალხურ მედიცინაში ყელის ტკივილის, თირკმლების კენჭოვანი დაავადების, ნიკრისის ქარების და რევმატიზმის სამკურნალოდ. ფოთლებში არის გლიკოზიდი ნეომირტინილი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს სისხლში შაქრის დონეს, მიიღება ფოთლების ნახარშის სახით.

ოჯ: Gentianaceae. Gentiana cruciata L.-ნაღველა ჯვრისებრი. ნაღველა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ნაქერალასა და ხვამლზე გვხვდება ტყის და სუბალპურ ზონაში – ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, ნატყევარ ადგილებში. მისი ფესურა გამოიყენება საჭმლის მონელების დარღვევისას, მადის მომგვრელ საშუალებად. მისი პრეპარატები ზრდიან საჭმლის გამაღიზიანებლისადმი მგრძნობელობას, რის მეოხებითაც ხდება კუჭ-

ნაწლავის ტრაქტის სეკრეციისა და მოტორული ფუნქციის სტიმულირება. ფესვებისა და ფესურების ნახარში ასევე გამოიყენება უძილობის, ნიკრისის ქარების და ჩირქოვანი ჭრილობების სამკურნალოდ.

ოჯ: Hypericaceae. Hypericum perfonatum L.-კრაზანა. მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა, გვხვდება ნაქერალას და ხვამლის უმეტესად სამხრეთ ფერდობებზე-თითქმის სუბალპურ ზონამდე. მისი ნაყენი გამოიყენება ქრონიკული გასტრიტის სამკურნალოდ. ზეთი კი, ჭრილობების და წყლულების შესახორცებლად.

ოჯ: Juglandaceae. Juglans regia L.-კაკალი. ხეა, 20-25მ სიმაღლის, გვხვდება საკვლევი ტერიტორიის უმეტესად სამხრეთ ფერდობებე 1200მ-მდე, ცალკეული ხეების სახით. კაკლის ახალგაზრდა მწვანე ნაყოფი და ფოთლები მდიდარია ასკორბინის მჟავით და კაროტინით. ფოთლებისა და წენგოს ნახარშს იყენებენ კუჭისა და გინეკოლოგიური დაავადებისას, ასევე თირკმლისა და საშარდე ბუშტის, სრომატიტისა და ანგინის სამკურნალოდ.ასევე სვამენ ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად და ავიტამინოზის დროს.

ოჯ: Labiatae. Mentha pulegium L. -ომბალო. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება 110მ-ზე ზღ. დ., ნესტიან ადგილებში. ხალხური მედიცინა ომბალოს იყენებს ჭრილობების შესახორცებლად და ანტისპაზმურ, ასევე ასთმის და ნევროზის წინააღმდეგ.

Origanum vulgare L-თავშავა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ნაქერალასა და ხვამლზე იზრდება მთის წინებზე, ტყის და სუბალპურ სარტყელში, ბუჩქნარებში, მდელოებზე, ტყის პირებზე. სამედიცინო წყაროების მიხედვით, თავშავა აწყნარებს ხველას, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტისას, ასევე ყივანახვალის დროს. რეკომენდირებულია კუჭის და ნაწლავების სპაზმების, უმადობის, ღვიძლის დაავადებების და სიყვითლის დროს.

Salvia glutinosa L.-შალამანდილი. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. საკვლევ რაიონში გვხვდება დაჩრდილულ ტყეებში. ხალხურ მედიცინაში მცენარეს იყენებენ გულმკერდის არეში ტკივილისას, აგრეთვე, კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

ოჯ: Oleaceae. Fraxinus excelsior L.-ჩვეულებრივი იფანი. მაღალი ხეა. იზრდება ფართოფოთლოვან და შერეულ ტყეებში. საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება მთის შუა სარტყლამდე. იფანის ფოთლები რეკომენდირებულია: რევმატიზმის, ღვიძლის, სიყვითლის, თირკმლის კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ. მასვე იყენებენ ამოსახველებლად. ჭრილობებზე კარგია დანაყილი ფოთლების ფაფისებრი მასის დადება.

ოჯ: Plantaginaceae. Plantago major L.-მრავალძარღვა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. საკვლევ რაიონში იზრდება მთის შუა სარტყლამდე,

მდელოებზე, ნაკადულების სანაპიროებზე, გზის პირებზე. მრავალძარღვას წვენი ეფექტურია ქრონიკული გასტრიტის დროს. იგი კარგად მოქმედებს ქრონიკული ქოლეცისტიტის და დაბალმჟავიანი წყლულის დროს. ხალხური მედიცინა მას ფართოდ იყენებს ტუბერკულოზის, ჰეპატიტის, ასევე, სისხლის შემადედებელ და ამოსახველებელ საშუალებად.

ოჯ: Ranunculaceae. Clematis vitalba L.-კატაბარდა. მრავალწლოვანი ლიანა მცენარეა. საკვლევ რაიონში გვხვდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, ქვედა სარტყლიდან დაწყებული, ზედა სარტყლამდე. მისი სპირტიანი ნაყენი წყლულზე მოქმედებს დასაწყნარებლად, აჩქარებს ჭრილობების მოშუშებას და სპობს სოკოვან დაავადებებს. გააჩნია ძლიერი ბაქტერიოციდული თვისებები.

ოჯ:Rosaceae. Rosa canina L.-ასკილი. ასკილი 1-3მ სიმაღლის ბუჩქია. საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე. იზრდება ღია ფერდობებზე, ნაკაფებში, ტყის პირებზე, მინდვრებში. ასკილის ფესვების ნახარში საუკეთესო საშუალებაა შარდ-სასქესო გზებში კენჭების დასაშლელად. ნაყოფის რბილობისაგან ამზადებენ პრეპარატებს დერმატიტის, ეგზემის, ფსორიაზის და კანის სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

ოჯ: Solanaceae. Physalis alkekengi L.-ონტკოფა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ნაქერალასა და ხვამლზე გვხვდება ტენიან ადგილებში მთის შუა სარტყლამდე. ონტკოფას ნედლი ფოთლის წვენს ხალხური მედიცინა, ოდითგანვე ჭიის დამდენ და წყურვილის მოსაკლავ საშუალებად იყენებდა. მისი ნაყოფები რეკომენდებულია, როგორც შარდმდენი საშუალება თირკმლებისა და საშარდე ბუშტის კენჭოვანი დაავადებებისას. ასევე გამოიყენება ნიკრისის ქარისა და სახსრების რევმატიზმის სამკურნალოდ.

ოჯ: Staphyleaceae. Staphylea colchica Stev.-კოლხური ჯონჯოლი. დაბალტანიანი ხე ან ბუჩქია. იშვიათი რელიქტური სახეობაა, საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება გამეჩხერებულ ტყეებში, ქვიან ადგილებში ერთეულებად ან პატარ-პატარა კორომების სახით. ჯონჯოლის თესლიდან მიღებული ზეთი გამოიყენება ქრონიკული კუჭშეკრულობის საწინააღმდეგოდ.

ოჯ: Tiliaceae. Tilia Begoniifolia Stev.-ბეგონიისფოთოლა ცაცხვი. 40 მეტრამდე სიმაღლის ხეა. გვხვდება საკვლევ ტერიტორიაზე ტყეებსა და ტყის პირებზე , მთის შუა სარტყლამდე. სამკურნალოდ გამოიყენება მისი ყვავილები, ჩაის სახით, ოფლმდენ საშუალებად გაციების დროს. ხალხურ მედიცინაში ცაცხვის ყვავილები ცნობილია, როგორც სისხლგამწმენდი, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. მიიღება ნერვული დაავადებებისას,

მათ შორის ეპილეფსიის დროს, ხველებისა და მუცლის ტკივილის დასაწყნარებლად.

ოჯ: Thymelaeaceae. Daphne mezereum L. – ჩვეულებრივი მაჯაღვერი. 0,5-1მ-მდე სიმაღლის მცენარეა. საკვლევ რაიონში გვხვდება ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში, დაჩრდილულ ადგილებში. მაჯაღვერი გამოიყენება, როგორც დაჩირქების საწინააღმდეგო საშუალება, რევმატიზმის, ნევრალგიის, სიყვითლისა და სახსრების ტკივილის საწინააღმდეგოდ.

ოჯ: Valerianaceae. Valeriana tiliifolia Troitzky.–ცაცხვფოთოლა კატაბალახა. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. საკვლევ რაიონში გვხვდება ტყის პირებზე, მდელოებზე, ფერდობებზე, ტყის სარტყლიდან ქვედა ალპურ სარტყლამდე. კატაბალახას პრეპარატები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში,როგორც დამამშვიდებელი საშუალება, უძილობის, ნერვული აგზნებულობის, გულსისლძარღვთა სისტემის პათოლოგიებისას.

ოჯ: Fabaceae. Melilotus officinalis (L)Lam.– ყვითელი ძიძო. საკვლევ რაიონში გვხვდება ნესტიან ადგილებში, მთის შუა სარტყლამდე. მისი ფოთლები და ყვავილები გამოიყენება ტკივილგამაყუჩებელ და დამამშვიდებელ საშუალებად უძილობის და გაძლიერებული აღგზნების დროს. ხალხურ მედიცინაში იყენებენ, როგორც ამოსახველებელ საშუალებას, სასუნთქი გზების ანთების, მეტეორიზმის და მაღალი წნევისას (ერისთავი 2012, 180-210; გაგნიძე 2005, 20-240; http://www.Worldfloraonline.Org)

სახეობა	ნედლეული
Dryopteris filix mas L-ჩადუნა	ფესურა
Pteridium tauricum L. -ეწრის გვიმრა	ფესურა, ფესვი
Taxus baccata L.-უთხოვარი	წიწვები
Achillea millefolium L.-ფარსმანდუკი	ბალახი
Cotinus coggygria L.-თრიმლი	ფოთლები და ქერქი
Tussilago farfara L.-ვირისტერფა	ფოთლები
Inula helenium L.- კულმუხო	ფესურა და ფესვები
Senecio rhombifolius (Willd.) Sch. Bip.-ხარისშუბლა	ფესურა და ფესვები
Solidago virgaurea L.-ოქროწკეპლა	ბალახი
Corilus avellana L.-ჩვეულებრივი თხილი	ფოთლები და ქერქი
Cornus mas L.-შინდი	ნაყოფი

Hyppophae rhamnoides L.-ქაცვი	ნაყოფი
Rhododendron caucasicum Pall.-შქერი	ფოთლები
Vaccinium mirtillus L.-მოცვი	ნაყოფი
Gentiana cruciata L.-ნაღველა ჯვრისებრი	ფესურა
Hypericum perfonatum L.-კრაზანა	ყვავილი, ფოთოლი
Iuglans regia L.-კაკალი	ნაყოფი
Mentha pulegium L. -ომბალო	ბალახი
Origanum vulgare L-თავშავა	ბალახი
Salvia glutinosa L.- შალამანდილი	ბალახი
Fraxinus excelsior L.-ჩვეულებრივი იფანი	ფოთლები
Plantago major L.-მრავალძარღვა	ფოთლები
Clematis vitalba L.-კატაბარდა	ფოთლები
Rosa canina L.-ასკილი	ნაყოფი
Physalis alkekengi L.-ონტკოფა	ფოთოლი
Staphylea colchica Stev.-კოლხური ჯონჯოლი	თესლი
Tilia Begoniifolia Stev.-ბეგონიისფოთოლა ცაცხვი	ყვავილი
Daphne mezereum L.-ჩვეულებრივი მაჯაღვერი	ბალახი
Valeriana tiliifolia Troitzky.- ცაცხვფოთოლა კატაბალახა	ფესურა
Melilotus officinalis (L)Lam.-ყვითელი ძიძო	ფოთლები

დასკვნა: ნაქერალასა და ხვამლის ქედებზე შესწავლილი სამკურნალო მცენარეების 30 სახეობიდან: 2-გვიმრანაირია, 1-შიშველთესლოვანი, 27სახეობა კი - ფარულთესლოვანი. მხოლოდ ორი სახეობაა კავკასიის ენდემი: **Cenecio rombifolius და Valeriana tiliifolia.** ბუჩქია-4 სახეობა, ხემცენარეა-6 სახეობა; მრავალწლოვანი ბალახია-20 სახეობა. აღნიშნული მცენარეები მიეკუთვნებიან შემდეგ გეოგრაფიულ ტიპებს: ევროპულ-კავკასიურს, კავკასიურ-მცირეაზიურს, კავკასიურ-წინააზიურს (გაგნიძე 1996, 85-105).

ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვანია საქართველოს ფიტოცენოზთა სისტემატიკის, ეკოლოგიის, ბიომრავალფეროვნების, ეთნობოტანიკის შესწავლისათვის. თემა ასევე აქტუალურია დასავლეთ საქართველოში

გავრცელებული, მედიცინისთვის მნიშვნელოვანი სამკურნალო მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნების დაზუსტებისა და სტატისტიკური აღრიცხვისათვის. მასალა დამუშავდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტში და ინახება ჰერბარიუმის განყოფილებაში.

ლიტერატურა

გაგნიძე, რევაზ, დავითაძე, მურმან. 2000. *ადგილობრივი ფლორა.* ბათუმი.

გაგნიძე, რევაზ.1996. *მცენარეთა გეოგრაფია.* თბილისი.

გაგნიძე, რევაზ. 2005 *საქართველოს ფლორის კონსპექტი. ნომენკლატურული ნუსხა.* თბილისი.

ერისთავი, ლინა. 2012. *სამკურნალო მცენარეები.* თბილისი.

საქართველოს ფლორა. 1971-1987. I-XI ტ. თბილისი.

სოხაძე, ელენე. 1969. *საქართველოს კირქვიანი მთების ბოტანიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა.* თბილისი.

ქუთათელაძე, ალექსანდრა. 1962. „საქართველოს ენდემები იმერეთის კირქვიანების ფლორაში“, საქ. ბოტ. საზ. *„მოამბე“* . თბილისი.

Гагнидзе, Р.И., Кемулариа-Натадзе, Л.М. 1985. *Ботаническая география флора Рача- Лечхуми,* Тбилиси.

Колаковский, А. А. 1958. “Ботанико-географическое районирование Колхиды”, *труды сухумского ботанического сада.*

Колаковский, А.А. 1961. *растительный мир Колхиды*, Москва.

Plant Science

Medicinal Plants of the Nakerala and Khvamli Ridges and Their Distribution Locations

Nino Dzotsenidze
nino.dzotsenidze@atsu.edu.ge
Nana Margvelashvili
nana.margvelashvili@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.02

The medicinal plants growing in the flora of the Nakerala and Khvamli Ridges were systematically studied. Since ancient times, medicinal plants have been widely used in medicine and perfumery as valuable raw materials for the production of antiviral, antibacterial, antispasmodic, hypotensive, cardiovascular, dermatological, anthelmintic, and secretion-stimulating preparations. A total of thirty medicinal plant species were identified within the study area. 30 species of medical plants were found in the study area. The dominant families are Labiatae, represented by three species, and Compositae, represented by five species. Twenty-one species are herbaceous, four are shrubs, and five are trees. Two species belong to ferns, one to gymnosperms, and twenty-seven to angiosperms. Only two species are endemic to the Caucasus: Senecio rhombifolius and Valeriana tiliifolia. The limestone ridge of Nakherala is separated into a separate botanical geographical area - under the name of Nakherala District. According to R. Gagnidze, and L. Kemularia-Natadze, the Nakerala range is separated as a separate independent sub-district within the limits of the limestone range of Racha and Lechkhumi district. The latter includes 1. Lechkhumi-Racha low-mountainous sub-district; 2. Nakerala sub-district; 3. Satsalike-Khikhata-Leknari sub-district; 4. Shkmeri sub-district. In the Nakerala sub-district, the authors combine the Nakerala Ridge, the Tashava Massif, and the Shaori Basin. Our research area includes the western part of RachaRidge, particularly, The research was conducted during 2024 - 2025. Plant material was collected from locations where these species were particularly abundant during different phases of vegetation.

Keywords: *ridge, plants, species, medicinal, location*

Introduction.The research area belongs to the botanical-geographical province of Kolkheti. According to A. Kolakovsky Khvamli mountain is included in the limestone forest and alpine sub-provinces of Western Transcaucasia. E.

Sokhadze includes it in the limestones district of the mountain sub-province of North Kolkheti inKolkheti province. R. Gagnidze considers the Khvamli massif in Racha-Lechkhumi district of the West Transcaucasia limestone subprovince of the Kolkheti province. Morphologically, the surface of Khvamli is a plateau divided by karst erosion processes.Its topographic appearance is determined by the complex of funnels, wells and springs flowing underneath, the depth of which is mostly 40-50 m, and the length is several tens of meters. The mentioned karst formations give Khvamli a wave-shaped riddled surface. The watersheds between abysses and untrodden paths are characterized by convex ridges and are almost devoid of flat surfaces. At an altitude of 1700 meters there is a "foot-ridge ice cellar", in which the snow shoveled in winter remains throughout the summer, the temperature here is below zero degrees, there are icicles and sticks inside. The western side of Khvamli consists of two-step steep rocks, this side is impassable, it has only one entrance, which starts at the bottom of the first step, the steps gradually rise in the west direction.The lower northern or upper cretaceous cuesta is less karstic. The climatic regime for the upper belt of the Khvamli limestone massif is peculiar, which is related to the condensation of moisture brought from the Black Sea by the southwest winds. This explains the frequent thick fog here.

The vegetation of Khvamli is represented as follows: the massif from the base to 1000 m. is covered with secondary forest, often with shrubs. The main constituent species of the forest are: *Quercus pontica, Carpinus caucasica, Carpinus orientalis, Acer trautvetteri, Corylus avellana, Crataegus pentagina, Rubus caucasicus, Lonicera caprifolia, Staphylea colchica.* On the southern slopes, there are oak forests with some beeches.Beech (*Fagus orientalis*) can be found above 1000m. above sea level, the role of which gradually increases with height. Spruce (*Picea orientalis*) and fir-tree (*Abies nordmanniana*) can be found in the forest from about 1300 meters above sea level, and at 1400-1500 meters they form high-stemmed beech-coniferous forests. *Fagus orientalis, Carpinus caucasica, Picea orientalis, Abies nordmanniana, Ulmus elliptica* prevail in the forest up to 1500 meters above sea level.*Corylus avellana, Daphne glomerata, Laurocerasus officinalis, Ilex colchica, Rubus caucasicus* are typical for sub-forest. Among the ferns in this belt there are *Pteridium tauricum* and *Dryopteris filix-mas.* There are no*Castanea sativa, Rhododendron ponticum*. From 1500 meters above sea level the forest takes on a more mesophilic character, *Fagus orientalis (Picea orientalis)* prevails among the woody plants here, *Pinus sylvestris, Ulmus elliptica, Tilia begoniifolia* are less involved. *Ilex colchica, Rhamnus imeretina, Laurocerasus officinalis* can be found in the sparse forests. Ferns and *Paeonia*

macrophylla are typical in the windows of sprouts.There are more ferns in this belt than in the lower one. The upper border of the forest in this part of the massif is located at an altitude of 1600-1700 meters above sea level. Here the forests are represented by scarcity of beech (*Fagus orientalis*), spruce (*Picea orientalis*), pines (*Pinus spp.)* and mountain maple (*Acer trautvetteri*). *Rhamnus imeretina, Ribes nigrum* and *Daphne glomerata* can be found in the undergrowth mixed with *Taxus baccata* and *Juniperus depressa*. In the subalpine vegetation above the forest, in some cases separate sections of the forest are preserved, which are represented by bushes, secondary high herbage of the meadow.Peculiar rock plants are common in the subalpine belt. Separate sections of the forest are preserved here on steep and rocky places at an altitude of 1800-1900 m. above sea level. Here, the woody plants of the forest include: *Fagus orientalis, Pinus sylvestris* and *Picea orientalis. Betula litwinowii* and *Acer trautvetteri* are less common, and the most common shrubs are: *Daphne mezereum, Laurocerasus officinalis, Frangula alnus* and *Vaccinium myrtillus*. Less: *Juniperus oblonga, Corylus avellana, Crataegus pentagina.*

Research method and results.The forest complexes of the Khvamli ridge are made up of 236 species, which are included in 154 genera, the meadow complexes are made up of 181 species, the flora complexes of rocks and sloughs are made up of 79 species, tall herbaceous complexes include 16 species, 18 species are found in ruderal areas. The study was conducted in 2024-25. The study plants collected at different periods of vegetation.The material was colleqted at following locacions: Tavshava, Nakerala, Satsalike, St. George. Special attention was paid to**:** vegetation type, location, species composition and abundance. As a result of the study, the following medicinal plants were described:

Dryopteris filix-mas **(L.) Schott** is a perennial herbaceous fern. It occurs in the beech forests of both Khvamli and Nakerala. Its rhizome is used medicinally as an anthelmintic remedy against parasitic worms.

Pteridium tauricum **V.I. Krecz. ex Grossh** is a perennial rhizomatous spore-bearing fern. It occurs at an altitude of approximately 1,300 m above sea level. It is used in the preparation of herbal ointments for the treatment of purulent skin eruptions and eczematous ulcers.

Taxus baccata **L.** is a low-growing coniferous tree. Within the study area, it is found in mixed and coniferous forests. Its needles have traditionally been used in remedies for heart-related conditions. *(Note: modern medical use of yew requires caution, as many parts of the plant are toxic.)*

Achillea millefolium **L** is a perennial herbaceous plant. In traditional medicine, it is used for the treatment of cardiac arrhythmias, and its decoction

is also employed in cases of urinary bladder inflammation. It occurs on both the Nakerala and Khvamli Ridges, in the middle-mountain and subalpine zones, on grassy slopes and among shrubs.

Cotinus coggygria is a small tree or shrub. It is used as a haemostatic (blood-clotting) agent and is also known for its antiseptic properties. In the study area, it is found on the southern slopes of the Nakerala and Khvamli Ridges, in foothill shrublands and along forest edges, extending up to the middle-mountain zone.

***Tussilago farfara* L** is a perennial herbaceous plant. Within the study area, it occurs in the middle-mountain zone and, less frequently, in the upper mountain zone, particularly on moist landslides and in ravines. In traditional medicine, its leaves are used in the treatment of bronchial asthma and as an expectorant.

***Inula helenium* L** is a perennial herbaceous plant. It grows in moist habitats and shrublands of the lower and middle mountain zones of the study area. Elecampane is considered an effective remedy for chronic respiratory diseases and is also used against scabies and eczema. Its essential oil possesses anthelmintic properties and is used to combat parasitic worms.

***Senecio rhombifolius* (Willd.) Sch. Bip.** is a perennial herbaceous plant. It occurs on both the Khvamli and Nakerala Ridges, in the middle-mountain and subalpine zones, along forest edges, in meadows, and within tall-herb vegetation communities. It is used in the treatment of gastric and duodenal ulcers, bronchial asthma, hypertension, and vascular spasms. It is also employed in ophthalmology for pupil dilation.

***Solidago virgaurea* L** is a perennial herbaceous plant. On the Nakerala and Khvamli Ridges, it grows within the forest belt, ranging from foothill forests to subalpine forests. Its flowering aerial parts are used as an astringent, an antiscorbutic remedy, and a diuretic.

***Corylus avellana* L** is a shrub or a tree reaching up to 8 m in height. It occurs on both the southern and northern slopes of the Nakerala and Khvamli Ridges. The leaves and bark are used medicinally, as they possess vasoconstrictive properties.

***Cornus mas* L.** is a shrub or small tree. It is found mainly on the southern slopes of the study area. Cornelian cherry fruits contain pectin and have astringent properties. They are commonly used in the form of herbal tea and other traditional preparations for digestive disorders.

***Hippophae rhamnoides* L.** is a densely branched shrub. It occurs on both the southern and northern slopes of the study area. Its oil is used in the treatment of skin diseases, effectively relieving redness, pain, and burning sensations associated with aggravated eczema.

***Rhododendron caucasicum* Pall** is an evergreen shrub. It occurs in the subalpine zone of both the Nakerala and Khvamli Ridges. An infusion prepared from its leaves increases the strength and rhythm of cardiac contractions and is used as a sedative for the nervous system. In addition, it possesses bactericidal properties.

***Vaccinium myrtillus* L.** Bilberry is a low-growing deciduous shrub. On the Nakerala and Khvamli Ridges, it is found mainly in the subalpine zone, but also at lower elevations. Bilberry is widely used in ophthalmology to improve vision. In traditional medicine, it is employed in the treatment of sore throat, kidney stone disease, gout, and rheumatism. The leaves contain the glycoside neomyrtillin, which significantly reduces blood glucose levels and is commonly administered in the form of a leaf decoction.

***Gentiana cruciata* L.** Cross gentian is a perennial herbaceous plant. On the Nakerala and Khvamli Ridges, it is found in forest and subalpine zones, particularly along forest edges, in shrublands, and in disturbed forest areas. Its rhizome is used in cases of digestive disorders as an appetite stimulant. Preparations made from the plant increase sensitivity to gastric stimuli, thereby stimulating the secretory and motor functions of the gastrointestinal tract. Decoctions of the roots and rhizomes are also used in the treatment of insomnia, gout, and purulent wounds.

***Hypericum perforatum* L.** is a perennial herbaceous plant. It is found on the Nakerala and Khvamli Ridges, mainly on southern slopes, extending almost to the subalpine zone. Its infusion is used in the treatment of chronic gastritis, while the oil is applied externally to promote the healing of wounds and ulcers.

***Juglans regia* L.** is a tree reaching 20 - 25 m in height. Within the study area, it occurs mainly on southern slopes up to about 1,200 m. usually as isolated trees. Young green fruits and leaves are rich in ascorbic acid and carotene. Decoctions of the leaves and green husk are used in the treatment of gastric and gynecological diseases, as well as kidney and urinary bladder disorders, stomatitis, and tonsillitis. They are also consumed to improve metabolism and in cases of vitamin deficiency.

***Mentha pulegium* L.** is a perennial herbaceous plant. In the study area, it occurs at around 110 m above sea level in moist habitats. In folk medicine, it is used for wound healing and as an antispasmodic agent, as well as for the treatment of asthma and neurosis.

***Origanum vulgare* L.** is a perennial herbaceous plant. On the Nakerala and Khvamli Ridges, it grows on foothill zones, within forest and subalpine belts, in shrublands, meadows, and along forest edges. According to medical sources, it relieves cough and is used in acute and chronic bronchitis, as well as whooping cough. It is also recommended for gastrointestinal spasms, loss of appetite, liver diseases, and jaundice.

***Salvia glutinosa* L.** is a perennial herbaceous plant. In the study area, it is found in shaded forest habitats. In traditional medicine, it is used for chest pain and in the treatment of urolithiasis (kidney stone disease).

***Fraxinus excelsior* L.** is a tall tree growing in broadleaf and mixed forests. Within the study area, it is found up to the middle-mountain zone. The leaves of ash are recommended for the treatment of rheumatism, liver disorders, jaundice, and kidney stone disease. It is also used as an expectorant. A poultice made from crushed leaves is applied to wounds to promote healing.

***Plantago major* L.** is a perennial herbaceous plant. In the study area, it grows up to the middle-mountain zone in meadows, along stream banks, and by roadsides. The juice of plantain is effective in treating chronic gastritis and is beneficial in chronic cholecystitis and low-acid ulcers. In folk medicine, it is widely used for tuberculosis and hepatitis, and it is also known for its blood-clotting and expectorant properties.

***Clematis vitalba* L.** is a perennial climbing liana. In the study area, it occurs in forests and shrublands from the lower to the upper mountain zones. An alcoholic tincture of the plant has a calming effect, promotes wound healing, and is effective against fungal infections. It also possesses strong bactericidal properties.

***Rosa canina* L.** Dog rose is a shrub reaching 1–3 m in height. In the study area, it occurs from lowlands up to the upper mountain belt. It grows on open slopes, in clearings, along forest edges, and in meadows. A decoction of the roots is considered an effective remedy for dissolving stones in the urinary and reproductive tract. Preparations made from the fruit pulp are used in the treatment of dermatitis, eczema, psoriasis, and other skin diseases.

***Physalis alkekengi* L.** is a perennial herbaceous plant. On the Nakerala and Khvamli Ridges, it is found in moist habitats up to the middle-mountain zone. Traditionally, the fresh leaf juice Chinese lantern plant has been used as an anthelmintic and thirst-quenching remedy. The fruits are recommended as a diuretic for kidney and urinary bladder stone diseases, and they are also used in the treatment of gout and articular rheumatism.

***Staphylea colchica* Stev.** is a low-growing tree or shrub and a rare relict species. In the study area, it is found as solitary individuals or in small colonies within sparse forests and rocky habitats. Oil extracted from its seeds is used as a remedy against chronic constipation.

***Tilia begoniifolia* Stev.** is a large tree reaching up to 40 m in height. It is found in forests and along forest edges in the study area, up to the middle-mountain zone. The flowers are used medicinally in the form of tea as a diaphoretic during colds. In folk medicine, linden flowers are known for their blood-purifying and

analgesic properties and are used in nervous disorders, including epilepsy, as well as for calming coughs and abdominal pain.

***Daphne mezereum* L.** is a shrub reaching 0.5–1 m in height. In the study area, it occurs in both deciduous and coniferous forests, typically in shaded habitats. It is used as an anti-suppurative agent and in the treatment of rheumatism, neuralgia, jaundice, and joint pain.

***Valeriana tiliifolia* Troitzky** is a perennial herbaceous plant. In the study area, it occurs on forest edges, meadows, and slopes, ranging from the forest belt to the lower alpine zone. Preparations of valerian are widely used in medicine as sedative agents for insomnia, nervous excitability, and cardiovascular system disorders.

***Lotus officinalis* (L.) Lam.** occurs in the study area in moist habitats up to the middle-mountain zone. Its leaves and flowers are used as analgesic and sedative remedies in cases of insomnia and heightened nervous excitation. In folk medicine, it is also used as an expectorant and in the treatment of respiratory tract inflammation, meteorism, and high blood pressure.

Conclusion: 30 species of medical plants were found in the study area. The dominant families are **Labiatae,** represented by three species, and **Compositae,** represented by five species. Twenty-one species are herbaceous, four are shrubs, and five are trees. Two species belong to ferns, one to gymnosperms, and twenty-seven to angiosperms. Only two species are endemic to the Caucasus: *Senecio rhombifolius* and *Valeriana tiliifolia*. The limestone ridge of Nakherala is separated into a separate botanical geographical area - under the name of Nakherala District. The conducted research is important for the study of the systematics, ecology, biodiversity, and ethnobotany of phytocenoses in Georgia. The topic is also relevant for determining and statistically documenting the species diversity of medicinal plants distributed in Western Georgia that are of medical importance. The collected material was processed in the Botany Laboratory of Akaki Tsereteli State University and is stored in the Herbarium Department of the same university.

ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები

Arts and Humanities

ენა და ენათმეცნიერება

ინსტრუმენტალისისა და ინესივის (INESS) ერთ ელემენტში სინკრეტიზმი ძველ ბერძნულ და კლასიკურ სირიულ ენებში და მათი ფუნქციური გადაფარვა ქართულში: ტიპოლოგიურ-შედარებითი ანალიზი

დავით იობიძე
davit.iobidze@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.03

*სტატიაში განხილულია ტიპოლოგიურ კვლევებში სინკრეტიზმის ერთ-ერთი საკითხი – **ინსტრუმენტალისისა** და **ინესივის** (inessive) ფუნქციური გადაკვეთა ერთ მორფოლოგიურ ერთეულში. კვლევა მოიცავს ქართული, ძველი ბერძნული და კლასიკური სირიული ენების მონაცემთა ტიპოლოგიურ ანალიზს; იგი ეფუძნება ტიპოლოგიურ და მორფოსემანტიკურ ანალიზს და აჩვენებს, რომ სირიული **-** **[be]** და ბერძნული **ἐν [en]** ერთ ფორმალურ ელემენტში სინკრეტულად აერთიანებენ ინსტრუმენტალისისა და ინესივის ფუნქციებს, ხოლო ქართულში ისინი ფორმალურად დიფერენცირებულია **-ში** თანდებულითა და **მოქმედებითი ბრუნვით**, თუმცა გარკვეულ კონტექსტებში მათ შორის მაინც ვლინდება სემანტიკური ურთიერთჩანაცვლება. განხილული ენების მონაცემთა შეპირისპირება ცხადყოფს ინსტრუმენტალისისა და ინესივის ფუნქციური გადაკვეთის ტიპოლოგიურ რეგულარობას, რომელიც სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებში (ქართული, ძველი ბერძნული, კლასიკური სირიული) სისტემურად რეალიზდება.*

საკვანძო სიტყვები: *ტიპოლოგია, სინკრეტიზმი, ინსტრუმენტალისი, ინესივი, ქართული, ძველი ბერძნული, კლასიკური სირიული ენები*

1. **შესავალი: 1.1. თეორიული ნაწილი.** ენობრივი მოვლენა, რომელიც ენათმეცნიერებაში სინკრეტიზმის სახელითაა ცნობილი, ერთ-ერთი ფართოდ განხილვადი საკითხია თანამედროვე ლინგვისტიკურ ტიპოლოგიაში. იგი ნათლად ასახავს გრამატიკული კატეგორიების სემანტიკურ ურთიერთდაკავშირებასა და ენობრივი სისტემების დინამიკურ ბუნებას. სხვადასხვა ენაში ფართოდ არის დადასტურებული შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე მორფოლოგიური ერთეული

(მორფემა ან ბრუნვითი ფორმა) ერთდროულად ასრულებს ორ ან მეტ გრამატიკულ თუ სემანტიკურ ფუნქციას.

დენის კრეისელი თავის ტიპოლოგიურ კვლევაში მრავალრიცხოვან მაგალითებს ასახელებს, მათ შორის ნაჩვენები აქვს ძველი ქართული ენის მონაცემებიც (Creissels 2008, 5, 8). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სინკრეტიზმი ყოველთვის არ მოიცავს მთელ ბრუნვით პარადიგმას, რიგ შემთხვევებში ფუნქციური გადაფარვა მხოლოდ კონკრეტულ მორფემას ან ფორმანტს ეხება. ასეთ ვითარებაში სინკრეტიზმი ვლინდება მორფემულ დონეზე – როდესაც ერთი და იგივე ელემენტი შეიძლება ერთდროულად მონაწილეობდეს როგორც მორფოლოგიური კოდირების ფორმალურ სტრუქტურაში, ისე ფუნქციურ-სემანტიკურ დონეზე. ბრუნვითი სინკრეტიზმი ხშირად ეფუძნება არა შემთხვევით დამთხვევას, არამედ მორფოსემანტიკური ეკონომიის პრინციპს, როდესაც ერთი ფორმალური ელემენტი იტვირთება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფუნქციით.

სპეციალურ ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული ინსტრუმენტალისის სინკრეტიზმი სხვა სივრცით ბრუნვებთან, მათ შორის: აბლატივ-ინსტრუმენტალური, ერგატივ-ინსტრუმენტალური და ლოკატიურ-ინსტრუმენტალური გადაფარვები (Baerman 2009; Creissels 2008).

კრეისელი აღწერს შემთხვევებს, როდესაც ერთი მორფემა ან ელემენტი რამდენიმე ფუნქციას აერთიანებს: ავარულ ენაში **<b>** ელემენტი ერთდროულად წარმოადგენს სქესისა და რიცხვის მარკერს და ამავე დროს მონაწილეობს სივრცითი ბრუნვის ფორმის აგებაში; კრიზულ ენაში ერგატივის სუფიქსი იდენტურია სივრცითი ბრუნვების იმ მეორე ფორმანტისა, რომელიც გამოსვლის/წყაროს მნიშვნელობას გამოხატავს. აქ ერთი და იგივე მორფემა ასრულებს როგორც სინტაქსურ (ერგატიულ), ისე სემანტიკურ-სივრცით (აბლატიურ) ფუნქციას; ბასკურ ენაში პარტიტივის მარკერი **-(r)ik** წარმოადგენს აბლატივის მარკერის **-tik** ერთ-ერთ სპეციალიზებულ ალომორფს. შესაბამისად, ერთი და იგივე მორფემული წარმოშობის ელემენტი გამოიყენება როგორც სივრცითი დაცილების, ისე ნაწილობითი (პარტიტიული) მნიშვნელობის გამოსახატად (Creissels 2008, 6, 11).

ალატიურ/ლოკატიური და ინსტრუმენტული ფუნქციების ერთ მორფემაში გაერთიანება დადასტურებულია სხვადასხვა ენაში. მაგალითად: ორია (ინდო-არიული) ენაში ინფლექსიური მორფემა **-re** ერთდროულად გამოხატავს ალატიურ/ლოკატიურ და ინსტრუმენტალურ მნიშვნელობებს; მალაგასიურ ენაში მორფემა **àmin'** სინკრეტულად აერთიანებს ინსტრუმენტალისის, კომიტატივისა და ინესივის ფუნქციებს.

ამმონაცემებზედაყრდნობითავტორებიასკვნიან,რომინსტრუმენტალური ტიპის ჩართულობა (⊇) ფართოდ დასტურდება ლოკატიური ფუნქციების კოდირებისას (Franco & Manzini 2017, 16).

ინესივისა და ინსტრუმენტალისის ფუნქციების ერთ ელემენტში გაერთიანება ეფუძნება **ნაწილისა და მთელის** სემანტიკურ ლოგიკას. ინსტრუმენტი კონცეპტუალურად აღიქმება როგორც მოქმედების შიგნით არსებული ან მასში ჩართული ელემენტი, ისევე როგორც ლოკატიური შიდა სივრცე წარმოადგენს მოვლენის სემანტიკურ ჩარჩოს (Franco & Manzini 2017). ამავე ავტორს განხილული აქვს ერგატივისა და ინსტრუმენტალისის სინკრეტიზმის შემთხვევები, კერძოდ, როდესაც მოქმედების აგენტი კონცეპტუალურად გაიგივებულია მოქმედების გამომწვევთან. ამ შემთხვევაში ერგატიული სუბიექტი და ინსტრუმენტალური გარემოება ერთი და იმავე ბრუნვის ნიშნით გამოიხატება. სემანტიკურად აგენტი არის მოქმედების შემსრულებელი (ერგატივი), ან მოქმედების გამომწვევი (ინსტრუმენტალისი) (მეორე შემთხვევაში კონსტრუქცია პასიურია). აი, ავტორის მიერ ნაჩვენები ნიმუშები:

(1) *Kumauni:*

tə	wi-**l**	jorɛ-**l**	svəʧɛ-**l**	mʊrə
then	he-erg	power-inst	stick-inst	beat.pst-ptcp.m.sg

'Then he beat (her) vehemently with a stick.'

(2) *Kului:*

mɑʃʈar-**ẽ**	hɔtʰ-**ẽ**	ʃohr-u	zuk-u
teacher-erg	hand-inst	boy-m.sg	beat.pst-ptcp-m.sg

'The teacher beat a boy with his hand.' (Franco & Manzini 2017, 29) ← (Stronski 2009, 247-248)

მსგავსი მოვლენაა დადასტურებული უდურში (უდიურში) – ერგატივი გადმოსცემს მოთხრობითი და მოქმედებითი (ინსტრუმენტალისის) ბრუნვების ფუნქციებს; კერძოდ, ნივთის კლასის

სახელებში ადგილი აქვს ერგატივისა და ინსტრუმენტალისის ფუნქციების სინკრეტიზმს ერთ მორფოლოგიურ ელემენტში – **-ინ** სუფიქსში. მაგალითად, შესიტყვებაში *ფ-**ინ** ატუკსა* (თვალმა/თვალით ხედავს), **-ინ** მოქმედებს ერგატივ-მოქმედებითის (ინსტრუმენტალისის) ფუნქციი*თ* (ფანჩვიძე 1974, 71; რუხაძე 2009, 47).[1]

ლიეტუვურ ენაში ინსტრუმენტალისი წინდებულებთან კომბინაციაში გამოიყენება ლოკაციის, დროის, მანერის, მიზეზისა და მიზნის მიმართებების გამოსახატად (Stasiūnaitė 2016, 191). სინკრეტიზმის კლასიკურ მაგალითად მიიჩნევა ინგლისური **with**, რომელიც აერთიანებს ინსტრუმენტალისისა და კომიტატივის ფუნქციებს. ტიპოლოგიურად იშვიათი, მაგრამ მნიშვნელოვანი შემთხვევებია ჩინურ დიალექტებსა და ალთაურ ენებში დაფიქსირებული მონაცემები, განსაკუთრებით განსუ–ცინხაის ლინგვისტურ არეალში (GQLA), სადაც ერთი ელემენტი, რომელიც მომდინარეობს რიცხვითი სახელიდან **ორი**, ასრულებს ინსტრუმენტალისისა და თანაობის მარკერის ფუნქციას (Zhou 2022, 349); ამავე ავტორს განხილული აქვს სინკრეტიზმის შემდეგი შემთხვევები: **მიცემითი და ბრალდებითი** (dative-accusative) ბრუნვების სინკრეტიზმი, რაც გამოიხატება მარკერით **-xa**; **ერგატივი და ინსტრუმენტალისი** (ergative-instrumental) ბრუნვების მარკერის იდენტურობა ამდო-ტიბეტურ ენაში; **კუთვნილებითი და თანაობითი** (possessive-comitative) ბრუნვების ფუნქციური ურთიერთკავშირი იმ მონღოლურ ენებში, რომლებიც ჩინეთის განსუ-ცინხაის რეგიონის გარეთაა გავრცელებული (Zhou 2022, 350-351, 364).

იუტო-აცტეკურ ენებში კომიტატივისა და ინსტრუმენტალისის სინკრეტიზმი აღწერილი აქვს ჰაუგენს. მაგალითად, პიპილი ენაში **-wan** სუფიქსი გამოიყენება როგორც კომიტატივის, ისე ინსტრუმენტალისის ფუნქციით, ხოლო ტიმბიშა შოშონეს ენაში **-ma:ten** იგივე ორმაგ ფუნქციას ასრულებს (Haugen 2008, 11, 21). ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამ ენებში ინსტრუმენტალი და კომიტატივი მჭიდროდ უკავშირდება პრედიკატული მფლობელობის კონცეფციას. განსაკუთრებით საყურადღებოა ჰიპოთეზა,

[1] საპირისპირო მოვლენაა დაფიქსირებული დიდოურ ენაში, კერძოდ, აქ ერგატივი და ინსტრუმენტალისი გონიერი (სულიერ) და უგონო (უსულო) არსებათა მიხედვით გამიჯნულია ერთმანეთისაგან: ერგატივი მხოლოდ გონიერ არსებათა ბრუნვად რეალიზდება, ხოლო ინსტრუმენტალისი გამოიყენება უგონო არსებათათვის, რომლებიც მოქმედების იარაღს გამოხატავენ. ამიტომაც არის, რომ ადამიანის აღმნიშვნელი სახელები ერგატივში დგანან და ინსტრუმენტალისი არ მოეპოვებათ (არდოტელი 2007, 51-52).

რომლის მიხედვითაც პროტო-იუტო-აცტეკური **ti** თავდაპირველად ლოკატიური მარკერი იყო, საიდანაც მოგვიანებით განვითარდა ინსტრუმენტალური და კომიტატიური ფუნქციები (Haugen 2008, 14-15). იუტო-აცტეკური ენების ფარგლებში ინსტრუმენტალისის მარკერის წარმოშობის საკითხს განიხილავს აგრეთვე ალვარეს გონსალესი, რომელიც კაჰიტური ენების (იაკი, მაიო და ტეჰუეკო) მასალაზე აჩვენებს, რომ ეს ენობრივი ფორმები კუთვნილებითი სახელური ფრაზებიდან წარმოიქმნა. ავტორს დიაქრონიული პერსპექტივიდან აქვს განხილული ინსტრუმენტალისის, კაუზატივისა და ნომინალიზატორის ფუნქციური გადაფარვა (სინკრეტიზმი) (Álvarez González 2023, 3, 10).

ინესივისა და ინსტრუმენტალისის ფუნქციური გადაკვეთის შემთხვევა დაფიქსირებულია იუკატეკური მაია ენაში, კერძოდ, ლოკატიური წინდებული **ti'** გამოიყენებოდა ინსტრუმენტალისის ფუნქციითაც (Lehmann & Shin 2005, 97).

სხვადასხვა ენების მასალა აჩვენებს, რომ ინსტრუმენტალისი და ინესივი არა ურთიერთგამომრიცხავი, არამედ კონცეპტუალურად თანხვედრი კატეგორიებია, რაც ქმნის მათი სინკრეტიზმის ტიპოლოგიურ წინაპირობას. მიცემითისა (dative) და ინსტრუმენტალისის სინკრეტიზმი, ისევე როგორც ინსტრუმენტალისისა და ინესივის ფუნქციური გადაკვეთა, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ბრუნვები ეფუძნება საერთო სემანტიკურ ბირთვს, რომელიც ფოკუსირებულია პროცესის შიდა მონაწილეებზე და მათ ურთიერთკავშირზე. ამ ტიპოლოგიური ფონზე, ინსტრუმენტალისისა და ინესივის ერთ ელემენტში სინკრეტიზმი შეიძლება შეფასდეს როგორც ბუნებრივი შედეგი კონცეპტუალური და მორფოსემანტიკური ევოლუციისა.

1.2. **საკვლევი ენების ზოგიერთი ტიპოლოგიური მონაცემი.** ურთიერთგანსხვავებული სტრუქტურული ნიშნების გათვალისწინებით ქართული, ბერძული და სირიული ენები[2] სხვადასხვა ტიპოლოგიურ

[2] განსახილველ ენებს აღვნიშნავთ პირობითი ნიშნებით: **K** – ქართული; **B** – ძველი ბერძნული (შემდეგში – ბერძნული); **C** – კლასიკური სირიული (შემდეგში – სირიული). აქვე დავაზუსტებთ განსახილველ ენებთან დაკავშირებულ ტერმინებს: **ქართული ენა (K)** – მხედველობაში გვაქვს ქართული ენის თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობის ენობრივი მონაცემები, რომელიც მოიცავს პერიოდს: V სკ. ქრისტეს შემდგომ – დღემდე; **ძველბერძნული ენა (B)** – მოიცავს ბერძნული ენის განვითარების საკმაოდ დიდ მონაკვეთს: XV სკ. ქრისტემდე – IV სკ. ქრისტეს შემდგომ; **კლასიკური სირიული ენა (C)** – არამეული ენის ედესური დიალექტის (აღმოსავლეთარამეული)

კლასებში თავსდებიან. მიუხედავად ამისა, მათ შორის შეინიშნება გარკვეული ტიპოლოგიური პარალელები. აქვე დავასახელებთ რამდენიმე ენობრივ პარალელს, რომლებიც დასახელებულ სამ ენაში წარმოებული ლინგვისტური ძიებების შედეგად გამოვლინდა:

- K, B და C-ში მოქმედებს განსაზღვრულობის კატეგორია. სახელი განსაზღვრულია ემფატიკური ელემენტით (K – **-ა**; B – **ὁ**, **ἡ**, **τό**; C – 𐎍 [**a**]);[3]
- B-ში **ინესივის** ფუნქციის **ἐν** წინდებულს შეუძლია გადმოსცეს **ინსტრუმენტალისიც**. C-ში **-ა** წინდებულს შეუძლია გადმოსცეს **ინესივიც** და **ინსტრუმენტალისიც**. K-ში **ἐν** და **-ა**-ს აღნიშნული ფუნქციები გადმოიცემა ფორმალურად დიფერენცირებული მასალით, თუმცა იდენტურია ფუნქცია და სემანტიკა;
- K-ს **-ზე** თანდებულს C-ს 𐎊 [**al**] წინდებულთან საერთო აქვს **საზედაო** და **მიმართებითი** ფუნქციები. K-ს **-ზე** თანდებულს B-ს **ἐπί** წინდებულთან საერთო აქვს **საზედაო** და **დროის** აღნიშვნის ფუნქციები;
- K-ში და C-ში მოქმედებს ერთმანეთის ეკვივალენტური ელემენტები (K – **მიერ**; C – 𐎃 [**men**]), რომლებიც ახდენენ ფორმალურად გაუდიფერენცირებელი პასივის ფორმების სემანტიკურ დიფერენცირებას; K-ს **მიერ** და B-ს **ὑπό** ელემენტები ყოველთვის მოქმედებენ **genetivus auctoris**-ის კონსტრუქციაში;
- K-ში **-დ** ელემენტი ისტორიულად ნივთის კლასის გამომხატველი იყო (ჩიქობავა 2017, 99, 102). ნივთის კლასში გაერთიანებულ სიმრავლეთათვის დამახასიათებელი გვარეობითი თვისებიდან გამომდინარე, **-დ** ფორმანტიანი სახელი ყოველთვის გამოხატავს: მოქმედების რაგვარობას, მოქმედების შედეგს, პასიურია, მოქმედების ქვეშაა, **მოქმედების ობიექტია**. იგივე **-დ** ელემენტი გამოხატავს **მიმართულებას** (ძველ ქართულში). C-ში 𐎊 [**l**] ელემენტი ყოველთვის აღნიშნავს **მოქმედების ობიექტს** (პირდაპირი/ირიბი) და, ასევე, მიუთითებს **მიმართულებას** (Акопян 2010, 60);
- K, B და C-ში დროის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე ზმნურ ფორმებში აღინიშნებოდა მოქმედების სახე, რომელიც სამივე ენაში იყო ორი:

საფუძველზე ჩამოყალიბებული **კლასიკური სირული**, რომელიც მოიცავს პერიოდს: II სკ. ქრისტეს შემდგომ – XIII სკ.

[3] საკითხი განხილულია სტატიაში: „განსაზღვრულობის კატეგორია: ქართული -ა, სირიული 𐎍 და ბერძნული ὁ, ἡ, τό ემფატიკური ელემენტები (ტიპოლოგიური კვლევა)“, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“ მასალები, ქუთაისი, 2025. წაკითხულია მოხსენებად 2023 წელს.

განგრძობითი (დიურატიული) და მომენტობრივი (წერტილებრივი). K-ში ორი უძველესი ზმნური ყალიბიდან ერთ-ერთია **ნამყო ძირითადი** (Aorist) (ჩიქობავა 1943, 92; ჩიქობავა 1948, 77); C-შიც ორი უძველესი ზმნური ყალიბიდან ერთ-ერთია **Aorist**. ამიტომაც არის, რომ სირიულში ამოსავალი, სალექსიკონო ერთეული არის წარსული დროის ფორმა მხოლობითი რიცხვის მამრობითი სქესის მესამე პირისა (Акопян 2010, 71);

- K-ში კნინობით-ალერსობითი სახელის ერთ-ერთი მაწარმოებელია **-უნა** (= **-უნ-ა**) ელემენტი: კაც-ი – კაც-**უნა**. C-შიც კნინობით-ალერსობითი სახელის მაწარმოებელია მასალებრივად იდენტური **ܘܢܐ [una]** ელემენტი: – ܓܒܪ ܓܒܪܘܢܐ [gabhra – gabhr-**una**] კაცი – კაც-**უნა**;
- K-ში აქტივის მიმღეობებს აწარმოებს **მ-** პრეფიქსი (-ელ, -ალ, -არ... სუფიქსებთან ერთად): **მ**-ქადაგებელი. C-ში ერთი ჯგუფის აქტივის მიმღეობებს აწარმოებს მასალებრივად იდენტური **-ܡ** [m-] პრეფიქსი: ܐܠܒܫ – ܡܫܒܚܐ [albesh – **m**-alb^{e}sha] **ქადაგება** – **მ-ქადაგი** (**მ**-ქადაგებელი). საყურადღებო მორფოლოგიურ-სემანტიკური შეხვედრაა: ܬܪܓܡܢܐ – ܡܬܪܓܡܢܐ [targem – m^{e}-targ^{e}mana] **თარგმნა** – **მ-თარგმნელი**. ფორმა ܡܬܪܓܡܢܐ [m^{e}targ^{e}mana] ასე დაიშლება: აქტივის მიმღეობის მაწარმოებელი ܡ პრეფიქსი + ძირი ܬܪܓ + აქტივის მიმღეობის მასუბსტანტივებელი ܢܐ სუფიქსი. ქართულის საწყისში **თარგმნა** არსებული **ნ** თანხმოვანი აჩვენებს, რომ ეს ლექსიკური ერთეული ქართულში შემოვიდა უკვე გაარსებითებული ფორმით;
- K და C-ში II პირის ბრძანებითი გადმოცემულია წყვეტილის ყალიბით.

დასახელებული ენობრივი მოვლენების დეტალური ანალიზი სტატიების სახით გამოქვეყნდება მომდევნო გამოცემებში. წინამდებარე სტატიაში განხილულია ინსტრუმენტალისისა და ინესივის სინკრეტიზმი ბერძნულ და სირიულ ენებში და მათი ფუნქციური გადაფარვა ქართულში.

2. კვლევის შედეგები და ანალიზი. სირიულ ენაში წინდებული **-ܒ** პოლიფუნქციურია და ერთდროულად ასრულებს როგორც ლოკალურ, ისე ინსტრუმენტალისის ფუნქციას (Акопян 2010, 49). იგი გამოიყენება **ინესივის** სემანტიკის გამოსახატად და, ასევე, **მოქმედების საშუალების ან იარაღის** აღსანიშნად. მაგალითად:

(3a) ܒܥܕܬܐ
b^{e}-ʿedhta
PREP.INESS-church

‘ეკლესიაში’

(3b) ܒܒܝܬܐ

bᵉ-bhayta

PREP.INESS-house

‘სახლში’

(3c) ܒܗܢܐ ܒܒܝܬܐ

bᵉ-hana bhayta

PREP.INESS-DEM.M.SG house

‘ამ სახლში’

(3d) ܒܡܕܝܬܐ

ba-mᵉdhitta

PREP.INESS-city

‘ქალაქში’

(3e) ܒܡܕܝܬܐ ܗܕܐ ܐܝܬ ܐܦ ܥܕܬܐ ܕܪܒܐ ܒܬܐ

ba-mᵉdhitta hadhe ith aph ‘eddatha rawrᵉbhatha

PREP.INESS-city DEM.F.SG EXST also church.PL big.PL

‘ამ ქალაქში ასევე არის დიდი ეკლესიები.’

(3f) ܒܟܬܒܐ ܣܓܝܐ ܫܦܝܪܐ ܗܢܐ ܐܝܬ ܕܒܒܗܬܐ ܪܘܚܢܐ ܣܘܪܝܝܐ ܓܓܪܬܐ ܐܪܝܟܬܐ

ba-khᵉthabha saggi shappira hana it

PREP.INESS-book very beautiful DEM.M.SG EXST

‘ggᵉratha arrikhatha Dhabbahatha ruḥane suryaye

letter.PL long.PL REL.father.PL spiritual.PL Syrian.PL

‘ამ ძალიან ლამაზ წიგნში არის სირიელი სულიერი მამების გრძელი წერილები.’

ნაჩვენებ თითოეულ ფორმასა თუ კონსტრუქციაში წინდებული **-ბ** ასრულებს ინესივის ფუნქციას, რაც ნათლად ჩანს მის ქართულ შესატყვისებში. სხვა კონსტრუქციებში **-ბ** წინდებულს შესაძლოა განსხვავებული ფუნქცია დაეკისროს, მაგრამ აქ ნაჩვენებ ნიმუშებში ინესივი **-ბ** წინდებულის აბსოლუტური ფუნქციაა და მისი ჩანაცვლება სხვა ფუნქციით

სემანტიკას აზარალებს. ასეთ ნიმუშებში **ინსტრუმენტალისი** ფუნქციურად ვერ ჩაენაცვლება **ინესივს**.

-ა წინდებულის მეორე ფუნქციაა **ინსტრუმენტალისი** (Акопян 2010, 49). სახელი, რომელსაც **-ა** წინდებული მიერთვის, გამოხატავს მოქმედების საშუალებას, ან, ზოგადად, შესაძლებლობას, რომლითაც, რაღაც შედეგი გამომდინარეობს. მაგალითად:

(4a) ܐܢܐ ܟܬܒܬ ܒܩܢܝܐ

ena	khathebh	na	bᵉ-ḳanya
1SG	write.PTCP.M.SG	1SG	PREP.INSTR-pen

‘მე ვწერ კალმით.’

(4b) ܒܗܠܝܢ ܬܠܡܝܕܐ

bᵉ-halen	talmidhe
PREP.INSTR-DEM.PL	disciple.PL

‘ამ მოწაფეებით’

ამ და მსგავს შემთხვევებში, **-ა** წინდებულის **ინსტრუმენტალისი** მისი აბსოლუტური ფუნქციაა და მისი ჩანაცვლება, სემანტიკის დარღვევის გარეშე, შეუძლებელია.

სირიული **-ა** ელემენტის ბერძნული ეკვივალენტია **ἐν** წინდებული, რომელსაც იგივე ფუნქციები უდასტურდება, რაც აქვს სირიულ **-ა** ელემენტს (Дворецкий 1958, 530). **ἐν** წინდებული ყოველთვის იხმარება დატივში დასმული სახელის წინ და შეუძლია გამოხატოს როგორც **ინესივი**, ისე **ინსტრუმენტალისი**. მაგალითად:

(5a) καὶ σὺ Βηθλεέμ, γῆ Ἰούδα, οὐδαμῶς ἐλαχίστη εἶ ἐν τοῖς ἡγεμόσιν Ἰούδα (Ματθ. 2,6)

kaí	sý	Vithleém,	gí	Ioúda,	oudamós
and	2SG	Bethlehem	land	Judah.GEN	NEG.at.all
elachísti	eí	en		toís	igemósin
small.SUP.F.SG	be.2SG	PREP.INESS		ART.DAT.PL	ruler.DAT.PL
Ioúda					
Judah.GEN					

‘და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა.’ (HIK)[4]

(5b) καθῆσθαι ἐν τῇ θαλάσσῃ (მრკ. 4,1)

kathísthai	en	tí	thalássi
sit.INF.MID	PREP.INESS	ART.DAT.F.SG	sea.DAT.F.SN

‘და დაჯდა იგი ნავსა მას ზღუასა შინა.’ (HIK)[5]

(5c) λέγω ὑμῖν ὅτι οὕτω χαρὰ ἔσται ἐν τῷ οὐρανῷ ἐπὶ ἁμαρτωλῷ μετανοοῦντι (Λουκ. 15,7)

légo	ymín	óti	oúto	chará	éstai
say.PRS.1SG	2PL.DAT	CONJ	thus	joy.NOM.F.SG	be.FUT.3SG
en	tó		ouranó	epí	
PREP.INESS	ART.DAT.M.SG		heaven.DAT.M.SG	PRE	
amartoló	metanooúnti				
sinner.DAT.M.SG	repent.PTCP.PRS.DAT.M.SG				

‘გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს.’ (HIK)

დამოწმებულ ნიმუშებში **ἐν** წინდებულის ინესივის ფუნქციას ვერ ჩავანაცვლებთ ინსტრუმენტალისით. მაგალითად, სათქმელის სემანტიკა გაუმართავი იქნება ასეთი ინტერპრეტაციით: ‘არაფრით ხართ უმცირესი იუდას **მთავრებით**’; ან, კიდევ: ‘ნავში ჩაჯდა და **ზღვით** შევიდა.’

საინტერესოა, რომ გარკვეულ კონტექსტში **ინესივისა** და **ინსტრუმენტალისის** ფუნქციები იმდენად გადაჯაჭვულია, რომ შესაძლებელია ორივე სემანტიკური წაკითხვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ შორის არსებულ მჭიდრო კონცეპტუალურ კავშირს. გარკვეულ კონსტრუქციაში ბერძნული **ἐν**, როგორც სირიული **-ܒ**, მოქმედებს **ინსტრუმენტალისის** ფუნქციითაც:

(6a) καὶ αὐτὸς προελεύσεται ἐνώπιον αὐτοῦ ἐν πνεύματι καὶ δυνάμει Ἠλιού (Λουκ. 1,17)

[4] აქ და შემდეგშიც ქართული თარგმანი დამოწმებულია წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ოთხთავის ტექსტიდან (იმნაიშვილი 1979).

[5] ქართული თარგმანი ზედმიწევნით ვერ ასახავს ორიგინალ ტექსტს, თუმცა **ἐν** წინდებულთან და მის ქართულ ეკვივალენტთან **შინა** მიმართებით, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

kaí	aftós	proeléfsetai	enópion	aftoú
and	he.NOM	PRE.go.FUT.3SG	before	he.GEN
en	pnévmati	kaí	dynámei	Ilioú
PREP.INSTR	spirit.DAT	and	power.DAT	Elijah.GEN

‘და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისსა სულითა და ძალითა ელიაჲსითა.’ (HIK)

(6b) ὅσα ἂν αἰτήσητε τὸν πατέρα ἐν τῷ ὀνόματί μου… (Ἰωάν. 16,23)

ósa	án	aitísite	tón	patéra
what.PL	REL	ask.AOR.2PL	ART.ACC	father.ACC
en	tó	onómatí	mou…	
PREP.INSTR	ART.DAT	name.DAT	my.GEN	

‘რაოდენიცა-რაჲ სთხოოთ მამასა სახელითა ჩემითა…’ (HIK)

ბოლო ორ და მათ მსგავს გარემოებით კონსტრუქციებში, ნორმის მიხედვით, აუცილებელია ხაზგასმული ფორმები ქართულში გადმოვიდეს ინსტრუმენტალისით, ანუ მოქმედებითი ბრუნვის ფორმით. რა თქმა უნდა, ხელოვნურად შესაძლებელია ასეთი ფორმებიც: ‘ელიას სულში და ძალაში’; ‘ჩემს სახელში’; თუმცა ზემოთ დამოწმებული ფორმები სემანტიკურად უფრო გამჭვირვალე და ბუნებრივია. რაც შეეხება ორიგინალ ბერძნულ ტექსტს, მასში გამოყენებული **ἐν** წინდებულის **ინსტრუმენტალისის** ფუნქცია, ზოგადად, თანაბარუფლებიანია ამავე წინდებულის **ინესივის** ფუნქციასთან, ხოლო ამ კონკრეტულ კონსტრუქციებში, ტექსტის სემანტიკიდან გამომდინარე, უპირატესობა **ინსტრუმენტალისს** ენიჭება.

განხილულ ენობრივ ფაქტებში გამოვლინდა **კაზუალურ-სემანტიკურ სინკრეტიზმი**: სირიულ -ܒ და ბერძნული **ἐν** წინდებულები ფორმალური ერთგვაროვნების პირობებში ფუნქციურად გამოხატავენ ორ სემანტიკურ მნიშვნელობას – **ინესივს** და **ინსტრუმენტალისს**, მოქმედებენ ეკვივალენტური კაზუალურ-სემანტიკური ფუნქციებით.

განხილული სირიულ-ბერძნული ტექსტების ქართულმა შესატყვისებმა აჩვენა, რომ დასახელებული წინდებულების **ინესივი** და **ინსტრუმენტალისი** სემანტიკურად ასახულია ქართულ ენაშიც, თუმცა ფორმალურად აქ არ გვაქვს ორი სემანტიკურად ეკვივალენტური ფორმანტი, როგორც ეს არის ბერძნულსა და სირიულში; კერძოდ, სირიულსა და ბერძნულში ეს ორი ფუნქცია **ერთ ფორმალურ ელემენტშია** გაერთიანებული. სირიული -ܒ და ბერძნული **ἐν** წინდებულები პოლიფუნქციურია და კონტექსტის მიხედვით

გამოხატავენ როგორც ინესივს, ისე ინსტრუმენტალისს. ამის საპირისპიროდ, ქართულში ეს სემანტიკური ოპოზიცია **მკაცრად არის დიფერენცირებული**: ინესივი გადმოიცემა **-ში თანდებულით**, ხოლო ინსტრუმენტალისი – **მოქმედებითი ბრუნვის ფორმით**.

განსახილველ წინდებულებთან მიმართებით, სირიულსა და ბერძნულში ფორმალური ერთგავროვნების ფონზე გვაქვს ფუნქციური სახეობები (**ინესივი** და **ინსტრუმენტალისი**), ქართულში არ მოქმედებს ფორმალური ერთგვაროვნების პრინციპი, რომელიც დამახასიათებელია ბერძნული და სირიული ფორმანტებისათვის. თუ ბერძნულსა და სირიულში გვაქვს ერთი ფორმა და ორი ფუნქცია, ქართულში თითოეული ფუნქციისთვის (ინესივი / ინსტრუმენტალისი) **ცალკეული მორფოლოგიური საშუალებაა** რეალიზებული.

მიუხედავად ფორმალური განსხვავებისა, ქართულშიც არსებობს შემთხვევები, როდესაც ინესივისა და ინსტრუმენტალისის ფორმები ურთიერთჩანაცვლებადია სემანტიკის დარღვევის გარეშე (მაგალითად: ‘მზეში ვთბები’ და ‘მზით ვთბები’). ეს მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად ფორმალური სხვაობისა, ქართული ენა სემანტიკურ დონეზე მაინც იზიარებს ბერძნული და სირიული ენების ფსიქოლინგვისტურ ტენდენციას. სინკრეტიზმის ერთ-ერთი საფუძველია მორფოსემანტიკური ეკონომიის პრინციპი: იმის ნაცვლად, რომ ენამ ყოველი სემანტიკური ნიუანსისთვის ცალკეული მორფემა შექმნას, იგი იყენებს ერთ ელემენტს იმ ფუნქციების გამოსახატად, რომლებსაც **საერთო სემანტიკური ბირთვი** აქვთ. სწორედ ეს პრინციპი მოქმედებს ბერძნულ და სირიულ ენებში.

From the Canon for the Forty Martyrs (Lenten Triodion, Ode 1): "Πάγον ὑπέμειναν... τραύματα... αἵμασιν ἐρραντίσθησαν... καὶ τὸ τέλος ἐν πυρὶ παρέδοσαν τὰ σώματα" (They endured the frost... wounds... were sprinkled with blood... and at last delivered their bodies to the fire). The Georgian version consolidates for symmetry.

Analysis: Cohesion emerges from preverb da- repetition across verbs and masdars (და-ითმინ-ეს, და-თხევ-ად, და-მუსრ-ვ-ად), creating a high density of formal ties that unify the sequence of torments (Jakobson 1987). The third-person plural aorist -ეს (-es) in და-ითმინ-ეს and მი-ს-ც-ნ-ეს bookends the passage, while masdar -ად (-a-y) adds nominal cohesion. Syntactically, the clauses build isocolons through enumeration, corresponding to melodic periods. Compared to Greek, where cohesion uses conjunctive chaining (καὶ... καὶ).

The four examples analyzed from the Lenten cycle of the New Iadgari demonstrate that morphosyntactic parallelism serves as a primary and highly effective cohesion strategy in Georgian hymnographic translations. Across diverse syntactic contexts – divine acts (Example 1), escalating victories (Example 2), passive martyrdom sequences (Example 3), and layered endurance narratives (Example 4) – recurrent grammatical patterns emerge: aorist tamplete repetition (-a, -en-it, -es), preverb series (da-, gan-, i), root consistency, and instrument/masdar parallelism. These devices create syntactic isocolons and "grammatical rhyme" (homoeoteleuton), binding clauses into symmetrical units that ensure textual unity and performative rhythm.

Morphosyntactic parallelism fulfills this role by projecting equivalence onto the syntactic axis (Jakobson 1987). Rather than depending on syllable count, cohesion is achieved through grammatical recurrence: the aorist -a suffix in Example 1 creates rhythmic anchors across divine predicates; the passive plural -en-i-t in Example 3 binds collective suffering into a unified sequence; preverb da- repetition in Example 4 unifies a chain of torments. These patterns transform grammatical categories into carriers of rhythm and structure, compensating for the absence of quantitative meter. Flexible word order in Old Georgian further enables clause-final verb placement, maximizing acoustic symmetry without semantic compromise.

Theoretically, these findings align with Jakobson's principle of equivalence (1987) and Halliday & Hasan's cohesion model (1976). Grammatical ties – particularly repetition and conjunction – function as "textual glue," while pervasive

parallelism elevates morphological markers to autonomous poetic value. In a liturgical context, this ensures mnemonic stability and collective performability, transforming imported models into culturally resonant expressions of Georgian sacred order.

Limitations of the study include the restricted corpus (four examples from the Lenten cycle) and the ongoing difficulty of identifying exact Greek Vorlagen due to medieval redactional heterogeneity. Future research could expand to other cycles (e.g., Easter or saints' feasts), incorporate musicological analysis of heirmos melodies, or quantitatively map cohesive device frequency across manuscripts. Nevertheless, the present analysis confirms that morphosyntactic parallelism is not merely a stylistic feature but a fundamental adaptive that enabled Georgian hymnography to thrive as an independent tradition.

Table 1: Syllable Variation, Main Cohesive Devices, Isocolon Types, and Compensatory Effects Across the Examples

Example	Syllable variation (vs irmos)	Main cohesive device	Type of isocolon	Compensatory effect
Example 1 Tripartite Aorist Sequence (აღმომა-დინებელი... იჴსნა)	Georgian: 18–20 / 14–16 / 12–14 Greek model: 8–12 per verse (№3)	Aorist suffix -a repetition + root consistency (ჴსნ/ხსნ)	Syntactic (verb-final clauses of similar length)	Replaces strict syllabic balance with grammatical rhyme and rhythmic anchors for melodic alignment
Example 2 Escalating Divine Victories (შემუსრა... დაჰჴსნა)	Georgian: ~20 / ~16 / ~12 Greek model: 8–12 per verse (№17)	Preverb da-/gan- series + aorist -a suffix	Syntactic (predicate + complement parallelism)	Creates escalation through morphological repetition, compensating for uneven syllables with verbal symmetry

Example 3 Passive Martyrdom Sequence (კუერთხითა... განიკაფენით)	Georgian: ~14–16 per clause (3 parallel units) Greek model: 10–12 (Forty Martyrs canon)	Passive plural suffix -en-it repetition	Morphological + syntactic (Instrument + Passive Verb template)	Denser repetition in agglutinative system binds collective suffering, replacing Greek polyptoton for metrical absence
Example 4 Layered Martyr Endurance (მყინვა-რისაგან... ცეცხლსა)	Georgian: 12–18 across enumeration Greek model: 10–14 (Canon, Ode 1)	Preverb da- series + mixed finite/ masdar forms (-ეს, -ად)	Syntactic (enumerative clauses + bookend aorist)	High-density formal ties unify torment sequence, compensating for prosodic variation with agglutinative cohesion

Georgian's agglutinative inventory allows intricate patterns without phonetic variety, compensating for prosodic differences and ensuring memorability in liturgical performance. This "textual glue" reinforces the martyrs' collective "sacred order."

In summary, these examples demonstrate how morphosyntactic parallelism serves as a compensatory cohesion strategy in the New Iadgari's Lenten hymns, adapting Greek models to Georgian linguistic realities for structural and rhythmic unity.

The present study has shown that morphosyntactic parallelism functions as the primary cohesion strategy in the Lenten hymns of the New Iadgari. There is good reason to believe that, within the Georgian translation tradition, a distinct principle was developed to address the challenges of rendering Greek hymnography.

These devices created "grammatical rhyme" and rhythmic anchors that compensated for the lack of classical metrical structures, ensuring textual stability, performative coherence, and liturgical effectiveness.

Three principal conclusions can be drawn. First, the Georgian versions of these hymns cannot be regarded as derivative translations but constitute autonomous linguistic realities shaped by creative adaptation. Second, the systematic use of morphological and syntactic parallelism transformed potential prosodic fragmentation into a unified "sacred order," where grammatical equivalence replaced syllabic equivalence. Third, this adaptive strategy not only

preserved theological content but also enabled the hymns to integrate seamlessly with Georgian polyphonic chanting traditions, demonstrating a remarkable synthesis of linguistic creativity and liturgical functionality.

By prioritizing agglutinative symmetry and grammatical recurrence over literal reproduction, Georgian hymnographers succeeded in producing a self-sufficient poetic discourse capable of sustaining spiritual resonance across centuries. The findings confirm that morphosyntactic parallelism was not a mere stylistic ornament but a fundamental compensatory mechanism that allowed the Jerusalem liturgical heritage to flourish in its Georgian form.

Future research should extend this analysis to other liturgical cycles, incorporate detailed musicological reconstruction of heirmos melodies, and conduct quantitative corpus studies across a wider range of manuscripts.

References

Comrie, B., Haspelmath, M., & Bickel, B. 2015. *Leipzig Glossing Rules: Conventions for interlinear morpheme-by-morpheme glosses*. Max Planck Institute for Evolutionary Anthropology.

Halliday, M. A. K., & Hasan, R. 1976. *Cohesion in English*. Longman.

Jakobson, R. 1987. *Linguistics and poetics.* In K. Pomorska & S. Rudy (Eds.), Language in literature (pp. 62–94). Harvard University Press. (Original work published 1960).

Metreveli, E., Chankievi, Ts., & Khevsuriani, L. 1980. Udzvelesi iadgari [The Ancient Iadgari]. Metsniereba.

Mother Mary, & Ware, K. (Trans.). 1978. *The Lenten Triodion. Faber and Faber.* (Original Greek text: *The Service Books of the Orthodox Church).*

Nikiforova, A. 2025. The Panegyri of Archangel Michael in Sinai and Egypt: A reconstruction attempt of the 9th-century Greek Melkite rite. Theologia Christiana Academica, 61–82.

Sulava, N. *(2006). Kartuli himnografia: traditsia da poetik'a [Georgian hymnography: Tradition and poetics].* Tbilisi.

ენა და ენათმეცნიერება

მორფოსინტაქსური პარალელიზმი, როგორც კოჰეზიის სტრატეგია ახალი იადგარის საგალობლებში

თამაზ დევიძე
tamaz.devidze@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.04

ახალი იადგარი შუა საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფიის მნიშვნელოვანი კრებულია, რომელშიც შემონახულია ძველი იერუსალიმური ლიტურგიული ტრადიციის მდიდარი რეპერტუარი. ბერძნულ სილაბურ-ტონალურ მეტრსა და ქართულ პროსოდიას შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავებების გამო, მელოდიურ-რიტმული სტრუქტურების ზუსტი ანალოგის შექმნა შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს კვლევა ცდილობს აჩვენოს, რომ ქართულ თარგმანებში კოჰეზია, უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა შინაგანი მორფოსინტაქსური პარალელიზმის გზით. იაკობსონის ეკვივალენტობის პრინციპზე (1987) და ჰალიდეი-ჰასანის კოჰეზიის თეორიაზე (1976) დაყრდნობით, დიდმარხვის ციკლის საგალობლების ანალიზი აჩვენებს, რომ ამგვარი პარალელიზმით იქმნება სინტაქსური იზოკოლონები და „გრამატიკული რითმა“. ქართული ვერსიების ავტონომიურ ენობრივ რეალობად განხილვით, ნაშრომი ხაზს უსვამს მორფოსინტაქსურ პარალელიზმს, როგორც ძირითად კომპენსატორულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ტექსტის მთლიანობას ლიტურგიკულ კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: *ახალი იადგარი, მორფოსინტაქსური პარალელიზმი, კოჰეზია, სინტაქსური იზოკოლონი, გრამატიკული რითმი, ჰიმნოგრაფია, დიდმარხვის ციკლი*

ახალი იადგარი ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი წყარია, რომელიც ასახავს იერუსალიმის ლიტურგიული ტრადიციის (ტროპოლოგიონის) მდიდარ რეპერტუარს. კრებულის ჩამოყალიბება გრძელდებოდა X საუკუნემდე (Metreveli et al., 1980). ახალი კრებული შეიცავს როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ქართულ ჰიმნოგრაფიულ ნიმუშებს.

ბერძნულ და ქართულ პროსოდიებს შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავებები – ბერძნული სილაბურ-ტონალური

მეტრი და ქართული ხაზგასმითი აგლუტინაციური პროსოდია – გამორიცხავდა მელოდიურ-რიტმული სტრუქტურების პირდაპირ და მექანიკურ გადატანას (Sulava, 2006). პარალელურად ამისა, ქართულ თარგმანებში დასტურდება შინაგანი მორფოსინტაქსური პარალელიზმი, რაც, ვფიქრობთ, არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ წარმოადგენს ქართული ენის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლინებას, რომელიც ერთგვარად ანაზღაურებს ძველბერძნული სილაბურ-ტონალური მეტრის არარსებობას და ქმნის ავტონომიურ, შინაგანად ორგანიზებულ ლიტურგიულ დისკურსს.

კვლევა ეყრდნობა ორ ძირითად თეორიულ ჩარჩოს: რ. იაკობსონის პოეტური ეკვივალენტობის პრინციპს (1987) და მ. ჰალიდეისა და რ. ჰასანის ტექსტური კოჰეზიის თეორიას (1976). იაკობსონის მიხედვით, პოეტურ ტექსტში მსგავსებები ვლინდება არა მხოლოდ ფონოლოგიურ ან ლექსიკურ, არამედ მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზეც, რაც ქმნის განმეორებადობისა და კონტრასტის სისტემას. ჰიმნოგრაფიაში, სადაც ტექსტი უნდა ემთხვეოდეს მუსიკალურ პერიოდებს და ემსახურებოდეს შესრულებით მიზნებს, ასეთი პარალელიზმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ჰალიდეი და ჰასანი (1976) გვთავაზობენ კოჰეზიის ფუნქციურ მოდელს, რომელიც გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების (რეფერენცია, სუბსტიტუცია, ელიფსისი, კავშირი და ლექსიკური კოჰეზია) გამოყენებით ქმნის ტექსტის ერთიან სტრუქტურას – ე.წ. „ქსოვილს“.

მეთოდოლოგიურად კვლევა ეფუძნება ხაზთაშორის მორფოლოგიურ გლოსირებას ლაიფციგის წესების მიხედვით (Comrie, Haspelmath & Bickel, 2015). ემპირიული მასალა აღებულია სინის ციფრულ ხელნაწერებზე (Sin. Geo. 1, Sin. Geo. 14, Sin. Geo. 26), რომლებიც ახალი იადგარის X საუკუნის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ. ანალიზი ფოკუსირებულია დიდმარხვის ციკლის საგალობლებზე, სადაც განსაკუთრებით მდიდარია განმეორებადი მორფოლოგიური ნიმუშები.

კვლევაში განხილულია ოთხი მაგალითი. პირველ მაგალითში („აღმომადინებელი ყოველთა ცხორებისა...“) ნაჩვენებია წყვეტილის ყალიბის განმეორება, როგორც შინაგანი რიტმის შექმნის ხერხი. მეორე მაგალითში („შემუსრა საწერტელი მაცთურისა...“) რიტმული ექსპრესია იქმნება ზმნისწინების საშუალებით. მესამე მაგალითში („კუერთხითა გუემულ იქმნენით...“) ნაჩვენებია სინტაქსური იზოკლონების როლი კოჰეზიის შექმნაში. მეოთხე მაგალითში კი („მყინვარისაგან დაითმინეს...“) შინაგანი რიტმის საფუძვლია ერთი და იმავე ზმნისწინის პერიოდული გამოყენება და სახელზმნური ფორმების თანმიმდევრობა.

შედეგები აჩვენებს, რომ მორფოსინტაქსური პარალელიზმი

ქმნის „გრამატიკულ რითმას“ და სინტაქსურ იზოკლონებს, რომლებიც ანაზღაურებენ სილაბური თანაბრობის არარსებობას და უზრუნველყოფენ ტექსტის რიტმულ და სტრუქტურულ მთლიანობას. ეს მექანიზმები არა მხოლოდ შემთხვევითი არ არის, არამედ წარმოადგენს ქართული ენის შინაგანი რესურსების შემოქმედებით გამოვლინებას, რომელიც ერთგვარად ანაზღაურებს ძველბერძნული სილაბური სისტემის შეზღუდვებს.

თეორიული თვალსაზრისით, კვლევის შედეგები კარგად ერგება იაკობსონის პოეტური ეკვივალენტობის პრინციპსა და ჰალიდეი-ჰასანის კოჰეზიის თეორიას. პრაქტიკულად კი ისინი ადასტურებენ, რომ ქართულმა ჰიმნოგრაფიამ არა მხოლოდ შეინარჩუნა იერუსალიმური ღვთისმსახურების ტრადიცია, არამედ შემოქმედებითად გარდაქმნა იგი საკუთარ ენობრივ და მუსიკალურ კონტექსტში, რითაც შეიქმნა ავტონომიური, თვითკმარი ლიტურგიული დისკურსი.

ენა და ენათმეცნიერება

ფრაზეოლოგია როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენი გენდერულ ასპექტში: (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)

დიანა ნემსიწვერიძე
diana.nemsitsveridze@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.05

გენდერულად მარკირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევა განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია საზოგადოებაში ჩანერგილი სტერეოტიპების, ღირებულებებისა და ძალაუფლების ასიმეტრიის შესაწვლის მიზნით. ნაშრომი იკვლევს ინგლისურ და ქართულ ენებში გენდერულად მარკირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც ასახავენ კულტურულ ღირებულებებს, სოციალურ ნორმებსა და გენდერულ სტერეოტიპებს. გამოყენებულია შედარებითი, კონცეპტუალური და დისკურსული ანალიზი ავთენტურიმაგალითებისადაიდიომატურილექსიკონებისსაფუძველზე.კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ინგლისურ ენაში არსებულ, გენდერულად მარკირებულ ფრაზეოლოგიური ერთეულების ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზსა და მათ ნაკლებად შესწავლილ ქართულ ენასთან კონტრასტულ-შედარებით კვლევაში. კვლევის შედეგები ავლენს გენდერული კონცეპტების მრავალდონიან სტრუქტურას, ასევე მათ უნივერსალურ და კულტურულად სპეციფიკურ თავისებურებებს.

საკვანძო სიტყვები: *ფრაზეოლოგია, გენდერი, ლინგვოკულტუროლოგია, იდიომები, დისკურსული ანალიზი*

შესავალი. თანამედროვე ჰუმანიტარული კვლევები სულ უფრო და უფრო კომპლექსური ხდება, რაც განაპირობებს ლინგვისტური კვლევების საზღვრების გაფართოებას. ენა წარმოდგენილია არა მხოლოდ, როგორც გრამატიკულისტრუქტურადასისტემა,არამედფართოდარისგანხილული, როგორც კულტურის შექმნისა და ურთიერთქმედების საშუალება. ენა მოიცავს საზოგადოების გამოცდილებას, რწმენას, კავშირებს და ცვლილებებს. ფრაზეოლოგიზმები სტაბილური ელემენტებია, რომლებიც წარმოადგენენ კულტურულ იდენტობას, ცნობიერებას და მენტალიტეტს. ლინგვისტებმა, კულტუროლოგებმა, ეთნოლოგებმა და სხვა მონათესავე დარგების წარმომადგენლებმა გააცნობიერეს, რომ ენისა და კულტურის

სრულად გაანალიზება შეუძლებელია ფრაზეოლოგიური მონაცემების გარეშე, რომლებიც ასახავს მოსაუბრეთა ლინგვისტურ და კულტურულ თავისებურებებს (Cowie 1998, 57).

ფრაზეოლოგიური ერთეულები (ფრაზები, იდიომები, სხვადასხვა გამონათქვამები) გვაძლევენ მნიშვნელოვან ინფორმაციას კონკრეტული საზოგადოების ცნობიერებისა და ტრადიციების შესახებ, რადგან ისინი ხშირად ასახავენ კოლექტიურ გამოცდილებას, ქცევის ნორმებს და ღირებულებებს. ფრაზეოლოგიური ერთეულები კულტურულად მარკირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი გარკვეული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ უნიკალურ წარმოდგენებსა და ღირებულებებს შეიცავს. ფრაზეოლოგიის **კულტურული მარკირებულობა** გულისხმობს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები ატარებენ კონკრეტული ეთნოსის კულტურულ მახასიათებლებს, რაც მათ ენობრივ და სემანტიკურ მრავალფეროვნებას განაპირობებს. ამ კონცეფციის დეტალურად შესწავლა ხორციელდება ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის ფარგლებში, რომელიც აერთიანებს ენასა და კულტურას. ფრაზეოლოგია ენის განსაკუთრებული სეგმენტია. იგი ასახავს კულტურის თავისებურებებს, ისტორიულ გამოცდილებას და საზოგადოებრივ ღირებულებებს.

ა. ვ. კუნინის (1996) თანახმად ფრაზეოლოგია მოიცავს სხვადასხვა სახის ფიქსირებულ გამონათქვამებს, მათ შორის, იდიომებს, კოლოკაციებს და ანდაზებს. ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ის უწოდებს ენის მაღალინფორმაციულ ერთეულებს, რომლებიც ავსებენ ენის ლექსიკურ სისტემაში არსებულ ხარვეზებს, ფრაზეოლოგიას ის მიიჩნევს ენის „საგანძურად“, რომელშიც ასახულია ხალხის ისტორია, მათი კულტურა და ცხოვრების თავისებურებები. (Kunin 1996, 5).

ფრაზეოლოგიზმები აერთიანებს ენას, კულტურას, სოციალურ გამოცდილებასა და ცნობიერების სემანტიკურ სტრუქტურას. ამ მიდგომის თანახმად, ფრაზეოლოგიზმი წარმოადგენს კულტურული კოდის ნაწილს და ფუნქციონირებს როგორც „ენობრივი სარკე “, რომელიც ასახავს ღირებულებებს, წარმოდგენებს, იდეოლოგიებსა და კოლექტიურ ემოციებს (Piirainen 2008, 209).

ფიგურალური გამონათქვამებისა და ფრაზეოლოგიზმების მკვლევარ პროფესორ რეის მიხედვით ფრაზეოლოგიური ერთეულები ასრულებენ რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას:

ემოციური ფუნქცია — ხშირად გამოიყენება ემოციური მდგომარეობის ან განწყობის გამოსახატად.

კომუნიკაციური ფუნქცია — ფრაზეოლოგიური ერთეულები ამარტივებენ კომუნიკაციას და მკაფიოდ გამოხატავენ კომპლექსურ იდეებს.

კოგნიტური ფუნქცია — ისინი ასახავენ კულტურულ მეხსიერებას და იცავენ და გადასცემენ გამოცდილებას და ცოდნას თაობიდან თაობას (Wray, 2002).

ფრაზეოლოგიური ერთეულების ლინგვოკულტურული კვლევის პროცესში მუდმივად გვხვდება ახალი ტენდენციები, თანამედროვე ფრაზეოლოგიის კვლევები იცვლება, სტრუქტურალურ ანალიზზე ორიენტირებული მიდგომებიდან ეთნოკულტურულ პლურალიზმამდე. ფრაზეოლოგიის კვლევამ თანდათანობით გადაინაცვლა მკაცრად ლინგვისტური ჩარჩოებიდან კულტურულ-სემანტიკურ პარადიგმაში, სადაც ფრაზეოლოგიური ერთეული განიხილება, როგორც არა მხოლოდ ენობრივი სტრუქტურა, არამედ როგორც კულტურული ცოდნის მატარებელი, იდენტობის აღმნიშვნელი და კოლექტიური მეხსიერების ფორმა.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია. კვლევა მიზნად ისახავს ფრაზეოლოგიის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენის, გენდერული ასპექტების გამოვლენას, სისტემატიზაციასა და შედარებით ანალიზს ინგლისურ და ქართულ ენებში. დასახული ამოცანის შესასრულებლად კვლევა ეყრდნობა შედარებით კულტურათაშორის ანალიზს, რომელიც იკვლევს ორი ან მეტი ენის და კულტურის ფრაზეოლოგიურ რესურსს პარალელურად. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზეოლოგიზმების ანალიზი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ენათმეცნიერული ფორმითა და შინაარსით, არამედ აუცილებელია მათი დისკურსული, კონტექსტუალური და კულტურათაშორისი გაანალიზება. კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე ფრაზეოლოგიზმების სწორი ინტერპრეტაცია შეუძლებელია, რადგან ერთსა და იმავე იდიომს სხვადასხვა კულტურაში შეიძლება სრულიად განსხვავებული ფუნქციურ-ღირებულებითი შინაარსი ჰქონდეს.

თანამედროვე ფრაზეოლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა ხასიათდება ინტერდისციპლინური მიდგომით და წარმოადგენს სხვადასხვა თეორიული სკოლების გავლენით ჩამოყალიბებულ მიმართულებათა სინთეზს, მათ შორის კოგნიტური ლინგვისტიკის (Lakoff and Johnson 1980; Kövecses 2002), ლინგვოკულტუროლოგიისა და ფრაზეოლოგიის (Wierzbicka 1992), გენდერული ლინგვისტიკის (Tannen 1990) და ინტერკულტურული კომუნიკაციისა და განათლების (Byram 1997) ფარგლებში.

მიმართულებები, როგორიც არის: ფრაზეოლოგიზმებში გენდერული კონცეპტების ანალიზი, ემოციური სემანტიკის კვლევა, კულტურათაშორისი პარალელიზმის შესწავლა, ფრაზეოლოგიზმების

გამოყენება მულტიკულტურულ განათლებაში, ასახავს თანამედროვე ფრაზეოლოგიური კვლევის ძირითად ტენდენციებს და ეყრდნობა შესაბამის თეორიულ ჩარჩოებს.

ზემოთ ხსენებული ტენდენციები ნათლად აჩვენებენ, რომ ფრაზეოლოგია უფრო მეტად ღრმა დისკურსული, სოციალურ-კულტურული და იდენტობისმიერი ფენომენია, ვიდრე უბრალოდ სტილისტურად გამდიდრებული ენობრივი ერთეული. კვლევები აგრეთვე ფოკუსირებულია კულტურათაშორის შედარებებზე, გლობალიზაციის გავლენაზე და ფრაზეოლოგიაში გენდერული ასპექტების შესწავლაზე. საერთაშორისო კვლევებში ასევე გაჩნდა ფრაზეოლოგიზმების სწავლების ინტეგრირების ტენდენცია საერთაშორისო განათლებაში, რაც მულტიკულტურული კომპეტენციის ფორმირების მიზანს ემსახურება. ფრაზეოლოგიური ერთეულები ეხმარება უცხოენოვან შემსწავლელებს არა მხოლოდ ლინგვისტურ ინტეგრაციაში, არამედ კულტურული ემპათიის, გაგებისა და სოციოკულტურული ადაპტაციის განვითარებაში. მაგალითად, რომ დავაკვირდეთ ერთ-ერთ ინგლისურ იდიომას „a woman's work is never done"- ითარგმნება, როგორც ქალის საქმე არასდროს არის შესრულებული, მაგრამ აღნიშნული იდიომის გამოყენებისას იგულისხმება, რომ ქალს იმდენი საქმე აქვს, შეუძლებელია ამოწურო. როგორც ვხედავთ პირდაპირი მნიშვნელობა განსხვავებულია. არსებული შეხედულება განპირობებულია კულტურულ-სოციალური სტერეოტიპებით, ინგლისურ და ქართულ კულტურაში თანაბრად არის მიჩნეული რომ ოჯახის საქმე მეტწილად ქალის საქმეა, ვიდრე მამაკაცის. ამ ფაქტს მოწმობს ისიც, რომ მსგავსი გამონათქვამები ქართულ ენაშიც უხვად გვხვდება, მაგალითად: „ ქალის საქმე რამ დალია?!", „ქალს საქმე არ ელევა" „ქალის საქმე არ ჩანს" და სხვა.

ასეთი გამონათქვამები ღრმად არის ჩადებული ამა თუ იმ ენის კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში.

წარმოდგენილი კვლევის ემპირიული ბაზა ეფუძვნება ინგლისურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებსა და განმარტებით წყაროებს.

ანალიზი და დისკუსია. ინგლისური და ქართული ენების გენდერულად მარკირებული ფრაზეოლოგიური ფონდის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ორივე შემთხვევაში ჩანს მეტ-ნაკლები სტრუქტურული და სემანტიკური მსგავსება. ინგლისური და ქართული ენები მდიდარია ფრაზეოლოგიური ერთეულებით, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის გამოცდილების სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას. გენდერისა და ენის მიმართ არსებული ინტერესის პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი, როგორც უკვე აღვნიშნეთ მე-20 საუკუნის

მეორე ნახევარია, კერძოდ ეტაპი, როდესაც როდესაც ფემინისტურმა თეორიებმა ეჭვქვეშ დააყენეს ენის ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა. რობინ ლაკოფი (Robin Lakoff), გახლდათ ერთ-ერთი პიონერი ამ დარგში, 1975 წელს გამოქვეყნებულ წიგნში *Language and Woman's Place* წერდა, რომ ქალის მეტყველება შეესაბამებოდა სოციალურ იერარქიას და ის იყო ძალაუფლების დეფიციტის გამომხატველი.

ლინგვისტურ დონეზე, გენდერის გამოხატვა მოიცავს მრავალმხრივ ფენომენებს: ლექსიკურ არჩევანს, სინტაქსურ სტრუქტურებს, ინტონაციას, პრაგმატიკას, მეტაფორებს და განსაკუთრებით — ფრაზეოლოგიზმებს. სწორედ ფრაზეოლოგიზმები, როგორც ენობრივი სტერეოტიპების და კულტურული ღირებულებების მაჩვენებლები გვაწვდიან ინფორმაციას იმაზე, თუ როგორ ახდენს ენა გენდერული იდეოლოგიების სტაბილიზაციას, შესაბამისად გენდერისა და ენის თეორიების კვლევა მჭიდროდ უკავშირდება ისეთ ლინგვისტურ ფენომენებს, როგორიცაა სემანტიკური ასიმეტრია, მეტაფორა, დისკურსი, კონოტაცია და ლექსიკური მარკირება.

ფრაზეოლოგიის კვლევისას ვხედავთ, როგორ ასახავს და აყალიბებს საზოგადოების დამოკიდებულებას გენდერის მიმართ ფიქსირებული გამონათქვამები, იდიომები, ანდაზები და სხვა ფიგურალური გამონათქვამები. ფრაზეოლოგია ხშირად განასახიერებს და ინარჩუნებს ტრადიციულ გენდერულ როლებსა და სტერეოტიპებს. მრავალი გამოთქმა სხვადასხვა ენაზე აძლიერებს სტერეოტიპულ მოლოდინებს ქალურობისა და მამაკაცურობის შესახებ. მაგალითად, ფრაზები, როგორიცაა „გოგოსავით ტირილი "ან "კაცივით დგომა "ასახავს კულტურულ ნორმებს, რომლებიც სისუსტეს - ქალურობას და სიძლიერეს მამაკაცურობას უკავშირებენ, ამგვარ იდიომატურ გამონათქვამებს შეუძლია გავლენა მოახდინოს გენდერის სოციალურ აღქმაზე, გაამყაროს აზრი, რომ გარკვეული ქცევები „შესაბამისია "მამაკაცებისთვის ან ქალებისთვის, რაც თავის მხრივ აყალიბებს ინდივიდების მიერ საკუთარ თავსა და სხვების აღქმას სქესის მიხედვით (Lakoff 1975).

პენელოპე ეკერტი და სალი მაკკონელ-ჯინეტი აღნიშნავენ, რომ გენდერულად მარკირებული ფრაზეოლოგიზმები ხშირად ეფუძნება ისტორიულ-კულტურულ კონტექსტებს, რომლებშიც დამკვიდრებული იყო ქალებისა და მამაკაცების კონკრეტული როლები. ამ ენობრივი ერთეულების ფორმირებაზე გავლენას ახდენს ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორებიცაა ოჯახური როლები, შრომის გადანაწილება, რელიგიური შეხედულებები და საზოგადოებრივი ნორმები (Eckert & McConnell-Ginet 2013).

როგორც მკვლევარი რუსაძე აღნიშნავს, ნებისმიერი უცხო ენის შესწავლისას მნიშვნელოვანია აგრეთვე ამა თუ იმ ხალხის კულტურის შესწავლა, ვინაიდან ფრაზეოლოგიზმების კომბინაციების მნიშვნელობის პროგნოზირება შეუძლებელია ცალკეული ზმნის, არსებით სახელის, ზედსართავი ან სხვადასხვა სახის წინადადების მიხედვით. მათ აქვთ მნიშვნელობა, რომელიც განსხვავდება ცალკეული სიტყვების მნიშვნელობისგან და, როგორც წესი, აქვთ სიტყვების ფიქსირებული თანმიმდევრობა (რუსაძე 2020).

ქართული და ინგლისური ფრაზეოლოგიური კორპუსების შედარებითი ანალიზი განსაკუთრებით ნათლად აჩენს, როგორ იდენტიფიცირდება და ტრანსლირდება კულტურული ღირებულებები, სტერეოტიპები და საზოგადოებრივი ნარატივები განსხვავებულ ენასა და კულტურაში. ასეთი მიდგომა ემსახურება არა მხოლოდ ლინგვისტური პარალელების დადგენას, არამედ ენობრივ-კულტურული დიალოგის გაღრმავებასაც, რაც თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა.

თანამედროვე ენობრივი დინამიკა ცდილობს ტრადიციული გენდერული სტერეოტიპების დეკონსტრუქციას. ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც ადრე ქალის ან მამაკაცის დამამცირებელ კონტექსტში გამოიყენებოდა, დღეს განიცდის ნეიტრალიზაციას ან პოზიტიურ კონოტაციას იღებს. მაგალითად:

„Boss lady “ინგლისურში პოზიტიური დატვირთვის გამომხატველი გახდა ძლიერი და წარმატებული ქალის აღსაწერად. ქართულში ფრაზები, როგორიცაა „ქალმა თუ მოინდომა“ სახავს მზარდ, თუმცა ზოგჯერ ორაზროვან ცვლილებებს გენდერულ წარმოდგენებში.

საინტერესო განცხადებას აკეთებს ჯენეტ ჰოლმსი, როდესაც წერს, რომ ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეული გენდერულად თანდაყოლილია და ეს შეიძლება განსხვავდებოდეს ამა თუ იმ კულტურის მიხედვით. მაგალითად, ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა “სუსტი სქესი” ასახავს კულტურულ ვარაუდებს ქალების სისუსტეზე და მათ დაქვემდებარებულ როლზე საზოგადოებაში. ამის საპირისპიროდ, ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა „ოჯახის კაცი” (man of the house) ან „მამა მარჩენალი” (breadwinner) ხშირად გულისხმობს და ასოციაციას გვიქმნის მამრობითი სქესის შესახებ, როგორც ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის სიმბოლო. გენდერული ფრაზეოლოგიზმები ხელს უწყობს საზოგადოებაში შრომის დანაწილების ნორმალიზებას, განსაკუთრებით ოჯახურ ურთიერთობებში, ისინი ამყარებენ აზრს, რომ მამაკაცები უნდა იყვნენ მთავარი მომმარაგებლები, ოჯახში შემომტანი, ხოლო ქალებმა უნდა იზრუნონ სახლსა და ბავშვებზე (Holmes, 2001).

გენდერულად მარკირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების, კერძოდ ოჯახური ურთიერთობების ამსახველი იდიომების ლინგვოკულტუროლოგიური შეპირისპირება - შედარებითი ანალიზის ეფექტიანობისთვის შერჩეული ფრაზეოლოგიური ერთეულები სისტემატიზებულია და წარმოდგენილია ცხრილურ ფორმატში.

გენდერულად მარკირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების, მეტწილად ოჯახური ურთიერთობების ამსახველი იდიომების ლინგვოკულტუროლოგიური შეპირისპირების ფარგლებში, შედარებითი ანალიზის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, შერჩეული ფრაზეოლოგიური ერთეულები სისტემატიზებულია და წარმოდგენილია სტრუქტურირებულ ცხრილურ ფორმატში.

ცხრილი 1

№	ინგლისური ფრაზე-ოლოგიზმი	ქართული ანალოგი	მნიშვნელობა	გენდერული კონცეპტი (ინგლ./ქართ.)
1	***He wears the trousers***	კაცის სიტყვა ოჯახში	მამაკაცის დომინანტური როლი	პატრიარქატი
2	***A woman's work is never done***	ქალის საქმე არ ილევა	ქალის მუდმივი შრომა	ზრუნვა/ მოვალეობა
3	***Like a lady***	ქალივით მოქცევა	სინაზე, კდემა-მოსილება	ქალურობა
4	***Be a man***	კაცურად მოიქეცი	სიმამაცე, სიმტკიცე	მასკულინობა
5	***Man up***	გამაგრდი / კაცურად მოიქეცი	ემოციის შეკავება, სიმტკიცე	მასკულინობა
6	***Old wives' tale***	ბებიების მონაყოლი (მითი)	არაზუსტი, დაუდას-ტურებელი რწმენა	გენდერული სტერეო-ტიპიზაცია
7	***Boys will be boys***	ბიჭი მაინც ბიჭია	ქცევის გამართლება	მასკულინობა
8	***henpecked husband***		ქმარი, რომელიც ცოლის დომინაციის ქვეშ იმყოფება	ძალაუფლება, იერარქია
9	***wear the pants (in the family)***	ოჯახის უფროსი	ოჯახში ძალაუფლების მატარებელი პარტნიორი	ოჯახური იერარქია

10	***apron strings (be tied to)***	დედის/ქალის კალთას გამობმული	დედაზე ან ცოლზე გადაჭარბებული დამოკიდებულება	დამოკიდებულება
11	***mama's boy***	დედიკოს ბიჭი	ზრდასრული ვაჟი, რომელიც ძლიერადაა დამოკიდებული დედაზე	დამოკიდებულება
12	***daddy's girl***	მამის გოგო	გოგონა, რომელსაც მამა განსაკუთრებით ანებივრებს	ემოციური პრივილეგია
13	***man of the house***	სახლის/ ოჯახის კაცი	ოჯახის მამრობითი ლიდერი	ავტორიტეტი
14	***lady of the house***	სახლის ქალბატონი	ოჯახის ქალი ხელმძღვანელი/ დიასახლისი	მართვა, როლების განაწილება
15	***mother hen***	მზრუნველი დედა (ზედმეტად)	ქალი, რომელიც ზედმეტად ზრუნავს სხვებზე	ზრუნვა
16	***like father, like son***	დედა ნახე მამა ნახე შვილი ისე გამონახე	ქცევითი/ სახასიათო მემკვიდრეობა მამიდან შვილზე	მემკვიდრეობა
17	***like mother, like daughter***	დედა ნახე მამა ნახე შვილი ისე გამონახე	ქცევითი/ სახასიათო მემკვიდრეობა დედიდან შვილზე	მემკვიდრეობა
18	***breadwinner***	მარჩენალი	ოჯახის ძირითადი შემოსავლის მომტანი (მეტწილად იგულისხმება მამრობითი სქესი)	ოჯახური როლები
19	***better half***	"უკეთესი "ნახევარი	მეუღლე (ხშირად იუმორისტულად)	ერთიანობა

აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში გამოხატავენ გენდერულ კონცეპტებს და ასახავენ კულტურულად განპირობებულ სტერეოტიპულ მოლოდინებს. როგორც ვხედავთ მასკულინური ერთეულები („Be a man“, „Man up“, „He wears the trousers“) ხაზს უსვამენ სიმამაცეს, ემოციურ შეკავებასა და დომინანტურ როლს, მაშინ როცა ქალური („Like a lady“, „Sugar and spice…“, „A woman’s work is never done“) გამოხატავს წესიერებას, ზრუნვასა და ქალის მუდმივ, ამოუწურავ შრომას. კონტრასტული ანალიზი უსვამს ხაზს გენდერული კონცეპტების მრავალდონიან სტრუქტურას და უნივერსალურ, ასევე კულტურულად სპეციფიკურ თავისებურებებს.

ცხრილი 2

№	ქართული ფრაზეოლოგიზმი	ინგლისური ანალოგი	მნიშვნელობა	გენდერული კონცეპტი (ინგლ./ ქართ.)
1	კაცურად მოიქცი	*Be a man*	სიმამაცე, სიმტკიცე	მასკულინობა
2	ქალი სუსტია	The weaker sex	ქალის სისუსტის სტერეოტიპი	ქალურობა
3	ქალი ოჯახს ამაგრებს	A woman’s work is never done (ნაწილობრივ)	ოჯახის მოვლა	ზრუნვა/ როლი
4	კაცის სიტყვა ქვასავით მტკიცეა	A man’s word is his bond	სანდოობა, ავტორიტეტი	პატრიარქატი
5	ქალის ჭკუა მოკლეა	Women are irrational	ირაციონალურობის სტერეოტიპი	ნეგატიური სტერეოტიპი
6	კაცი სახლის ბურჯია	Man is the head of the family	ლიდერობა ოჯახში	პატრიარქატი
7	ქალი სილამაზით ფასობს	Beauty is a woman’s asset	გარეგნობის მნიშვნელობა	ქალურობა
8	კაცი სიტყვას არ გატეხს	A real man keeps his word	ღირსება	მასკულინობა
9	დედის კალთაზე გაზრდილი	mama’s boy	პირი, რომელიც ზედმეტად არის დამოკიდებული დედაზე	დამოკიდებულება

10	***მამის ნებიერა***	daddy's girl	შვილი, რომელსაც მამა განსაკუთრებით ანებივრებს	პრივი-ლეგია
11	***ოჯახის თავი (კაცი)***	man of the house	ოჯახის მთავარი, ლიდერი მამაკაცი	ავტო-რიტეტი
12	***ოჯახის დიასახლისი***	lady of the house	ქალი, რომელიც მართავს საოჯახო საქმეებს	მართვა
13	***ოჯახის მარჩენალი***	breadwinner	პირი, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის ფინანსურ შემოსავალს	ოჯახური როლები
14	***ოჯახში კაცის სიტყვა გადის***	wear the pants	ოჯახში გადაწყვეტილებას იღებს კაცი	ძალა-უფლება
15	***დედის ნებიერა***	mama's boy	ზედმეტად განებივრებული შვილი	დამოკი-დებულება
16	***მამის ასლი***	chip off the old block	მშობელთან მსგავსება	იდენტობა
17	***ქალის ადგილი სამზარე-ულოშია***	a woman's place is in the home	ტრადიციული გენდერული როლის გამოხატვა	სტერე-ოტიპი
18	***კაცის სიტყვა კანონია***	man's word is law	მამაკაცის ავტორიტეტის ჰიპერბოლიზაცია	ძალა-უფლება
19	***დედის გული***	mother's heart	უსაზღვრო დედობრივი სიყვარული	ზრუნვა

ცხრილში წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულები ნათლად გამოხატავს გენდერული კონცეპტების კულტურულ სტერეოტიპებს ქართულ და ინგლისურ ენებში. მასკულინური ფრაზები („კაცურად მოიქეცი “, „კაცი სახლის ბურჯია“, „კაცი სიტყვას არ გატეხს “) ხაზს უსვამენ სიმამაცეს, ავტორიტეტსა და ღირსებას, გამოხატავენ პატრიარქალურ, დომინანტურ როლს ოჯახის და საზოგადოების კონტექსტში. ქალური ფრაზები („ქალი სუსტია “, „ქალი ოჯახს ამაგრებს “, „ქალი სილამაზით ფასობს “, „ქალის ჭკუა მოკლეა “) აჩვენებს ქალის როლს ზრუნვისა და გარეგნობის კუთხით, ან სტერეოტიპულად განსაზღვრავს ინტელექტსა და სისუსტეს.

კონტრასტული ანალიზი უსვამს ხაზს გენდერული კონცეპტების მრავალდონიან სტრუქტურასა და ენებს შორის კულტურულად

სპეციფიკურ ნიუანსებს. ინგლისური ენისგან განსხვავებით, ქართული ენა მთლიანად არაგენდერული სისტემის წარმომადგენელია. გრამატიკაში არ არსებობს მამრობითი და მდედრობითი ფორმის ცნება არც ნაცვალსახელებისთვის, არსებითი სახელებისთვის და არც ზმნებისთვის. მიუხედავად ამისა, კულტურულ-სოციალურ დონეზე ენაში მაინც ვხვდებით გენდერულ მეტაფორებსა და ფრაზეოლოგიურ ფორმებს, რაც ხაზს უსვამს, რომ გენდერული განცდა სემანტიკურ დონეზე მაინც არსებობს, ენაში მაინც ვხვდებით გენდერული აზროვნების გამოძახილს მეტაფორასა და ფრაზეოლოგიაში. ამ მხრივ, არაგენდერულ ენებშიც შეინიშნება კულტურული სქესობრივი დაყოფის ნიშნები, ოღონდ ისინი უფრო ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე აღიქმება, ვიდრე გრამატიკულზე.

შედარებითი ანალიზისას იკვეთება, რომ გენდერული განზომილება ენაში მხოლოდ გრამატიკულ სტრუქტურებზე არ არის დამოკიდებული, არამედ ღრმად არის ფესვგადგმული კულტურულ წარმოდგენებსა და მეტყველების პრაქტიკაში.

დასკვნა. ინგლისური და ქართული ენების ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად ამ ენებს შორის არსებითი განსხვავებებისა, მათ გააჩნიათ მახასიათებლები, რომლებიც უნივერსალური ლინგვისტური და კონცეპტუალური მოდელების არსებობას ადასტურებს.

ცხრილებში მოყვანილი მაგალითები მკაფიოდ გვიჩვენებს სინტაქსურ და კონცეპტუალურ განსხვავებას ქალთან და მამაკაცთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიზმებს შორის ინგლისურ და ქართულ კონტექსტში.

კერძოდ, ქალთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ქართულში ხშირად აღინიშნება ზედსართავი სახელის დომინანტობით, რაც ხაზს უსვამს თვისებებს, ქცევის ნორმებს ან სტერეოტიპულ სოციალურ როლებს, მამაკაცთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ქართულში უფრო ხშირად იყენებენ არსებით სახელს, რაც ასახავს დომინანტურ პოზიციას, სიმამაცესა და ავტორიტეტს.

ინგლისურ ფრაზეოლოგიზმებში გენდერული მარკირება სინტაქსურ-სემანტიკურად ჩანს: მამაკაცი მოქმედების სუბიექტია, რაც ხაზს უსვამს აქტიურ როლს, ხოლო ქალთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ხშირად აღწერს ქალის თვისებებს, როლს ან კულტურულ იდეალებს. მამაკაცის შემთხვევაში შეფასება ძირითადად დაკავშირებულია სიმამაცესთან, ავტორიტეტთან, პატრიარქალურ სტრუქტურებთან, ქალის შემთხვევაში — ზრუნვა, გარეგნობა, ნეგატიური სტერეოტიპები, რაც ასახავს კულტურული ნორმების ინტერნალიზაციას ქართულ და ინგლისურ კონტექსტში.

ანალიზმა დაადასტურა, რომ ქართულ ფრაზეოლოგიზმებში ქალის როლი ხშირად განისაზღვრება თვისებებით და ქცევით, მამაკაცის როლები - პოზიციით და ავტორიტეტით. ინგლისურ ფრაზეოლოგიზმებში გენდერული მარკირება უფრო სინტაქსურად არის გამოხატული, რაც ქმნის კულტურათაშორისი განსხვავების შესაძლებლობას და ადასტურებს, რომ გენდერული კონცეპტები ენობრივი და კულტურული ნორმების გავლენით არის კონსტრუქტირებული.

ამგვარად, ფრაზეოლოგიური ერთეულები ხშირად გამოხატავენ კონკრეტულ კულტურულ ღირებულებებსა და შეხედულებებს. ინგლისური და ქართული ენების ფრაზეოლოგიის შედარებითი კვლევისას იკვეთება, რომ ენობრივი სტრუქტურები მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურულ კონტექსტთან. მსგავსი კვლევები არა მხოლოდ ენის უკეთ გაგებას უწყობს ხელს, არამედ კულტურათშორისი კომუნიკაციის გაუმჯობესების საშუალებასაც იძლევა.

ლიტერატურა

რუსაძე, ირმა. 2020. „სომატური იდიომების ზოგიერთი ფაქტორი ინგლისურ და ქართულ ენებში. "*researchgate*", 2020 წლის თებერვალი

ქართულის განმარტებითი ლექსიკონი. 2008. თბილისი: ქართული ენის ინსტიტუტი.

ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. 2010. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Cambridge Dictionary. 2023. *Cambridge Idioms Dictionary*. Cambridge: Cambridge University Press. Accessed March 10, 2026. https://dictionary.cambridge.org/.

Cowie, A. P. 1998. *Phraseology: Theory, Analysis, and Applications*. Oxford: Oxford University Press.

Eckert, Penelope, and Sally McConnell-Ginet. 2013. *Language and Gender*. 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press.

Holmes, Janet. 2001. *An Introduction to Sociolinguistics*. 2nd ed. Harlow: Pearson Education.

Kunin, A. V. 1996. *Course of Phraseology of Modern English*. Moscow: Higher School.

Lakoff, Robin. 1975. *Language and Woman's Place*. New York: Harper & Row.

McCarthy, Michael, and Felicity O'Dell. 2017. *English Idioms in Use*. Cambridge: Cambridge University Press.

Oxford University Press. 2015. *Oxford Dictionary of Idioms*. 3rd ed. Oxford: Oxford University Press.

Piirainen, Elisabeth. 2008. "Phraseology and Culture." In *Phraseology: An International Handbook of Contemporary Research*, edited by Harald Burger et al., 208–219. Berlin: Mouton de Gruyter.

Wray, Alison. 2002. *Formulaic Language and the Lexicon*. Cambridge: Cambridge University Press.

Language and Linguistics

Phraseology as a Linguocultural Phenomenon in the Gender Aspect: Evidence from English and Georgian Language Materials

Diana Nemsitsveridze
Diana.nemsitsveridze@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.05

The study examines phraseology as a linguocultural phenomenon, with particular emphasis on the gender aspect. It investigates gender-marked phraseological units in English and Georgian, which reflect cultural values, social norms, and gender stereotypes. Comparative, conceptual, and discourse analyses are applied, based on authentic examples and idiomatic dictionaries. The scientific novelty of the research lies in the linguocultural analysis of gender-marked phraseological units in English and their contrastive-comparative study with the underexplored Georgian language. The results reveal the multidimensional structure of gender concepts, as well as their universal and culturally specific characteristics.

Keywords: *phraseology, gender, linguocultural studies, idioms, discourse analysis*

Introduction. Phraseology is a component of language that reflects cultural values, social interactions, and historical experience. Phraseological units (idioms, collocations, proverbs) carry the characteristics of national culture and convey collective experience, behavioral norms, and values.

As a distinct segment of language, phraseology embodies cultural particularities, historical memory, and societal values. Contemporary humanities research emphasizes the complex interplay between language and culture, where

phraseological units represent cultural identity, cognition, and mentality (Cowie, 1998, 57).

According to Kunin, phraseology includes:

- idioms, collocations, and proverbs;
- Units often carry national-cultural characteristics;
- Their meaning is determined by context, prior knowledge, and cultural markers (Kunin 1996, 5).

Phraseological units serve emotional, communicative, and cognitive functions and preserve and transmit experience across generations (Wray, 2002).

Methodology. Modern phraseological research has shifted to an ethnocultural paradigm, in which a phraseological unit is viewed as:

- a carrier of cultural knowledge;
- an indicator of identity;
- a form of collective memory.

A comparative cross-cultural analysis was employed to examine phraseological resources across languages and cultures in parallel. Discourse, contextual, and intercultural interpretation is essential because the same idiom may be understood differently in different cultures.

The study's empirical data are based on examples of gender-marked phraseological units extracted from **established English and Georgian idiomatic dictionaries.**

Results. Phraseological Similarities-in both English and Georgian phraseological units reflect various aspects of human experience.

Example:

English: "to have a sweet tooth" → Georgian: „ტკბილეულის მოყვარული" (რუსაძე, 2020).

Both convey the same meaning, through different constructions.

Gender in Phraseology - Gender represents a socio-cultural construct in language. Phraseological units reflect gender stereotypes and norms of social roles:

English examples: "Be a man" (courage, masculinity), "Like a lady" (femininity);

Georgian examples: „კაცურად მოიქეცი" (courage), „ქალი ოჯახს ამაგრებს" (care, continuous labor).

Social and cultural factors shape gender-marked phraseological units, including family roles, division of labor, religious beliefs, and norms (Eckert & McConnell-Ginet, 2013).

Comparative Tables

Table 1.

№	Phraseological Unit	Georgian Equivalent	Meaning	Gender Concept
1	He wears the trousers	კაცის სიტყვა	Male dominance in the household	Patriarchy
2	A woman's work is never done	ქალის საქმე არ იღევა	Woman's continuous labor	Care/Duty
3	Like a lady	ქალივით მოქცევა	femininity	Femininity
4	Be a man	კაცურად მოიქცი	Courage, firmness	Masculinity

Table 2.

№	Phraseological Unit	English Equivalent	Meaning	Gender Concept
1	კაცურად მოიქცი	Be a man	Courage, firmness	Masculinity
2	ქალი სუსტია	The weaker sex	Stereotype of female weakness	Femininity
3	ქალი ოჯახს ამაგრებს	A woman's work is never done	Household care	Care/Role
4	კაცი სახლის ბურჯია	Man is the head/ strength of the family	Leadership, authority	Patriarchy

Comments on Results: Masculine phrases emphasize courage, emotional restraint, and dominant roles; Feminine phrases express care, continuous labor, and attention to appearance; Georgian is grammatically non-gendered, yet phraseology expresses a clear cultural-gender division.

Conclusion. Phraseology constitutes a significant linguistic phenomenon reflecting cultural and social features of language. A comparative analysis of English and Georgian phraseological units reveals that, despite substantial differences, both languages share features that point to universal linguistic and conceptual patterns.

The analyzed examples demonstrate clear syntactic and conceptual distinctions in gender-marked phraseology. In Georgian, expressions related to women are often dominated by adjectives, emphasizing traits, behavioral norms,

and stereotypical roles, whereas those related to men tend to rely on nouns, highlighting authority, strength, and social status. In English, gender marking is primarily expressed through syntactic and semantic roles: men are typically represented as active agents, while expressions related to women focus more on attributes, roles, or cultural ideals. Evaluative patterns further reflect this asymmetry, associating men with authority and bravery, and women with care, appearance, or stereotypical expectations.

Overall, phraseological units encode culturally embedded gender concepts, demonstrating that linguistic structures are closely tied to cultural norms. Such comparative studies contribute not only to a deeper understanding of language but also to more effective intercultural communication.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ჯონ რიდი - ქართული პოემის პერსონაჟი

რუსუდან ნიშნიანიძე
rusudann@yahoo.com
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.06

ყოველ ახალ ეპოქას თავისი ხედვები და ფასეულობები მოაქვს როგორც პოლიტიკაში, ასევე, კულტურაშიც. XX საუკუნის დასაწყისი საქართველოშიც ურთულესი მოვლენებით დაიწყო. პოემას, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძე 1924 წელს დაწერს, სწორედ ასე დაასათაურებს: ,,ჯონ რიდი“. ვინ იყო და რითი დააინტერესა ამ პიროვნებამ ქართველი პოეტი იმდენად, რომ მისი გვარ-სახელი პოემის სათაურად გამოიტანა. ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი. 1919 წლის მარტში ნიუ–იორკში ინგლისურ ენაზე გამოიცა მისი ცნობილი წიგნი ,,10 Days That Shook The World” (,,ათი დღე, რომელმაც შესძრა მსოფლიო“). სწორედ ამ სიტყვების ციტირება მოაქვს ქართველ პოეტს პოემაში. მის ტექსტში აღწერილია ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში 1917 წელს. გალაკტიონ ტაბიძეც აღწერს მოსკოვსა და პეტერბურგში დატრიალებულ მოვლენებს, ისიც თვითმხილველია. ამ სურათებს ერთდროულად ხედავს და განიცდის როგორც ქართველი, ისე ამერიკელი პოეტი, ყოველ შემთხვევაში, გალაკტიონი ასე თვლის. გალაკტიონ ტაბიძის პოემა ,,ჯონ რიდი“ – დიდ ეკრანზე გამოტანილი მხატვრულ–დოკუმენტური კადრებით.

საკვანძო სიტყვები: *კულტურა, პოლიტიკა, პოეზია, ქართველი პოეტი, ამერიკელი პოეტი*

ყოველ ახალ ეპოქას თავისი ხედვები და ფასეულობები მოაქვს როგორც პოლიტიკაში, ასევე, კულტურაშიც. XX საუკუნის დასაწყისი საქართველოშიც ურთულესი მოვლენებით დაიწყო. იყო გადაფასებაც, მაგრამ იყო განსაკუთრებით მწერლობაში, არაერთი ნოვატორული სიახლეც. ვგულისხმობ არა მხოლოდ ლიტერატურულ ჟანრებს, არამედ თემატიკასაც. რამდენიმე ლიტერატურული გაერთიანების ჩამოყალიბებამ *(სიმბოლისტები, ფუტურისტები, აკადემიური ჯგუფი, პროლეტარული მწერლობა)*, სრულიად განსხვავებული ესთეტიკური სივრცე შექმნა.

,,მე ვდგავარ მთაზე, მე ვდგავარ მარტო, / დამთვრალი ახალ სანახავითა,” – ჩაინიშნავს გალაკტიონი (ტაბიძე 1977, 374).

,,ახალი სანახავი“ კი ბევრი იყო. აკი პოემას, რომელსაც 1924 წელს დაწერს, სწორედ ასე დაასათაურებს: ,,ჯონ რიდი“. ყოველ ტექსტში სათაური უმნიშვნელოვანესია. ,,სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას“, – წერდა კონსტანტინე გამსახურდია (გამსახურდია 1963, 146). რატომ ჯონ რიდი. ვინ იყო და რითი დააინტერესა ამ პიროვნებამ ქართველი პოეტი იმდენად, რომ მისი გვარ-სახელი პოემის სათაურად გამოიტანა. რეალური პიროვნება თუ გამოგონილი პერსონაჟი?! გალაკტიონი ერთ საღამოს დღიურში ჩანაწერს ასე დაასათაურებს: ,,ჯონ რიდი“. ჩნდება მოლოდინი იმისა, ამ პიროვნებაზე იტყვის რაიმეს. საიდან მოვიდა იდეა, მთავარ პერსონაჟად ექცია რეალური ადამიანი. არადა, სიტყვას არ დაძრავს მასზე. ამონარიდი: ,,ძველისძველი რუსეთი – იმ ღამეს ეგდო როგორც ხის კუნძი, ჯირკი, ტყეში, რომელსაც სცემდენ ნაჯახს, ცეცხლის ფურცლები და ფოთლები წიგნებივით ეყარა ველად.

უზარმაზარი ბოქლომი დაადო რუსეთს მონობამ. გასაღები ხალხმა იპოვა“ (სსლმ დღ. 549, გვ.3). აქვე ვიტყვი, ეს ფრაზები სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელად აქვს უკვე ტექსტში შეტანილი *(,,რუსეთი იმ ღამეს ეგდო / როგორც ხის კუნძი, ჯირკი, / ტყეში...”).*

პოემა იბეჭდებოდა 1924 წლის ჟურნალ ,,მნათობის“ #4–5 ნომრებში. 18 ივლისს ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილ წერილში თავადაც აღტაცებული დაწერს: ,,ჯონ–რიდი“ – ახდენს პირდაპირ სენსაციას – თუმცა ჯერ არ გამოსულა... ჟურნალი დაბეჭდილია. გამოვა დღეს ან ხვალ“. წიგნად გამოსაცემად მომზადებას შეუდგება. ამაზეც მიწერს ოლიას: ,,ჩემი წიგნის გადაწერა დავიწყე. წიგნი მზად მექნება ორ კვირაში. პირველი აგვისტოდან შევუდგები ბეჭდვას და დავამთავრებ 15–ში“ (ტაბიძე 1987, 197). გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველოს“ მიერ დაბეჭდილ გალაკტიონ ტაბიძის ორტომეულში 1936 წლით არის რედაქციის მიერ დათარიღებული შემდეგი ჩანაწერი: ,,ბებუთოვმა მითხრა, რომ მზამზარეული წიგნის გავრცელება შეჩერებულია იმის გამო, რომ ,,ჯონ რიდში“ არეულია სტრიქონები. საწყენი ამბავია-“ო, – კი დაწერს 28 აგვისტოს, მაგრამ 2 ოქტომბერს არასასიამოვნოდ გაკვირვებული იტყვის: ,,ვიყავი გამომცემლობაში. ოთხი გვერდის აწყობასა და წიგნში ჩაკერებას მთელი თვე მოუნდნენ. კიდევ არ ჩაუკერებიათ 1000 ეგზემპლარში“ (ტაბიძე 1989, 458).

1924 წელს დავუბრუნდეთ, როცა პოემა წიგნად გამოიცა. ტექსტი არაერთი თვალსაზრისითაა საინტერესო, მაგრამ ამჯერად, ერთ ფრაგმენტს მოვიხმობ:

,,ათი დღე, / რამაც შესძრა კაცობრიობა“, / განვლილია. / მაგრამ ჯერ ისევ სჩანს / უზარმაზარი პლაკატი – / ,,მთელი ძალა-უფლება / დამფუძნებელ კრებას“. / ო, რა თქმა უნდა, მე არ მელოდენ, / როცა

სისწრაფით / ვეშურებოდი საქართველოდან. / იგი წამოვიდა ნიუ–იორკიდან... / ნამდვილი ჯონი! (ტაბიძე 1989, 35).

ორი ადამიანი – ავტორ-პერსონაჟი და მთავარი პერსონაჟი, არა მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფოდან, არამედ სხვადასხვა კონტინენტიდან წამოსულები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. და შეხვედრა შედგა:

ჩვენ შევხვდით – როცა იგრძნეს ბორკილი.../ და ნგრევის დრონი. / როცა მასსები გადავარდნენ / ცხარე ბრძოლაში / ჩვენ ერთად ვიყავით (ტაბიძე 1989, 35).

შემდეგაც არაერთგზის გამოიყენებს ნაცვალსახელს ,,ჩვენ“ *(სიმბოლური დატვირთვით, რასაკვირველია).*

და მაინც, ვინ იყო ჯონ რიდი რეალურად? ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი. ჰარვარდის უნივერსიტეტის *(ზოგიერთი ცნობით, კოლეჯის)* კურსდამთავრებული *(სწავლობდა 1906–1910 წლებში).* მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის, მხიარული, ყოველგვარ სტუდენტურ აქტივობაში ჩართული ბიჭი, რომელსაც ,,აივის ორატორისა და პოეტის“ წოდება მიანიჭეს. უფროს კლასებში პოლიტიკამ გაიტაცა და ,,სოციალისტური კლუბის“ შეხვედრებს ესწრებოდა. უკვე ახალგაზრდამ იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში. გზადაგზა თავს ფიზიკური შრომითაც ირჩენდა. მერე არაერთი ამბავი გადახდება თავს, მაგრამ რუსეთში წასვლა მისი კატეგორიული გადაწყვეტილება იქნება. პეტერბურგში მეგობართან ერთად ჩავა. რეალურადაც, ანუ ცხოვრებისეულადაც და შემოქმედებითადაც ეს ორივესთვის მნიშვნელოვანი გამოდგება. ბრაიანტი (მისი მეგობარი) გამოაქვეყნებს წიგნს სათაურით: ,,ექვსი წითელი თვე რუსეთში“. ჯონ რიდი გაიცნობს ლენინს, ტროცკის, კამენევს... ამბობენ, ის საბჭოთა კავშირის მესამე კონგრესის გახსნას არა მხოლოდ დაესწრო, არამედ მოკლე სიტყვითაც გამოვიდა. 1919 წლის მარტში ნიუ–იორკში ინგლისურ ენაზე გამოიცა მისი ცნობილი წიგნი ,,10 Days That Shook The World” *(,,ათი დღე, რომელმაც შესძრა მსოფლიო“).* სწორეც ამ სიტყვების ციტირება მოაქვს ქართველ პოეტს პოემაში. ცნობილია რიდის თანაგრძნობა სოციალიზმის მიმართ. მის ტექსტში აღწერილია ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში 1917 წელს. როგორც ვთქვით, ჯონ რიდი ამ დროს თავად იმყოფებოდა ქვეყანაში, როგორც მოვლენათა თვითმხილველი. ის რევოლუციის არაერთ ლიდერს ახსენებს. გ. შარაძე წიგნში ,,უცხოეთის ცის ქვეშ“ იმოწმებს რიდის ფრაზას, რომელსაც ამერიკელი იყენებს კარლო ჩხეიძის მოღვაწეობის შეფასებისას: ,,რუსეთის რევოლუციის ბებერი არწივი“ (შარაძე 1991, 38). ეს გვარ–სახელი სრულიად ბუნებრივია ამ კონტექსტში; 1907 წლიდან ჩხეიძე რუსეთის III და IV სათათბიროში

დეპუტატი გახლდათ. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში პეტროგრადში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო შეიქმნა, რომლის პირველ თავმჯდომარედ სწორედ ის აირჩიეს. იგი ასევე, იყო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი მოწვევის თავმჯდომარე.

ავტორი, წიგნი და დრო – ძალიან ზუსტადაა მითითებული. პოემაში იკითხება ეპოქა, განწყობა და ის ქაოსი, რომელიც იმხანად პეტროგრადსა და მოსკოვში ტრიალებდა. აქ არაერთი ხატოვანი ფრაზაა, უფრო ზუსტად, შტრიხები, რომლებიც დეტალურად ხატავენ პანორამულ სურათს: ,,რასპუტინის პაპიროსები“, ,,კერენსკის მოწოდება და კრონშტადტი“, ,,წაქცეული ხე ტვერის ბულვარში“, ,,უმიზნოთ მოხეტიალე ბავშვები“ ,,წიგნი... ,,Про Гришку, Про Сашку, Про царя Николашку“, ,,გაჩეჩქვილი თავი, / რომლის ცნობა შეუძლებელია“, ,,ანდრეი ბელის ლოდინი მიტინგზე’’ და იქვე:

პორტრეტები: /ირაკლი წერეთლის, / კერენსკის, / როძიანკოსი, / ჩხეიძის, / ჩერნოვის (ტაბიძე 1989, 11).

ნაწარმოებში ორი ქართველი დასახელდა. ეს ისტორიაა. რეალური ისტორია. თანაპარტიელები.

ჩანართის სახით. *ირაკლი წერეთელმა კარლო ჩხეიძის ცხედრის წინაშე გამოსათხოვარი სიტყვა ფრანგულად წარმოთქვა. ორატორმა გარდაცვლილის არაერთ ღირსებას გაუსვა ხაზი, მაგრამ ვფიქრობ, უჩვეულო ამბავი გაიხსენა, დამსწრე საზოგადოებას უამბო. სიტყვა ჟურნალმა ,,ბრძოლამ“ 1926 წლის ივლისის #12–13 ნომრებში გამოაქვეყნა.*

,,ჩემ თვალ წინ ერთი სურათი დგას, ერთი ფაქტის მოგონება, რომლის მოწამე გავხდი 1917 წლის რევოლუციის პირველ ხანაში. ჩხეიძე და მე ერთად ვიმყოფებოდით დროებითი მთავრობის და საბჭოთა წარმომადგენლების გაერთიანებულ კრებაზე“.

სწორედ ზემოხსენებულ კრებაზე, შუაღამეს, მუშაობისას ჩხეიძისათვის უმძიმესი, ტრაგიკული ამბავი უცნობებიათ; მისი ვაჟის უეცარი გარდაცვალების შესახებ. ყოველ ადამიანს შეაძრწუნებდა მსგავსი უბედურება, გააოგნებდა და თავზარს დასცემდა. ეს ყველას დაემართებოდა, ალბათ, კარლო ჩხეიძესაც. ირაკლი წერეთელს გამორჩეულად ახსოვს ეს ამბავი, ისეთი აქცენტით ჰყვება. არადა, ნაამბობიც გამორჩეულია.

,,მიუხედავათ ამ საზარელი ცნობისა, ჩხეიძე დარჩა სხდომაზე, არ მიატოვა ადგილი, სადაც წყდებოდა უმნიშვნელოვანესი საკითხები რევოლიუციის პოლიტიკისა. ამის უფლება მან თავის თავს არ მისცა, რადგან სთვლიდა, რომ ის ხალხის სამსახურში, სარევოლუციო პოსტზე

იყო. მხოლოდ დილის 2 საათზე დაბრუნდა ის შინ თავის ვაჟის უსულო გვამის სანახავათ",– დაასრულებს ამბავს წერეთელი.

და მაინც, როგორ ფიქრობთ, რაა ეს? საქმისადმი ერთგულება თუ სწორედ ამ საქმისადმი ფანატიზმი?! არ ვიცი. აქვე ვიტყვი, პოემაში (ამ ორის გარდა) სხვა ქართველი პოლიტიკოსი დასახელებული არაა. ლირიკული გმირი კი ბრძოლის აღწერას განაგრძობს:

განუწყვეტელი კანანადები. / საშინელი შიმშილი, / და მე ვინტოვკით (ტაბიძე 1989, 10).

ნაწარმოებში საკმაოდ ნატურალისტური სცენებიცაა. როცა ავტორი რითმაზე თითქოს აღარ ფიქრობს; რიტმი დაცულია. ორი გაქცეული, თხრილში დაგდებული ტყვეს მაგალითზე:

ერთი მათგანი გაჩეჩქვილი / თავის სარქველით / ეგდო პირაღმა, / წამწამები და წარბები / თოფის წამლის ბოლით / ჰქონდა გატრუსული, / საფეთქელი – გადახეთქილი. / თვალის გუგა / ღია დარჩენოდა, / ნესტოდან დიოდა სისხლი. / ღრძილები ჩამტვრეული / ჰქონდა. / მეორე მათგანს / ენა გადმოეგდო / სრულიად შავი. / იგი ეგდო / ტვინდანთხეული (ტაბიძე 1989, 21).

ეს ქუჩის სურათებია. არც საავადმყოფოებშია უკეთესი მდგომარეობა. არადა, იქ ცოტათი მაინც განსხვავებული უნდა იყოს. მოჰყავთ უპატრონო, დახოცილი ადამიანები, რომელთა ვინაობა არავინ იცის. მათ არც პასპორტი აქვთ, არც რაიმე საბუთი. გიმნაზიელებს ტანსაცმლის მიხედვით გამოარჩევენ. თუმცა ,,გამორჩევაც" ძალიან პირობითია: ,,სხეულის ნაწილები: / მარჯვენა ხელი/ მარცხენა ხელი". ტირილით შემოდიან ქალები, რომლებიც ,,ასობით გაფენილ მკვდრებში/ ეძებენ შვილებს, ეძებენ მამებს"... ,,ძვალგადამტვრეულებს, /ტვინ–დანთხეულთ, / სახეგადაშლილთ" (ტაბიძე 1989, 22).

და ჩნდება კითხვა: რა მოიტანა რევოლუციამ? ეს აღწერაა, ეს არაა იდეოლოგიური დამოკიდებულება. როგორია ამის ხილვა და აღბეჭდვის სურვილი?! აქ მაიაკოვსკის ფრაზა შეიძლება ამოტივტივდეს: ,,ომის შესახებ კი არ უნდა წერო, ომი წერო" (მაიაკოვსკი 1977, 246).

და ამ ვაკხანალიაში სწორედ გალაკტიონისეული მხატვრული კადრი:

სდგას ერთი გრანდიოზული / სკამი, / რომელსაც მართლაც მოტეხილი აქვს / სამი ფეხი / და ზედ ძლივს ზის / ჯერ ისევ ძველი რუსეთი (ტაბიძე 1989, 24).

ამას რასაკვირველია, დაკვირვებული კრიტიკოსი უმალ შეამჩნევს. 1925 წლის ჟურნალ ,,მნათობის" ფურცლებზე #1(9) იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის წერილი სათაურით: ,,1924 წელი ქართულ ლიტერატურაში". ის მიმოიხილავს ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ მწერლობას (ზოგად

ჭრილში, რასაკვირველია), ასახელებს არაერთს: გიომ აპოლინერს, პოლ ფორის, პოლ კლოდელს, ჟამმს, სიუარესს, დ'ანუნციოს, მარინეტის, გოროდეცკის. საუბრობს ომსა და მშვიდობაზე... მერე 1924 წლის ქართულ ლიტერატურულ ჟურნალებზე, მოკლედ განიხილავს დაახლოებით 15 ავტორს და მათ ტექსტებს. ,,დასასრული იქნებაო"- მითითებულია წერილის ბოლოს. გალაკტიონი ამ, პირველ ნაწილში მოხვდება.

,,გალაკტიონ ტაბიძე, რომლის ლიტერატურულ პოპულარობას 15 წლის ისტორია აქვს, ჩვეულებრივ გაგებულია, როგორც სევდის რომანტიკოსი. ძიება მიუწვდომელის, უსაზღვრო სივრცეები, შორეული ნაპირები, ცის სილაჟვარდე, უძილო ღამეები. ეს იყო ჩვეულებრივი ფონი მისი შემოქმედების. გალაკტიონ ტაბიძის გავლენაში მოექცა არა ერთი ქართველი მწერალი. ერთ დროს იგი ,,ცისფერი ყანწების" მთავარ ციტადელს წარმოადგენდა. მის უშუალო გავლენაში აღიზარდა მთელი რიგი ახალგაზრდა ,,მწუხარე" პოეტების, რომელთაც პოეზია ნევრასტენიულ წუწუნამდე დაიყვანეს,"– ასე დაიწყებს გალაკტიონის წარდგენას ბესარიონ ჟღენტი (ჟღენტი 1925, 165–166) და სიახლე:

,,1924 წელს ტაბიძისათვის აღმოჩნდა ახალი ტემა: – რევოლიუცია...

აღსანიშნავია, რომ ამ პოემებსა და ლექსებშია გრძნობა რევოლიუციის მხოლოდ გარეგანი პათოსი; **რევოლუცია – როგორც ნგრევითი დინამიკა** *(ხაზგასმა ჩვენია–რ.ნ.)*. აქ არ სჩანს მეორე მოგონება რევოლიუციის, მეორე სახე ამ იანუსის, რაც მთავარია და არსებითი – რევოლიუციის იმანენტური აზრი და იდეა. ამიტომაა რომ რევოლიუციას ანალოგიათ ყოველთვის აღებული აქვს ქარი, ამღვრევა, სისხლი, ცეცხლი – საერთო მსხვრევა და განადგურება. ასევეა გაგებული რევოლიუცია ალ. ბლოკის ,,თორმეტშიაც" (ჟღენტი 1925, 166). კრიტიკოსი გალაკტიონის პოემას არ ასახელებს, მაგრამ ბლოკის მინიშნებამ, როგორც იტყვიან, ,,გაჟონა". აქ მისეული დასკვნაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჭკვიანი კაცია ბესარიონ ჟღენტი და არც ლოგიკას მოკლებულ დასკვნას გამოიტანს:

,,მისთვის რევოლიუცია უმთავრესად ათვისების ობიექტია და იგიც იძლევა მის აღწერილობით ქრონიკას. შეასრულებს თუ არა გალაქტიონი რევოლიუციის მე–2 მხარეს მისი შინაარსის, მისი იდეის და ამ იდეის განხორციელების მოცემას? პასუხი ძნელია"(ჟღენტი 1925, 166).

რატომ გაახსენდა ამ კონტექსტში ქართველ კრიტიკოსს რუსული ნაწარმოები? თან 1924 წელს გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნიმუშთან მიმართებით.

პოემაში გალაკტიონი ორ ლიტერატურულ ტექსტს ახსენებს ერთმანეთის გვერდით:

,,თორმეტი" – ალექსანდრ ბლოკის, / ,,რამდენიმე დღე პეტროგრადში" ჩემი (ტაბიძე 1989, 12).

ის მიზანმიმართულად ახსენებს ამ ნაწარმოებებს.

ჩანართის სახით. *გალაკტიონმა ჯერ კიდევ საეტაპო წიგნში ,,არტისტული ყვავილები“ (1919წ.) შეიტანა ლექსი, რომელშიც ის დღეები გაიხსენა, ასეც დაარქვა: ,,რამდენიმე დღე პეტროგრადში“. გამორჩეულად მოსმული მხატვრული ფუნჯი და შესაბამისად, სურათიც:*

დაეშვა თოვლი, ფრინველი ლიბრი / ბოლოდაწყობილ ფრთების ჭაღარით /და ჩონჩხებიან ხეების ჯიბრი / დაფარა ნაბდით ნაყაჩაღარით (ტაბიძე 1993, 147).

ათოვს გარემოს: სახლებს, ბაღებს, მარტოობისთვის განწირულ გამვლელებს და მოულოდნელი შეკითხვა, რომელსაც დიდი პოეტი თავის თავს და ეგებ, მკითხველსაც დაუსვამს – ლექსშიც, ისევე, როგორც პოემაში, ის ორი ქართველი ხელისუფალი, სოციალ–დემოკრატი გაახსენდება:

მაინც სად გაქრა ეს წერეთელი, / ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი! / ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი: / სიკვდილი ერთი და უცაბედი.

ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს – ,,როგორც ასეთი“?

პოემა გრძელდება:

პეტერბურგისკენ, / პეტერბურგისკენ ქარსა და წვიმაში / მივანგრევდი / ფანტასტიურ მგზავრებს პეტერბურგისაკენ.

დეპეშა! პეტროგრადიდან ამბავი მოვიდა: მოხდა რევოლუცია. საინტერესოა, რა კუთხით დაინახავს გენიოსის თვალი. იცვლება კლიმატი და მისთვის იცვლება ამგვარად: ,,ამინდთა სინოტიე./ სითბო ყინვის./ ტალახიანი ჰაერი/... ყველაფერი ნისლის ფერია“. ვფიქრობ, ეს დროის ნიშანია და არა ამინდის, რადგანაც

ეკითხნა ვისმეს მაშინ საათი, / ვუპასუხებდი: / მარადისობა! / . . . . /. . . . / ხვალ – არ არსებობდა! (ტაბიძე 1989, 15).

ეს კონტრასტია. **ეს გალაკტიონის რევოლუციაა.** ექსპრესიულად აღწერს, რა ხდებოდა ამ ქვეყანაში: როგორ იქცეოდა სისხლის წყაროები მდინარეებად, ინგრეოდა სახლები, იღეწებოდა ფანჯრების მინები, იდუმალი შიში ეფინებოდა გარემოს, ცეცხლი და ალი მოსდებოდა არემარეს.

ადამიანები ალზე მოძრაობდენ / ცოცხალი ფესვებივით, / მოსკოვი გუგუნებდა, როგორც მუხა – / და პირიდან აფრქვევდა ტყვიებს, / როგორც რკოებს.

დავსვათ შეკითხვა: რამდენად ხედავს ავტორი მომავლის პერსპექტივას? ზოგადად, ,,ხედვის და მიღების“ აღქმაზე ძალიან ზუსტად დაწერს მიხეილ კვესელავა: ,,კაცმა რომ თქვას, ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ უყურებს მომავლის პერსპექტივას, სჯერა მისი თუ

რილკესავით აცხადებს, ,,მომავალი ჯერ არ დაწყებულაო“. ასეთი კითხვა ელიოტის წინაშე არც დგას, რადგან მისთვის წარსულიცა და მომავალიც მხოლოდ აწმყოშია მოცემული – ,,და ყველაფერი ყოველთვის არის ახლა“. ამასვე გულისხმობს გამოთქმები: ,,წარსულის აწმყო“, ,,მომავლის აწმყო“, რასაც ჯ. ჯოისი ,,დროის სიმულტანურ ერთიანობას“ ან ,,წარსულისა და მომავლის აწმყოში რეალურ არსებობას“ უწოდებს“ (კვესელავა 1977, 37).

ამ სურათებს ერთდროულად ხედავს და განიცდის როგორც ქართველი, ისე ამერიკელი პოეტი, ყოველ შემთხვევაში, გალაკტიონი ასე თვლის. პოემის ფინალში უცხოელი უკვე აღარაა ცოცხალთა შორის:

წითელი მოედანი, / სადაც განისვენებს / ჯონ რიდი – / პოეტი რევოლუციის,/ დელეგატი/ III ინტერნაციონალის–/ პიროვნება, რომელთან ერთად განვიცადე / რევოლუცია... / მთელი სიმწარე მოვლენების / და მთელი სიტკბო, /რომ ეს სტიქია / უჩემოდ არ ჩატარებულა... (ტაბიძე 1989, 36).

ამ ურთულეს დღეებს მხოლოდ ის ხიბლი და ,,სიტკბო“ თუ ექნებათ, რომ შემოქმედი ამ ისტორიული მოვლენების უშუალო თვითმხილველია და სხვისი შთაბეჭდილებების ფურცლებიდან წაკითხვა არ მოუწევს. 1920 წელს ამერიკელი მწერალი გარდაიცვალა. უცნაურია, რომ მოსკოვში, კრემლის კედელში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ლიდერების დაკრძალვის საპატიო სივრცედ მიიჩნეოდა, ჯონ რიდიც განისვენებს. როგორც ჩანს, ხელისუფლებისათვის ავტორი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მასშტაბების გარკვეულ სიმბოლოდ იქცა *(მოგვიანებით, მასზე არაერთი განსხვავებული მოსაზრება დაიწერება, მაგრამ ეს უკვე ისტორიკოსების საქმე იქნება და არა პოეტისა).*

ჟურნალი ,,მნათობი“ #1(9) 1925 წელს ბიბლიოგრაფიის რუბრიკაში გ.ა.–ს ხელმოწერით *(იოსებ ლორთქიფანიძის განმარტებით, გობრონ აგარელი იგულისხმება, გობრონ ციცქიშვილი (აგარელი))*, 251 გვერდზე დაბეჭდავს პატარა ნარკვევს, სათაურით: ,,გალაქტიონ ტაბიძე. ,,ჯონ რიდი“. მართალია, 1925 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ დაწერის თარიღად წერილს მითითებული აქვს 1924 წელი, ანუ სწრაფი გამოხმაურებაა.

,,ჯონ რიდი“ (ანუ ,,ორი პოეტი რევოლიუციის ცეცხლში“, დავუმატებდი მე; ეს ორი პოეტი – ჯონ რიდი და გალაქტიონ ტაბიძე არიან) – ,,ჯონ რიდი“, ეს პოემა არის მოგონება მე-III ინტერნაციონალის კეთილშობილ დელეგატზე, მოგონება, რომლის ფონზე გადაშლილია რევოლიუციის ცეცხლში მყოფ რუსეთის სამოქალაქო ომის სურათები“ (გ.ა. 1925, 251), – ამ სიტყვებით დაიწყებს და განაგრძობს:

,,გალაქტიონ ტაბიძე პირადად ღებულობდა მონაწილეობას რუსეთის რევოლიუციაში. ამ მხრივ ის პოემა უნდა პოეტის დღიურად ჩაითვალოს...

...მე ვამბობ, რომ მხოლოდ გალაქტიონ ტაბიძეს შეეძლო პირადი და მასების განცდები და ნგრევის სურათები ფანტასტიკის რკალში მოემწყვდია, მაგრამ ამავე დროს მხატვრულ რეალიზმს არ გასცილებოდა. ამიტომ იძლევიან ,,ჯონ რიდის“ სტრიქონები იმ წითელი ყვავილების შთაბეჭდილებას, რომლებიც დარჩენილია რევოლუციის დროიდან.

როდესაც პოემას კითხულობთ, თქვენ ფეერიულად წარმოგიდგებათ თვალწინ ის ხანა, როდესაც რუსეთი უზარმაზარ კოცონს წარმოადგენდა“ (გ.ა. 1925, 251).

ის, რაც ვერ დაინახა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა და, კაცმა რომ თქვას, არც პოემაშია დომინანტი კი არა ნახსენებიც კი, გობრონ აგარელისთვის რატომღაც თვალნათელია: ახსენებს გაჭირვებას, შიმშილს, კლასთა დრტვინვას და იქვე: ,,ამ ნისლში მაინც შეუდრეკელად იდგა მუშის ფიგურა, სოციალიზმის სხივებით განათებული“.

ეს ასე არაა. პოემაში არაა. ერთ მაგალითად შემიძლია მოვიტანო ეპიზოდი, მინებჩალეწილი მატარებელი პეტერბურგში რომ მიდის. აქ ავტორ–პერსონაჟიცაა. ,,თევზისა და ჩექმების სუნით სავსე მატარებელი“, რომელშიც ტევა არაა, მის დაკვირვებულ თვალს არაფერი გამოეპარება; და ამ ე წ. ,,ჩაკეტილი სივრცის“ აღწერას შეუდგება: ბავშვები ჭიიანი და მატლებიანი პურის ქერქით რომ იღმურძლებიან, ვიღაცეები ჩხუბობენ, ვიღაცეები იწყევლებიან, ვიღაცეები ძველ დროს ნატრობენ. მოკლედ, აქაც ერთი ცოდვის ტრიალია... და აქვე, ახლოს, ვაგონშია ერთი ჯარისკაცი; ენაბრგვილი, ცალთვალა, ნაყვავილარი პირისახის, რომელიც მუნჯივით დგას *(აღწერაში უკვე გასაგებია, რომ მთლად დადებით გმირს არ უნდა ელოდოს ამბის დასასრულის მომლოდინე)* და მოულოდნელად ავტორ–პერსონაჟი შენიშნავს:

წითელი ვარდივით / იშლება სისხლი. / ,,სისხლი“, _ ვამბობ მე / ,,სისხლი“, ამხანაგო. /სხვებმაც დაინახეს და შეწუხდნენ: შენ ალბათ / დაჭრილი ხარ, / გულთან. / უხსნიან ფარაჯას.

აქაც გაწბილებულს დატოვებს თავის მკითხველს რევოლუციის მემატიანე. მოლოდინი არ გამართლდა: ნათელი მომავლისათვის თავგანწირული მებრძოლის ნაცვლად, ეს ერთი ჩვეულებრივი გარეწარია, რომელსაც ქალისთვის ხელი გადაუჭრია მაჯაში, თითებზე ოქროს ბეჭდებითა და ბრილიანტებით და იმ ცოდვამ (იმის სისხლმა) გამოჟონა. ამის დამნახავი ხალხი რას იზამდა? სასიკვდილოდ გალახეს და გადააგდეს მატარებლიდან.

გობრონ აგარელი ბიბლიოგრაფიაში კიდევ ერთხელ ახსენებს მთავარ პერსონაჟს:

,,ჩვენ ვხედავთ ...იმ კეთილშობილი პიროვნების აჩრდილს, რომელმაც ასე შეიყვარა სოციალისტური რუსეთი და თავისი სიცოცხლე

შესწირა მას *(იგულისხმება ჯონ რიდი–რ.ნ.)* დავაზუსტებ, ის რევოლუციის ბარიკადებზე არ დაღუპულა, ტიფით გარდაიცვალა.

და ბოლოს მისეული დასკვნა: პოემა ,,მომავალშიც არა ერთხელ მოხიბლავს და ჩააფიქრებს ადამიანს“(გ.ა. 1925, 252).

ჩაფიქრებით უთუოდ ჩააფიქრებს ავტორ–პერსონაჟზე, მთავარ პერსონაჟზეც, იმ უმთავრესი სათქმელის სურვილზე და რასაკვირველია, დიდი მთხრობელის ახალ მხატვრულ–პოეტურ შესაძლებლობაზეც.

გალაკტიონის პოემა ,,ჯონ რიდი“ – დიდ ეკრანზე გამოტანილი მხატვრულ–დოკუმენტური კადრებით.

ლიტერატურა

გ.ა. 1925. ,,გალაქტიონ ტაბიძე. ,,ჯონ რიდი“. *ჟურნალი მნათობი,* #1(9) I. ტფილისი.

გამსახურდია, კ. 1963. *რჩეული თხზულებანი.* რვატომეული, ტ. VI ,,IN MEMORIAM SABA ORBELIANI”. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“.

კვესელავა, მ. 1977. *პოეტური ინტეგრალები, გალაკტიონ ტაბიძე და თანამედროვე პოეზია.* თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“.

ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან. 1987. თბილისი: ,,მეცნიერება“.

ტაბიძე, გ. 1993. *არტისტული ყვავილები.* თბილისი.

ტაბიძე, გ. 1977. *რჩეული,* ,,ჩემო იარალი“. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“.

ტაბიძე, გ. 1989. *თხზულებანი ორ წიგნად,* წიგნი 2. *პოემები, პროზაული ნაწერები.* თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“.

შარაძე, გ. 1991. *უცხოეთის ცის ქვეშ.* წიგნი I. თბილისი:, ,მერანი“.

წერეთელი, ირ. 1926. ,,კარლო ჩხეიძე“, *ჟურნალი ბრძოლა,* #12–13. VII. პარიზი.

ჟღენტი, ბ. 1925. ,,1924 წელი ქართულ ლიტერატურაში,“ *ჟურნალი მნათობი,* #1(9). I. ტფილისი.

საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, *გალაკტიონ ტაბიძის არქივი,* დღიური 549, გვ.3.

Literature and Literary Theory

John Reed - a Character from a Georgian Poem

Rusudan Nishnianidze
rusudann@yahoo.com
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.06

Every new era brings its own views and values, both in politics and in culture. The beginning of the 20th century in Georgia also started with very complex events. The poem Galaktion Tabidze would write in 1924 is titled: ,,John Reed." Who was he, and why did this person interest the Georgian poet so much that he brought his name and surname into the title of the poem? An American journalist and writer. In March 1919, his famous book ,,10 Days That Shook the World" was published in New-York in English. It is precisely these words that the Georgian poet quotes in the poem. His text describes the October Revolution in Russia in 1917. As mentioned, John Reed himself was in the country at that time, as a direct witness to the events. These images are seen and experienced simultaneously by both the Georgian and the American poet-at least, this is how Galaktioni perceives it. Galaktion Tabudze's poem ,,John Reed" - artistic-documentary frames brought onto the big screen.

Keywords: *Politics, Culture, Poetry, Georgian poet, American poet*

Every new era brings its own views and values, both in politics and in culture. The beginning of the 20th century in Georgia also started with very complex events. There was reassessment, but there were also many innovative developments, especially in literature. I mean not only literary genres, but also themes. The formation of several literary groups *(Symbolists, Futurists, the Academic Group, and Proletarian Literature)* created a completely different aesthetic space.

,,I stand on the mountain, I stand alone, / intoxicated by a new vision," - Galaktioni notes (Tabidze 1977, 374).

There were indeed many ,,new visions." In fact, the poem he would write in 1924 is titled : ,,John Reed." In every text, the title is of utmost importance. ,,A title is like the first swing of a warrior's sword," wrote Konstantine Gamsakhurdia (Gamsakhurdia 1963, 146). Why John Reed? Who was he, and why did this person interest the Georgian poet so much that he brought his name and surname

into the title of the poem? Was he a real person or an invented character?! One evening, Galaktioni titles a diary entry as follows: ,,John Reed." An expectation arises that he will say something about this person. Where did the idea come from to make a real person the main character? Yet, he does not say a word about him. Excerpt: ,,Ancient Russia - that night lay like a wooden log, a stump, in the forest, which was being struck by an axe; sheets of fire, and leaves lay scattered across the field like books."

Enslavement placed a huge lock on Russia. The people found the key" (SSLM, diary 549, p. 3). Here I will also note that these phrases are already included in the text exactly as written, unchanged (,,Russia that night lay / like a wooden log, a stump, / in the forest…").

The poem was published in the 1924 issues # 4-5 of the journal ,, Mnathobi". In a letter sent on July 18 to Olia Okudzhava, he himself writes with excitement: ,,John Reed' - is creating a real sensation - although it has not yet been released… The journal has been printed. It will be out today or tomorrow." He begins preparing it for publication as a book. He also writes to Olia about this: ,,I have started rewriting my book. The book will be ready in two weeks. From the first of August, I will begin printing and will finish on the 15th" (Tabidze 1987, 197).

The poem was published as a book. The text is interesting from many perspectives, but this time I will refer to one fragment:

,,Ten days / that shook the World" / have passed. / But still, there can be seen / a huge placard - / ,,All power / to the Constituent Assembly." / Oh, of course, they were not waiting for me / when with great speed / I was hurrying from Georgia. /He came from New-York… / The real John!" (Tabidze 1989, 35)

Two people - the author-character and the main character, coming not only from different countries but also from different continents, are supposed to meet each other. And the meeting took place.

,,We met - when the shackles were felt… / and the times of destruction. / When the masses plunged / into fierce struggle, / We were together" (Tabidze 1989, 35).

Afterwards, he will repeatedly use the pronoun ,,we" (with a symbolic meaning, of course).

And yet, who was John Reed in reality? An American journalist and writer. A graduate of Harvard University (according to some sources, college), where he studied from 1906 to 1910. A tall, good-looking, cheerful young man, involved in all kinds of student activities, who was awarded the title of ,,Ivy orator and poet." In his senior years, he became interested in politics and attended meetings of the ,,Socialist Club."

Already as a young man, he traveled across European countries. Along

the way, he also earned his living through physical labor. Later, many events happened to him, but going to Russia became his firm decision. He arrived in Petrograd together with a friend. In reality, both in life and in their creative work, this proved important to both of them. Bryant (his friend) published a book titled ,,Six Red Months in Russia."

John Reed became acquainted with Lenin, Trotsky, Kamenev… It is said that he not only attended the opening of the Third Congress of the Soviet Union but also delivered a short speech. In March 1919, his famous book ,,10 Days That Shook the World" was published in New-York in English. It is precisely these words that the Georgian poet quotes in the poem. Reed's sympathy toward socialism is well known. His text describes the October Revolution in Russia in 1917. As mentioned, John Reed himself was in the country at that time, as a direct witness to the events.

He mentions a number of leaders of the revolution. In the book "Under Foreign Skies," G. Sharadze cites Reed's phrase, which the American uses when evaluating the activity of Karlo Chkheidze: 'the old eagle of the Russian Revolution' (Sharadze 1991, 38). This name appears quite naturally in this context; since 1907, Chkheidze had been a deputy in the III and IV State Duma of Russia. During the days of the February Revolution of 1917, the Soviet of Workers' and Soldiers' Deputies was formed in Petrograd, and he was elected as its first chairman. He was also the chairman of the first convocation of the All-Russian Central Executive Committee.

The author, the book, and the time are indicated very precisely. In the poem, one can read the era, the mood, and the chaos that prevailed at that time in Petrograd and Moscow. There are many vivid phrases here, more precisely, strokes, that paint a detailed panoramic picture: ,,Rasputin's cigarettes," ,,Kerensky's appeal and Kronstadt," ,,a fallen tree on Tver Boulevard," ,,children wandering," ,,a book… ,,Pro Grishku", ,,Pro Sashku", ,,Pro Tsarya Nikolashku," ,,a crushed head, / impossible to recognize," ,,Andrei Bely waiting at a meeting," and right there:

Portraits: ,,of Irakli Tsereteli, / of Kerensky, / of Rodzianko, / of Chkheidze, / of Chernov" (Tabidze 1989, 11).

Two Georgians are mentioned in the work. This is history. Real history. Party comrades. No other Georgian politician is named in the poem. The lyrical hero, however, continues to describe the struggle:

,,Continuous cannonades. / Terrible hunger, / and I with a rifle" (Tabidze 1989, 10).

There are also quite naturalistic scenes in the work. At times, the author seems no longer concerned with rhyme; however, the rhythm is maintained.

These are street scenes. The situation in hospitals is no better. And yet, there it should be at least somewhat different. Unattended, dead people are brought in, whose identities no one knows. They have neither passports nor any documents. Gymnasium students are distinguished by their clothing, although this 'distinction' is very conditional: 'parts of the body: / right hand / left hand.' Women enter in tears, who, among hundreds of laid-out dead / search for their sons, search for their fathers… 'with broken bones, / with spilled brains, / with shattered faces' " (Tabidze 1989, 22).

And the question arises: what did the revolution bring? This is a description; it is not an ideological attitude. What is it like to witness this and to desire to capture it?! Here, Mayakovsky's phrase may come to mind: ,,One should not write about war, one should write war" (Mayakovsky 1977, 246). And in this bacchanalia, precisely a Galaktionian artistic image:

,,There stands one grand / chair, / which indeed has / three legs broken, / and on it, barely sitting, / remains old Russia" (Tabidze 1989, 24).

This, of course, will immediately be noticed by an attentive critic. In the pages of the 1925 journal ,,Mnathobi," issue #1(9), an article by Bessarion Zhghenti is published, titled: ,,The Year 1924 in Georgian Literature." He reviews French, German, and Italian literature (in a general overview, of course), and names many authors: Guillaume Apollinaire, Paul Fort, Paul Claudel, Jammes, Suarès, D'Annunzio, Marinetti, Gorodetsky. He speaks about war and peace… Then he turns to Georgian literary journals of 1924, briefly discussing about 15 authors and their texts. ,,To be continued"- is indicated at the end of the article. Galaktioni appears in this first part.

,,In 1924, for Tabidze, a new theme emerged: the revolution…

It should be noted that in these poems and verses, there is only the feeling of the external pathos of the revolution; the revolution as a destructive dynamic (emphasis ours - R.N.). Here, the second perception of the revolution is not visible, the second face of this Janus, which is the most essential, the immanent meaning and idea of the revolution. That is why the revolution is always analogized with wind, turmoil, blood, fire, general destruction, and annihilation. The revolution is understood in the same way in Alexander Blok's ,,The Twelve as well" (Zhghenti 1925, 166).

The critic does not name the poem itself, but the reference to Blok has, as they say, ,,leaked through." His conclusion here is also very important. Bessarion Zhghenti is an intelligent man, and he draws a conclusion that is not devoid of logic:

,,For him, the revolution is primarily an object of assimilation, and it provides him with its descriptive chronicle. Will Galaktioni present the second side of the

revolution-its content, its idea, and the realization of this idea? The answer is difficult" (Zhghenti 1925, 166).

In this context, why did the Georgian critic recall a Russian work? Especially in relation to a literary piece published in 1924.

In the poem, Galaktioni mentions two literary texts side by side:

,,The Twelve" - by Alexander Blok, / ,,A Few Days in Petrograd" - mine" (Tabidze 1989, 12).

He deliberately mentions these works.

A dispatch! News has arrived from Petrograd: a revolution has occurred. It is interesting from what angle the eye of a genius will perceive it. The climate changes, and for him it changes in this way: 'the dampness of weather, / warmth of frost, / muddy air… everything is the color of fog., I think this is a sign of time, not of weather, because

,,If someone had asked me the time then, / I would have answered: / Eternity! / …. /…. / Tomorrow did not exist! " (Tabidze 1989, 15).

Let us ask a question: to what extent does the author see the perspective of the future? In general, Mikheil Kveselava writes very precisely about the perception of ,,seeing and acceptin": ,,Strictly speaking, it depends on how one views the perspective of the future—whether one believes in it or, like Rilke, declares that ,,the future has not yet begun." Such a question does not even arise before Eliot, because for him both the past and the future are given only in the present-,,and everything is always now." This is what is meant by expressions such as ,,the present of the past," ,,the present of the future," which J. Joyce calls ,,the simultaneous unity of time" or ,,the real existence of the past and the future in the present" (Kveselava 1977, 37).

These images are seen and experienced simultaneously by both the Georgian and the American poet-at least, this is how Galaktioni perceives it. In the finale of the poem, the foreigner is no longer among the living:

,,Red Square, / where rests / John Reed - / poet of the revolution, / delegate / of the Third International - / a person / with whom I experienced / the revolution" (Tabidze 1989, 36).

In 1920, the American writer died. It is remarkable that in Moscow, in the Kremlin wall, considered an honorary burial place for the leaders of the Soviet government, John Reed also rests. Apparently, for the authorities, the author became a certain symbol of the scale of the international communist movement. (Later, many differing opinions would be written about him, but this would already be the work of historians, not the poet.)

In 1925, in issue #1(9) of the journal ,,Mnathobi", in the bibliography section, under the signature G.A. (according to Ioseb Lortkipanidze, this refers to Gobron

Agareli, Gobron Tsitskishvili (Agareli)), on page 251, a short essay is published titled: ,,Galaktion Tabidze. ,,John Reed." ,,John Reed" (that is, ,,Two poets in the fire of the revolution," - he thinks, reflects, and concludes: the poem ,,will more than once in the future captivate and make a person reflect" (G.A. 1925, 252).

It will certainly make one reflect on the author-character, on the main character, on the desire to express the central message, and, of course, on the great narrator's new artistic and poetic possibilities.

Galaktion Tabidze's poem ,,John Reed" - artistic-documentary frames brought onto the big screen.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

გენდერული საკითხები თამაზ ბიბილურის პროზაში

თამთა შავიანიძე
tamta.shavianidze@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.07

თანამედროვე სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გენდერული საკითხები ერთ-ერთ ცენტრალურ საკვლევ თემას წარმოადგენს. გენდერი, როგორც სოციალურ - ჰუმანისტური კონსტრუქტი, განისაზღვრება კულტურულ, ისტორიულ და ლიტერატურულ კონტექსტში, რაც ნიშნავს, რომ ქალისა და მამაკაცის როლი, უფლებები და სტატუსი დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მხატვრული ლიტერატურა, როგორც კულტურული დისკურსის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილი, ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, გენდერულ როლებსა და იერარქიას. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში გენდერული საკითხების კვლევის დროს საინტერესოა თამაზ ბიბილურის პროზის ფემინისტურ ჭრილში შესწავლა. ბიბილურის ქალი პერსონაჟები თავის თავში აერთიანებენ ტრადიციული ყოფისა და თავიანთი თანამედროვეობის გავლენებს. მწერლის თითოეული ქალი პერსონაჟი საინტერესოა იმ კუთხითაც, რათა გაირკვეს, თუ როგორი ცხოვრებით უწევდათ ცხოვრება ქართველ მანდილოსნებს გასული საუკუნის პატრიარქალური საზოგადოების წიაღში.

საკვანძო სიტყვები: *გენდერული საკითხები, ქალი პერსონაჟები, უთანასწორო საზოგადოება*

თანამედროვე სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გენდერული საკითხები ერთ-ერთ ცენტრალურ საკვლევ თემას წარმოადგენს. გენდერი, როგორც სოციალურ-ჰუმანისტური კონსტრუქტი, განისაზღვრება კულტურულ, ისტორიულ და ლიტერატურულ კონტექსტში, რაც ნიშნავს, რომ ქალისა და მამაკაცის როლი, უფლებები და სტატუსი დროთა განმავლობაში იცვლებოდა.

გენდერული საკითხების ისტორიული განვითარების ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ გენდერული როლები და ქალთა სტატუსი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ სტრუქტურებთან. უძველესი ეპოქის

სიმბოლური მატრიარქალურობიდან შუა საუკუნეების პატრიარქალურ დისკურსამდე, განმანათლებლობის ეპოქის ინტელექტუალური გამოწვევებიდან ფემინისტური მოძრაობების პოლიტიკურ აქტივიზმამდე, გენდერული საკითხების მიმართ დამოკიდებულება ეტაპობრივად იცვლებოდა. უძველეს კულტურებში ქალს მნიშვნელოვანი როლი ეკავა რელიგიურ და ოჯახურ ცხოვრებაში (Lynn Meskell 1999). ანტიკურ საბერძნეთსა და რომში ქალთა სტატუსი მკაცრად იყო განსაზღვრული. ათენში ქალები პოლიტიკური და საჯარო ცხოვრებიდან გამორიცხულნი იყვნენ და მათ როლი ძირითადად საოჯახო სივრცეში ჰქონდათ (Mary Beard 2017). შუა საუკუნეების ევროპაში გენდერული როლები ქრისტიანულ დოგმატიკაზე იყო დაფუძნებული. ქალის ადგილი განისაზღვრებოდა ოჯახის, სიწმინდისა და მორჩილების კონტექსტში (Bynum 1987). XIX საუკუნიდან გენდერული მიმართულებები ორგანიზებულ მოძრაობად ჩამოყალიბდა. XX–XXI საუკუნეების გენდერული თეორიები კი ხაზს უსვამს, რომ გენდერი სოციალური კონსტრუქციაა და ძალაუფლებრივ ურთიერთობებთან არის მჭიდროდ დაკავშირებული (Judith Butler 1990). ამდენად, მხატვრული ლიტერატურა როგორც კულტურული დისკურსის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილი, ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, გენდერულ როლებსა და იერარქიას.

ქართულ მწერლობაში გენდერული საკითხების კვლევა შედარებით ახალი და აქტიურად განვითარებადი მიმართულებაა. თანამედროვე მკვლევრები მაქსიმალურად ცდილობენ ფემინისტური თეორიების ინტეგრირებას ქართული ტექსტების ანალიზში, რაც ხელს უწყობს ქალის როლის, იდენტობისა და გამოცდილების შეფასებას ერვნულ ლიტერატურულ დისკურსში.

ქართულ მწერლობაში გენდერული საკითხების კვლევის დროს საინტერესოა თამაზ ბიბილურის პროზის ფემინისტურ ჭრილში შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ მწერლის შემოქმედება სრულიად სხვა პრობლემებისა და თავისებურებების გამოა სამეცნიერო საზოგადოების ინტერესის ობიექტი, მის ტექსტებზე კარგი დაკვირვებით ნათლად წარმოჩნდება ქართველის ქალის მდგომარეობა, შინაგანი დრამატიზმი და სოციალური გარემოს ზემოქმედების შედეგები. ბიბილურის ქალი პერსონაჟები თავის თავში აერთიანებენ ტრადიციული ყოფისა და თავიანთი თანამედროვეობის გავლენებს. მწერლის თითოეული ქალი პერსონაჟი საინტერესოა იმ კუთხითაც, რათა გაირკვეს, თუ როგორი ცხოვრებით უწევდათ ცხოვრება ქართველ მანდილოსნებს გასული საუკუნის პატრიარქალური საზოგადოების წიაღში.

პროზაიკოსის რომანებში, მოთხრობებსა და მინიატურებში არც თუ ისე ცოტა ქალი პერსონაჟი ჩანს: ნათლიდედა, შუქია, გარსოს დედა, ელისო,

ლელა ღუდუშაური, მაიკო და სხვანი ქართველი ქალის განზოგადებულ სახეს წარმოადგენენ. მწერალი ქალს თითქმის ყველა ასპექტში წარმოაჩენს: ოჯახურ გარემოში, როგორც მეუღლეს, დედას, ბებიას, რძალს; სოციუმში, სასიყვარულო ურთიერთობაში. მათი ნაწილი არამხოლოდ მორალური ზნეობრიობის ნიმუში, არამედ დამოუკიდებელი, სოციალური და ჰუმანისტური თვალსაზრისით მამაკაცთა თანასწორნი არიან, ნაწილი კი გავრცელებული „ტრადიციული" შეხედულებების მსხვერპლნი.

მწერალის შემოქმედების ფემინისტური მხარის შესწავლა მოთხრობის „ყველაწმინდა" მთავარი გმირის თინია - ნათლიდედას სახის ანალიზით უნდა დაიწყოს. იგი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პერსონაჟია ბიბილურის მთლიან პროზაში, რაც ხაზს უსვამს თავად მწერლის დამოკიდებულებას ქალის, როგორც საზოგადოების თანასწორუფლებიანი, მეტიც, აღმატებული წევრის მიმართ. ნათლიდედას პერსონაჟი თავის თავში აერთიანებს სტერეოტიპული აზროვნების მსხვერპლისა და ემანსიპირებული მანდილოსნის სახეს.

თინიას ტრაგიკული ცხოვრების სათავე საზოგადოების ანტიფემინურ დამოკიდებულებებს დამორჩილებული მისივე ოჯახია, დაობლებულ გოგონას, მოჩვენებითი მზრუნველობით, ნაადრევად ათხოვებენ ასაკით უფროს კაცზე. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ გადაწყვეტილების მიმღებნი ქალები არიან, თიანიას ბიცოლა და ბებია. მათი სახით მწერალი აჩვენებს ხალხის გადაგვარებული აზროვნების შედეგს, იმდენადაა ფესვგადგმული სტერეოტიპები, რომ თავად ქალები ხდებიან დაუნდობელნი საკუთარი სქესის წარმომადგენლის მიმართ. ბებიაც და ბიცოლაც იმ გარემოს მხსვერპლი, შემდეგში კი უკვე ნაწილი ხდებიან, სადაც ბავშვს ბავშვობას არ აცდიან, ხოლო ქალი შვილების გაზრდისა და ქმრის მორჩილებისთვისაა შექმნილი.

საზოგადოების მიერ ქალის აზრისა და სურვილების გაუთვალისიწნებლობა ძალიან კარგად ჩანს თინიას ფიქრებსა და განცდებში. დაუმორჩილებლობას მიჩვეულმა ბავშვმა, თავიდან წინააღმდეგობის გაწევა სცადა და ქმრის სახლიდან გამოიქცა, მაგრამ ისევ სოციუმის ძალმომრეობისა და მკაცრი გავლენების გამო იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, ცხოვრების მძიმე ჭაპანი რუდუნებით ეტარებინა. ამიტომაც, მოთხრობის ერთი ნაწილი, თითქოს ქალის, როგორც ინდივიდის მარცხით სრულდება. მწერალი დაუფარავად ამხელს თანამედროვეთა დამოკიდებულების - ქალის ნივთად მიჩნევის მასშტაბურ გავრცელებას.

თუმცა მოთხრობის მეორე ნაწილში უუფლებო ქალის სრული ტრანსფორმაცია ხდება. თინია საკუთარი გონიერებისა და მორალური

პასუხისმგებლობის საშუალებით ახერხებს თავად საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას/გამოფხიზლებას. თანასოფლელელბი პატივს სცემენ და ნათლიდედას არათუ მამაკაცის თანასწორად, არამედ აღმატებულ, მისაბაძ საზომადაც აღიარებენ.

ბიბილური ერთი მოთხრობის სიუჟეტში ორ სხვადასხვა გარემოს აღწერს, სადაც უპირატესობა ჯანსაღად მოაზროვნე ხალხს ენიჭება. ტექსტის ბოლოს დანანებით ისმის სოფლის საწუხარი: „მას შემდეგ სოფელს ნათლიდება აღარ ჰყავს“ (ბიბილური 1972 56), რითიც იხსნება ქალის ფუნქცია და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ერთი შეხედვით უბრალო რეპლიკა მიანიშნებს, რომ ფემინური ძალისა და გავლენების შედეგად მთლიანი სოციუმი უფრო ჰუანისტური და შემწყნარებელი ხდება. მოთხრობაში ქალი წარმოადგენს საზოგადოების მორლალური და სოციალური ყოფის ბერკეტს. ნათლიდედას გარეშე არავინ და არაფერი არსებობდა სოფელში, ყველას მისი ხათრი და რიდი ჰქონდა. ჯუღურას გულამოსკვნილი ტირილიც, ნათლიდედას საფლავთან, ერთგვარი სიმბოლური გამოხატულებაა იმ წუხილისა, რაც ანტიფემინური შეხედულებების ტყვეობაში ყოფნის სინანულითაა გამოწვეული.

თინიას ცხოვრების აღწერით პროზაიკოსი მკაფიოდ აჩვენებს იმ გაორებულ აქცენტებს რაც ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ არსებობდა მის თანამედროვეთა შორის. დანარჩენ ტექსტებში უკვე ცალსახად ხატავს მორჩილი, დაბეჩავებული ანდა სრულად ემანსიპირებული ქალის ტიპს.

ამ კუთხით საკმაოდ საყურადღებო პერსონაჟია ჯიღაურის ცოლი მოთხრობაში „ჩივილი“. ეს უკანასკნელი ნათლიდედას სრული ანტიპოდია. დაჩაგრული, შეურაცხყოფილი, უუფლებო წევრია იმ ოჯახისა, სადაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა და ყველაფერი შესწირა. მოთხრობის ტექსტიდან აშკარად ჩანს საზოგადოების უსულგულო დამოკიდებულება ქალების მიმართ. ქმრის მიერ ცოლზე ფიზიკურ ძალადობას, სრულიად აბსურდული მიზეზის გამო, არავინ აღუდგა წინ, მათ შორის არც გოგოს ძმა, რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია. მთელმა სოფელმა იცოდა ჯიღაური, რომ ცოლს სცემდა, მაგრამ ეს ყველასთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, არავინ ცდილობდა კაცის უხეში, მოძალადე ბუნება დაეთრგუნა. ემპათიაგამოცლილი საზოგადოების შვილი - თავად ჯიღაურის ცოლიც იმდენად იყო დაბეჩავებული გარემოს ზემოქმედებით, რომ არასრულფასოვნების კომპლექსს ამოფარებული უტყვად ითმენდა შეურაცხოფას. მისთვისაც ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარიყო ქალზე ძალადობის ფაქტი, როგორც მთლიანი სოციუმისათვის.

ბიბილური მოთხრობაში დეტალურად აღწერს ქალის მოთმინებას, ცდილობს პრობლემის სიღრმე თავად ჩაგრული პერსონაჟის ხასიათის

ჩვენებით დაანახოს მკითხველს. უტყვი, უმოქმედო მორჩილებაა სწორედ ის მანკიერი თვისება ადამიანებისა, რაც ყველას აიძულებს თავდახრილებმა აიტანონ თავსმოხვეული სტერეორიპების სასტიკი ზემოქმედება. ტექსტის მიხედვით, ქალების მხოლოდ მსახურებად წარმოჩენაც სოციუმის მენტალური კრედოს ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. მწერალი ცოლ-ქმრის ამგვარი დამოკიდებულების წარმოსახვით ცდილობს საკუთარ შეცდომებზე დააფიქროს საზოგადოება და აჩვენოს, რომ ოჯახი, სადაც ურთიერთპატივისცემა არ არსებობს ვერასოდეს შექმნის ჯანსაღ საზოგადოებას. სწორედ, გადაგვარებული ოჯახების ერთობლიობა ქმნის ამ შემთხვევაში ანტიფემინური ხალხის ფენას.

მსგავს არაჰუმანურ და უთანასწორო საზოგადოებაში ერთადერთი იმედის ნაპერწკალი ისევ ქალის საქციელიდან მომდინარეობს. როდესაც ცოლ-ქმარს ვაჟი გაუჩნდა ქალმა კატეგორიულად მოსთხოვა ქმარს აღარასდროს დაეკარებინა ხელი მისთვის. აღნიშნული ფაქტი არაჯანსაღ საზოგადოებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი სწორი იდეოლოგიის მანიშნებელია. დედას არ სურდა საკუთარი შვილი, მომავალი მეუღლე და მამა, ისეთივე ყოფილიყო, როგორიც ჯიღაური ან თანასოფლელები. დედას შვილისთვის კლიშეებისგან თავისუფალი ცხოვრება ეწადა, სადაც არა მომეტებული პატრიარქალური წყობა, არამედ თანაბარუფლებიანი, პატივისცემასა და თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოება იარსებებდა.

არანაკლებ საყურადღებო პერსონაჟია შუქია, კითხულის ცოლი რომანში „ჟამი კითხულისა“. მისი მდგომარეობა და სტატუსი ოჯახსა და სოციუმში ნათლიდედას მსგავსად ორაზროვნად შეიძლება იქნას გაგებული. შუქია არის ქალი, რომელიც უკითხავად დაისვა ცოლად გიორგი ბალიაურმა. ჰეროიკული ისტორია, ცეცხლიდან გულწასული გოგოგონას გადარჩენისა, ერთი შეხედვით მხსნელისა და გადარჩენილის სასიყვარულო ამბის საკმაოდ რომანტიკულ სიუჟეტს წარმოადგენს, თუმცა აქაც პრობლემას გაცილებით უფრო ღარმად აქვს ფესვები გადგმული. კითხულს ქალის ცოლად შერთვა მისი ფიზიკური მომხიბვლელობის გამო მოუნდა, თორემ სხვა ფაქიზი გრძნობები არასდროს ჰქონია მეუღლის მიმართ.

შუქია ტექსტში ხშირად არ ჩნდება, მაგრამ სულ იგრძნობა მისი აჩრდილი გიორგი ბალიაურის გვერდით, თავიდან მიუხედავად პატრიარქალური წყობის სიმძლავრისა, თითქოს ქალი გავლენას ახდენდა ქმარზე, ცდილობდა საკუთარი პოზიციები გაემყარებინა ოჯახში, საზოგადოებაში, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა საუკუნეების მანძილზე გამეფებული შეხედულებების დაძლევა და საკუთარი სიმართლის

მიუხედავად იძულებული გახდა უგზოუკლოდ გადახვეწილიყო. რომანში ქალის უმისამართოდ გამგზავრება საზოგადოების ბრბოდ ქცევის ერთ-ერთი გამოხატულება, შუქიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი მამხილებელი სიტყვების გამო „მე მეშინია იმ კაცისა“ ხირჩლას მიმართ სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა და ამჯობინა სოფელს გაცლოდა. სოფლისს მმართველის მეუღლე, რომელსაც საკმაოდ ძალაუფლებით უნდა ესარგებლა, ამის ნაცვლად ოჯახშიც კი მხოლოდ ქმრის სურვილების დაკმაყოფილების საგანი იყო და მეტი არაფერი. აღნიშნული ფაქტით ავტორი მიანიშნებს, მთელი საზოგადოების მდგმარეობაზე - თუკი რანგით ყველაზე მაღლა მდგომი ქალის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება ნორმა იყო, მაშინ უბრალო მკვიდრთა მეუღლეები ხომ გაცილებით უფრო უარეს დღეში იქნებოდნენ.

მიუხედავად მსგავსი ანტიფემინური შეხედულებების მძლავრობისა, თამაზ ბიბილური მაინც ყოველთვის ახერხებს ქალის როლის გამოკვეთას ნებისმიერ ასპექტში და აქაც კითხულის გამოფხიზლებას, ქალის ზემოთ მოყვანილ ნათქვამს უკავშირებს. მართალია სიცოცხლის დათმობის ფასად, მაგრამ ქალმა მაინც მოახერხა და სიმართლეს ფარდა ახადა, მწერალი ყველაზე მკაფიოდ სწორედ აქ ამჟღავნებს ქალთა უმნიშვნელოვანეს როლს არა მხოლოდ ოჯახის, არამედ მთლიანი ერის ცხოვრებისთვის. სწორედ, ქალის დაკვირვების წყალობით შეძლო სოფელმა თავი დაეღწია ხირჩლას ბოროტებისა და კითხულის სუმსგავსო მმართველობიდან, თავად გიორგი ბალიაურმა კი ცოლის საშუალებით მოახერხა საკუთარი ცოდვების მონანიება და სინანულით შეხვდა სიკვდილს.

ქალების მიმართ არასამართლიანი დამოკიდებულება ჩანს მეორე რომანშიც „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“, სადაც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ელისო პირდაპირ ხდება საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპის მსხვერპლი. რა თქმა უნდა, ელისოს შეცდომა მოუვიდა და ქალაქიდან ჩამოსულ უცნობ ვაჟს გრძნობამორეული ენდო, მაგრამ პრობლემა სულ სხვა რამეშია, გოგონა იმდენად დათრგუნული იყო გარშემომყოფთა შეხედულებების გამო, რომ საკუთარ დედასაც კი ვერ გაანდო საწუხარი და იძულებული გახდა სახლიდან გაქცეულიყო. ელისოს ამ დაუკვირვებელი საქციელით მანდილოსნების მიმართ თავად მამაკაცების შეხედულებები აჩვენა მწერალმა. მათთვის სულ ერთი იყო ქალების გრძნობები და მდგომარეობა, მთავარი კი საკუთარი ამორალური სურვილების დაკმაყოფილება და შემდეგ ხალხში სამარცხვინოს სახელის გავრცელება გამხდარიყო. ტექსტიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ ბიჭებისთვის ქალის შეცდება ერთგვარი „სატრაბახო“ საქციელი იყო და არა ზნეობრივი დანაშაული.

ელისოს შემთხვევაშიც მწერალი არ კარგავს საზოგადოების აზრის ცვლილების იმედს და ჩალაურის ნაპირებამდე მისულ გოგონას უკან აბრუნებს, აქტიური ცხოვრებისკენ მოუწოდებს, თითქოს კიდევე ერთ შანსს აძლევს არა მარტო ელისოს, არამედ მთლიან სოციუმს, რათა ყველამ ერთიანად შეძლოს საკუთარ შეცდომებზე სწავლა უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად.

ამავე რომანში უმიზეზოდ აწებებენ მრუშის იარლიყს ქმარსგაშორებულ ქალს, რომელიც ძლივს გაუმკვალდა სოფლის გამგებლის უხამსს სურვილს. ჟუჟუნას სახლის კარიც კი არ გაუღია მისთვის, მაგრამ ქალის კართან მთვრალი გამგებლის ხმის გაგონება საკმარისი იყო თანასოფლელებისათვის, რომ ჟუჟუნა საეჭვო პიროვნებად შეერაცხათ. ქალების მიმართ მსგავსი უსაგნო ნეგატიური დამოკიდებულების ქონა, სწორედაც რომ ნაყოფი იყო დროთა განმავლობაში დალექილი იმ დისკრიმინაციული შეხედულებებისა, რომელიც ხალხს აიძულებდა ქალები, როგორც არასრულფასოვანი უუფლებო ქმნილებები ისე შეერაცხათ. სოფელი იმდენად უმნიშნელოდ მიიჩენვდა ქალის სახელის გატეხვას, რომ არავის აზრად არ მოსვლია სიმართლე გაერკვია.

მიუხედავად მსგავსი პერსონაჟებისა, აღნიშნულ რომანშივე ჩანან აბსოლუტურად სხვა სიმაღლეზე მდგომი ქალებიც, რომელთა საშუალებით ავტორი აჩვენებს რეალურ სურათს თუ როგორი უნდა იყოს ქალის როლი ოჯახსა და სოციუმში.

სრულად ემანსიპირებული ქალების სახეს წარმოადგენენ: მაიკო, გარსოს დედა, კაჭკაჭი დედაბერი და ლელა ღუდუშაური. ისინი ოჯახის წარმმართველი ძალა, საყრდენი და ცხოვრებისთვის გეზის მიმცემნი არიან. მათ გარეშე წარმოუდგენელია რაიმე ნაბიჯი გადაიდგას თავიანთ სახლეულში. თამაზ ბიბილური სწორედ მათი საშუალებით წარმოაჩენს ოჯახის „შემოქმედის“ დედებისა და მეუღლეების სახეს. მაიკო იყო მახაურისთვის იმპულსის მიმცემი, მაიკო აცოცხლებდა საკუთარ კერას; ლელა ღუდუშაურმა გადაურჩინა შვილიშვილის სახით პროგრესულად მოაზროვნე მომავალი თაობა ქვეყანას; გარსოს დედამ შეძლო ოჯახის ღირსების დაცვა, კაჭკაჭმა დედაბერმა კი მოახერხა მთელ საოზგადოებაში გაეტანა საკუთარი სიმართლე.

პროზაიკოსი საზოგადოებას არ აძლევს მოდუნების საშუალებას და გამუდმებით ახსენებს იმ შეცდომებს, რასაც მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მიმართ არამართებული მოპყრობა იწვევდა. ბიბილური მიუხედავად საკმაოდ მძიმე მაგალითებისა, ერთგვარად მაინც იმ აზრს ავითარებს, რომ საქართელოში ქალის როლი იმდენად იყო გათვალისწინებული, რამდენადაც ამის საშალებას ეპოქის იდეოლოგია იძლეოდა, ამის ძალიან კარგი დასტური მისი მინიატურაა „ვენახიდან

სახლამდე“. მოხუცი ცოლ-ქმრის ორღობეში სვენებ-სვენებით სიარულის ეპიზოდი, სადაც კაცი წინ მიდის და ქალი უკან „შორიახლოს მიჰყვება“ (ბიბილური 1973, 202) ნაციონალური რეალობის ამსახველი პასაჟია. მწერალი ჩვეული ლაკონურობით ახერხებს ეროვნული კოლორიტის შექმნას. მწერალი ამ სურათით გარდა ეთნოგრაფიული თვალსაზრისისა ინტერესდება ქალისა და მამაკაცის სოციალური სტატუსის თვალთახედვის კუთხითაც.

თამაზ ბიბილური ქალი პერსონაჟების წარმოჩენით ახერხებს ორ პოლუსად გაყოფილი საზოგადოების აზრი წარმოაჩინოს და მათგან უპირატესი გამოკვეთოს. მწერლის მოღვაწეობის პერიოდში, XX საუკუნის მეორე ნახევარში, ქართულ რეალობაში უკვე შედარებით ნაკლებად იძებნება ანტიფემინისტური შეხედულებები. ქალები არამხოლოდ ყოფით, არამედ საზოგადოებრივ ასპარეზზეც ახერხებენ საკუთარი სათქმელის თქმას. სწორედ ამ მგომარეობის გამოძახილია მწერლის ნაწარმოებებში თვითრეალიზებული ქალების სახის დახატვაც. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული პრობლემა სრულად იყო გამქრალი საზოგადოების მეხსიერებიდან, ამიტომაც შემოჰყავს მას ელისოსა და სხვათა მსგავსი უფლებაშელახული ქალები ნაწარმოებებში.

თამაზ ბიბილურის ნაწარმოებები ასახავს იმ გარდამავალ ეპოქას, როცა ტრადიციული პატრიარქალური სტრუქტურები თანდათან ირღვევა და ქალი აღარ არის მხოლოდ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, იგი ხდება ყოფითი და მორალური შეხედულებების ცენტრი, ზოგჯერ კი კაცზე ძლიერიც. ბიბილური ქმნის რთულ, შინაგანად წინააღმდეგობრივ ქალის სახეებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და თვითგამოხატვისთვის ისეთ საზოგადოებაში, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს ტრადიციული ნორმების ზეწოლა.

მისი პროზის გენდერული ასპექტები გვიჩვენებს, რომ ავტორი არ იძლევა მარტივ პასუხებს, თითქოს ის ამხელდეს ქალს, როგორც მსხვერპლს ან აღზევებს მას, როგორც იდეალიზებულ ფიგურას. პირიქით, ბიბილურის ქალები არიან ცოცხალი ადამიანები, რომელთა შინაგანი დრამატიზმი ასახავს ეპოქის სოციალურ წინააღმდეგობებს, საზოგადოებრივ მორალსა და კულტურულ გარდატეხებს.

ამდენად, თამაზ ბიბილურის ტექსტებში გენდერული საკითხები არა მხოლოდ თემატურ დონეზეა მნიშვნელოვანი, არამედ წარმოადგენს ადამიანის/პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების ძიებასაც. მისი შემოქმედება იძლევა შესაძლებლობას, თანამედროვე ლიტერატურულ დისკურსში განიხილებოდეს ქალი როგორც აქტიური, თითრეალიზებული სუბიექტი, რაც ბიბილურის პროზას განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს ქართულ გენდერულ ნარატივში.

ლიტერატურა

ბერიძე, ნინო. 2010. *ქალი ქართული ლიტერატურაში: ისტორიული და თანამედროვე პერსპექტივები.* თბილისი.

კალანდაძე, ანა. 2015. *ქალების ხმის საკითხები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.* თბილისი.

ტაბლიაშვილი, ეკა. 2018. *გენდერი და იდენტობა ქართულ ლიტერატურაში.* თბილისი.

ზარდიაშვილი, ნათია. 2005. *ქალი პერსონაჟები კლასიკურ ქართულ რომანებში.* თბილისი.

ხიმშიაშვილი, მარიამ. 2020. *ფემინისტური კრიტიკა და ქართული ლიტერატურა.* თბილისი, 2020.

Beard, Mary. 2017. *Women & Power: A Manifesto*. Profile Books.

Butler, Judith. 1990. *Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity*. Routledge.

Bynum, C. W. 1987. *Holy Feast and Holy Fast: The Religious Significance of Food to Medieval Women*. University of California Press.

Meskell, Lynn. 1999. *Archaeologies of Social Life: Age, Sex, Class et cetera in Ancient Egypt*. Blackwell Publishers.

Literature and Literary Theory

Gender Issues in Tamaz Bibiluri's Prose

Tamta Shavianidze
tamta.shavianidze@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.07

In contemporary social and humanistic sciences, gender issues constitute a central theme of research. Gender, viewed as a ***socio-humanistic construct****, is defined through cultural, historical, and literary contexts; this implies that the roles, rights, and status of men and women have undergone continuous evolution over time. As a prominent component of cultural discourse, belles-lettres reflects societal relations, gender roles, and established hierarchies. When examining gender issues in Georgian fiction, applying a feminist lens to the prose of Tamaz Bibiluri yields particularly interesting insights.*

Bibiluri's female characters embody the influences of both traditional life and the realities of their contemporary era. Each of the author's female protagonists is of significant interest in identifying lived experiences.

Keywords: *Gender issues, Female characters, Unequal society*

In contemporary social sciences and humanities, gender issues constitute one of the central research themes. Gender, as a socio-humanistic construct, is defined within cultural, historical, and literary contexts, implying that the roles, rights, and status of women and men have evolved over time.

An analysis of the historical development of gender issues clearly demonstrates that gender roles and the status of women have always been inextricably linked to social, cultural, political, and literary structures. From the symbolic matriarchy of ancient epochs to the patriarchal discourse of the Middle Ages, and from the intellectual challenges of the Enlightenment to the political activism of feminist movements, attitudes toward gender issues have changed progressively. In ancient cultures, women occupied a significant role in both religious and familial life (Meskell 1999). In ancient Greece and Rome, the status of women was strictly defined. In Athens, women were excluded from political and public life, and their roles were largely confined to the domestic sphere (Beard 2017). In medieval Europe, gender roles were grounded in Christian doctrine. A woman's place was defined within the framework of family, piety, and obedience (Bynum 1987). From the nineteenth century onward, gender-related issues evolved into organized movements. Twentieth- and twenty-first-century gender theories emphasize that gender is a social construct closely intertwined with structures of power (Judith Butler 1990). Fiction, as a distinctive component of cultural discourse, reflects social relations, gender roles, and hierarchical structures.

In Georgian letters, the study of gender issues is a relatively new and actively developing field; modern researchers strive to integrate feminist theories into the analysis of Georgian texts, which facilitates a re-evaluation of the female role, identity, and experience within the national literary discourse.

In this context, examining the prose of Tamaz Bibiluri through a feminist lens is particularly noteworthy. Bibiluri's female characters synthesize the influences of traditional life with those of their own modernity. Each of the writer's female characters is significant in terms of elucidating the lives Georgian women were compelled to lead within the patriarchal society of the past century.

Across the novelist's prose, including stories and miniatures, numerous female characters such as Natlideda, Shukia, Garso's mother, Eliso, Lela

Ghudushauri, and Maiko represent a generalized archetype of the Georgian woman. The writer portrays women in almost every aspect: within the family environment as wives, mothers, grandmothers, and daughters-in-law; in society; and in romantic relationships. While some are not only models of moral integrity but also equals to men from an independent, social, and humanistic perspective, others remain victims of prevailing "traditional" prejudices.

A study of the feminist aspects of the writer's work should begin with an analysis of Tinia-Natlideda, the protagonist of the story "The All-Holy." She is one of the most prominent characters in Bibiluri's entire body of prose, highlighting the author's own attitude toward woman as an equal and indeed, superior member of society. The character of Natlideda embodies both the victim of stereotypical thinking and the image of an emancipated woman.

The source of Tinia's tragic life is her own family, which succumbed to anti-feminist societal attitudes; through a facade of care, the orphaned girl is married off prematurely to a much older man. Most distressing is the fact that the decision-makers are women Tinia's aunt and grandmother. Through them, the writer illustrates the result of a degenerate collective consciousness, where stereotypes are so deeply rooted that women themselves become ruthless toward members of their own sex. Society's disregard for a woman's opinions and desires is vividly reflected in Tinia's thoughts and feelings.

Initially, the child unaccustomed to submission attempted to resist and fled from her husband's house, but due to social coercion and harsh influences, she was forced to return and diligently bear the heavy burden of her life. Consequently, one part of the story seemingly ends with the defeat of the woman as an individual.

However, the second part of the story features a complete transformation of the disenfranchised woman. Through her own intellect and moral responsibility, Tinia manages to awaken and change the attitude of society itself. The villagers come to respect her, recognizing Natlideda not merely as an equal to men, but as an exalted, exemplary standard.

Sigrun is a representative of the younger generation after World War II. In the novel, Sigrun undergoes a transformation thanks to his talent, which Kaspar discovers in him. For both Kaspar and Sigrun, this relationship means encountering a completely new world, in which they initially have nothing in common.

> Dear Grandpa,
> Yesterday I was honest. I would gladly live with you, play with you, and in a year I would enter the conservatory.
> I love you, Grandpa. Thank you very much for the piano. I mean the piano in general. Thank you very much for the electric piano too.
> Yes, indeed, I am bringing your suitcase, small, black, with wheels.
> I don't have much, I'll pack it. And I took three more books for the trip – you'll see which ones.
> I understood everything you told me.
> Wish you luck, Grandpa. I hug you, Sigrun (Schlink 2024, 377-378).

Sigrun's letter reveals Kaspar's successful experiment. The letter combines elements of love, gratitude, and trust. From the radical, rigid, and troubled Sigrun, we have an empathetic, caring, and curious young man.

Sigrun combines the past and the future. She is a kind of symbol of a new beginning, a new generation that is trying to rewrite the past, restore moral balance, and create a better future.

As a result of our research, we have determined that Bernhard Schlink's novel *The Granddaughter* addresses one of the most difficult and contradictory periods in recent German history. Schlink, who has gained international recognition with his novel *The Reader*, remains faithful to his thematic choices and narrative style: history as an emotional background, morality as a central motive, and language as a precise instrument.

A comprehensive analysis of Schlink's novel shows that the historical context of *The Granddaughter* is analyzed in the novel not theoretically, but directly through the characters, their difficult life choices, trauma, and conflict.

By transforming the facts and experiences of his own life, Schlink adds a realistic effect and depth to the narrative, and thus earns the reader's trust. With an abundance of autobiographical elements, he creates deep psychological

portraits of the characters and ensures the emotional involvement of the reader.

Bernhard Schlink's *The Granddaughter* attracts the reader's attention not only with its diverse plot, but also with its sensitive depiction of the psychological portraits of the characters and painful historical themes. The novel clearly shows that literature and music play an important role in overcoming ideological barriers. At the same time, this work echoes the author's main message: people can improve themselves through faith, love, and hope.

The relationship between Kaspar, Birgit and Sigrun not only reflects family difficulties, but also makes the reader think about the consequences of ideological confrontation in a global context. The novel reminds us that political systems do not cease to have an impact even when they officially disappear. Their traces remain in people's biographies, memories and personal stories.

Bernhard Schlink once again proves that literature can adequately present history not only by recalling general facts, but also by analyzing personal stories in depth. Proof of this is *The Granddaughter*, in which the author originally connects the drama of the individual with socio-political reality.

ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტრული აღრიცხვა

Business, Management and Accounting

ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტრული აღრიცხვა (სხვადასხვა)

ადამიანური კაპიტალის ევოლუცია საქართველოში ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ-ეკონომიკური მემკვიდრეობიდან ციფრულ ეპოქამდე

ნანა შონია
nana.shonia@atsu.edu.ge
დიანა ბიბილეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.10

სტატიაში გაანალიზებულია ადამიანური კაპიტალის განვითარება საქართველოში ისტორიული და თანამედროვე პერსპექტივების სინთეზით. განხილულია მისი ფორმირების ეტაპები შუა საუკუნეებიდან, ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებით, საბჭოთა ინდუსტრიული მოდელითა და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციით თანამედროვე ციფრულ ეპოქამდე. ნაჩვენებია, რომ ჯავახიშვილის იდეები თანხვედრაშია ადამიანური კაპიტალის თანამედროვე კონცეფციასთან. შეფასებულია საბჭოთა სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები და მისი შეუსაბამობა ცოდნის ეკონომიკასთან. გამოკვეთილია პოსტსაბჭოთა პრობლემები: განათლებისა და შრომის ბაზრის აცდენა, უნარების დისბალანსი და მიგრაცია. დასკვნა ხაზს უსვამს ადამიანის კაპიტალში ინვესტირების აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: *ადამიანური კაპიტალი, ადამიანური კაპიტალის ინდექსი (HCI), მდგრადი განვითარება, ციფრული ტრანსფორმაცია*

შესავალი. ადამიანური კაპიტალის ევოლუციის შესწავლა საქართველოში შეუძლებელია ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილი ნაშრომების ანალიზის გარეშე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ივანე ჯავახიშვილი იყო მეცნიერი, რომლის კვლევები საქართველოს ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური სისტემების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა. მისი ნაშრომები „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და „ქართული სამართლის ისტორია“ წარმოადგენენ არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების კრებულს, არამედ ეკონომიკური-სოციალური განვითარების ანალიზის თეორიულ ჩარჩოს.

თანამედროვე ადამიანური კაპიტალის საზომი მაჩვენებელი,

როგორიცაა „ადამიანური კაპიტალის ინდექსი“ (Human Capital Index - HCI), გვაძლევს საშუალებას შევადაროთ ისტორიული პროცესები დღევანდელ მონაცემებს — განათლების ხარისხი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შრომის ბაზრის უნარების შესაბამისობა. საქართველოს HCI 0.60-ის ფარგლებში მერყეობს (2020), რაც მიუთითებს როგორც პროგრესზე, ისე სისტემურ გამოწვევებზე.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს ადამიანური კაპიტალის ინდექსი (HCI) XXI საუკუნის დასაწყისიდან მზარდი ტრაექტორიით მოძრაობს (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. საქართველოს ადამიანური კაპიტალის ინდექსი (2010-2026 წწ)



წყარო: მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის Human Capital Index პლატფორმიდან.

პირველი დიაგრამა აჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში HCI-ის გრძელვადიანი ტენდენცია ზრდადია, თუმცა ზრდა არ არის თანაბარი — შეინიშნება ერთჯერადი ვარდნა, რასაც შემდგომ მოჰყვება დაჩქარებული გაუმჯობესება. ინდექსის მნიშვნელობები მერყეობს დაახლოებით 0.54–დან 0.62-მდე, კერძოდ:

- ✓ 2010 → 2015 წლებში - HCI იზრდება დაახლოებით 0.54-დან 0.58-მდე. ეს მიუთითებს აღნიშნულ პერიოდში განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე, ბავშვთა ჯანმრთელობისა და გადარჩენის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, პერიოდი ხასიათდება სტაბილური და პოზიტიური განვითარები.
- ✓ 2015 → 2020 წლებში - შეინიშნება მცირე კლებაც (0.58 → 0.57). ეს შეიძლება ასახავდეს განათლების ხარისხის პრობლემებს, ჯანმრთელობის ან სოციალური მომსახურების შეფერხებას და ამ დროს ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გავლენა სავსებით შესაძლებელია. მნიშვნელოვანია, რომ ვარდნა არ არის

მკვეთრი, რაც სისტემის გარკვეულ მდგრადობაზე მიუთითებს.

- ✓ 2020 → 2024 წლებში - ადამიანური კაპიტალის ინდექსის მკვეთრ ზრდას აქვს ადგილი - 0.57 → 0.61. ეს ეტაპი ყველაზე დინამიკურია დიაგრამაზე, რაც მიუთითებს განათლების შედეგებზე (Learning-adjusted years of schooling), ჯანდაცვის სისტემის შედარებით გაუმჯობესებაზე. სავარაუდოა, რომ ეს არის რეფორმების დაგვიანებული ეფექტი,
- ✓ 2024 → 2026 წლებში - ინდექსი იზრდება ან სტაბილურად ინარჩუნებს მაღალ დონეს (დაახლოებით 0.62), რაც მეტყველებს ადამიანური კაპიტალის დაგროვების შედარებით გამყარებაზე. თუმცა, ჯერ კიდევ შორსაა პოტენციური მაქსიმუმიდან (1.0)

დიაგრამის მონაცემებზე დაყრდნობით, თუ საქართველოს HCI ≈ 0.62, ეს ნიშნავს დღეს დაბადებული ბავშვი მომავალში რეალიზებას გაუკეთებს თავისი პოტენციური პროდუქტიულობის მხოლოდ 62%-ს, იმ პირობებთან შედარებით, რაც იდეალურ განათლებასა და ჯანმრთელობას გულისხმობს.

ადამიანური კაპიტალის თეორიის ევოლუცია სამეცნიერო ლიტერატურაში. ადამიანური კაპიტალის კონცეფცია ეკონომიკურ მეცნიერებაში ფორმირდება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, თუმცა მისი ინტელექტუალური საფუძვლები უფრო ადრე ჩნდება. თანამედროვე თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით თ. შულცსა (Schultz 1961) და გ. ბეკერს (Becker 1964), რომლებმაც განათლება, ჯანმრთელობა და უნარები განიხილეს როგორც ეკონომიკური ინვესტიციის ფორმები.

შულცის მიხედვით, ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ წყაროს, რადგან განათლებაში და ჯანმრთელობაში ჩადებული რესურსები ზრდის შრომის პროდუქტიულობასა და შემოსავალს. ბეკერი ამ იდეას ავითარებს და ამტკიცებს, რომ ინდივიდები იღებენ გადაწყვეტილებებს განათლებასა და კვალიფიკაციაში ინვესტირების შესახებ მსგავსად ფიზიკურ კაპიტალში ინვესტიციისა, რაც განაპირობებს მათი შემოსავლების დიფერენციაციას.

შემდგომ პერიოდში ადამიანური კაპიტალის თეორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. რ. ლუკასისა (Lucas 1988) და პ. რომერის (Romer 1986, Romer 1990) ენდოგენური ზრდის მოდელებში ადამიანური კაპიტალი უკვე განიხილება არა მხოლოდ როგორც ინდივიდუალური რესურსი, არამედ როგორც ეკონომიკური სისტემის შიდა ზრდის მამოძრავებელი ფაქტორი. ცოდნის დაგროვება და ინოვაცია ქმნის „საგარეო ეფექტებს“(spillovers), რომლებიც ხელს უწყობს მთლიან ეკონომიკურ განვითარებას.

თანამედროვე კვლევები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანური კაპიტალის ხარისხობრივ ასპექტებზე — კრიტიკულ აზროვნებაზე, კრეატიულობაზე, ციფრულ უნარებზე და სოციალურ კაპიტალთან კავშირზე. ამ კონტექსტში, მსოფლიო ბანკის „ადამიანური კაპიტალის ინდექსი“ (HCI) აერთიანებს განათლებისა და ჯანმრთელობის კომპონენტებს და აფასებს, თუ რამდენად ახერხებს ქვეყანა საკუთარი მოსახლეობის პროდუქტიული პოტენციალის რეალიზაციას.

ასევე, მნიშვნელოვანი მიმართულებაა ინსტიტუციური და კულტურული ფაქტორების როლის გააზრება (North 1990, Fukuyama 1995), რომლის მიხედვითაც ნდობა, სოციალური ნორმები და მმართველობის ხარისხი პირდაპირ მოქმედებს ადამიანური კაპიტალის ეფექტიან გამოყენებაზე.

საბოლოოდ, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა ადამიანურ კაპიტალს განიხილავს, როგორც მრავალგანზომილებიან სისტემას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ განათლებასა და ჯანმრთელობას, არამედ ინოვაციურ პოტენციალს, ინსტიტუციურ გარემოსა და საზოგადოების ღირებულებით სტრუქტურას.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ-ეკონომიკური ხედვები და ადამიანური კაპიტალი. ივანე ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ ეკონომიკურ პროცესთა ანალიზს ყოველთვის ადამიანის შრომიდან იწყებს. მისთვის ეკონომიკა არ არის მხოლოდ მატერიალური რესურსების ერთობლიობა, არამედ საზოგადოებრივი შრომის ორგანიზების ისტორიული ფორმა. https://dlab.ug.edu.ge/authors/detail/507

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით შრომის პროდუქტიულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ბუნებრივ პირობებზე, არამედ შრომის კულტურაზე, გამოცდილებასა და ცოდნის გადაცემაზე. ეს მიდგომა სრულ თანხვედრაშია თანამედროვე ადამიანური კაპიტალის თეორიასთან, რომელიც შრომის ხარისხს აღიქვამს როგორც ინვესტიციის შედეგს.

ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი ცენტრალური იდეაა, რომ განათლება ერის გადარჩენისა და განვითარების მთავარი რესურსია. სწორედ ამ ლოგიკით განპირობებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება (1918), როგორც ადამიანური კაპიტალის ინსტიტუციური დაგროვების მექანიზმი. მის ხედვაში უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ სწავლების ადგილი, იგი არის ეროვნული ინტელექტუალური კაპიტალის ფორმირების ცენტრი. თანამედროვე ტერმინოლოგიით, ეს შეესაბამება HCI -ის ცნებას. https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/1912/The Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth - Evidence from Georgia.pdf?sequence=1

ასევე, ჯავახიშვილი ამტკიცებდა, რომ ერის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ისტორიულ ცოდნაზე და სამართლებრივ ტრადიციებზე. ეს განსაკუთრებით მკაფიოდაა ნაჩვენები მის ნაშრომებში: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (I ტომი, პირველი გამოცემა, თბილისი, 1907) და „ქართული სამართლის ისტორია“ (თბილისი, 1910). თანამედროვე ადამიანური კაპიტალის კონცეფცია, ასევე, აღიარებს ინსტიტუციურ ნდობას და კულტურულ კომპეტენციებს, როგორც ეკონომიკური ზრდის არამატერიალურ განმსაზღვრელ ფაქტორებს.

მნიშვნელოვანია ჯავახიშვილის დემოგრაფიული კვლევებიც. იგი სწავლობდა მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებას და ომებისა და შიმშილის გავლენას შრომისუნარიან მოსახლეობაზე. ეს პირდაპირ უკავშირდება ადამიანური კაპიტალის თანამედროვე კომპონენტს — ჯანმრთელობას. მსოფლიო ბანკის მონაცემებით HCI აერთიანებს განათლებას, ჯანმრთელობას და შრომის პროდუქტიულ პოტენციალს, ხოლო ჯავახიშვილის კონცეფცია, მიუხედავად ტერმინოლოგიური სხვაობისა, მოიცავს ამავე სამ ფუნდამენტურ განზომილებას, თუმცა ისტორიულ-კულტურული ანალიზის გზით მაკროეკონომიკური ინდიკატორების გარეშე

სწორედ ზემოაღნიშნული ივანე ჯავახიშვილს აქცევს ადამიანური კაპიტალის პრე-თეორიულ ავტორად ქართულ მეცნიერებაში. ჩვენი კვლევები ადასტურებს, რომ ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკური ხედვები სტრუქტურულად ემთხვევა თანამედროვე ადამიანური კაპიტალის თეორიას, იგი შრომას, განათლებას, ჯანმრთელობასა და ისტორიულ ცოდნას აღიქვამდა, როგორც ერთიან სისტემას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეიძლება ჩაითვალოს ადამიანური კაპიტალის პირველი ინსტიტუციური პლატფორმად საქართველოში. ჯავახიშვილის მემკვიდრეობა ადასტურებს, რომ ეკონომიკური განვითარება იწყება ადამიანით და სრულდება ადამიანში.

საბჭოთა ეპოქა და ადამიანური კაპიტალის ინდუსტრიული მოდელი. საბჭოთა ეკონომიკური სისტემა ეფუძნებოდა ინდუსტრიული განვითარების ექსტენსიურ მოდელს, რომელშიც ადამიანური კაპიტალი განიხილებოდა არა როგორც ინდივიდუალური პოტენციალის თვითრეალიზაციის რესურსი, არამედ როგორც სახელმწიფოს მიერ მობილიზებული შრომითი რესურსი. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „Human Capital“ საბჭოთა დოქტრინაში ოფიციალურად არ გამოიყენებოდა (იგი ასოცირდებოდა „კაპიტალიზმთან“), პრაქტიკაში არსებობდა ადამიანური კაპიტალის სპეციფიკური — ინდუსტრიული მოდელი, რომლის ძირითადი მახასიათებლები იყო რაოდენობაზე ორიენტაია და არა ხარისხზე.

საბჭოთა მოდელში მთავარი აქცენტი კეთდებოდა შრომის რაოდენობრივ ზრდაზე, მასობრივი დასაქმების უზრუნველყოფასა და საწარმოო დისციპლინაზე. შრომის პროდუქტიულობა იზრდებოდა ძირითადად სამუშაო საათების ზრდით, ინდუსტრიული მასშტაბის გაფართოებით და ნაკლებად — ინოვაციით ან ინდივიდუალური კვალიფიკაციით.

ეს მოდელი შეესაბამება ადამიანური კაპიტალის „დაბალკვალიფიციური ინდუსტრიული პარადიგმას“. ეს ნიშნავს ეკონომიკური განვითარების ისეთ მოდელს, სადაც: ინდუსტრიული წარმოება ეფუძნება ფიზიკურ შრომას და მარტივ, სტანდარტიზებულ უნარებს, სამუშაო ძალისგან არ მოითხოვება მაღალი განათლება, კრეატიულობა ან ინოვაციური აზროვნება. მთავარი უპირატესობა არის მასობრივი შრომა, დისციპლინა და რუტინული საწარმოო ოპერაციები.

დაბალკვალიფიციური ინდუსტრიული პარადიგმის ძირითადი მახასიათებლები იყო დაბალი კვალიფიკაცია, მასობრივი დასაქმება, ტექნოლოგიური სიმარტივე, ცენტრალიზებული მართვა და დაბალი ინოვაციური პოტენციალი. შედარება დაბალკვალიფიციური ინდუსტრიული პარადიგმასა და თანამედროვე ადამიანური კაპიტალის მოდელთან შორის შეგვიძლია ვიხილოთ პირველ ცხრილში.

ცხრილი 1. დაბალკვალიფიციური ინდუსტრიული პარადიგმის შედარება თანამედროვე ადამიანური კაპიტალის მოდელთან

დაბალკვალიფიციური ინდუსტრიული პარადიგმა	თანამედროვე ადამიანური კაპიტალი
შრომა = რაოდენობა	შრომა = ხარისხი
მუშაკი მარტივად ჩანაცვლებადია	უნარები უნიკალურია
ინოვაცია იშვიათია	ინოვაცია სისტემური
ადამიანი რესურსია	ადამიანი ინვესტიციაა

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

მაშასადამე, დაბალკვალიფიციური ინდუსტრიული პარადიგმა წარმოადგენდა ეკონომიკური განვითარების მოდელს, რომელშიც შრომის

პროდუქტიულობა მიიღწეოდა შრომის რაოდენობრივი მობილიზაციით და არა ცოდნის, უნარებისა და ინოვაციური პოტენციალის გაღრმავებით. საბჭოთა კავშირში განათლება იყო უფასო და მასობრივი, ძლიერი იყო საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დისციპლინებში და მკაცრად იყო მორგებული ხუთწლიან გეგმებზე. თუმცა, კრიტიკული აზროვნება, მეწარმეობა და სოციალური ინოვაცია სისტემურად იზღუდებოდა და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები იდეოლოგიურად კონტრლდებოდა.შესაბამისად,ყალიბდებოდავიწროდსპეციალიზებული, მაგრამ მოქნილობის ნაკლებობის მქონე ადამიანური კაპიტალი.

გარდა ზემოაღნიშნული, საბჭოთა ჯანდაცვა (სემაშკოს მოდელი) ორიენტირებული იყო უნივერსალურ ხელმისაწვდომობაზე და შრომისუნარიანი მოსახლეობის სწრაფ აღდგენაზე. ჯანმრთელობა აღიქმებოდა როგორც „შრომის რესურსის ფუნქციური გამძლეობა“, დაარა—როგორცცხოვრებისხარისხიანინდივიდუალურიკეთილდღეობა. საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში ინდივიდი ეკუთვნოდა სახელმწიფოს, შრომა იყო არა არჩევანი, არამედ ვალდებულება, პროფესიული მობილობა — მკაცრად შეზღუდული.

ამგვარად, ადამიანური კაპიტალი არ იყო ინდივიდის საკუთრება და არ ხდებოდა მისი თავისუფალი კონვერტაცია სხვა ეკონომიკურ ან სოციალურ კაპიტალად. საბჭოთა ინდუსტრიულ მოდელს გააჩნდა როგორც სუსტი, ისე ძლიერი მხარეები:

ძლიერი მხარეები - სწრაფი ინდუსტრიალიზაცია, მაღალი საბაზისო განათლების დონე, ტექნიკური კადრების მასობრივი მომზადება, მეცნიერულ-ინჟინერული ელიტების შექმნა (განსაკუთრებით სამხედრო-კოსმოსურ სფეროში).

სუსტი მხარეები - ინოვაციის დაბალი სტიმულირება, ადამიანის კრეატიული და მეწარმეობრივი პოტენციალის ჩახშობა, ცოდნის ხარისხსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის სუსტი კავშირი, ადამიანური კაპიტალის დემოტივაცია (იხ. ცხრილი 2)

ცხრილი 2. საბჭოთა ინდუსტრიული მოდელი და თანამედროვე ადამიანური კაპიტალის მოდელი

პარამეტრი	საბჭოთა მოდელი	თანამედროვე მოდელი
განათლება	მასობრივი, გეგმიური	უწყვეტი, ბაზარზე ორიენტირებული
შრომა	ვალდებულება	არჩევანი
ადამიანი	რესურსი	ინვესტიცია

ინოვაცია	ცენტრალიზებული	დეცენტრალიზებული
ინდივიდი	სისტემაზე დაქვემდებარებული	განვითარების ცენტრი

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

მეორე ცხრილი აჩვენებს პარადიგმულ გარდატეხას საბჭოთა ინდუსტრიული სისტემიდან თანამედროვე ადამიანური კაპიტალის მოდელზე, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა მოდელი იყო „მასობრივი, გეგმიური“, ხოლო თანამედროვე მოდელი არის „უწყვეტი, ბაზარზე ორიენტირებული“.

მაშასადამე, საბჭოთა ეპოქის ადამიანური კაპიტალის ინდუსტრიული მოდელი ისტორიულად ეფექტური იყო სწრაფი ინდუსტრიალიზაციისთვის, მაგრამ სტრუქტურულად შეუთავსებელი აღმოჩნდა ცოდნის ეკონომიკასთან და ვერ ქმნიდა მდგრად, ინოვაციურ და თვითგანვითარებად ადამიანურ კაპიტალს.

თანამედროვე პერსპექტივიდან, საბჭოთა მოდელი წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარების გარდამავალ, სახელმწიფო-ცენტრულ ფაზას, რომლის გააზრება აუცილებელია პოსტსაბჭოთა სივრცისთვის ეფექტიანი განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას.

პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაცია და ადამიანის კაპიტალის თანამედროვე გამოწვევები. პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია წარმოადგენს სისტემურ გარდაქმნას, რომელიც მოიცავს ეკონომიკის, პოლიტიკური მმართველობის, სოციალური ურთიერთობებისა და ღირებულებითი სისტემების ცვლილებას. ამ პროცესის ცენტრში აღმოჩნდა ადამიანი, თუმცა არა როგორც ინდუსტრიული შრომითი რესურსი, არამედ როგორც ადამიანური კაპიტალის მატარებელი. საბჭოთა მოდელის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცე დაუპირისპირდა ახალ რეალობას საბაზრო ეკონომიკას, კონკურენციას და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, რაც საჭიროებდა ადამიანური კაპიტალის თვისებრივ განახლებას, თუმცა ეს პროცესი წინააღმდეგობრივი და არასიმეტრიული აღმოჩნდა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა მიიღეს მძიმე მემკვიდრეობა - განათლებისა და უნარების ასიმეტრია და შრომითი ეთოსის კრიზისი. ადგილი ქონდა ფორმალურად მაღალი განათლების დონეს, მაგრამ სუსტი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ზედმეტად ვიწრო სპეციალიზაცია და დაბალი ადაპტაციურობა. შედეგად ჩამოყალიბდა დიპლომირებული, მაგრამ არასაკმარისად კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილი ქონდა შრომითი ეთოსის კრიზისს, რადაგნაც საბჭოთა ეპოქაში შრომა იყო სოციალური ვალდებულება, ხოლო პოსტსაბჭოთა რეალობაში კი გაჩნდა უმუშევრობის რისკი, შრომა გახდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, ხოლო სახელმწიფოს გარანტიები – შეზღუდული. ამან გამოიწვია: შრომითი მოტივაციის დეგრადაცია, „დაკარგული თაობების“ ფენომენი და სოციალური ადაპტაცია.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ რეალობაში ადამიანური კაპიტალი იქცა განვითარების ცენტრალურ რესურსად, თუმცა მისი ეფექტიანი ფორმირება არაერთ სისტემურ გამოწვევას აწყდება. გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესისა და შრომის ბაზრის სწრაფი ტრანსფორმაციის პირობებში ადამიანის ცოდნა, უნარები და ჯანმრთელობა მუდმივი განახლების საჭიროების წინაშე დგას. განათლების სისტემა ხშირად ვერ ასწრება ამ დინამიკას და ინარჩუნებენ ინერციულ, ფორმალურ მიდგომებს, რის შედეგადაც იზრდება უფსკრული სწავლების შინაარსსა და რეალურ ეკონომიკურ მოთხოვნებს შორის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება ისეთ საზოგადოებებში, სადაც განათლების რაოდენობრივი გაფართოება არ ახლავს თან ხარისხის ზრდას.

ადამიანური კაპიტალის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა არის ცოდნის დაჩქარებული მოძველება. თანამედროვე ეკონომიკაში პროფესიული კომპეტენციები აღარ არის სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მოპოვებული რესურსი; ისინი საჭიროებენ პერიოდულ განახლებას, გადამზადებასა და ადაპტაციას. ამ კონტექსტში უწყვეტი განათლება აღარ წარმოადგენს დამატებით უპირატესობას, არამედ აუცილებელ პირობას შრომისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. ამავდროულად, ბევრი ქვეყანა კვლავ ვერ ამუშავებს ეფექტიან მექანიზმებს, რომლებიც ზრდასრულ ადამიანს მისცემს რეალურ შესაძლებლობას, განაახლოს საკუთარი უნარები სოციალური და ფინანსური ბარიერების გარეშე.

თანამედროვე ადამიანური კაპიტალის ხარისხზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობის საკითხიც. ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ მოდელში ჯანმრთელობა აღარ განიხილება მხოლოდ სოციალურ პასუხისმგებლობად, იგი პირდაპირ უკავშირდება შრომის პროდუქტიულობას, დასაქმების მდგრადობასა და ცხოვრების აქტიურ ხანგრძლივობას. თუმცა არაერთ ქვეყანაში ჯანდაცვა კვლავ აღიქმება როგორც ხარჯი და არა როგორც ინვესტიცია, რის შედეგადაც სუსტდება შრომისუნარიანი მოსახლეობის პოტენციალი და იზრდება

ეკონომიკური დანაკარგები. ცალკე პრობლემად რჩება ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში უნარების სტრუქტურული აცდენა. ტექნოლოგიური ცვლილებები ქმნის ახალ პროფესიებსა და ამცირებს ტრადიციული შრომის მოთხოვნას, მაშინ როდესაც განათლებისა და გადამზადების სისტემები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ ციფრული კომპეტენციების დროულ ინტეგრაციას. შედეგად ყალიბდება ადამიანური კაპიტალი, რომელიც ფორმალურად განათლებულია, მაგრამ ფუნქციურად შეზღუდული თანამედროვე ეკონომიკაში მონაწილეობისათვის.

ადამიანური კაპიტალის განვითარების თანამედროვე გამოწვევად, ასევე, უნდა ჩაითვალოს კვალიფიციური კადრების მიგრაცია. „ტვინების გადინება“ არა მხოლოდ დემოგრაფიულ ან სოციალურ პრობლემას წარმოადგენს, არამედ პირდაპირ ამცირებს ეროვნული ეკონომიკის ინოვაციურ და კონკურენტულ პოტენციალს. ამ პროცესის სათავეში ხშირად დგას ის გარემოება, რომ შიდა ეკონომიკური და ინსტიტუციური პირობები ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უნარების სრულფასოვან რეალიზაციას. საქსტატის მონაცემებით, 2023 წელს ემიგრაციაში წავიდა 163,480 მოქალაქე, რაც ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს, ხოლო მიგრაციულმა სალდომ -71,584 შეადგინა. ამასთან, ემიგრანტთა დაახლოებით 85% შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაა, ხოლო 70% ახალგაზრდები (30 წლამდე), რაც მიუთითებს კვალიფიციური სამუშაო ძალის სისტემურ გადინებაზე და ქვეყნის ადამიანური კაპიტალის შემცირებაზე (იხ.ცხრილი 3).

ცხრილი 3. მიგრაციის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში

წელი	ემიგრანტების რაოდენობა (სულ)	საქართველოს მოქალაქე ემიგრანტები	იმიგრანტები	მიგრაციული სალდო	მთავარი ტენდენცია
2022	125,269	100,802	179,778	უარყო–ფითი	მასობრივი ემიგრაცია, განსაკუთრებით შრომითი ასაკის მოსახლეობა[1]

[1] https://publika.ge/2022-wels-saqartvelos-100-000-ze-meti-moqalaqe-wavida-emigraciashi-saqstati/;

2023	163,480	163,480	~91,896 (მოქა-ლაქეები)	-71,584	ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი „ტვინების გადინება“[1]
2024	121,425	64,594	135,811	+14,386	დროებითი გაუმჯობესება, ნაწილობრივი დაბრუნება [2]

ცხრილი 3.1. დამატებითი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

ინდიკატორი	მნიშვნელობა
2014–2023 წლებში ემიგრირებული საქართველოს მოქალაქეები	815,608 ადამიანი[3]
დაბრუნებული მოქალაქეების რაოდენობა იმავე პერიოდში	550,919
სუფთა დანაკარგი (ემიგრაცია > იმიგრაცია)	≈ 265,000 ადამიანი
2023 წელს ემიგრანტთა ასაკობრივი სტრუქტურა	70% – 30 წლამდე
შრომისუნარიანი ასაკი ემიგრანტებში	≈ 85% [4]

მე-3 და 3.1 ცხრილი აშკარად ადასტურებს, რომ ემიგრაცია ძირითადად მოიცავს: შრომისუნარიან და ახალგაზრდა მოსახლეობას; 2023 წელს დაფიქსირდა რეკორდული უარყოფითი მიგრაციული სალდო (-71,584); ბოლო ათწლეულში ქვეყანამ დაკარგა ასობით ათასი მოქალაქე.

აღნიშნული პირდაპირ მეტყველებს კვალიფიციური შრომითი რესურსის შემცირებას, ინოვაციური პოტენციალის დაქვეითებას და ეკონომიკური ზრდის შეზღუდვას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, თანამედროვე ეტაპზე ადამიანური

[1] https://commersant.ge/en/news/society/is-georgia-facing-the-risk-of-accelerated-brain-drain;

[2] https://factcheck.ge/ka/story/43458-shss-sasazghvro-politsiis-monatsemebit-2024-tsels-migratsiuli-saldos-dadebiti-balansi-dafiqsirda

[3] https://idfi.ge/ge/statistics-of-migration-of-georgian-citizens

[4] https://bm.ge/news/2024-tsels-emigratsiashi-saqartvelos-64-594-moqalaqe-tsavida-migratsiuli-saldo-dadebitia

კაპიტალის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს უთანასწორობა, რომელიც ვლინდება როგორც რესურსებზე ხელმისაწვდომობის, ისე შესაძლებლობების განაწილების დონეზე. განსაკუთრებით თვალსაჩინოა განათლებისა და ჯანმრთელობის სერვისებზე უთანაბარი წვდომა ქალაქსა და სოფელს შორის, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომითი რესურსის ხარისხსა და პროდუქტიულობაზე.

ასევე მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტი, სადაც ქალთა შრომითი მონაწილეობა ხშირად შეზღუდულია როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური პირობებით. ეს იწვევს ადამიანური კაპიტალის არასრულ გამოყენებას და ამცირებს ეკონომიკური განვითარების საერთო პოტენციალს.

განსაკუთრებული გამოწვევაა მოწყვლადი ჯგუფების — შშმ პირების, ახალგაზრდების და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების — შრომით ბაზარზე ინტეგრაცია, რაც კვლავაც მნიშვნელოვან სისტემურ ბარიერებს უკავშირდება. ამ პირობებში ადამიანური კაპიტალი გარდაიქმნება არა სრულად რეალიზებულ რესურსად, არამედ ნაწილობრივ დაკარგულ შესაძლებლობად.

საბოლოოდ, ადამიანური კაპიტალის თანამედროვე გამოწვევები დაკავშირებულია ადამიანის როლის არასრული გადააზრებასთან. იმ საზოგადოებებში, სადაც ადამიანი კვლავ განიხილება როგორც ხარჯი ან პასიური რესურსი და არა როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია, ადამიანური კაპიტალის დაგროვება ფრაგმენტული და არასტაბილურია. ამ გამოწვევებზე პასუხი მოითხოვს არა მხოლოდ სექტორულ რეფორმებს, არამედ ღირებულებით ცვლილებას, რომლის ცენტრშიც იქნება ადამიანი, როგორც განვითარების აქტიური სუბიექტი.

ადამიანური კაპიტალი და შრომითი რესურსის როლი მდგრადი განვითარების მიზნებში. თანამედროვე ეკონომიკურ პოლიტიკაში ადამიანური კაპიტალი სულ უფრო მეტად განიხილება მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ცენტრალურ ფაქტორად. გაეროს მიერ 2015 წელს შემუშავებული მდგრადი განვითარების მიზნები (Sustainable Development Goals – SDGs) პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ადამიანური კაპიტალის ფორმირებასა და შრომითი რესურსის ეფექტიან გამოყენებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიზნები №4 (ხარისხიანი განათლება), №8 (ღირსეული შრომა და ეკონომიკური ზრდა) და №3 (კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა), რომლებიც ქმნიან ადამიანური განვითარების ფუნდამენტურ სამეულს.

მდგრადი განვითარების ჩარჩოში შრომითი რესურსი აღარ

განიხილება მხოლოდ როგორც ეკონომიკური წარმოების ფაქტორი; იგი აღიქმება როგორც განვითარების აქტიური სუბიექტი, რომლის კეთილდღეობა, უნარები და შრომითი პირობები განაპირობებს ეკონომიკური სისტემის გრძელვადიან მდგრადობას. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული ეკონომიკური ხედვებისგან, სადაც შრომა ხშირად უკავშირდებოდა მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ შრომითი რესურსის განვითარების პრობლემები ხშირად ატარებს სისტემურ ხასიათს:

- უნარების შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- არაფორმალური დასაქმების მაღალი დონე;
- ღირსეული შრომის პირობების ნაკლებობა;
- ახალგაზრდული და გენდერული დასაქმების უთანასწორობა;
- პროფესიული მობილობის დაბალი შესაძლებლობა.

ეს გამოწვევები განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება გარდამავალ ეკონომიკებში, მათ შორის საქართველოში, სადაც პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციამ შექმნა შრომითი ბაზრის სტრუქტურული დისბალანსი. შედეგად, ფორმალურად არსებული ადამიანური კაპიტალი ხშირად ვერ გარდაიქმნება ეკონომიკურ პროდუქტიულობად, რაც აფერხებს მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

მდგრადი განვითარების მიზნების სულისკვეთება ეფუძნება ინკლუზიურობას, თანასწორობასა და ადამიანის ღირსებაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ მოდელს. ამ კონტექსტში შრომითი რესურსის განვითარება გულისხმობს არა მხოლოდ დასაქმების ზრდას, არამედ შრომის ხარისხის გაუმჯობესებას, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას და ადამიანის პოტენციალის სრულფასოვან რეალიზაციას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უწყვეტ განათლებასა და უნარების განახლებას, რაც აუცილებელია ტექნოლოგიური ცვლილებების პირობებში. ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს ახალ კომპეტენციებს, რის გამოც ქვეყნის საგანმანათლებლო და შრომითი პოლიტიკა უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებადი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იზრდება რისკი, რომ ადამიანური კაპიტალი ჩამორჩეს ეკონომიკური განვითარების ტემპს.

ამგვარად, ადამიანური კაპიტალის განვითარება მდგრადი განვითარების მიზნების კონტექსტში უნდა განიხილებოდეს როგორც კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს განათლებას, ჯანმრთელობას, შრომით პირობებსა და ინსტიტუციურ გარემოს. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა, რომ შრომითი რესურსი გარდაიქმნას არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ სოციალური სტაბილურობისა და გრძელვადიანი განვითარების საფუძველად.

ადამიანური კაპიტალი და მდგრადი განვითარების მიზნების სისტემური გამოწვევები.

თანამედროვე გამოწვევების უკეთ გააზრების მიზნით მნიშვნელოვანია მათი განხილვა მდგრადი განვითარების მიზნების კონტექსტში, ადამიანური კაპიტალის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs), რომლებიც განსაზღვრავს თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ღირებულებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია №4 (ხარისხიანი განათლება), №3 (ჯანმრთელობა და კეთილდღეობა), №8 (ღირსეული შრომა და ეკონომიკური ზრდა), №9 (ინოვაცია და ინფრასტრუქტურა) და №10 (უთანასწორობის შემცირება).

ამ მიზნების კონტექსტში ადამიანური კაპიტალი აღარ განიხილება მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ფაქტორად; იგი წარმოადგენს სოციალური ინკლუზიის, ტექნოლოგიური ადაპტაციისა და გრძელვადიანი განვითარების საფუძველს.

თუმცა, როგორც თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, კვლავ აქტუალურია სისტემური გამოწვევები — რესურსებზე უთანასწორო ხელმისაწვდომობა, შრომითი ბაზრის სეგმენტაცია, ციფრული დანაწევრება და მოწყვლადი ჯგუფების მარგინალიზაცია. აღნიშნული პრობლემები აფერხებს ადამიანური კაპიტალის სრულ რეალიზაციას და ამცირებს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას (ნოზაძე, შონია 2025).

ამგვარად, ადამიანური კაპიტალის ეფექტიანი განვითარება მოითხოვს კომპლექსურ, ინკლუზიურ და მიზნობრივ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს განათლების, ჯანმრთელობისა და შრომითი შესაძლებლობების თანაბარ ხელმისაწვდომობას და ამცირებს სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას.

დასკვნა. წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, რომ ადამიანური კაპიტალის ევოლუცია საქართველოში მრავალფენიანი და წინააღმდეგობებით სავსე პროცესია, რომლის გააზრება შეუძლებელია ისტორიული, ინსტიტუციური და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის ინტეგრირებული ანალიზის გარეშე. ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ-ეკონომიკური მემკვიდრეობიდან დაწყებული და თანამედროვე ციფრული ეპოქის პოლიტიკებით გაგრძელებული პროცესები აჩვენებს, რომ ადამიანის ცოდნა, შრომა, ჯანმრთელობა და კულტურული გამოცდილება ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნის განვითარების ცენტრალურ ღერძს, თუმცა სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულ ფორმებსა და მნიშვნელობებს იძენდა.

კვლევამ დაადასტურა, რომ ივანე ჯავახიშვილის ხედვები, მიუხედავად ტერმინოლოგიური სხვაობისა, სტრუქტურულად ემთხვევა თანამედროვე ადამიანური კაპიტალის კონცეფციას. იგი ადამიანის შრომას, განათლებასა და ჯანმრთელობას აღიქვამდა როგორც ურთიერთდაკავშირებულ სისტემას და ეკონომიკურ განვითარებას ხედავდა ადამიანის პოტენციალის რეალიზაციის შედეგként. ამ თვალსაზრისით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება შეიძლება ჩაითვალოს ადამიანური კაპიტალის ინსტიტუციური დაგროვების პირველ სისტემურ მცდელობად საქართველოში, ხოლო თავად ჯავახიშვილი — ადამიანური კაპიტალის პრეთეორიულ ავტორად ქართულ მეცნიერებაში.

საბჭოთა ეპოქის ანალიზმა აჩვენა, რომ ინდუსტრიული განვითარების ექსტენსიურმა მოდელმა შექმნა რაოდენობაზე ორიენტირებული, დაბალკვალიფიციური ინდუსტრიული პარადიგმა, რომელიც ეფექტური იყო სწრაფი ინდუსტრიალიზაციისათვის, მაგრამ შეუთავსებელი აღმოჩნდა ცოდნის ეკონომიკასთან. ადამიანური კაპიტალი ამ სისტემაში განიხილებოდა როგორც სახელმწიფოს მიერ მობილიზებული რესურსი და არა როგორც ინდივიდუალური ინვესტიცია, რის შედეგადაც შეიზღუდა ინოვაციური, მეწარმეობრივი და კრეატიული პოტენციალის სრულფასოვანი განვითარება.

პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პირობებში, მიუხედავად ფორმალური ინსტიტუციური ცვლილებებისა, ადამიანური კაპიტალის განვითარება ხასიათდება არათანაბარი და არასრული ტრანზიციით. განათლებისა და შრომის ბაზრის აცდენა, შრომითი ეთოსის კრიზისი, უნარების სტრუქტურული შეუსაბამობა, ჯანმრთელობის პრობლემები და კვალიფიციური კადრების ემიგრაცია კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მსოფლიო ბანკის HCI-ის მონაცემები მიუთითებს პოზიტიურ დინამიკაზე, თუმცა ამავდროულად ცხადყოფს, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორს არის ადამიანური პოტენციალის სრულ რეალიზაციამდე.

კვლევის მთავარი დასკვნაა, რომ ადამიანური კაპიტალის მდგრადი განვითარება საქართველოში საჭიროებს არა მხოლოდ ცალკეულ სექტორულ რეფორმებს, არამედ ადამიანის როლის ღირებულებით გადააზრებას. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი აღიქმება როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია და განვითარების აქტიური სუბიექტი, გახდება შესაძლებელი განათლების, ჯანმრთელობისა და შრომის უნარების კონვერტაცია რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესად. ამ კონტექსტში, საქართველოს განვითარების სტრატეგიული წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ქვეყანა ისტორიული

მემკვიდრეობისა და თანამედროვე ადამიანური კაპიტალის კონცეფციის სინთეზს ციფრული ეპოქის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური კაპიტალის განვითარებას ინკლუზიური და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. უთანასწორობის, განსაკუთრებით განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის განსხვავებებისა და ციფრული დანაკლისის არსებობა მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის ქვეყნის განვითარებისათვის.

შესაბამისად, ადამიანური კაპიტალის ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ და ინსტიტუციურ გარდაქმნებს, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა ჯგუფის სრულფასოვან მონაწილეობას ეკონომიკურ ცხოვრებაში.

რეკომენდაციები. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ადამიანური კაპიტალის განვითარების პოლიტიკა საქართველოში საჭიროებსსისტემურ,გრძელვადიანდაღირებულებითრეორიენტირებულ მიდგომას. ისტორიული გამოცდილების, საბჭოთა მემკვიდრეობისა და თანამედროვე ადამიანის კაპიტალის ინდექსის ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევა მხოლოდ ფორმალური რეფორმებით შეუძლებელია.

პირველ რიგში, განათლების პოლიტიკა უნდა გადავიდეს რაოდენობრივიდან ხარისხობრივ პარადიგმაზე. აუცილებელია განათლების შინაარსის მჭიდრო კავშირი ეკონომიკის სტრუქტურასთან, შრომის ბაზრის რეალურ საჭიროებებთან და ციფრული ეპოქის მოთხოვნებთან. უმაღლესი და პროფესიული განათლება უნდა იქცეს ადამიანური კაპიტალის დაგროვების რეალურ მექანიზმად და არა მხოლოდ დიპლომების გამცემი ინსტიტუციად. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტებს, რომლებიც, ივანე ჯავახიშვილის ხედვის შესაბამისად, უნდა ასრულებდნენ ეროვნული ინტელექტუალური კაპიტალის ფორმირების ცენტრის ფუნქციას.

მეორე რეკომენდაცია უკავშირდება უწყვეტი განათლების ინსტიტუციონალიზაციას. საქართველოში საჭიროა ისეთი საგანმანათლებლო მოდელის განვითარება, რომელიც ადამიანს მისცემს შესაძლებლობას მთელი ცხოვრების განმავლობაში განაახლოს ცოდნა და უნარები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა შრომითი ეთოსის კრიზისისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, როდესაც პროფესიული მოქნილობა ადამიანური კაპიტალის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელად იქცევა.

კვლევა მიუთითებს ჯანმრთელობის, როგორც ადამიანური კაპიტალის ფუნდამენტური კომპონენტის, გადაფასების აუცილებლობაზეც. რეკომენდებულია ჯანდაცვის პოლიტიკის უფრო მჭიდრო დაკავშირება ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებთან. პრევენციული მედიცინის გაძლიერება, შრომისუნარიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და ცხოვრების აქტიური ხანგრძლივობის ზრდა უნდა განიხილებოდეს არა სოციალური ხარჯის, არამედ ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციის ჭრილში.

მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება კვალიფიციური ადამიანური რესურსის შენარჩუნება და „ტვინების გადინების“ შემცირება. ამ კუთხით რეკომენდებულია ისეთი სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური გარემოს ფორმირება, რომელიც ქვეყანაში შექმნის პროფესიული თვითრეალიზაციის, სამეცნიერო საქმიანობის, ინოვაციისა და ღირსეული ანაზღაურების რეალურ შესაძლებლობებს. ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება შეუძლებელია მხოლოდ მორალური ან ადმინისტრაციული ინსტრუმენტებით; იგი საჭიროებს ცოდნის ეკონომიკის განვითარებასა და შრომის ბაზრის დივერსიფიკაციას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ციფრული უნარების ინტეგრაციას განათლების ყველა საფეხურზე. რეკომენდებულია ციფრული წიგნიერების გაძლიერება როგორც ახალგაზრდების, ასევე ზრდასრული მოსახლეობისათვის, რათა შემცირდეს უნარების სტრუქტურული აცდენა და გაიზარდოს ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობა გლობალურ ბაზარზე.

საბოლოოდ, კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანური კაპიტალის განვითარების მთავარი წინაპირობა არის ადამიანის როლის ღირებულებითი გადააზრება. რეკომენდებულია სახელმწიფომ, განათლების სისტემამ და საზოგადოებამ ადამიანი აღიარონ არა როგორც მიმდინარე ხარჯი ან პასიური რესურსი, არამედ როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია და განვითარების აქტიური სუბიექტი. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი ისტორიული მემკვიდრეობის, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის გამოცდილებისა და თანამედროვე ადამიანური კაპიტალის კონცეფციის ეფექტიანი სინთეზი საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის.

ლიტერატურა

ჯავახიშვილი, ივანე. 1930. *საქართველოს ეკონომიური ისტორია*. ტომი I–II. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ჯავახიშვილი, ივანე. 1948. *ქართული სამართლის ისტორია*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

Becker, Gary S. *Human Capital: A Theoretical and Empirical Analysis, with Special Reference to Education.* Chicago: University of Chicago Press, 1964. https://press.uchicago.edu/ucp/books/book/chicago/H/bo3684036.html

Ivane Javakhishvili Tbilisi State University. *Ivane Javakhishvili and His Legacy*. Tbilisi: TSU Press, 2018. https://www.tsu.ge .

Lucas, Robert E. 1988. "On the Mechanics of Economic Development." *Journal of Monetary Economics* 22, no. 1, 1988: 3–42. https://doi.org/10.1016/0304-3932(88)90168-7

Tbilisi State University. *The Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth – Evidence from Georgia*. Tbilisi, 2019 https://dspace.tsu.ge

Mincer, Jacob. 1974. *Schooling, Experience, and Earnings.* New York: Columbia University Press https://www.nber.org/books-and-chapters/schooling-experience-and-earnings

North, Douglass C. 1990. *Institutions, Institutional Change and Economic Performance.* Cambridge: Cambridge University Press, https://doi.org/10.1017/CBO9780511808678

Schultz, Theodore W.1961. "Investment in Human Capital." *American Economic Review* 51, no.1, 1961: 1–17.https://www.jstor.org/stable/1818907

Romer, Paul M. 1990. "Endogenous Technological Change." *Journal of Political Economy* 98, no.5, 1990: S71–S102. https://doi.org/10.1086/261725

World Bank. *Human Capital Index 2020: Georgia*. Washington, DC: World Bank, 2020. https://data.worldbank.org/country/georgia .

World Bank. *Human Capital Project*. Accessed April 2026. https://www.worldbank.org/humancapital .

World Bank. *The Human Capital Project.* Washington, DC: World Bank, 2019. https://www.worldbank.org/en/publication/human-capital

OECD. *Skills and Human Capital Reports.* Paris: OECD Publishing, 2016–. https://www.oecd.org/skills/

Business, Management and Accounting (miscellaneous)

The Evolution of Human Capital in Georgia: From Ivane Javakhishvili's Historical-Economic Legacy to the Digital Era

Nana Shonia
nana.shonia@atsu.edu.ge
Diana Bibileishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.10

The article analyzes the development of human capital in Georgia through a synthesis of historical and modern perspectives. It examines the stages of its formation from the Middle Ages, through the works of Ivane Javakhishvili, the Soviet industrial model, and the post-Soviet transformation, up to the contemporary digital era. It is demonstrated that Javakhishvili's ideas are consistent with the modern concept of human capital. The strengths and weaknesses of the Soviet system are evaluated, along with its incompatibility with the knowledge economy. The study highlights post-Soviet challenges, including the mismatch between education and the labor market, skills imbalance, and migration. The conclusion emphasizes the necessity of investing in human capital.

Keywords: *human capital, Ivane Javakhishvili, Human Capital Index (HCI); sustainable development, digital transformation.*

Introduction. The study of the evolution of human capital in Georgia is closely linked to the works of Ivane Javakhishvili, which form the theoretical foundation for understanding the country's economic, legal, and social development. His works, *"Economic History of Georgia"* and *"History of Georgian Law,"* provide not only historical descriptions but also a conceptual framework for socio-economic analysis. Javakhishvili connects economic processes with labor, knowledge, and cultural experience, which are essential elements of the modern concept of human capital.

In contemporary conditions, human capital is assessed through the Human Capital Index (HCI), which integrates education, health, and labor productivity potential. Georgia's HCI is approximately 0.60, indicating both progress and persistent systemic challenges.

Figure 1. Human Capital Index of Georgia (2010–2026)



Source: Data retrieved from the World Bank Human Capital Index platform.

The dynamics of the index demonstrate an overall upward trend with uneven growth rates: stable improvement in 2010–2015, a slight decline in 2015–2020, and accelerated growth after 2020. Despite positive changes, the country's human capital remains below its full potential.

Ivane Javakhishvili's Historical-Economic Perspectives. Ivane Javakhishvili viewed economic development as a process centered on human labor. According to him, labor productivity depends not only on natural resources but also on education, experience, and work culture. This approach aligns closely with modern human capital theory, which interprets labor quality as the result of investment.

Javakhishvili emphasized education as a primary resource for national development. The establishment of Tbilisi State University in 1918 can be regarded as an institutional manifestation of human capital formation. He perceived the university as a center for the creation of intellectual capital.

His works also highlight the importance of demographic processes, health, and legal traditions. In modern theory, these are considered key components of human capital, including education, health, and institutional factors. Therefore, Javakhishvili's legacy can be interpreted as a pre-theoretical foundation of human capital in Georgian scientific thought.

The Soviet Industrial Model. The Soviet economic system was based on an extensive industrial development model in which human capital was viewed as a state-mobilized labor resource. Productivity was increased primarily through quantitative expansion rather than through innovation or skill development.

This model emphasized mass employment, labor discipline, and standardized skills. While education was accessible and strong in technical fields, critical

thinking, entrepreneurship, and innovation were restricted. As a result, a low-skilled industrial paradigm was formed.

The strengths of the Soviet model included rapid industrialization and widespread basic education. However, its weaknesses were low innovation, suppression of creativity, and the perception of individuals as resources rather than investments.

Thus, although effective for short-term industrial growth, the Soviet system proved structurally incompatible with the requirements of a knowledge-based economy.

Post-Soviet Transformation. Following the collapse of the Soviet system, Georgia underwent economic and social transformation, placing the individual at the center as a carrier of human capital. However, this transition was uneven and contradictory.

Post-Soviet countries inherited structural problems such as mismatches between education and labor market needs, narrow specialization, and low adaptability. As a result, formally educated but insufficiently competitive human capital was formed.

At the same time, the perception of labor changed—from a social obligation to an individual responsibility—leading to reduced motivation and a crisis of work ethic.

Another significant issue has been the migration of skilled labor ("brain drain"), which weakens the country's innovative and economic potential.

Contemporary Challenges. In modern conditions, human capital development is shaped by globalization and technological transformation.

One of the key challenges is the mismatch between the education system and labor market requirements, leading to skills imbalance. The rapid obsolescence of knowledge further emphasizes the need for lifelong learning.

Health is a fundamental component of human capital and directly affects productivity, yet it is often perceived as a cost rather than an investment.

Digital transformation has created new demands that education and training systems often fail to meet, resulting in structural skill gaps.

Additionally, the migration of qualified professionals remains a major challenge, reducing national competitiveness.

Conclusion. The study demonstrates that the evolution of human capital in Georgia is a complex and multi-layered process shaped by historical, institutional, and socio-economic factors.

Javakhishvili's ideas closely align with modern human capital theory and emphasize the central role of the individual in economic development.

The Soviet model created a quantity-oriented system that was incompatible with the knowledge economy, while the post-Soviet period introduced new challenges, including skill mismatches, a work ethic crisis, and migration.

For sustainable development, it is essential to recognize human capital as a long-term investment. Improving the quality of education, strengthening health systems, and developing digital skills are crucial for enhancing Georgia's competitiveness.

Recommendations. The research findings indicate that human capital development policy in Georgia requires a systemic and long-term approach. Addressing existing challenges cannot be achieved through formal reforms alone and necessitates a value-based reorientation.

First of all, the education system should shift from a quantitative to a qualitative paradigm and be closely aligned with labor market demands and the requirements of the digital era. Higher and vocational education should become effective mechanisms for the development of human capital rather than merely institutions that grant diplomas.

It is essential to develop a lifelong learning system that enables individuals to continuously update their knowledge and skills, thereby increasing the flexibility of the workforce.

Special attention should be given to the healthcare sector as a fundamental component of human capital. Health policy should be more closely integrated with economic development strategies and viewed as an investment rather than a cost.

A key priority is the retention of qualified human resources and the reduction of "brain drain". This requires the creation of a socio-economic and institutional environment that ensures opportunities for professional self-realization, innovation, and decent employment.

In addition, it is necessary to strengthen the integration of digital skills at all levels of education in order to enhance competitiveness and reduce skills mismatch in the labor market.

Ultimately, the effective development of human capital depends on a value-based reconsideration of the role of the individual — recognizing the individual not as a cost or passive resource, but as a long-term investment and an active driver of development.

ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები

Economics, Econometrics and Finance

ფინანსები

საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარება და რეგიონული ინტეგრირება: სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრატეგიების მნიშვნელობა

თამილა ნუცუბიძე
tamila.nutsubidze@unik.edu.ge
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.11

კვლევითი ნაშრომის მიზანია აღწეროს ბოლო ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული ტრანსფორმაციული მარეგულირებელი და საზედამხედველო რეფორმები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის. ნაშრომი დეტალურად განიხილავს საქართველოს კაპიტალის ბაზრის ბოლო წლების დინამიურ ზრდას, ის ხაზს უსვამს ბაზარზე არსებულ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს და ასახავს სამომავლო პერსპექტივებს. ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო და სხვა ანალიტიკური ლიტერატურის მიმოხილვას. ის აანალიზებს კორპორაციული და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრების განვითარებას, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ საქართველოს კაპიტალის ბაზარს. სტატისტიკური და თვისობრივი მტკიცებულებები მიუთითებენ იმაზე რომ, სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს. ტენდენციები ადასტურებენ რომ, პოლიტიკის შემქმნელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოს კაპიტალის ბაზრის გეოპოლიტიკურ როლს და მის აქტიურ ინტეგრაციას რეგიონულ ფინანსურ ბაზრებზე.

საკვანძო სიტყვები: *კაპიტალის ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება და ზედამხედველობა, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ფინანსური ინტეგრაცია*

ფასიანი ქაღალდების ბაზარი არის საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის მექანიზმის ეფექტუროობას და ფინანსური რესურსების თავისუფალ გადანაწილებას ბიზნესის სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების და ზედამხედველობის ხარისხობრივი განვითარება. უცხოური

გამოცდილება ადასტურებს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრებს ახასიათებს ბაზრების რეგულირების და ზედამხედველობის ეროვნული სპეციფიკა. ის განსაკუთრებით იპყრობს მკვლევარების ყურდღებას მაშინ, როდესაც მას განიხილავენ გარდამავალი და განვითარებადი ბაზრების ეკონომიკების ჭრილში.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება 1991 წლის დასაწყისში დაიწყო. მაშინ. როდესაც ქვეყანა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების გზას დაადგა. მიუხედავად იმისა, რომ მის შემდეგ 30 წელზე მეტი დრო გავიდა, საქართველოს ეკონომიკა დღეს, ისევ, როგორც ადრე, განიცდის საჭიროებას მსხვილ ინვესტიციებში. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა - ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, რათა მოხდეს ფინანსური რესურსების მობილიზება ეკონომიკის ინსტიტუციონალური განვითარებისათვის. მთლიანობაში, შესაძლებელია ითქვას რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას ახასიათებს ეტაპობრივი ზრდის და ხარისხობრივი განვიტარების ტენდენცია, რომელიც დიდწილად განპირობებულია მისი რეგულირების და ზედამხედველობის გაუმჯობესებით. შესძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს. ტენდენციები ადასტურებენ სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკისათვის.

ეტაპი I: 1991 – 1996 წწ. ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველი ეტაპისთვის დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი სტრუქტურული ეკონომიკური რეფორმები: სახელმწიფო პრივატიზაციის პროგრამის განხორციელება და ეროვნული ვალუტის შემოღება. საქართველოში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისა და განვითარების პირველ ეტაპზე მიღებული იქნა დროებითი რეგულაციები და ბაზრის ორგანიზაციული ღონისძიებები. 1991 წლიდან 1996 წლამდე ხდება ბირჟების ინტენსიური რეგისტრაცია საქართველოში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით 20 ბირჟა დარეგისტრირდა. დაარსდა „კავკასიური ბირჟა“ თბილისში (1991 წ.). დაარსდა თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა (1994 წ.). დაიწყო სააქციო საზოგადოებების აქციებისა და ობლიგაციების მიმოქცევა საფონდო ბაზარზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა ბაზრის მარეგულირებელი დეპარტამენტი. ასევე, ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში, შეიქმნა ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების სახელმწიფო ინსპექცია (1996 წ.). ძალაში შევიდა „მეწარმეობის შესახებ“ საქართველოს კანონი (1994 წ.). მიუხედავად აქტიური ღონისძიებებისა,

აღნიშნული ეტაპის დასასრულისთვის, ბაზრის კაპიტალიზაცია, მშპ-სთან მიმართებაში, 3 პროცენტსაც არ აღწევდა (Нуцубидзе 2008).

ეტაპი II: 1997 – 2007 წწ. 1997-1999 წლებში, მსოფლიო ბანკის, USAID-ის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით განხორციელდა მსხვილი პროექტები, რომლებიც გულისხმობდნენ ფინანსთა სამინისტროსთვის ტექნიკური მხარდაჭერის გაწევას კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით. შეიქმნა და იქნა მიღებული „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონი (1998 წ.). 1999 წელს შეიქმნა საქართველოს საფონდო ბირჟა. ამავე წელს, დაარსდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი. აღნიშნული ეტაპი, ასევე გამოირჩევა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობებით. 2007 წლისთვის, საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს დაევალა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მთავარი მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები. შესაბამისად, გაუქმდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. აღნიშნული ეტაპის დასასრულისთვის, 2006 წლის ბოლოს ბაზრის კაპიტალიზაცია, მშპ-სთან მიმართებაში, 4,2 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო, 2007 წლის ბოლოს მან 13,6 პროცენტს მიაღწია, რაც აღნიშნული წლის განსხვავებული, უპრეცენდენტო ეკონომიკური ზრდით იყო განპირობებული (Нуцубидзе 2008).

ეტაპი III: 2007 – 2014 წწ. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მესამე ეტპი გამოირჩევა ბაზრის საკანონმდებლო-ნორმატიული ჩარჩოს ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების სიმრავლით და ინსტიტუციონალური განვითარებით. ცვლილებები განხორციელდა ბაზრის ინფრასტრუქტურის, და ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობის განვითარების მიზნით. ტექნიკურად და ხარისხობრივად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს ბაზრის რეგულირების და ზედამხედველობის პრინციპებმა. ჩატარებული ღონისძიებები მიზანმიმართული იყო ბაზარზე კონკურენციის დონის ზრდისკენ, ბაზრის მონაწილეთა მონოპოლიური უფლებების აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, ჩატარებული ღონისძიებების უმრავლესობა საინვესტიციო გარემოს განვითარებას ემსახურებოდა. მიუხედავად ამისა, მესამე ეტაპის ფარგლებში განხოეციელებული ღონისძიებების გარკვეული ნაწილი ბევრ სხვა და სხვა გამოწვევებს უკავშირდებოდა და, ხშირად, სპეციალისტების და აკადემიური წრეების წარმომადგენლების, გარკვეული კრიტიკის საგანს წარმოადგენდა. ზემოდ აღნიშნულთან ერთად, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მესამე

ეტაპი, ხასიათდება რთული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობით რომელიც შეიქმნა ქვეყანაში 2008 წელს მსოფლიო საფინანსო კრიზისის და პოლიტიკური-საომარი კონფლიქტის გამწვავების ფონზე. შექმნილი ვითარების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა აქტიურობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზეც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2007 წლის ივლისის თვეში ფასიანი ქაღალდების რეგულატორი, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, გაუქმდა და მისი ფუნქციები დაეკისრა საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. თუმცა, 2008 წლის მარტში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების და ზედამხედველობის მოვალეობები გადაეცა ახალ დაფუძნებულ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს, ხოლო 2009 წელს ეს ფუნქციები სრულად გადაეცა უშუალოდ ეროვნულ ბანკს.

მთლიანობაში, 2007 – 2008 წლებში ბაზრის კანონმდებლობის შემუშავებული სტრატეგიის მიზანი ემსახურებოდა მეტად ლიბერალური მარეგულირებელი და საზედამხედველო კანონმდებლობის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლელებები განხორციელდა რამოდენიმე მიმართულებით.

2007 წლამდე, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა დასაშვები იყო მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიების მეშვეობით და მხოლოდ საფონდო ბირჟაზე. 2007 წელს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდა გარიგების დადება საფონდო ბირჟის გარეთ. ამისათვის აუცილებელი იყო გარიგების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება საფონდო ბირჟაზე (რა რაოდენობის ფასიანი ქაღლდების გასხვისება მოხდა და რა თანხით). ამის გაკეთება 2007 წლამდე კანონმდებლობით შეზღუდული იყო, რაც საქართველოს საფონდო ბირჟას მონოპოლიურ მდგომარეობაში აყენებდა. ამ ცვლილებებმა შეცვალეს ეს ფაქტი, რაც თავისთავად დადებით ტენდენციას ქმნიდა ბაზარზე და ინვესტორების ინტერესების გამომხატველი იყო. მიუხედავად, დადებითი ტენდენციისა, აღნიშნული პროცესი არ ხორციელდებოდა სრულად და დახვეწილად, რადგან გარიგების საუკეთესო წესის განსაზღვრა გარიგებისას არ ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ბროკერს მხოლოდ ფასის და რაოდენობის დაფიქსირება ევალებოდა საფონდო ბირჟაზე. სხვა ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნება არ იყო სავალდებულო. ეს გარკვეულწილად ქმნიდა რისკებს ინვესტორების დაცულობის კუთხით.

კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა ეხებოდა ანგარიშვალდებულ საწარმოთა

ვალდებულებას წარმოედგინათ საჯარო ანგარიშგება იმ შემთხვევაში, თუ მას 100-ზე მეტი აქციონერი ჰყავდა. გარკვეულწილად, ახალი ცვლილება ხელს უწყობდა საწარმოების განვითარებას. თუმცა, მან ამვდროულად, შეკვეცა ინვესტორთა დაცვის მექანიზმი, რადგან ამ ცვლილებამ გამოიწვია აქციონერთა ინფორმირებულობის შესაძლებლობების შემცირება.

2008 წელს შემუშავდა ახალი მოთხოვნები საბროკერო კომპანიების და რეგისტრატორების მიმართ რათა დაევალდებულათ ეს ორგანიზაციები საზედამხედველო ორგანოს ანგარიში წარედგინათ საერთაშორისო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ხოლო 2009-2010 წლებისთვის კანონმდებლობაში განხორციელებული ძირითადი ცვლილებების შესაბამისად, ბაზრის ყველა მონაწილე გახდა ვალდებული ეტაპობრივად გადასულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე.

ასევე, აღსანიშნავია რომ ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილებები შეეხო საფონდო ბირჟის და ცენტრალური დეპოზიტარის მონოპოლიურ მდგომარეობას რაც გამოიხატებოდა მხოლოდ ერთი ბირჟის და ერთი დეპოზიტარის არსებობის დაშვებით. ახალმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა სხვა ინსტიტუტებისათვის მოეპოვათ ლიცენზიები შესაბამისი საქმიანობის განხორციელების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლისთვის გაადვილდა საქართველოს საფონდო ბირჟაზე იმ ფასიანი ქაღალდების დაშვება, რომლებიც უკვე დაშვებულნი იყვნენ სხვა საერთაშორისო და უცხოურ აღიარებულ საფონდო ბირჟებზე. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ცვლილება, რომელიც 2009 წლიდან შემუშავდა და გულისხმობდა ეროვნული საიდენტიფიკაციო კოდის ასოციაციასთან (ANNA) თანამშრომლობას და ქართული ფასიანი ქაღალდებისთვის, ეროვნულის გარდა, საერთაშორისო საიდენტიფიკაციო კოდების მინიჭების შესაძლებლობის ზრდას; ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლება საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის გაცემის უფლება.

2010 წელს, ასევე, დადებითი წინსვლის ეფექტის მომტანი იყო საფონდო ბირჟის მიერ საფონდო ინდექსის - GSX შემოღება. აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს ბირჟის ოფიციალურ სავაჭრო ინდიკატორს.

ასევე, აღსანისნავია, რომ ამავე პერიოდში, ცენტრალურ დეპოზიტარში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები კასტოდიანური ოპერაციების სპექტრის გაფართოებისა და სრულყოფისათვის. ქვეყანაში საერთაშორისო კასტოდიანის შემოსვლა ქმნის ბაზარზე ინსტიტუციონალური ინვესტორების შემოსვლის რეალურ პერსპექტივებს.

2012 წელს კი ძალაში შევიდა ახალი ნორმატიული აქტი, რომელმაც განსაზღვრა ბაზრის მონაწილეების დარღვევათა ნუსხა და ის ზომები, რომლებიც უნდა იქნას გომოყენებული აღნიშნული დარღვევების დროს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2012 წლის

ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობას ეწეოდა 1 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 10 საბროკერო კომპანია, და 2 რეგისტრატორი. 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოს საფონდო ბირჟის სისტემაში დაშვებული იყო 133 ემიტენტის ფასიანი ქაღალდო. 2012 წლის განმავლობაში, ფასიანი ქაღალდების გარიგებათა საერთო ოდენობა 735.6 მლნ. ლარს შეადგენდა, აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიაზე დაიდო 8.8 მლნ. ლარის გარიგება, ხოლო ბირჟის გარეთ 726.7 მლნ. ლარის გარიგება (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2007; საქართველოს საფონდო ბირჟა 2007) (იხილეთ დიაგრამა 1 და 2).

დიაგრამა 1. ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები, 2007 – 2012 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2013

დიაგრამა 2. საბირჟო და არასაბირჟო გარიგებების რაოდენობა, 2007 – 2012 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2013

აღნიშნული პერიოდის ბოლოსთვის ბაზრის კაპიტალიზაცია, საშუალოდ, მხოლოდ 10 პროცენტამდე გაიზარდა (საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიშები 2008 - 2012). აღნიშნული ეტაპი განსხვავებულია, რადგან რიგი საზედამხედველო ღონისძიებების

გატარების შედეგად, მოხდა ბაზრის ფინანსური მდგრადობის გამყარება, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია საბროკერო კომპანიების რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება და ამ ორგანიზაციების კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ეტაპი IV: 2014- დღემდე, 2012 წლიდან დაიწყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ფართომასშტაბიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. თუმცა, აღნიშნულმა სტრატეგიამ ფორმალური გამოვლენა მოიპოვა კაპიტალის ბაზრის რეფორმის 2016 წლის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტის გამოქვეყნებისთანავე. თანამედროვე ეტაპზე რთულია მოცემული პერიოდის ჩაშლა რომელიმე სპეციფიკური ქვეეტაპის (-ების) მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა, და შემაფერხებელი ზეგავლენა მოახდინა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. მთლიანობაში, პანდემიამ მხოლოდ გამოავლინა ის რისკები< რომლებიც არის დამახასიათებელი ბაზრისთვის. მთლიანობაში, აღნიშნულმა ეტაპმა - თანამედროვე ტენდებციებმა, გამოავლინა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხარისხობრივი თავისებურებანი; განსაკუთრებით იკვეთება კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის განვითარების ტენდენცია. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდი განსხვავებულია არა მხოლოდ კორპორაციული სავალო ინსტრუმენტების განვითარების მხრივ, არამედ, სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების განვითარებით და შესაბამისად, სავალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ლიკვიდობის მნიშვნელოვანი ზრდით.

2014 წლიდან აქტიურად ვითარდება სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზარი. 2014 წელს, საჯარო შეთავაზებით განთავსებული ობლიგაციების ჯამურმა ღირებულებამ 30 მილიონი ლარი შეადგინა, რაც აქციების ბაზარზე საჯარო შეთავაზების გზით განხორციელებულ ემისიას დაახლოვებით სამჯერ აღემატებოდა.

2015 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააძლიერა კორპორაციული ობლიგაციების განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი. 2016 წლისთვის საქართველოს მთავრობა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, კერძო სექტორისა, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და USAID ერთობლივი მუშაობის შედეგად, შემუშავდა საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია. სტრატეგიის (2016) უმნიშვნელოვანესი ნაწილი ემყარებოდა კორპორაციული ობლიგაციების განვითარების გეგმას. ასევე, აღსანიშნავია, საქართველოს მისწრაფება ჩამოაყალიბოს ქვეყანაში საფინანსო რეგიონული ცენტრი (საქართველოს ეროვნული ბანკი 2015).

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წელს გრძელდებოდა ობლიგაციების ბაზრის გააქტიურება. ჯამში 11-მა კომპანიამ 442.8 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაცია გამოუშვა, საიდანაც 6 საჯარო ემისია, ხოლო 5 კერძო შეთავაზება იყო. საფონდო ბირჟაზე დაშვებული იყო 106 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი. გარიგებათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 128.67 მილიონი ლარი (3,478.03 მილიონი აქცია). აქედან საფონდო ბირჟაზე განხორციელდა 0.31 მილიონი ლარის გარიგება, ხოლო ბირჟის გარეთ - 128.36 მილიონი ლარი (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2017) (იხილეთ დიაგრამები 3, 4, 5, 6, და 7).

დიაგრამა 3. საჯარო და კერძო შეთავაზების გზით განთავსებული ობლიგაციების მოცულობა, 2014-2017 წწ.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018.

დიაგრამა 4. სხვადასხვა ვალუტით გამოშვებული ობლიგაციების მოცულობა, 2014 – 2017 წწ.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018.

დიაგრამა 5. ობლიგაციების პროცენტული წილი სექტორების მიხედვით, 2017 წ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018

დიაგრამა 6. ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიაზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები), 2010 - 2017 წწ.



წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018.

დიაგრამა 7. სავაჭრო სესიაზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით, 2010 - 2017 წწ.



	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
ბირჟის გარეთ	835	421	538	230	115	579	1 135	438
საბირჟო გარიგება	2 372	860	339	283	131	120	127	277

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018.

საქართველოს ეროვნული ბანკი ადასტურებს რომ, 2018 წლის განმავლობაში, კიდევ უფრო გააქტიურდა კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი. ჯამში 10-მა კომპანიამ 714 მილიონი ლარის 15 ემისია განახორციელა. აქედან 12 საჯარო, ხოლო 3 კერძო შეთავაზება იყო. 2017 წელთან. შედარებით, 2018 წელს საჯარო შეთავაზებით გამოშვებული ობლიგაციების ჯამური მოცულობა 6.6-ჯერ გაიზარდა და 663 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საჯარო შეთავაზებით გამოშვებული ობლიგაციების მოცულობა 458 მილიონი ლარი იყო.

ობლიგაციებთან შედარებით პასიური იყო აქციების ბაზარი პირველადი შეთავაზებით. ამ წელს აქციების ემისია არ განხორციელებულა. რაც შეეხება მეორად ბაზარს: საფონდო ბირჟაზე დაშვებული იყო 33 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი. გარიგებათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 1,184.54 მილიონი ლარი (63.22 მილიონი აქცია). როგორც აღნიშნულია საქართველოს ეროვნული ბანკის წლიურ ანგარიშში, ეს მაჩვენებელი საქართველოს აქციების ბაზარზე ფაქტიურად რეკორდია. ამ ოდენობიდან, საფონდო ბირჟაზე განხორციელდა 0.28 მილიონი ლარის გარიგება, ხოლო ბირჟის გარეთ - 1,184.26 მილიონი ლარი (საქართველოს ეროვნული ბანკი 2018). 2019 წელს კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი 25%-ით გაიზარდა. მისმა ზომამ მთლიანი შიდა პროდუქტის 4% შეადგინა., ისევ, როგორც აქციების ბაზრის ჯამურმა კაპიტალიზაციამ (საქართველოს ეროვნული ბანკი 2020).

პანდემიის გავლენა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე საქართველოში. ფაქტობრივად დასტურდება რომ, განვლილი პერიოდის განმავლობაში კორპორაციული სავალო ინსტრუმენტების განვითარებასთან ერთად ვითარდება სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები და იზრდება მეორადი ბაზრის ლიკვიდობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ, სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. პანდემიური ეკონომიკის გავლენა იყო მსგავსი სხვა განვითარებად ქვეყნებშიც.

მაგალითად, Facundo Abraham et al. (2021) იკვლევენ გლობალური კრიზისების გავლენას საერთაშორისო სავალო და ადგილობრივი სავალო ბაზრების განვითარებაზე. ავტორები ადასტურებენ, რომ გლობალური კრიზისები აღმოსავლეთ აზიის განვითარებადი და მზარდი ეკონომიკების კომპანიების ფინანსურ სტრატეგიებს ცვლიან; კორპორაციები საერთაშორისოდან ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრებზე გადავიდნენ. მკვლევარები ძირფესვიანად შესწავლილი აზიის

ფინანსური კრიზისის გავლენის რეზულტატებს ასახავენ სტატიაში. აზიის ფინანსურ კრიზისამდე განვითარებადი და მზარდი ეკონომიკების შიდა კაპიტალის ბაზრები ნაკლებად განვითარებული იყო. აღმოსავლეთ აზიაში შიდა კაპიტალის ბაზრის ზრდა შემთხვევითი არ ყოფილა; ეს ზრდა მაშინ მოხდა, როდესაც პოლიტიკის შემქმნელებმა აზიის ფინანსური კრიზისის საპასუხოდ კაპიტალის რეფორმების სერია განახორციელეს რათა მომხდარიყო ადგილობრივი, სუვერენული სახელმწიფოების კაპირტალის, სავალო ბაზრების განვითარების პროცესის დაწყება. შიდა კაპიტალის ბაზრებმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს პანდემიური ეკონომიკის ფონზე. აქვე აღსანიშნავია რომ, საერთაშორისო ლიტერატურა ადასტურებს რომ კრიზისების დროს, და მათ შორის პანდემიის გავლენის ფონზე, კორპორაციებმა სავალო ინსტრუმენტების გამოშვება, ვალუტების დენომინირების ხასიათი, და გამოშვებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობა შეცვალეს და, რაც მნიშვნელოვანია, გაზარდეს სესხის აღება იმ ბაზრებზე, რომლებიც პირდაპირ არ დაზარალდნენ კრიზისით (Juan J. Cortina et al. 2021).

მიუხედავად გარკვეული შეფერხებებისა, *უკვე 2022 წელს სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზრდის დინამიკა გააქტიურდა საქართველოში. ობლიგაციების ბაზრის ზომამ მთლიანი შიდა პროდუქტის 4.23 პროცენტი შეადგინა. ხოლო, სახაზინო ობლიგაციების ბაზრის მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 9.5 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა 10).* ქვემოთ მოცემული დიაგრამები (8, 9 და 10) ასაახავენ საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების (კორპორაციული და სახელმწიფოს) მეორადი ბაზრის განვითარების ტენდენციებს აქვე აღსანიშნავია რომ, 2018 წლიდან დაწყებული გრძელდება საფონდო ბაზარზე დადებული გარიგებების (ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების ჩათვლით) შემცირების ტენდენცია.

დიაგრამა 8. საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების (კორპორაციული და სახელმწიფო) მეორადი ბაზრის აქტივობა,



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები; საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2020.

დიაგრამა 9. კომერციული ობლიგაციების ნაშთები პერიოდის ბოლოს, 2014–2022 წწ.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები; საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2023.

დიაგრამა 10. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით მეორადი ბაზრის აქტივობა, 2009 – 2022 წწ.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები; საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2023.

2020 წლის განმავლობაში პანდემია და მისი თანმდევი ეკონომიკური მოვლენები ფასიანი ქაღალდების ბაზრის დინამიკაზე მნიშვნელოვნად აისახა. ეროვნული ბანკის მონაცემები ადასტურებენ, რომ კომერციული ობლიგაციების ბაზრის კლებადი ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა. უკვე 2022 წელს ობლიგაციების ბაზარზე ზრდადი ტენდენცია ფიქსირდებოდა. მისმა ზომამ მთლიანი შიდა პროდუქტის 4.23 პროცენტი შეადგინა. გამოშვებული ობლიგაციების 71.3 პროცენტი კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ლარით დენომინირებული ობლიგაციები იყო.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ბაზარი 49.3 პროცენტით, ხოლო კორპორაციული ობლიგაციების სეგმენტი 19.7 პროცენტით გაიზარდა.

2022 წელს კაპიტალის ბაზარზე განხორციელდა პირველი ადგილობრივი მწვანე კორპორაციული ობლიგაციის ემისია, რომლის ღირებულებამაც 80 მილიონი დოლარი შეადგინა. 2022 წელს ადგილობრივ ბაზარზე 7 საჯარო კორპორაციული ობლიგაციისა და 7 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის კერძო ობლიგაციის ემისია განხორციელდა (იხ. დიაგრამა 9).

2022 წლის ბოლოს, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების (Fitch, Moodys, Scope) მიერ მინიჭებული რეიტინგი საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ემიტენტების 62 პროცენტს გააჩნდა, რაც ბაზარზე არსებული საჯარო ობლიგაციების ნაშთის 49 პროცენტს შეადგენდა. 2022 წელს, სახაზინო ობლიგაციების ბაზარიც გაიზარდა და მისმა მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 9.5 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა 10).

საქართველოს ეროვნული ბანკი ადასტურებს რომ, 2022 წელს ადგილობრივი ბაზრის ლიკვიდურობის მაჩვენებელი ობლიგაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისთვის განსხვავებულია. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციებისათვის ეს მაჩვენებელი 9 პროცენტს შეადგენს. სახაზინო ობლიგაციებისათვის 2022 წელს მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობამ 20.8 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა 11. საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების (კორპორაციული და სახელმწიფო) მეორადი ბაზრის აქტივობა, 2015 – 2022 წწ.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები; საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2023.

რაც შეეხება საფონდო ბირჟას, 2023 წლის ბოლოსთვის, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 31 ემიტენტის ფასიანი ქაღალდები

იყო დაშვებული. საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულება ღირებულებამ 37.8 მლნ ლარი შეადგინა (2 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიებზე, ჯამურად, დაახლოებით 7.4 მლნ ლარის ღირებულების გარიგება დაიდო, ხოლო ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების ღირებულებამ 30.4 მლნ ლარი შეადგინა (იხ. დიაგრამები 12 და 13).

დიაგრამა 12. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2011-2022 წწ.



წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2022.

დიაგრამა 13. სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა, 2011 – 2022 წწ.



	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საბირჟო გარიგებები	860	339	283	131	120	127	277	133	56	48	14	19
დაფიქსირებული გარიგებები	421	538	230	115	579	1,135	438	215	224	139	179	136

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2022.

2023 წელს სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზარმა გააგრძელა ინტენსიური ზრდა. წინა წელთან შედარებით, ბაზრის ეს სეგმენტი 39.6 პროცენტით გაიზარდა და მისმა ზომამ მთლიანი შიდა პროდუქტის 5.32 პროცენტი შეადგინა. გამოშვებული ობლიგაციების 54.4 პროცენტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული ობლიგაციები იყო. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ბაზარი 6.4 პროცენტით, ხოლო კორპორაციული ობლიგაციების სეგმენტი 121.9 პროცენტით გაიზარდა. შედეგად, 2023 წლის ბოლოს კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის ზომამ 1.947 მილიარდი ლარი შეადგინა. საშუალოდ, ბოლო 5 წელიწადში, საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის ზრდის ტემპმა 38.7 პროცენტს მიაღწია (იხ. დიაგრამა 14).

დიაგრამა 14. საქართველოში არასამთავრობო ობლიგაციების ნაშთები (კორპორაციული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების) პერიოდის ბოლოს, 2014 – 2023 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2023.

2023 წელი, სახაზინო ობლიგაციების ბაზარმა 21.4 პროცენტიანი ზრდით დაასრულა (ფაქტიურად, 2022 წლის მსგავსად) და ნაშთმა მთლიანი შიდა პროდუქტის 10.3 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა 15).

დიაგრამა 15. საქართველოში სახაზინო ობლიგაციების ბაზარი, პერიოდის ბოლოს, 2010– 2023 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2023.

მთლიანობაში, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართბელოში 2024 წლისთვის განხორციელდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის საზედამხედველო და მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცვლილებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2020 წელს მიღებული ცვლილებები „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონსა და ამავე წელს დამტკიცებული „საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონი. 2022 წელს, „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ" კანონი დამტკიცდა. 2023 წელი მნიშვნელოვანი იყო სტრუქტურული ფინანსური პროდუქტების მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარების კუთხით. ეროვნული ბანკის მონაწილეობით, მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ" კანონი (სეკიურიტიზაცია), აგრეთვე ეროვნულმა ბანკმა გამოსცა „იპოთეკით დაცული ობლიგაციების მარეგულირებელი წესი".

აღსანიშნავია რომ, 2021 წელს. ეროვნულმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) მუდმივი წევრობის სტატუსი მოიპოვა. რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება და ზედამხედველობა საერთაშორისოდ დამკვიდრებულ სტანდარტებს დაუახლოვდა. ასევე, წინსვლის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 2021 წელს საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთათვის საერთო „ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსი" დამტკიცდა. ასევე, ამავე წელს დამტკიცდა „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი".

ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები და სიახლეები მიზანმიართული იყო და არის ფასიანი ქარალდების ბაზრის ინსტიტუციონალური განვითარებისკენ, განხორციელებული საკანონმდებლოინიციატივებიდაცვლილებებიინვესტორთაინტერესების დაცულობასა (არაკეთილსინდისიერი ქმედებების იდენტიფიკაციის, პრევენციისა და მათგან ინვესტორთა დაცვის მექანიზმების შემუშავებას) და ბაზარზე კონკურენციის და გამჭვირვალობის სტანდარტების ზრდას ისახავდა მიზნად. რაც უდაოდ, კაპიტალის ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მსგავსად წინა წლებისა, საქართველოში, კაპიტალის ბაზარმა ზრდის დინამიკა 2024 და 2025 წლებშიც განაგრძო. სახაზინო ობლიგაციების ბაზრის ზომა იზრდება; მშპ-სთან შედარებით, ბაზრის ზომა 10.7 პროცენტს შეადგენდა 2024 წლის ბოლოს. 2024 წელს, ასევე იზრდებოდა არასამთავრობო ობლიგაციების ბაზარი, რომელმაც წლის ბოლოს 5 მილიარდ ლარზე მეტი შეადგინა. ასევე, გაგრძელდა რიგი საკანონმდებლო, მარეგულირებელი სიახლეების დანერგვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რაც დინამიკის შენარჩუნებასა და კაპიტალის ბაზრის შემდგომ განვითარებას ხელს შეუწყობს (სებ 2024).

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისა და განვითარების ყველა ეტაპზე განხორციელდა სტრატეგიული ქმედებები და საკანონმდებლო ცვლილებები რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს კანონმდებლობის ინსტიტუციონალურ განვითარებას და ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებთან დაახლოვებას. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის დადგენილება N619-ის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა "საქართველოს 2023–2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია" და კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის 2023 – 2024 წლების სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობა, 2022a,b). "საქართველოს 2023–2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია" განსაზღვრავს ახალი საზედამხედველო, მარეგულირებელი და საკანონმდებლო აქტების თანამიმდევრული შემოღების ჩარჩოს, რაც მნიშვნელოვანია ბაზრის მონაწილეებისათვის გამჭვირვალე და განჭვრეტად გარემოში ოპერირებისათვის. სტრატეგია შესაბამისობაშია საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030-თან და აღნიშნული სტრატეგიის ეკონომიკური განვითარების მიმართულების მე-5 მიზანთან. დოკუმენტი, ასევე, შესაბამისაბაშია საქართველოს სამთავრობო პროგრამასთან და ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებთან, რომლებთანაც დაახლოება სავალდებულოა საქართველოს მხარისათვის

შეთანხმების დანართი XV-A-თი. კერძოდ, სტრატეგია ითვალისწინებს კაპიტალის ბაზრის, როგორც საინვესტიციო ფონდების, კერძო საპენსიო სქემების, ასევე ფასიანი ქაღალდების სხვა მარეგულირებელ დირექტივა და რეგულაციებთან შესაბამისობას. ამის გარდა, როგორც ზემოთ აღნიშნულია, საქართველოს ამჟამინდელი კაპიტალის ბაზრის სამართლებრივი ჩარჩო უკვე დიდწილად შესაბამისობაშია არა მხოლოდ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან, არამედ სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციებთან. მაგალითისათვის საკმარისია იმის აღნიშვნა რომ სტრატეგია ითვალისწინებს კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურის სამართლებრივი რეჟიმის ევროკავშირის ცენტრალური დეპოზიტარის რეგულაციის მნიშვნელოვან ნორმებთან შესაბამისობას დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის ჩარჩოს შემოღებით. უკვე 2025 წელს მოქმედი საქართველოს კანონით „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ დადგენილი აქტივების მმართველი კომპანიების მარეგულირებელი ნორმები, ასევე იპოთეკით დაცული ობლიგაციების და სექიურითიზაციის სამართლებრივი ჩარჩოები, დიდწილად ეყრდნობა ევროკავშირის მარეგულირებელ აქტებს (საქართველოს მთავრობა 2022a; სებ 2024).

საქართველოს კაპიტალის ბაზრის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური როლი უდავოა. ახალი სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი მარეგულირებელი და საზედამხედველო საკანონმდებლო, ნორმატიული დოკუმენტები და ქმედებები განაპირობებენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახალი და პროგრესული ეტაპის დაწყებას და განხორციელებას. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო აგრძელებს სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტრატეგიულ განვითარებას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით.

ბოლო ორი ათწლეულის გამოცდილება ადასტურებს რომ, სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულმა ქმედებებმა განსაზღვრეს კაპიტალის ბაზრის განვითარების ობიექტური ტრაექტორია. საქართველოს დემოკრატიული განვითარება მომავალშიც განაპირობებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეტაპობრივ ინსტიტუციურ განვითარებას.

ლიტერატურა

საქართველოს ეროვნული ბანკი. *წლიური ანგარიში (2008–დან 2024 წწ. ჩათვლით)*, თბილისი, საქართველო.

საქართველოს საფონდო ბირჟა. *კრებსიდი ანგარიშები (2008–დან 2023 წწ. ჩათვლით)*, თბილისი, საქართველო.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი. 2016. *კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია*, თბილისი, საქართველო.

საქართველოს მთავრობა, 2022a. *საქართველოს 2023–2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია,* თბილისი, საქართველო.

საქართველოს მთავრობა, 2022b. *კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა,* თბილისი, საქართველო.

Facundo Abraham et al., 2021. "The rise of domestic capital markets for corporate financing: Lessons from East Asia. *Journal of banking and Finance*", volume 122.

Juan J. Cortina et al., 2021. "Global corporate debt during crises: Implications of switching borrowing across markets". *Journal of international Economics.* Volume 131.

Нущубидзе, Т. 2008. Автореферат на тему диссертации *Государственное Регулирование Рынка Ценных Бумаг Грузии* . Санкт-Петербург.

Finance

Capital Market Development in Georgia and Regional Integration: Understanding Policy Strategies

Tamila Nutsubidze
tamila.nutsubidze@unik.edu.ge
Central University of Europe
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.11

The aim of the research paper is to describe the transformative regulatory and supervisory reforms implemented over the past decades, which have been instrumental in fostering the sustainable growth of the capital market in Georgia. Examining the recent years, the paper scrutinizes the dynamic trajectory of Georgia's capital market, delineating the opportunities and challenges encountered along this journey, and charting future prospects. This paper presents a narrative literature review with analysis of the selected academic and policy literature. It analyzes the development of corporate and government securities markets that represent the Georgian capital market substantially. The statistical and qualitative evidence suggests that the development of the debt securities market is of crucial importance. Most importantly, the trends confirm that special attention should be paid by policy makers to the geopolitical role of the Georgian capital market and to its active integration within regional financial markets.

Keywords: *capital markets, securities market regulation and supervision, corporate securities market, government securities market, financial integration*

The aim of the research paper is to describe the transformative regulatory and supervisory reforms implemented over the past decades, which have been instrumental in fostering the sustainable growth of the capital market in Georgia. Examining the recent years, the paper scrutinizes the dynamic trajectory of Georgia's capital market, delineating the opportunities and challenges encountered along this journey, and charting future prospects. The expansion of Georgia's capital market is due to the heightened demand for debt instruments as well as a palpable interest in the other capital market investments. Noteworthy is the ambitious plan of Georgia's government that intends to lay the ground for the transformation of the Georgian capital market into the regional financial center. With the status of a European Union membership candidate country and the role of the Middle Corridor logistics route, Georgia

has the ambition to become a regional hub of financial services. Georgia has been striving to become a regional financial center for many years now, inviting world-known financial institutions and large transnational companies to open regional representations in Georgia and receive unique financial benefits.

This paper presents a narrative literature review with analysis of the selected academic and policy literature. It analyzes the development of corporate and government securities markets that represent the Georgian capital market substantially. The statistical and qualitative evidence suggests that the development of the debt securities market is of crucial importance. Most importantly, the trends confirm that special attention should be paid by policy makers to the geopolitical role of the Georgian capital market and to its active integration within regional financial markets.

Equity and bond issuance could increasingly drive revenue growth and expansion in Georgia. Since 2014, the development of a large-scale state strategy for the development of the securities market in Georgia has been underway. Although the pandemic had a disruptive effect on the Georgian securities market, it has only revealed those risks that are common for the market. Covid-19 has had a significant impact on the development of the domestic debt securities market. The impact of the pandemic economy was similar in other developing countries. It is also worth noting that the international literature confirms that during crises, including the impact of the pandemic, corporations have changed the nature of their debt issuance, the nature of their currency denominations, and other issuance-related activities and, importantly, increased borrowing in markets that were not directly affected by the crisis. Similar trends occurred in Georgia as well. However, by 2022 the market begins to recover. By the end of 2023, shares of six companies were listed on the exchange, collectively representing Georgia's market capitalization of 3.5 billion GEL (1.3 billion USD). While there is a positive relationship between the size of a stock market and its liquidity, market liquidity shows minimal growth up to now. The activity level on the Georgian secondary stock market accounts for only 0.12 percent. However, given the market's small size, this is not unexpected.

The findings presented in the article highlight how government and corporate bond markets in Georgia are accounting for a rising share in the investments as well as in the financing of companies. For instance, treasury bonds have been actively issued in the Georgian Market since 2009, and their total volume is expanding at a significant pace thereafter. However, in relation to GDP, the market size still remains relatively small - 10.3 percent in 2023. At the same time, starting from 2023 the local corporate bonds market experiences record

levels of activity. Corporate bonds totaling 1.2 billion GEL were publicly issued, with 70 percent denominated in foreign currency. As a result, the corporate bond market reached 1.9 billion GEL, representing 2.37 percent of GDP for the year. The market continues to grow in 2024 and 2025 as well. Key factors that drove the market growth included a strong political support provided by the Government of Georgia. Starting from 2022, the capital market support program that was co-initiated by the National Bank of Georgia was implemented with funding from the European Union. Through this program, issuance of bonds totaling 450 million GEL by 7 issuers was supported. In 2023, the company "Georgia Capital" rolled over Eurobonds through the issuance of bonds worth 150 million USD on the local market. By 2024 the market grew up to 4,267 billion Gel and showed the fastest growing trend of the recent decades (See Figure below). Of particular interest is the fact that the state continues the strategic development of the debt securities market in order to increase access to finance.

Figure 1. Outstanding Non-Government Bonds at the end of the Period (2014 – 2023)



Source: National bank of Georgia, Georgian stock Exchange, Bloomberg. (NBG Annual report, 2024).

The Government of Georgia with the National Bank of Georgia undertook significant efforts to develop the securities market and implement supervisory measures to promote transparency and development of the capital market. Overall, it is worth noting that at all stages of the formation and development of the securities market in Georgia, strategic actions and legislative amendments have been implemented to contribute to the institutional development of Georgian legislation and its approximation to the main principles of EU legislation. According to the Resolution of the Government of Georgia No.

619 of December 30, 2022, the Government of Georgia approved the "Capital Market Development Strategy of Georgia for 2023–2028" and the Capital Market Development Strategy Action Plan for 2023–2024 (Government of Georgia, 2022 a,b). The Government Strategy defines the framework for the sequential introduction of new supervisory, regulatory and legislative acts, which is important for market participants to operate in a transparent and predictable environment. In addition, the current legal framework of the capital market of Georgia is already largely in line not only with the legal acts of the European Union envisaged by the Association Agreement, but also with the legal acts of other international financial institutions.

The geopolitical and geoeconomic role of the Georgian capital market is undeniable. The comprehensive State policy and relevant strategies, regulatory and supervisory framework as well as relevant actions will lead to the implementation of a new and progressive stage of the securities market development.

საინჟინრო საქმე

Engineering

სამოქალაქო მშენებლობა და სამშენებლო დაპროექტება

CO_2-ის ემისიების და ენერგიის მოხმარების შემცირება ცემენტ-პლასტმასის ომპოზიტური ქვის ბლოკებში ცემენტის მინიმიზაციის გზით

მერაბ ბარათაშვილი
merab.baratashvili@atsu.edu.ge
თორნიკე ბარათაშვილი
მერაბ ირემაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.12

ცემენტის ინდუსტრია პასუხისმგებელია გლობალური ანთროპოგენური CO_2-ის ემისიების დაახლოებით 7-8%-ზე, ძირითადად მაღალი ტემპერატურის კლინკერის წარმოებისა და ინტენსიური ენერგიის მოხმარების გამო. სამშენებლო მასალებში ცემენტის შემცველობის შემცირება წარმოადგენს მდგრადი განვითარების კრიტიკულ გზას. ეს კვლევა აფასებს შემცირებული ცემენტის შემცველობით და გადამუშავებული პლასტმასის აგრეგატებით წარმოებული მსუბუქი ქვის ბლოკების გარემოსდაცვით სარგებელს. მინერალური აგრეგატების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩანაცვლებით და ცემენტის დოზის დაახლოებით 10-20%-მდე მინიმიზაციით, შემოთავაზებული კომპოზიტური ბლოკი აღწევს ჩანერგილი ენერგიისა და CO_2-ის ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას. ანალიტიკური შეფასებები აჩვენებს, რომ ცემენტის შემცირება პირდაპირ ამცირებს პროცესთან დაკავშირებულ ემისიებს, ხოლო გადამუშავებული პლასტმასის გამოყენება ნაგავსაყრელებიდან ნარჩენებს გადაიტანს. შედეგები ადასტურებს, რომ გარემოსდაცვითი მახასიათებლების გაუმჯობესება შესაძლებელია სტრუქტურული ან თერმული მოთხოვნების კომპრომისის გარეშე, რაც დაბალი ნახშირბადის შემცველი მშენებლობისთვის სიცოცხლისუნარიან გადაწყვეტას გვთავაზობს.

საკვანძო სიტყვები: *CO_2 გამონაბოლქვი, ცემენტის შემცირება, განსახიერებული ენერგია, გადამუშავებული პლასტმასი, მდგრადი ქვა*

შესავალი. მშენებლობა, როგორც სექტორი, მისი ყველა ეტაპის გათვალისწინებით, ზოგადად მოიხმარს წარმოებული ენერგიის 45%-ს

და შექმნილი მატერიალური რესურსების 35%-ს. ექსპლუატაციის ეტაპზე შენობებსა და ნაგებობებს მუდმივად სჭირდებათ ენერგიის მიწოდება გათბობის, გაგრილებისა და წყლის გასათბობად, რომლის მოხმარება იწვევს სათბურის გაზების გამოყოფას გარემოში, რაც სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე. მწვანე მშენებლობა ახალი მიმართულებაა, რომელიც უზრუნველყოფს ენერგიის მოხმარების შემცირებას შენობებსა და ნაგებობებში საცხოვრებელი ან სამრეწველო პირობების გაუარესების გარეშე. შენობების ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფა მწვანე მშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა (Karen et al. 2018, Gartner, Sui 2018). ჩვენ ჩავატარეთ კვლევა მეორადი პლასტმასის ნარჩენების გამოყენებით ენერგოეფექტური სამშენებლო ბლოკების ოპტიმალური პარამეტრების დასადგენად. ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფის გარდა, ბლოკებს აქვთ კიდევ ერთი ტიპის უპირატესობა: მათი წარმოება ამცირებს მოხმარებული ცემენტის რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან დეკარბონიზაციას წარმოების ეტაპზე.

კვლევისას გამოყენებული მეთოდები. ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები, თბოგადაცემის ოპტიმალური მაჩვენებლის დადგენისას, პლასტმასის მოცულობითი ოდენობის განსაზღვრის მიზნით ცემენტის წარმოება ერთ-ერთი ყველაზე ენერგოინტენსიური სამრეწველო პროცესია, რომელიც მოითხოვს ღუმელის ტემპერატურას დაახლოებით 1450°C-მდე (Habert et al. 2011, European Commission 2020). პროცესი წარმოქმნის CO_2-ის გამოყოფას როგორც საწვავის წვის, ასევე კირქვის კალცინაციის შედეგად. შესაბამისად, ცემენტის მოხმარების შემცირება კლიმატის შერბილების სტრატეგიებში გლობალურ პრიორიტეტად იქცა. ბოლოდროინდელი კვლევებში აქცენტები გადატანილია ალტერნატიული შემკვრელების, დამატებითი ცემენტის ანალოგიური მასალების გამოყენებაზე, მსუბუქ პოტენციალის მქონე მასალების შექმნის მიზინით მსგავსი მასალების გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. თუმცა, ბევრი გადაწყვეტა დაკავშირებული რთულ ქიმიურ მოდიფიკაციებთან და მოითხოვს მაღალ საწარმოო ხარჯებს (Intergovernmental Panel ... 2022).

წარმოდგენილი კვლევა გვთავაზობს პრაგმატულ მიდგომას: ცემენტის შემცველობის შემცირებას და ამავდროულად მასალის მახასიათებლების გაუმჯობესებას სტრუქტურული ფორიანობისა და გადამუშავებული პლასტმასის ჩართვის გზით.

კვლევის არსებითი ხასიათის შედეგები: ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედება

CO_2-ის გამოყოფა ცემენტის წარმოებიდან საშუალოდ: 1 ტონა პორტლანდცემენტის წარმოებისას გამოყოფა დაახლოებით 0.85–0.95

ტონა CO_2-ს, ენერგიის მოხმარება მერყეობს ტონაზე 3.2–4.2 გჯ-ს შორის. ამრიგად, მასალის დონეზე ცემენტის გამოყენების მცირედი შემცირებაც კი მნიშვნელოვან კუმულაციურ სარგებელს იძლევა შენობებისა და ქალაქის მასშტაბით (International Energy... 2023, United Nations... 2019).

ცემენტის შემცველობის შემცირების როლი ჩვეულებრივ ბეტონის ბლოკებში ცემენტის შემცველობა ხშირად აღემატება სტრუქტურულ აუცილებლობას კონსერვატიული დიზაინის პრაქტიკის გამო. შიდა სტრუქტურისა და აგრეგატის შერჩევის ოპტიმიზაციის გზით, შესაძლებელია ცემენტის დოზის შემცირება მექანიკური მახასიათებლების შელახვის გარეშე (Ramezanianpour... 2014).

ცემენტ-პლასტმასის კომპოზიტის კონცეფცია. მასალის სტრატეგია. შემოთავაზებული ბლოკი მოიცავს: შემცირებული ცემენტის შემცველობა (≈10–20% მასის მიხედვით), გადამუშავებული პლასტმასის ნაწილაკები წარმოდგენილია მსუბუქი მცირე 2მმ ზომის აგრეგატების სახით, ცივი შერევის ტექნოლოგია, რომელიც გამორიცხავს დამატებით თერმულ დამუშავებას. პლასტმასის ნაწილაკები არ მონაწილეობენ ჰიდრატაციის რეაქციებში, მაგრამ მოქმედებენ როგორც: მოცულობის შემავსებლები, ბზარების დამბლოკავები, ფორიანობისა და თერმული წინააღმდეგობის ხელშემწყობი ფაქტორები (Jenna et al. 2015, Shrestha et al. 2023).

ცემენტის შემცირების დასაბუთება. ცემენტი ძირითადად უზრუნველყოფს: შიგა სტრუქტურაში არსებულ თბურ ხიდებს შორის დატვირთვის გადატანას, კომპოზიტის სტრუქტურულ სტაბილურობას.

პლასტმასის შემავსებლის დაბალი სიმკვრივისა და ელასტიურობის გამო, ბლოკის დეფორმაციერების და ბზარების წარმოქმნის რისკი მცირდება, რაც საშუალებას იძლევა ცემენტის შემცველობის მინიმუმამდე დაყვანა, საკმარისი შეკუმშვის სიმტკიცის შენარჩუნებით.

CO_2 ემისიების შემცირების შეფასება. ცემენტის დაზოგვის გაანგარიშება (საორიენტაციო) დაშვებით:

ჩვეულებრივი ბლოკების წამოებისას ცემენტის შემცველობა: 270 კგ/მ³, შემოთავაზებული ბლოკების შემთხვევაში ცემენტის შემცველობა: 170 კგ/მ³.

ცემენტის დაზოგვა: $\Delta C=270–170=100$ კგ/მ³. ასოცირებული CO_2 შემცირება: $\Delta CO2=100\times0.9=90$ კგ CO_2.

ეს წარმოადგენს ცემენტთან დაკავშირებული ემისიების 33–37%-ით შემცირებას ქვის კუბურ მეტრზე.

ენერგიის მოხმარების შემცირება. ცემენტის მოთხოვნის შემცირება პირდაპირ ამცირებს: ღუმელის საწვავის მოხმარებას, ელექტროენერგიის მოხმარებას დაფქვისა და დამუშავებისთვის. გარდა ამისა, ცივი შერევის

ტექნოლოგია გამორიცხავს დამატებით თერმული ენერგიის მოთხოვნებს ბლოკების წარმოების დროს.

დამატებითი გარემოსდაცვითი სარგებელი. პლასტმასის ნარჩენების გამოყენება. გადამუშავებული პლასტმასის გამოყენება: ამცირებს ნაგავსაყრელზე განთავსების რაოდენობას, ამცირებს გარემოს დაბინძურებას, ახანგრძლივებს მასალის სასიცოცხლო ციკლს წრიული ეკონომიკის ჩარჩოებში.

ოპერაციული ენერგიის დაზოგვა. ბლოკების გაუმჯობესებული თერმული მახასიათებლები ($\lambda \approx 0.15$ W/m·K) იწვევს: გათბობისა და გაგრილების მოთხოვნის შემცირებას, შენობის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში CO_2-ის საოპერაციო ემისიების შემცირებას, მაღალი სიმტკიცის ბეტონისგან განსხვავებით, შემოთავაზებული კომპოზიტი უპირატესობას ანიჭებს: ფუნქციურ მახასიათებლებს ჭარბ სიმტკიცეზე, მასალის ეფექტურობას მასის სიმკვრივეზე, გარემოსდაცვით ოპტიმიზაციას კონკრეტული ენერგიის დაზოგვისა და მერადი პლასტმასის გარემოდან გამოტანის მეშვეობით.

ცემენტის შემცირებას, გადამუშავებული პლასტმასის გამოყენებასა და ფოროვან სტრუქტურას შორის სინერგიით წარმოიქმნება სამშენებლო მასალა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ჩაშენებულ, ასევე საოპერაციო ნახშირბადის ემისიებს.

კვლევის შედეგები. ეს კვლევა ადასტურებს, რომ CO_2-ის ემისიების და ენერგიის მოხმარების მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია ქვის ბლოკებში ცემენტის მინიმიზაციის გზით. შემოთავაზებული ცემენტ-პლასტმასის კომპოზიტი აჩვენებს, რომ მდგრადობა და ეფექტურობა ურთიერთგამომრიცხავი არ არის.

დასკვნები. მსგავსი მახასიათებლებით მასალების ინტეგრაცია დაბალი ნახშირბადის შემცველობის სამშენებლო სტრატეგიებში და ქმნის მყარ საფუძველს შემდგომი ექსპერიმენტული ვალიდაციის, სტანდარტიზაციისა და რეგულაციების გავლით აღიარების მოპოვებისა და მათი მასიური დანერგვისათვის.

ლიტერატურა

European Commission. 2020. *Circular Economy Action Plan.* Brussels: European Union.

Gartner, Ellis & Sui, T. 2018. *Alternative cement clinkers. Journal of Sustainable Cement-Based Materials.* Taylor & Francis.

Habert, Guillaume., d'Espinose de Lacaillerie, J. B., & Roussel, N. 2011. "Environmental impact of cement production: detail of the different processes and cement plant variability evaluation." *Journal of Cleaner Production.* Elsevier.

Intergovernmental Panel on Climate Change. 2022. *Climate Change 2022: Mitigation of Climate Change.* Cambridge University Press.

International Energy Agency. 2023. *Cement Sector Technology Roadmap.* Paris: IEA Publications.

Jenna, R., Jambeck et al. 2015. *Plastic waste inputs from land into the ocean.* Science, American Association for the Advancement of Science (AAAS).

Karen, L. Scrivener, John, V. M., & Gartner, E. 2018. *Eco-efficient cements: Potential, economically viable solutions for a low-CO_2 cement-based materials industry*. Cement and Concrete Research. Elsevier.

Ramezanianpour, Ali Akbar. 2014. *Cement Replacement Materials: Properties, Durability, Sustainability*. Springer.

Shrestha, Mukta Narayan, et al. (2023). "A review of plastic bricks as a construction material." *Journal of Engineering Materials and Structures,* Academic Publisher.

United Nations Environment Programme. 2019. Global Status Report for Buildings and Construction. Nairobi: UNEP.

Civil and Structural Engineering

Reduction of CO_2 Emissions and Energy Consumption through Cement Minimization in Cement–Plastic Composite Masonry Blocks

Merab Baratashvili
merab.baratashvili@atsu.edu.ge
Tornike Baratashvili
Merab iremadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.12

The cement industry is responsible for approximately 7–8% of global anthropogenic CO_2 emissions, primarily due to high-temperature clinker production and intensive energy consumption. Reducing cement content in construction materials represents a critical pathway toward sustainable development. This study evaluates the environmental benefits of lightweight masonry blocks produced with reduced cement content and recycled plastic aggregates. By replacing a significant portion of mineral aggregates and minimizing cement dosage to approximately 10–20%, the proposed composite block achieves notable reductions in embodied energy and CO_2 emissions. Analytical estimations demonstrate that cement reduction directly lowers process-related emissions while recycled plastic utilization diverts waste from landfills. The results confirm that environmental performance can be improved without compromising structural or thermal requirements, offering a viable solution for low-carbon construction.

Keywords: *CO_2 emissions; Cement reduction; Embodied energy; Recycled plastic; Sustainable masonry*

Introduction. Construction as a sector, taking into account all its stages, consumes, in general, 45% of the energy produced and 35% of the material resources created. At the operation stage, buildings and structures continuously require energy supply for heating, cooling, and water heating, the consumption of which produces greenhouse gas emissions into the environment, which has a serious negative impact on the environment. Green construction is a new direction that ensures the reduction of energy consumption in buildings and structures without deteriorating living or industrial conditions. Ensuring the energy efficiency of buildings is a crucial challenge of green construction (Karen

et al. 2018, Gartner, Sui 2018). We conducted a study to determine the optimal parameters of energy-efficient construction blocks using secondary plastic waste. In addition to ensuring energy efficiency, the blocks have another type of advantage: their production reduces the amount of cement consumed, which ensures significant decarbonization at the production stage.

Cement production is one of the most energy-intensive industrial processes, requiring kiln temperatures of approximately 1450°C (Habert et al. 2011, European Commission 2020). The process generates CO_2 emissions from both fuel combustion and limestone calcination. Consequently, reducing cement consumption has become a global priority within climate mitigation strategies.

Recent research highlights the potential of alternative binders, supplementary cementitious materials, and lightweight aggregates to lower the environmental footprint of construction materials. However, many solutions involve complex chemical modifications or high processing costs (Intergovernmental Panel ... 2022).

This study proposes a pragmatic approach: reducing cement content while enhancing material performance through structural porosity and recycled plastic incorporation.

Environmental Impact of Cement Production. CO_2 Emissions from Cement Manufacturing On average: 1 ton of Portland cement emits approximately 0.85–0.95 tons of CO_2, Energy consumption ranges between 3.2–4.2 GJ per ton. Thus, even modest reductions in cement usage at the material level yield substantial cumulative benefits at the building and urban scale (International Energy... 2023, United Nations... 2019).

Role of Cement Content Reduction. In conventional concrete blocks, cement content often exceeds structural necessity due to conservative design practices. By optimizing internal structure and aggregate selection, it becomes possible to reduce cement dosage without sacrificing mechanical performance (Ramezanianpour... 2014).

Cement–Plastic Composite Concept. Material Strategy. The proposed block incorporates: Reduced cement content (≈10–20% by mass), Recycled plastic particles as lightweight aggregates, Cold-mixing technology eliminating additional thermal processing.

Plastic particles do not participate in hydration reactions but act as: Volume fillers, Crack arresters, Contributors to porosity and thermal resistance (Jenna et al. 2015, Shrestha et al. 2023).

Justification for Cement Reduction. Cement primarily ensures: Load transfer between aggregates, Structural coherence of the composite.

Due to the low density and elasticity of plastic aggregates, stress concentrations are reduced, allowing cement content to be minimized while maintaining sufficient compressive strength.

CO_2 Emission Reduction Assessment. Cement Savings Calculation (Indicative). Assuming: Conventional block cement content: 270 kg/m³, Proposed block cement content: ˜170 kg/m³,

Cement saving: ΔC=270–170=100 kg/m³, Associated CO_2 reduction: ΔCO2=100×0.9=90 kg CO_2

This represents a 33–37% reduction in cement-related emissions per cubic meter of masonry.

Energy Consumption Reduction. Lower cement demand directly reduces: Kiln fuel usage, Electricity consumption for grinding and processing.

Furthermore, cold-mixing technology eliminates additional thermal energy requirements during block production.

Additional Environmental Benefits. Plastic Waste Utilization. Incorporation of recycled plastic: Reduces landfill disposal, Decreases environmental pollution, Extends material lifecycle within a circular economy framework.

Operational Energy Savings. The improved thermal performance of the blocks (λ ≈ 0.15 W/m·K) leads to: Reduced heating and cooling demand, Lower operational CO_2 emissions throughout the building's life cycle.

Unlike conventional high-strength concrete, the proposed composite prioritizes: Functional performance over excessive strength, Material efficiency over mass density, Environmental optimization over conservative overdesign.

The synergy between cement reduction, recycled plastic use, and porous structure results in a material that addresses both embodied and operational carbon emissions.

Research results. This study confirms that significant reductions in CO_2 emissions and energy consumption can be achieved through cement minimization in masonry blocks. The proposed cement–plastic composite demonstrates that sustainability and performance are not mutually exclusive.

The findings support the integration of such materials into low-carbon construction strategies and provide a strong foundation for further experimental validation, standardization, and patent development.

სამოქალაქო მშენებლობა და სამშენებლო დაპროექტება

მრავალშრიანი თბოსაიზოლაციო საკედლე ბლოკები

ამირან გრძელიშვილი
amiran.grdzelishvili@atsu.edu.ge
დავით გრძელიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.13

სტატიაში წარმოდგენილი მრავალშრიანი თბოსაიზოლაციო საკედლე ბლოკები რომლებიც გამიზნულია კარკასული ტიპის სამოქალაქო შენობების თვითმზიდი და არამზიდი კედლების ამოსაყვანად. ბლოკის ტექნიკური შედეგია თბოსაიზოლაციო მაჩვენებლების გაზრდა, რაც მიიღწევა ბლოკში თბოსაიზოლაციო შრეების განაწილებით ისე, რომ ბეტონის ძირითადი შრის გარე და შიგა ზედაპირები დაფარულია სითბოსაიზოლაციო ფენებით, რომლებიც გამოირჩევა მაღლი სითბური ინერციის მახასიათებლებით და აქვს თვისება, ტემპერატურის პერიოდული ცვალებადობის დროს შეინარჩუნოს სითბო, ან ნელა შეცვალონ ტემპერატურა კონსტრუქციაში, რაც გამორიცხავს ნამის წარმოქმნის შესაძლებლობას. კარკასული ტიპის სამოქალაქო შენობებში, წარმოდგენილი ბლოკით კედლების აგებისას, ფაქტიურად ერთდროულად მიმდინარეობს კედლის ამოყვანისა და მისი თბოსაიზოლაციო სამუშაოები, გამოირიცხება გარე და შიგა ზედაპირების შელესვის აუცილებლობა და შესაძლებელია უშუალოდ მოპირკეთების სამუშაოების ჩატარება.

საკვანძო სიტყვები: *საკედლე ბლოკი, სითბომედეგობა, შენობა, ინტერიერი, ექსტერიერი*

მშენებლობაში, ახალი ენერგოეფექტური მეთოდების, ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიების შემუშავება, წარმოებს მრავალი მიმართულებით, მაგრამ, შენობების ენერგოეფექტურობა ძირითადად დამოკიდებულია, გარე კედლების და გადახურვების ასაგები მასალების თბოტექნიკურ მახასიათებლებზე. შენობის რაციონალურად დაპროექტებული გარე შემომფარგლავი კონსტრუქციები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ თბოტექნიკურ მოთხოვნებს:

1. ახასიათებდეთ საკმარისი თბოდამცავი თვისებები, რათა უკეთ შეინარჩუნონ სათავსებში სითბო, წლის ცივ პერიოდში ან დაიცვან

სათავსები ზაფხულში მზით გადახურებისაგან;

2. ექსპლუატაციის დროს კედლის შიგა ზედაპირზე არ ჰქონდეთ ძალზე დაბალი, შიგა ჰაერის ტემპერატურისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ტემპერატურა, რათა ავიცილოთ მათზე კონდესატის წარმოშობა და ადამიანინის ტანის გაცივება გამოსხივებითი თბოდანაკარგების გამო;

3. ახასიათებდეთ ჰაერშეღწევადობა, არაუმეტეს დასაშვები ზღვრისა, რომლის შემდეგაც ჰაერგაცვლა დააქვეითებს შემომფარგლავის თბოდაცვის ხარისხს და გააცივებს სათავსს, შემომფარგლავთან ახლო მჯდომ ადამიანში გამოიწვევს გამჭოლი განიავების შეგრძნებას;

4. ინარჩუნებდნენ ნორმალურირი ტენიანობის რეჟიმს, გამომდინარე იქიდან, რომ შემომფარგლავის დანესტიანება ამცირებს მის ხანგრძლივობას და აუარესებს სათავსის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს.

შემომფარგლავის უმნიშვნელოვანეს თბოტექნიკურ თვისებას, წარმოადგენს, წინააღმდეგობა, მასში სითბოს გატარებისადმი ანუ თერმიული წინაღობა, რომელიც ხასიათდება, შემომფარგლავის შიგა და გარე ზედაპირების ტემპერატურათა სხვაობით, როცა 1 მ^2 ზედაპირზე, 1 საათის განმავლობაში, გადის 1კკლ სითბო. შემომფარგლავის ერთგვაროვანი ფენის თერმიული წინაღობა იანგარიშება ფორმულით

$$R = \frac{\delta}{\lambda} \text{ გრად. მ}^2\text{. ს/კკალ}$$

სადაც, δ არის შემომფარგლავის სისქე მ-ში, λ - შემომფარგლავი მასალის თბოგამტარობის კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს, სითბოს რაოდენობას კილოკალორიებში, რომელსაც ატარებს, 1 საათის განმავლობაში, 1მ სისქის შემომფარგლავის 1 მ^2 ფართობი, გარე და შიგა ზედაპირების ტემპერატურათა 1^0 სხვაობისას. რაც მეტია თერმიული წინაღობის სიდიდე, მით უკეთესია შემომფარგლავის თბოდაცვითი თვისება. თერმიული წინაღობის გაზრდისათვის საჭიროა ან გავზარდოთ შემომფარგლავის δ სისქე, ან შევამციროთ თბოგამტარობის λ კოეფიციენტი, ეკონომიის მიზნით, მომგებიანია გამოვიყენოთ მცირე თბოგამტარობის კოეფიციენტის მქონე მასალები, თუ ამასთანავე, დაცული იქნება შემომფარგლავის სათანადო სიმტკიცის პირობები. თბოგამტარობის კოეფიციენტის სიდიდე კი, ძირითადად დამოკიდებულია, მასალის მოცულობით წონაზე, ტენიანობასა და ტემპერატურაზე, რაც უფრო ნაკლებია მასალის მოცულობით წონა და მაშასადამე მეტია მასში სითბოს ცუდი გამტარი ჰაერით სავსე ფორები, მით ნაკლებია მისი თბოგამტარობის კოეფიციენტიც, მაგრამ, მოცულობით წონასა და თბოგამტარიანობას

შორის, არ არის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება, რადგანაც, უკანასკნელზე, არსებით გავლენას ახდენს, მასალის ბუნება და მისი სტრუქტურის ხასიათი.

სითბოს რაოდენობას, რომელიც გადის 1 საათის აგანმავლობაში 1 მ^2 შემომფარგლავში, ეწოდება სითბური ნაკადი და გამოსახება ფორმულით

$$q = \frac{\tau_{ჰ} - \tau_{ჱ}}{R} \text{ კკალ/მ}^2\text{ს.}$$

სადაც q - არის სითბოს რაოდენობა, კკალ.

$\tau_{ჰ}$ - შემომფარგლავის შიგა ზედაპირის ტემპერატურა;

$\tau_{ჱ}$ - შემომფარგლავის გარე ზედაპირის ტემპერატურა;

R - თერმული წინაღობა.

შემომფარგლავის სისქეში ტემპერატურა ეცემა სითბური ნაკადის შემომფარგლავში გავლისას მისი შიგა ზედაპირიდან გარესაკენ. ტემპერატურის დაწევას, განპირობებულს თერმული წინაღობით უწოდებენ ტემტერატურულ ვარდნას. აღსანიშნავია რომ სითბური ნაკადის შემომფარგლავში გავლისას ტემპერატურა ქვევით იწევს არა მარტო შემომფარგლავის მასალაში, არამედ მის ზედაპირებთანაც, ასე რომ შიგა ზედაპირის $\tau_{ჰ}$ ტემპერატურა ნაკლებია სათავსის ჰაერის $t_{ჰ}$ ტემპერატურაზე, ხოლო გარე ზედაპირის $\tau_{ჱ}$ ტემპერატურა მეტია გარე ჰაერის $t_{ჱ}$ ტემპერატურაზე. აქედან გამომდინარე, შემომფარგლავ კონსტრუქციებში სითბოს გატარების პროცესში ტემპერატურის დაქვეითება მისი თრმული წინაღობითაა გამოწვეული, ასეთი წინაღობა გვაქვს სითბური ნაკადის გადასვლის დროს შიგა ჰაერიდან შიგა ზედაპირზეც და, აგრეთვე, გარე ზედაპირიდან გარე ჰაერზე სითბოს გადაცემის დროსაც. პირველი წინაღობა იწოდება თბოათვისების წინაღობად და აღინიშნება $R_{ჰ}$, მეორე თბოგადაცემის წინაღობად და აღინიშნება $R_{ჱ}$, ორივე სახის წინაღობა გაერთიანებული იწოდება თბოგადსვლის წინაღობად და განზომილება იგივეა, რაც თერმული წინაღობისა, ის გამოხატას ტემპერატურათა იმ სხვაობას ჰაერსა და შემომფარგლავის ზედაპირს შორის, რომლის თბონაკადი ჰაერსა და ზედაპირს შორის უტოლდება 1 კკალ/მ^2 საათ.

შემომფარგლავის თბოგადაცემის საკითხის განხილვისას გულისხმობენ რომ შემომფარგლავში გამავალი სითბო სტაციონალურია, ანუ მისი სიდიდე დროში არ იცვლება, ასეთი სითბური ნაკადი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შიგა და გარე ჰაერის ტემპერეტურა ასევე არ იცვლება დროში, სინამდვილეში როგორც გარე, ასევე შიგა ტემპერატურა მუდმივი არ არის, მერყეობს დღე – ღამის განმავლობაში და უფრო დიდი პერიოდებითაც. ჰაერის ტემპერატურის პერიოდულ ცვალებადობას მივყავართ შემომფარგლავისადმი

დამატებითი თბოტექნიკური მოთხოვნების საჭიროებამდე და ეს დამატებითი მოთხოვნები მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველვყოთ ტემპერატურის მინიმალური მერყეობა შემომფარგლავის შიგა ზედაპირზე, რათა სათავსში შევინარჩუნოთ კომფორტული პირობები და ამასთან ავიცილოთ კონდესატის წარმოქმნა კონსტრუქციის ზედაპირზე. ტემპერატურის მერყეობა შიგა ზედაპირზე დამოკიდებულია არა მარტო შიგა და გარე ჰაერის ტემპერატურათა მერყეობაზე, არამედ თვით შემომფარგლავის თბოტექნიკურ თვისებებზეც. შემომფარგლავები, რომლებიც უზრუნველყოფენ შიგა ზედაპირზე ტემპერატურათა ნაკლებ მერყეობას, იწოდებიან **თბომედეგად.** ამრიგად, შემომფარგლავის თბომედგობად იწოდება მისი თვისება უზრუნველყოს ტემპერატურის შედარებითი მუდმივობა შიგა ზედაპირზე შემომფარგლავში გამავალი სითბური ნაკადის სიდიდის მერყეობისას. შემომფარგლავის თბომედეგოგაზე მოქმედ ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება მისი ზედაპირის **თბოათვისება**, ანუ ამ ზედაპირის თვისება მეტი ან ნაკლები ხარისხით მიიღოს სითბო, სითბური ნაკადის პერიოდული მერყეობისას. მასალის თბოათვისება ხასიათდება თბოათვისების კოეფიციენტით S და იზომება კკლ/მ^{2}ს/გრად. (ორლოვსკი, სერბინოვიჩი 1989).

ამჟამად, ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო მშენებლობებში, კარკასული ტიპის შენობების გარე შემომფარგლავი კედლების ამოსაყვანად, ბეტონის ბლოკი ყველაზე გავრცელებული და გამოყენებადია. ასეთი ბეტონის ბლოკებით ამოყვანილი კედლები (რომელთა სისქე უმეტესად 20 სმ-ია) გამოირჩევიან დაბალი სითბომედეგობით და ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომელიც წაეყენება თანამედროვე სამოქალაქო შენობებს ენერგოეფექტიანობის თვალსაზრისით. იმისათვის რომ გაიზარდოს გარე შემომფარგლავი კედლების თბოტექნიკური მახასიათებლები, საჭირო ხდება უკვე ამოყვანილ კედლების გარე და შიგა ზედაპირებზე თბოსაიზოლაციო სამუშაოების ჩატარება, რომელიც დამატებით ხარჯებთან და შრომატევადობის გაზრდასთან არის დაკავშირებული.

სტატიაში წარმოდგენილია მრავალშრიანი თბოსაიზოლაციო საკედლე ბლოკები (სასარგებლო მოდელი U 2025 2223 Y), რომელთა ტექნიკური შედეგია თბოსაიზოლაციო მაჩვენებლების გაზრდა, რაც მიიღწევა ბლოკში თბოსაიზოლაციო შრეების განაწილებით ისე, რომ ბეტონის ძირითადი შრის გარე და შიგა ზედაპირები დაფარულია სითბოსაიზოლაციო ფენებით, რომლებიც გამოირჩევა მაღლი სითბური ინერციის მახასიათებლებით და აქვს თვისება, ტემპერატურის პერიოდული ცვალებადობის დროს შეინარჩუნოს სითბო, ან ნელა შეცვალონ ტემპერატურა კონსტრუქციაში, რაც გამორიცხავს ნამის წარმოქმნის შესაძლებლობას.



ნახ.1.



ნახ.2.

ბლოკების კონსტრუქცია (ნახ. 1 და ნახ. 2) შედგება ძირითადი ბეტონის შრეებისაგან 1, ბეტონის შრის გარე და შიდა ზედაპირებზე და ასევე მათ შორის განთავსებული თბოსაიზოლაციო მასალის შრეებისაგან 2, ბლოკის შრეები ერთმანეთთან დაკავშირებულია პლასტმასის, ხრახნიანი ზედაპირის მქონე,ორივე მხარეს ბრტყელთავებიანი ღეროებით 3, ბლოკში თბოსაიზოლაციო ფენები განთავსებულია წანაცვლებით ისე, რომ ქვედა საგებ მხარეს წარმოქმნილია მცირე ზომის შვერილები და მათ შორის ღარები, ხოლო ბლოკის ზედა საგებ ზედაპირზე წარმოქმნილია ბეტონის შვერილები, რომლებიც გამიზნულია ქვედა საგებ ზედაპირზე არსებულ ღარებში განსათავსებლად.

ბლოკის შრეების სისქე, შემაკავშირებელი ღეროების დიამეტრი და რაოდენობა, განისაზღვრება შრეების მასალების და ექსპლუატაციის პირობების მიხედვით.

სამშენებლო ბლოკის ბეტონის შრეები შესაძლებელია მოეწყოს სხვადასხვა შემავსებელზე დამზადებული, როგორც მძიმე ასევე მსუბუქი ბეტონებით, წარმოდგენილი ბლოკების ძირითადი შრეები კი დამზადებულია მსუბუქი ბეტონისაგან რომელშიდაც შემავსებლ მასალად გამოიყენებულია პლასტმასის ნარჩენების, დამუშავებით (დაქუცმაცება, დაღერღვა, დაფქვა) მიღებული მასა, რომელიც გამირჩევა სიმსუბუქითა და კარგი თბოტექნიკური მახასიათებლებით და რომელიც წყალცემენტის ნარევთან გამკვრივებისას იძენს სათანადო სიმტკიცეს და სავსებით აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს, თვითმზიდი და არამზიდი საკედლე და სატიხრე ბლოკების წარმოებისათვის.

ანალოგებთან შედარებით, ერთნაირი თბოტექნიკური მახასიათებლების შემთხვევაში, წარმოდგენილი ბლოკების სიგანე იქნება გაცილებით ნაკლები, ხოლო მასა, ბლოკის სტანდარტული ზომებიდან გამომდინარე, სხვადასხვა შემვსებზე დამზადებული ბეტონების შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს 10 - დან 16 - კგ- მდე.

ცნობილია საკედლე ბლოკები, რომელთა შუა ნაწილში განთავსებულია თბოსაიზოლაციო შრე (GE U 2006 1271 Y; შპს ბედეგი - ,,იზობლოკი“). ასეთი ბლოკების თბოტექნიკური მაჩვენებლები დამოკიდებულია მხოლოდ ერთი თბოსაიზოლაციო შრის მახასიათებლებზე, რომელიც განთავსებულია ბლოკის მხოლოდ შუაში, ხოლო ბეტონის გარე და შიგა შრეები, რომლებიც უშუალოდ ეხება ჰაერს, არ გამოირჩევა თბომედეგობით და მიუხედავად თბოსაიზოლაციო შრის სისქის რეგულირებისა, ჰაერის ტემტერატურის პერიოდული ცვალებადობისას, თბოსაიზოლაციო შრესა და ბეტონის შრეს შორის მაინც ჩნდება ნამის წარმოქმნის შესაძლებლობა, რაც ამცირებს კედლის თბოტექნიკურ ხარისხს.

მრავალშრიანი ბლოკის შემთხვევაში შემომფარგლავის თბოგადასვლის R_0 წინაღობა გამოითვლება, თითეული შრის თერმული წინაღობების, თბოათვისებისა და თბოგადაცემის წინაღობათა ჯამით, კერძოდ:

$$R_0 = R_ბ + R_1 + R_2 + R_3 + \dots R_n + R_შ = R_ბ + \frac{\delta_1}{\lambda_1} + \frac{\delta_2}{\lambda_2} + \frac{\delta_3}{\lambda_3} + \dots \frac{\delta n}{\lambda n} + R_შ$$ გრად. მ². საათ./კკალ

სადაც $R_1 + R_2 + R_3 + \dots R_n$ არის შემომფარგვლელი ფენების თერმიული წინაღობები რომელთა მნიშვნელობები დამოკიდებულია შემომფარგლავის ბ სისქესა და მასალის თბოგამტარობის λ კოეფიციენტზე.

თუ წარმოდგენილი 5 შრიანი ბლოკის (ნახ. 1) ფენების სისქე იქნება: გარე საიზოლაციო შრე ქაფპლასტისაგან δ_1 = 0,05მ, თბოგამტარობის კოეფიციენტი $_1$ = 0,05მ. ბეტონის გარე შრე მსუბუქი ბეტონისაგან δ_2 = 0,085მ, თბოგამტარობის კოეფიციენტი λ_2 = 1,1მ. შუა საიზოლაციო შრე ქაფპლასტისაგან δ_3 = 0,03, თბოგამტარობის კოეფიციენტი λ_3 = 0,05მ. შიგა ბეტონის შრე მსუბუქი ბეტონისაგა δ_4 = 0,085მ, თბოგამტარობის კოეფიციენტი λ_4 = 1,1მ. შიგა საიზოლაციო შრე ქაფპლასტისაგან δ_5 = 0,03მ, თბოგამტარობის კოეფიციენტი $_5$ = 0,05მ. გასათბობი სათავსების შემომფარგლავი კონსტრუქციების, პრაქტიკული თბოტექნიკური გაანგარიშებებისას სამშენებლო ნორმებით, თბოათვისების წინაღობა მიიღება $R_შ$ = 0,133 გრად. მ² საათ/კკალ. ხოლო თბოგადაცემის წინაღობა კედლებისათვის შეიძლება მივიღოთ $R_ბ$ =0,05 გრად. მ² საათ/კკალ. (სამშენებლო ნორმები და წესები СНиП II – А 7 – 62).

წარმოდგენილი 5–შრიანი ბლოკის თბოგადასვლის წინაღობა ტოლი იქნება:

$$R_0 = 0,05 + \frac{0,05}{0,05} + \frac{0,085}{1,1} + \frac{0,03}{0,05} + \frac{0,085}{1,1} + \frac{0,03}{0,05} + 0,133 =$$

$$= 0,05+1+0,077+0,6+ 0,077+0,6+0,133 = 2,5$$ გრად. მ². საათ./კკალ.

თუ განხილული 0,27 მ სისქის მრავალშრიან კედლის ბლოკის თბოგადასვლის წინაღობას, რომელიც უდრის - 2,5 გრად. მ^2. საათ./კკალ. შევდარებთ 0,64 მ სისქის აგურის კედლის თბოგადასვლის წინაღობას, რომელიც შიგა მხრიდან შელესილია 2 - სმ სისქის კირის ბათქაშით და მიახლოებით უდრის - 1,13გრად. მ^2. საათ./კკალ. -ს, პროგრესი აშკარაა.

კარკასული ტიპის სამოქალაქო შენობებში, წარმოდგენილი ბლოკებით კედლების ამოყვანისას, ერთდროულად მიმდინარეობს კედლების მოწყობისა და მისი თბოსაიზოლაციო სამუშაოები, გამოირიცხება გარე და შიგა ზედაპირების შელესვის აუცილებლობა და შესაძლებელია უშუალოდ მოპირკეთების სამუშაოების ჩატარება. ღარებში ბეტონის შვერილების განთავსების დროს მარტივდება კედლის ამოყვანის ოპერაციები. ბლოკების დასაკავშირებლად შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ქვიშა-ცემენტის დუღაბი, ისე წებოცემენტის ხსნარი, ხოლო ქაფპლასტის შრეების ერმანეთთან გაერთიანება და ნაკერების შევსება მოხდება პოლიმერული ქაფით, რომელიც მაღალი წნევით მაქსიმალურად ავსებს ცარიელ ადგილებს და გამორიცხავს თბური ხიდების წარმოქმნას კედელში. აღნიშნული ბლოკები გამორჩეული იქნებიან კარგი ბგერათსაიზოლაციო თვისებებითაც რაც, აუცილებელი პირობაა საცხოვრებელ შენობებში, ბინების კომფორტულობისათვის.

ლიტერატურა

ორლოვსკი, ბ., პ. სერბინოვიჩი. 1989. *არქიტექტურა.* თბილისი.
სასარგებლო მოდელი: მოწმობა U 2025 2223 Y
სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП ll – А 7 – 62)
GE U 2006 1271 Y; შპს ბედეგი - ,,იზობლოკი“

Civil and Structural Engineering

Multi-layered Thermal Insulation Wall Blocks

Amiran Grdzelishvili
amiran.grdzelishvili@atsu.edu.ge
David Grdzelishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.13

The article presents multi-layered thermal insulation wall blocks designed for the construction of self-supporting and non-load-bearing walls in frame-type civil buildings. The technical efficiency of these blocks is reflected in their enhanced thermal insulation performance, achieved through a strategic distribution of insulation layers. Specifically, the external and internal surfaces of the primary concrete core are encased in thermal insulation layers characterized by high thermal inertia. These properties enable the structure to retain heat during periodic temperature fluctuations or to undergo gradual temperature transitions, thereby effectively eliminating the risk of condensation (dew formation). In the context of frame-type civil construction, utilizing these blocks allows for the simultaneous execution of wall erection and thermal insulation. Furthermore, this method obviates the necessity for plastering internal and external surfaces, facilitating the immediate application of finishing materials.

Keywords: *wall block, thermal resistance, building, interior, exterior.*

In construction, the development of new energy-efficient methods, technical means, and technologies is carried out in many directions; however, the energy efficiency of buildings primarily depends on the thermotechnical characteristics of the materials used for the construction of external walls and roofing. Rationally designed external building envelope structures must satisfy the following thermotechnical requirements:

1.They must possess sufficient thermal insulation properties to better retain heat within the premises during the cold period of the year, or protect the premises from solar overheating in summer;

2.During operation, the temperature on the internal surface of the wall must not be excessively low or significantly different from the internal air temperature, in order to avoid condensation and prevent cooling of the human body due to radiant heat loss;

3.They must exhibit air permeability not exceeding the allowable limit, beyond which air exchange would diminish the thermal protection quality of the envelope and cool the premises, causing a sensation of a draft for individuals sitting near the envelope;

4.They must maintain a normal moisture regime, given that the dampening of the envelope reduces its durability and deteriorates the sanitary-hygienic conditions of the premises.

The most critical thermotechnical property of a building envelope is its resistance to heat transfer, or thermal resistance, which is characterized by the temperature difference between the internal and external surfaces of the envelope when 1 kcal of heat passes through $1m^2$ of surface area in 1 hour. The thermal resistance of a homogenous layer of the building envelope is calculated by the formula:

$$R = \frac{\delta}{\lambda} \; ^\circ C * \; m^2 * \; h/kcal$$

Where δ is the thickness of the envelope in meters, and λ is the thermal conductivity coefficient of the material, representing the amount of heat in kilocalories conducted over 1 hour through $1m^2$ of an envelope with a thickness of 1m, given a temperature difference of 1^0 between the external and internal surfaces. The higher the thermal resistance value, the better the thermal insulation property of the envelope. To increase thermal resistance, it is necessary to either δ increase the thickness of the envelope or decrease the thermal conductivity λ coefficient; for economic efficiency, it is advantageous to use materials with a low thermal conductivity coefficient, provided that the appropriate structural strength conditions of the envelope are maintained. The value of the thermal conductivity coefficient primarily depends on the bulk density, moisture content, and temperature of the material; the lower the bulk density of the material—and consequently, the more air-filled pores it contains (air being a poor conductor of heat)—the lower its thermal conductivity coefficient. However, there is no direct proportional relationship between bulk density and thermal conductivity, as the latter is significantly influenced by the nature of the material and the character of its structure.

The amount of heat that passes through $1m^2$ of the building envelope in 1 hour is called the heat flux and is expressed by the formula:

$q = \frac{\tau_{\partial} - \tau_{\partial}}{R}$ $kcal$ /m^2.

where q is the amount of heat in kcal.

τ_{∂} - The temperature of the internal surface of the envelope;

τ_{δ} - The temperature of the external surface of the envelope;
R - Thermal Resistance

The temperature within the thickness of the building envelope drops as the heat flux passes through the envelope from its internal surface toward the external one. This temperature reduction, conditioned by thermal resistance, is called the temperature drop. It is noteworthy that as the heat flux passes through the envelope, the temperature decreases not only within the envelope material itself but also at its surfaces; thus, the internal surface temperature t_{si} is lower than the internal air temperature t_{ia}, while the external surface temperature t_{se} is higher than the external air temperature t_{ea}.

Consequently, in the process of heat transfer through building envelopes, the temperature decrease is caused by its thermal resistance. This resistance occurs during the transfer of heat flux from the internal air to the internal surface, as well as during the heat transfer from the external surface to the external air. The first resistance is called the internal surface resistance (or thermal absorption resistance) and is denoted as R_{si}, while the second is called the external surface resistance (or thermal emission resistance) and is denoted as R_{se}. Both types of resistance combined are referred to as surface heat transfer resistance, and their dimension is the same as that of thermal resistance. It expresses the temperature difference between the air and the envelope surface at which the heat flux between the air and the surface equals:

When discussing the heat transfer of an envelope, it is assumed that the heat passing through the envelope is stationary, meaning its magnitude does not change over time. Such a heat flux can only occur if the internal and external air temperatures also remain constant over time. In reality, both external and internal temperatures are not constant; they fluctuate throughout the day and night and over longer periods. The periodic variation of air temperature leads to the need for additional thermotechnical requirements for the envelope. These requirements consist of ensuring minimum temperature fluctuation on the internal surface of the envelope to maintain comfortable conditions within the space and, at the same time, prevent condensation on the construction surface.

Temperature fluctuation on the internal surface depends not only on the fluctuations of internal and external air temperatures but also on the thermotechnical properties of the envelope itself. Envelopes that ensure less temperature fluctuation on the internal surface are called heat-stable (or thermally inert).

Thus, the heat stability of an envelope is defined as its property to ensure a relative constancy of temperature on the internal surface despite fluctuations

in the magnitude of the heat flux passing through the envelope. One of the most important factors affecting the heat stability of an envelope is the thermal absorption of its surface—that is, the property of this surface to absorb heat to a greater or lesser degree during periodic fluctuations of the heat flux.

The thermal absorption of a material is characterized by the thermal absorption coefficient **S** and is measured in kcal/(m²·h·°C) (Orlovsky 1989).

Currently, in the civil construction projects underway in our country, concrete blocks are the most prevalent and widely used material for constructing the external envelope walls of frame-type buildings. Walls built with such concrete blocks (most often with a thickness of 20 cm) are characterized by low thermal stability and fail to meet the requirements set for modern civil buildings in terms of energy efficiency. To enhance the thermotechnical characteristics of external envelope walls, it becomes necessary to carry out thermal insulation work on both the external and internal surfaces of the already constructed walls, which is associated with additional costs and increased labor intensity.

This article presents multi-layered thermal insulation wall blocks (Utility Model U 2025 2223 Y), the technical result of which is an increase in thermal insulation indicators. This is achieved by distributing thermal insulation layers within the block such that the external and internal surfaces of the main concrete layer are covered with thermal insulation layers. These layers are distinguished by high thermal inertia characteristics and have the property of retaining heat during periodic temperature fluctuations or slowly changing the temperature within the construction, which eliminates the possibility of condensation.



Fig. 1



Fig. 2

The construction of the blocks (Fig. 1 and Fig. 2) consists of main concrete layers (1) located on the external and internal surfaces of the concrete layer, as well as thermal insulation material layers (2) placed between them. The block layers are interconnected by plastic rods (3) featuring threaded surfaces

and flat heads on both ends. Within the block, the thermal insulation layers are positioned with an offset, such that small protrusions and corresponding grooves are formed on the lower bedding side, while concrete protrusions are formed on the upper bedding surface of the block, intended to fit into the grooves of the lower bedding surface.

The thickness of the block layers, as well as the diameter and quantity of the connecting rods, are determined based on the materials of the layers and the operating conditions.

The concrete layers of the building block can be constructed using both heavy and lightweight concretes made with various aggregates. In the presented blocks, the main layers are made of lightweight concrete, where the aggregate material used is a mass obtained from processed plastic waste (crushing, grinding, milling). This material is characterized by its lightness and good thermotechnical properties; when hardened with a water-cement mixture, it acquires adequate strength and fully satisfies the technical requirements for the production of self-supporting and non-load-bearing wall and partition blocks.

Compared to analogues with identical thermotechnical characteristics, the width of the presented blocks is significantly smaller, while the mass—based on standard block dimensions—can vary from 10 to 16 kg depending on the concrete aggregate used.

Wall blocks are known to have a thermal insulation layer placed in their middle section (GE U 2006 1271 Y; LLC Bedegi - "Izoblock"). The thermotechnical indicators of such blocks depend solely on the characteristics of a single thermal insulation layer placed only in the center of the block. Meanwhile, the external and internal concrete layers, which are in direct contact with the air, lack thermal stability. Despite adjusting the thickness of the insulation layer, the possibility of condensation still arises between the thermal insulation and concrete layers during periodic air temperature fluctuations, which reduces the thermotechnical quality of the wall.

In the case of the multi-layered block, the total heat transfer resistance R_0 of the envelope is calculated by the sum of the thermal resistances of each individual layer, along with the internal and external surface resistances; specifically:

$$R_0 = R_{ბ} + R_1 + R_2 + R_3 + \ldots R_n + R_{ბ} = R_{ბ} + \frac{\delta_1}{\lambda_1} + \frac{\delta_2}{\lambda_2} + \frac{\delta_3}{\lambda_3} + \ldots \frac{\delta n}{\lambda n} + R_{ბ}$$

$$°C * m^2 * h/kcal$$

Where $R_1 + R_2 + R_3 + \ldots + R_n$ are the thermal resistances of the envelope layers, the values of which depend on the thickness δ of the envelope and the thermal conductivity coefficient λ of the material.

If the layer thicknesses of the presented 5-layer block (Fig. 1) are: external insulation layer of expanded polystyrene δ_1 = 0,05m, thermal conductivity coefficient λ_1 = 0,05m, external concrete layer of lightweight concrete δ_2 = 0,085m, thermal conductivity coefficient λ_2 = 1,1m; middle insulation layer of expanded polystyrene δ_3 = 0,03m, thermal conductivity coefficient λ_3 = 0,05m, internal concrete layer of lightweight concrete δ_4 = 0,085 m, thermal conductivity coefficient λ_4 = 1,1m; and internal insulation layer of expanded polystyrene δ_5 = 0,03m, thermal conductivity coefficient λ_5 = 0,05m.

According to construction norms for practical thermotechnical calculations of building envelopes for heated spaces, the internal surface resistance is taken as $R_{si} = 0.133°C * m^2 * h/kcal$, while the external surface resistance for walls is taken as $R_{\{se\}} = 0.05\ °C * m^2 * h/kcal$(Construction Norms and Rules SNiP II – A 7 – 62).

The total heat transfer resistance of the presented 5-layer block is:

$$R_0 = 0{,}05 + \frac{0{,}05}{0{,}05} + \frac{0{,}085}{1{,}1} + \frac{0{,}03}{0{,}05} + \frac{0{,}085}{1{,}1} + \frac{0{,}03}{0{,}05} + 0{,}133 =$$

$$= 0{,}05+1+0{,}077+0{,}6+ 0{,}077+0{,}6+0{,}133 = 2{,}5°C * m^2 * h/kcal$$

If we compare the total heat transfer resistance of the discussed 0.27 m thick multi-layered wall block, which equals $2.5°C * m^2 * h/kcal$, to the heat transfer resistance of a 0.64 m thick brick wall plastered on the inside with a 2 cm thick lime mortar, which is approximately 1.13 $°C * m^2 * h/kcal$, the progress is evident.

In frame-type civil buildings, while constructing walls using the presented blocks, wall assembly and thermal insulation works are carried out simultaneously. This eliminates the necessity for plastering external and internal surfaces, allowing for direct finishing works. The positioning of concrete protrusions within the grooves simplifies wall construction operations. Both sand-cement mortar and adhesive-cement solutions can be used to bond the blocks, while the connection of expanded polystyrene layers and the filling of joints are achieved using polymer foam. The foam, applied under high pressure, fills voids to the maximum extent, thereby precluding the formation of thermal bridges within the wall. Furthermore, these blocks are characterized by superior sound insulation properties, which is an essential condition for the comfort of apartments in residential buildings.

სამრეწველო და წარმოების ინჟინერია

ქართული ეროვნული საგანძური-ორნამენტი ტრიკოტაჟის ნაწარმში

ნატო ფაილოძე
nato.pailodze@atsu.edu.ge
ნანული აბესაძე
Nanuli.abesadze@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
ლია ლურსმანაშვილი
l.lursmanashvili@yahoo.com
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.14

ქართული კულტურა ვითარდება საქართველოს ისტორიასთან ერთად რასაც სხვა კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებთან თანაარსებობით ასაზრდოებს ტრადიციული ორნამენტი. ორნამენტი შესწავლილია და გადმოტანილია სხვადასხვა მასალაში. დღეს უკვე აქტუალურია ტექსტილზე ჩითვის მეთოდით დატანილი ორნამენტები, ასევე ეთნო სტილში დამზადებული ხალიჩები, მაგრამ ტრიკოტაჟის ნაწარმზე იშვიათად გვხვდება ქსოვის ტექნოლოგიური პროცესების სირთულებიდან გამომდინარე. ნაშრომში წარმოდგენილია ხეზე, ქვაზე და ტექსტილზე გამოსახული ძველი ქართული ორნამენტების გაანალიზების, შედეგად შერჩეული ორნამენტების ფრაგმენტების ტრიკოტაჟის ნაწარმში გადმოტანის მცდელობა და მათი ესკიზების დამზადების მეთოდები. კერძოდ, მოვახდინეთ მოძიებული მასალიდან ტრადიციული ორნამენტების გამოყოფა და ამ ნიმუშების ესკიზების და ქსოვის სქემების დამზადება, შერჩეული ხლართისა და ნედლეულის გათვალისწინებით. დავადგინეთ საოჯახო ტიპის საქსოვი მანქანებისათვის LK150, LK155 და SK280 ასევე ბრტყელფანგურ „ПВПЭМ“ მანქანისათვის ქსოვის ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრები, რათა აღნიშნული ორნამენტები შემდგომში მოიქსოვოს ზემოთ მითითებულ ტრიკოტაჟის საქსოვ მანქანებზე. ჩვენ მიერ მოძიებული ორნამენტების საფუძველზე შევადგინეთ ესკიზები და მათი გამოყენებით მოვქსოვეთ რამდენიმე ორნამენტის ნიმუში.

საკვანძო სიტყვები: *ქსოვა, ორნამენტი, ტრიკოტაჟი, საქსოვი მანქანა, მოდელი, ოპტიმიზაცია*

შესავალი: ნაქსოვი ნაწარმი წარმოადგენს ტექსტილის ხელოვნებისა

და ტექნოლოგიის ერთ-ერთ უძველეს და ამავე დროს დინამიკურად განვითარებად სფეროს, რომელიც აერთიანებს ფუნქციურ, კონსტრუქციულ და ესთეტიკურ კომპონენტებს. ტრადიციული ეროვნული ნაქსოვი ნაწარმი ქართული კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია და ასახავს ხალხის ყოფით გამოცდილებას, მხატვრულ გემოვნებასა და სულიერ ტრადიციებს. მასზე გამოსახული ორნამენტები არა მხოლოდ დეკორატიული დანიშნულების მატარებელია, არამედ კულტურული მეხსიერების, სიმბოლური აზროვნებისა და ეთნიკური იდენტობის გამომხატველ ფორმებად გვევლინება (Kartsidze 2024, 174-188). თანამედროვე დიზაინში სულ უფრო ხშირად ვხვდებით საუკუნეების წინ შექმნილ ნაქსოვ და ნაქარგ ქართულ ორნამენტებს, აგრეთვე ქვასა და ხეზე ასახულ მოტივებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათი ფორმალური და შინაარსობრივი მდგრადობის აქტუალობას.

ნაქსოვ ნაწარმში ორნამენტი წარმოიქმნება ტრიკოტაჟის ტილოზე ძაფების გადახლართვისა და მათი ორგანული დაკავშირების გზით. ორნამენტული მოტივების ხაზები და კონტურები მუშავდება ტილოს ხლართებთან მიმართებაში, რის შედეგადაც ისინი შეიძლება იყოს სწორი, საფეხურებიანი ან მრუდხაზოვანი. აღნიშნული დამოკიდებულება განაპირობებს იმას, რომ ორნამენტი არ არის ზედაპირზე მექანიკურად დატანილი ელემენტი; იგი ტილოს სტრუქტურასთან ერთიან, ორგანულ სისტემას ქმნის. სწორედ ამიტომ, ნაქსოვი ტილოს სტრუქტურა არ იფარება, არამედ პირიქით - მკაფიოდ გამოიკვეთება და გარდაიქმნება მხატვრული სახის ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტორად.

ორნამენტის მოტივის სპეციფიკის ხაზგასმა ხორციელდება ხლართის სტრუქტურის განსაკუთრებული ელემენტების საშუალებით: მარყუჟების, განაბმების, სხვადასხვა ფორმის ყულფების გამოყენებით. ხილვად სტრუქტურაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს ნართის ხაზობრივი სიმკვრივე (სისქე), ბოჭკოების შემადგენლობა და ძაფის ვიზუალური მახასიათებლები. სხვადასხვა ტიპის ნართის კომბინაცია და მათი პარამეტრების ცვალებადობა წარმოქმნის მრავალფეროვან პლასტიკურ და ვიზუალურ ეფექტებს, რაც განსაზღვრავს ქსოვილის მხატვრულ გამომსახველობას და ესთეტიკურ ხარისხს.

ტრიკოტაჟის ტილოს სტრუქტურას ახასიათებს გარკვეული ესთეტიკური შინაარსი, რომელიც განპირობებულია მისი კონსტრუქციული ბუნებით. ორნამენტსა და ხლართებს აერთიანებს საერთო ნიშან-თვისებები-რიტმი, მოდულაროობა, სტრუქტურული განმეორებადობა და ვიზუალური დინამიკა. ეს ერთიანობა ქმნის ესთეტიკური ზემოქმედებისა და მხატვრული ეფექტიანობის საფუძველს. შედეგად, ორნამენტი და ტილოს სტრუქტურა ურთიერთდამოკიდებულ

სისტემად ყალიბდება, სადაც თითოეული ელემენტი აძლიერებს მეორის გამომსახველობას.

ნაქსოვ ნაწარმში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფაქტურას, რომელიც განისაზღვრება როგორც ზედაპირის ხილვადი სტრუქტურა და ახდენს გავლენას გარეგნულ სახეზე - რელიეფურობაზე, ნახატზე, სიბრწყინვალეზე და სხვა ვიზუალურ პარამეტრებზე (Kvantidze 2023, 230-241). ტილოს ზედაპირის ხასიათი დამოკიდებულია ნართისა და ძაფების ვიზუალურ მხარეზე, მათ შემადგენლობაზე, ხლართის ნახატის სპეციფიკაზე, ორნამენტის დანიშნულებაზე, სიმკვრივესა და დამუშავების ხერხზე. ფაქტურა იქმნება ხლართებით, ტრიკოტაჟის სტრუქტურითა და ორნამენტებით, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ ტილოს ზედაპირის მხატვრულ სახეს (Lursmanashvili 2022, 369-382).

ფაქტურა და ფერი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთობლივად ზემოქმედებენ ტრიკოტაჟის ტილოს ვიზუალურ აღქმაზე. მათი ურთიერთქმედება შეიძლება ქმნიდეს სიმსუბუქის ან სიმძიმის, მოცულობითობის ან სიბრტყის, სიმჭიდროვის ან გამჭვირვალობის ილუზიას. ამგვარად, ნაქსოვი ტილოს ესთეტიკური ეფექტი არ განისაზღვრება მხოლოდ ორნამენტული მოტივებით, არამედ მთლიანად სტრუქტურულ-ფაქტურული და ფერადოვანი სისტემის ურთიერთქმედებით (Lursmanashvili... 2022, 369-382).

ორნამენტის სქემის შესადგენად აუცილებელია მისი რაპორტის განსაზღვრა. რაპორტი წარმოადგენს საბაზო ელემენტის იმ ნაწილს, რომელიც მრავალჯერადად მეორდება გრძივი, განივი ან ორივე მიმართულებით და ქმნის კომპოზიციურ მთლიანობას. სწორედ რაპორტის სწორი დადგენა განაპირობებს როგორც გრაფიკული სქემის სიზუსტეს, ისე ქსოვის ტექნოლოგიური პროცესის კორექტულ დაგეგმვას.

კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა ნიმუშების ანალიზი და სქემების შედგენა. საკვლევ მასალად გამოყენებულ იქნა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცულ ნაქსოვ ექსპონატებზე წარმოდგენილი ორნამენტები. მათი საფუძველზე დამუშავდა ორნამენტის მცირე მონაკვეთების ესკიზები D3 პროგრამის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფდა ხლართის სტრუქტურის ვიზუალურ მოდელირებასა და რაპორტის ზუსტ განსაზღვრას.

ხევსური მამაკაცის პაჭიჭი. მე-18 ს.- ექსპონატი, ექსპონატის ფრაგმენტი.

ექსპონატის 3D გამოსახულება.

სურ. 1. ხევსური მამაკაცის პაჭიჭი.
Fig. 2. Khevsurian man's pachichi.

კვლევის მიზანი და ამოცანები. საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიისა და რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ქართული ორნამენტების მოძიება, შესწავლა და მათი გამოყენება ტრიკოტაჟის ნაწარმში. შესწავლილი იქნა როგორც ნაქსოვ, ასევე ნაქარგობაზე, ჭურჭელზე, ხის კვეთაზე, ქვაზე და ა.შ. გამოსახული ორნამენტები. სამწუხაროდ, დროის გასვლასთან და ისტორიულ კატაკლიზმებთან ერთად ხალხური რეწვა იცვლება, კვდება და იკარგება. გამოყენებული ძირითადი ფერები, ნიმუშები, დიზაინი, ტექნიკა და მასალები თანდათანობით იფარება დავიწყების ნისლით.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ნაქსოვი ორნამენტის სტრუქტურულ-კომპოზიციური თავისებურებებისა და ქსოვის ტექნოლოგიური პარამეტრების ურთიერთკავშირის დადგენა, ასევე იმ კანონზომიერებების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავს ტრიკოტაჟის სიმჭიდროვესა და ორნამენტის ვიზუალურ სტაბილურობას.

კვლევის მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

ორნამენტის რაპორტის იდენტიფიცირება და მისი სქემატური მოდელირება;

ორნამენტის გრაფიკული სტრუქტურისა და ხლართის აგებულების ურთიერთმიმართების ანალიზი;

ტრიკოტაჟის ტექნოლოგიური პარამეტრების (მარყუჟის სიგრძე, სიმჭიდროვე, სიმკვრივე, ზედაპირული შევსება) განსაზღვრა;

ნართის ხაზობრივი სიმკვრივის გავლენის შეფასება ტრიკოტაჟის სიმჭიდროვეზე;

ქსოვის პროცესის პარამეტრებსა და ნაქსოვი ორნამენტის ტექნოლოგიურ მახასიათებლებს შორის ფუნქციური დამოკიდებულების დადგენა;

ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე პროცესის ოპტიმიზაციის რეკომენდაციების შემუშავება.

ნაქსოვი ორნამენტის ქსოვის პროცესის ანალიტიკური მოდელირება რთულია, ვინაიდან ტრიკოტაჟის სტრუქტურა მრავალფაქტორული და არაწრფივი სისტემაა. შესაბამისად, კვლევა განხორციელდა ექსპერიმენტული მეთოდით (Kvantidze... 2023, 230-241).

ტრიკოტაჟს ახასიათებს სიმჭიდროვე ორი მიმართულებით:

ჰორიზონტალური სიმჭიდროვე - მარყუჟთა რიგების გასწვრივ;

ვერტიკალური სიმჭიდროვე - მარყუჟთა სვეტების გასწვრივ.

ექსპერიმენტი ჩატარდა LK150, LK150 და SK280 ტიპის საქსოვ მანქანებზე. კვლევის პროცესში იცვლებოდა სიმჭიდროვის მარეგულირებლის ჩვენებები, რაც იძლეოდა შესაძლებლობას შეფასებულიყო მათი გავლენა საბოლოო სტრუქტურულ პარამეტრებზე.

ცნობილია, რომ ტრიკოტაჟის სიმჭიდროვე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნართის ხაზობრივ სიმკვრივეზე (სისქეზე). აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა სამი განსხვავებული ხაზობრივი სიმკვრივის მქონე ნართი.

ექსპერიმენტის სიზუსტის უზრუნველსაყოფად:

ნართის დაჭიმულობა შენარჩუნებული იყო მინიმალურ და ფიქსირებულ დონეზე;

ნიმუშის დაჭიმულობა არ იცვლებოდა;

უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ ძაფის სტაბილური მიწოდება

საქსოვ სისტემამდე და ნიმუშის თანაბარი ჩამოყვანა სანემსიდან.

ასეთი მიდგომა შესაძლებელს ხდიდა იზოლირებულად შეფასებულიყო მხოლოდ სიმჭიდროვის მარეგულირებლისა და ნართის ხაზობრივი სიმკვრივის გავლენა.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტრიკოტაჟის სიმჭიდროვე პირდაპირ არის დამოკიდებული როგორც ქსოვის რეჟიმზე, ისე ნართის ხაზობრივ სიმკვრივეზე. სიმჭიდროვის მარეგულირებლის პარამეტრების ცვლილება იწვევს:

მარყუჟის სიგრძის ცვლილებას;

ჰორიზონტალური და ვერტიკალური სიმჭიდროვის გარდაქმნას;

ორნამენტის გრაფიკული სიზუსტის ცვლილებას.

გამოვლინდა, რომ ნართის სისქის ზრდასთან ერთად იზრდება ტილოს ზედაპირული შევსება და მცირდება მარყუჟთა რაოდენობა ერთეულ ფართობზე, რაც იწვევს ორნამენტის კონტურების ვიზუალურ დამრგვალებას. თხელი ნართის გამოყენებისას კი იზრდება სტრუქტურული დეტალიზაცია და ორნამენტის ხაზობრივი სიზუსტე.

დადგენილი იქნა, რომ ჰორიზონტალური და ვერტიკალური სიმჭიდროვე განსხვავებულად რეაგირებს მარეგულირებლის ცვლილებაზე, რაც მიუთითებს ტრიკოტაჟის ანიზოტროპულ ბუნებაზე. შედეგად შესაძლებელი გახდა ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ფუნქციური დამოკიდებულების ფორმულირება, რომელიც აკავშირებს ქსოვის პროცესის პარამეტრებსა და ნაქსოვი ორნამენტის სიმჭიდროვეს.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ორნამენტის სტრუქტურული სტაბილურობა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც რაპორტის გრაფიკული სქემა და ტექნოლოგიური პარამეტრები თანხვედრაშია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება მოტივის დეფორმაცია, კონტურების დარღვევა და ვიზუალური გამომსახველობის შემცირება.

დასკვნა. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ნაქსოვი ორნამენტი წარმოადგენს სტრუქტურულ-ტექნოლოგიურ და მხატვრულ ერთიანობას, რომლის ფორმირება დამოკიდებულია როგორც კომპოზიციურ პრინციპებზე, ისე ქსოვის პროცესის პარამეტრებზე. ორნამენტის რაპორტის სწორად განსაზღვრა და მისი სქემატური მოდელირება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ტექნოლოგიური რეალიზაციისათვის, ვინაიდან სწორედ რაპორტის სტრუქტურული ლოგიკა განსაზღვრავს ორნამენტის რიტმს, პროპორციებსა და ვიზუალურ მთლიანობას. კვლევამ დაადასტურა, რომ ორნამენტი ტრიკოტაჟის ტილოზე არ არის ზედაპირული გაფორმება, არამედ ხლართის

აგებულებასთან ორგანულად დაკავშირებული სისტემა, რომელიც მარყუჟთა ორგანიზაციისა და სტრუქტურული კანონზომიერებების საფუძველზე ყალიბდება.

ექსპერიმენტული ანალიზის შედეგად გამოვლინდა ქსოვის ტექნოლოგიური პარამეტრების მნიშვნელოვანი გავლენა ტრიკოტაჟის სიმჭიდროვეზე და, შესაბამისად, ორნამენტის გრაფიკულ სიზუსტეზე. დადგინდა, რომ სიმჭიდროვის მარეგულირებლის ცვლილება იწვევს მარყუჟის სიგრძის, ჰორიზონტალური და ვერტიკალური სიმჭიდროვის გარდაქმნას, რაც პირდაპირ აისახება ორნამენტის კონტურების ფორმაზე და სტრუქტურულ სტაბილურობაზე. ამასთანავე, ნართის ხაზობრივი სიმკვრივე წარმოადგენს ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს: სისქის ზრდა ზრდის ზედაპირულ შევსებას და ამცირებს დეტალიზაციის ხარისხს, ხოლო თხელი ნართი უზრუნველყოფს უფრო მკაფიო და ზუსტ ხაზობრივ გამოსახულებას.

კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ ტრიკოტაჟის სიმჭიდროვე ანიზოტროპული ხასიათისაა და განსხვავებულად რეაგირებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მიმართულებებში. შესაბამისად, ორნამენტის სტაბილური და პროპორციული აღქმა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ქსოვის რეჟიმი, ნართის პარამეტრები და რაპორტის გრაფიკული სქემა ურთიერთშეთავსებადია. ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში ხდება მოტივის დეფორმაცია, კონტურების დარღვევა და ვიზუალური გამომსახველობის შემცირება.

მიღებული შედეგები ქმნის საფუძველს ქსოვის პროცესის ნორმალიზაციისა და ოპტიმიზაციისათვის. ექსპერიმენტულად დადასტურებული დამოკიდებულებები შესაძლებელს ხდის განისაზღვროს ისეთი ტექნოლოგიური რეჟიმები, რომლებიც უზრუნველყოფს ორნამენტის სტრუქტურულ სიზუსტესა და მხატვრულ ხარისხს.

ჩატარებული სტრუქტურულ-ტექნოლოგიური კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მიღებული თეორიული და ექსპერიმენტული შედეგების პრაქტიკაში განხორციელება. ორნამენტის რაპორტის ზუსტი განსაზღვრა, სიმჭიდროვისა და ნართის ხაზობრივი სიმკვრივის გავლენის დადგენა, ასევე ქსოვის რეჟიმების ოპტიმალური პარამეტრების შერჩევა იქცა იმ მეთოდოლოგიურ საფუძვლად, რომელმაც უზრუნველყო ქართული ტრადიციული ორნამენტების თანამედროვე ტრიკოტაჟის ნაწარმში ადაპტირების შესაძლებლობა (Lursmanashvil 2025, 185).

კვლევის პროცესში დამუშავებული ანალიზისა და მოდელირების მეთოდის გამოყენებით შეიქმნა რამდენიმე ქართული ორნამენტის

ესკიზი, რომელთა კომპოზიციური აგებულება გათვლილია ტრიკოტაჟის სტრუქტურულ თავისებურებებზე (სურ. 1,2,3).



სურ. 2 მინბარის ჩუქურთმის დეტალი (ყვავილოვანი (შროშანი) ორნამენტი. სოფელი ზვარეს მეჩეთი. ქედის მუნიციპალიტეტი. XIX ს. 30-იანი წლები.

Fig. 2. Minbar Ornament Detail (Floral (Shroshani) Ornament). Zvare Mosque, Zvare Village, Keda Municipality. 1930s.

სურ. 3 დაფარნას ნაქარგობის დეტალი (საეკლესიო ორნამენტი (გასხივოსნებული ჯვარი). დაფარნა. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი XIX საუკუნე.

Fig. 3. Decoration Detail of a Covering (Ecclesiastical Ornament, Glorified Cross). Covering. Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, Georgian National Museum. 19th century.

ამგვარად, ჩატარებულმა კვლევამ არა მხოლოდ თეორიული საფუძველი შექმნა ნაქსოვი ორნამენტის სტრუქტურულ-ტექნოლოგიური კანონზომიერებების გასაგებად, არამედ შესაძლებელი გახადა მისი შედეგების რეალური გამოყენება ტრიკოტაჟის წარმოებაში. შექმნილი ქართული ორნამენტების ესკიზები წარმოადგენს ტრადიციული კულტურული ფორმების თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოში ინტეგრირების მაგალითს და ქმნის წინაპირობას ეროვნული ტექსტილის დიზაინის შემდგომი განვითარებისათვის.

ლიტერატურა

Kartsidze, N., Ugrekhelidze, I., Sarava, N., Sulaberidze, D. 2024. ”Glazed ceramic vessel with the image of a bird from the Kutaisi Historical Museum.” *Global Science: Prospects and Innovations. Proceedings of VII International Scientific and Practical Conference* , Liverpool, United Kingdom: Cognum Publishing House. Retrieved from, 2024: 412-420.

Kvantidze, G., Lursmanashvili, L., Pailodze, N., Abesadze, N.2023. “Modern Aspects of Tushetian Handicraft (Coloring, Kniting, Decor).” *History, Archaeology, Ethnology* [Online], 2023, no. IX, 230-241. http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/361. Date accessed: 18 may 2024. (In Georgian)

Lursmanashvili, L., Kvantidze, G., Failodze, N.2022. “Color Harmonization in Georgian Ornaments.” *Georgian Scientists* , Vol. 4, no. 5, 2022: 369-382. doi.org/10.52340/gs.2022.04.05.41 (In Georgian)

Lursmanashvili, L., Kvantidze, G., Failodze, N., Abesadze, N. 2025. *ქართული ნაქსოვი ორნამენტი ტექსტილში - ტრადიციული და თანამედროვე აქცენტები, The Georgian Woven Ornament in Textiles – Traditional and Contemporary Accents.* https://rustaveli.org.ge/geo/200916032318tsignebi/qartuli-naqsovi-ornamenti-traditsiuli-da-tanamedrove-aqtsentebi

Industrial and Manufacturing Engineering

Georgian National Heritage Ornament in Knitwear

Nato Failodze
nato.pailodze@atsu.edu.ge
Nanuli Abesadze
Akaki Tsereteli State UniversityKutaisi,
Nanuli.abesadze@atsu.edu.ge
Lia Lursmanashvilil
lursmanashvili@yahoo.com
Technical University of Georgia
Tbilisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.14

Georgian culture developed alongside the history of Georgia, nourished by traditional ornaments, along with other cultural heritage monuments. Ornamentation has been studied and transferred into various materials. Today, ornamental patterns applied to textiles using embroidery techniques are highly relevant, as well as carpets made in an ethnic style. However, ornaments are rarely seen in knitwear due to the weaving process involved. The paper presents an attempt to transfer selected fragments of old Georgian ornaments, analyzed through their depictions on wood, stone, and textiles, into knitwear, as well as the methods used to create their sketches. Specifically, the work involved extracting traditional ornaments from the gathered materials and creating sketches and weaving schemes for these samples, taking into account the chosen yarn and raw materials. Family-type knitting machines LK150, LK155, and SK280, as well as the flat-bed "ПВПЭМ" machine, were used, with optimal technological weaving parameters determined for each, so that these ornaments could later be woven on the specified knitwear machines. Using the sketches we created, several ornament samples were knitted.

Keywords: *knitting, ornament, knitwear, knitting machine, model, optimization*

Research goal and objectives: Woven fabrics are one of the oldest and at the same time dynamically developing areas of textile art and technology, which combines functional, structural and aesthetic components. In modern design, we increasingly encounter woven and embroidered Georgian ornaments created centuries ago, as well as motifs depicted on stone and wood, which once again confirms the relevance of their formal and substantive sustainability.

The structure of a knitted fabric is characterized by a certain aesthetic content, which is determined by its constructive nature. The ornament and the threads are united by common features - rhythm, modularity, structural repeatability and visual dynamics. This unity creates the basis for aesthetic impact and artistic effectiveness. As a result, the ornament and the structure of the fabric form an interdependent system, where each element enhances the expressiveness of the other.

Texture plays an important role in woven fabrics, which is defined as the visible structure of the surface and affects the appearance - relief, pattern, shine, and other visual parameters.

Texture and color are closely related to each other and together affect the visual perception of knitted fabric. Their interaction can create the illusion of lightness or heaviness, volume or flatness, density or transparency. Thus, the aesthetic effect of a knitted fabric is determined not only by ornamental motifs, but also by the interaction of the entire structural-textural and color system.

At the initial stage of the research, samples were analyzed and diagrams were drawn up. The research material used were the ornaments presented on woven exhibits kept in the Simon Janashia Museum of Georgia. Based on them, sketches of small sections of the ornament were processed using the D3 program, which ensured visual modeling of the weave structure and accurate definition of the rapport. To achieve the research goal, the following tasks were set:

Identification of the ornament rapport and its schematic modeling;

Determination of the technological parameters of knitting (loop length, density, density, surface filling);

Evaluation of the influence of the linear density of the yarn on the density of knitting;

Establishment of the functional dependence between the parameters of the knitting process and the technological characteristics of the knitted ornament;

Development of recommendations for process optimization based on experimental data.

It was found that the horizontal and vertical density respond differently to the change in the regulator, which indicates the anisotropic nature of the knitwear. As a result, it became possible to formulate a functional relationship based on experimental data, which connects the parameters of the knitting process and the density of the knitted ornament.

The results of the study confirmed that the structural stability of the ornament is achieved only when the graphic scheme of the rapport and the technological

განხილვა. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ სტუდენტთა აქტიური ჩართულობა არაფორმალურ საგანმანათლებლო ინიციატივებში წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს პროფესიული და სოციალური კომპეტენციების განვითარებისათვის. აღნიშნული პროექტი ნათლად აჩვენებს, რომ სწავლების პროცესში სტუდენტთა როლის ტრანსფორმაცია — პასიური მიმღებიდან აქტიურ შემქმნელამდე — მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის ეფექტიანობას.

Peer-Assisted Learning-ის მოდელი ქმნის ორმხრივ სასწავლო გარემოს, სადაც სწავლება და სწავლა ურთიერთდამოკიდებული პროცესებია. სტუდენტები, რომლებიც ასრულებენ ტუტორების როლს, არა მხოლოდ გადასცემენ ცოდნას, არამედ თავადაც იღრმავებენ ცოდნას, ავითარებენ კრიტიკულ აზროვნებასა და რეფლექსიურ უნარებს.

გარდა ამისა, პროექტი ხელს უწყობს პროფესიული იდენტობის ფორმირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო განათლების კონტექსტში. სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ კლინიკურ ცოდნას, არამედ სოციალური პასუხისმგებლობის აღქმას, რაც აუცილებელია თანამედროვე ექიმისათვის.

ამავე დროს, კვლევა აჩვენებს გარკვეულ გამოწვევებს, განსაკუთრებით პრობლემების გადაჭრისა და ინსტიტუციური მისიის ცნობიერების მიმართულებით, რაც საჭიროებს დამატებით ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

რეკომენდაციები. პროექტის შედეგებისა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების ფორმულირება: 1. **პროექტის მასშტაბირება.** პროექტის გაფართოება როგორც გეოგრაფიულად, ისე ინსტიტუციურად, რაც უზრუნველყოფს უფრო ფართო აუდიტორიის ჩართვას. 2. **ინტერაქტიული მეთოდების გაძლიერება.** სიმულაციური სწავლების, ციფრული ტექნოლოგიებისა და დებატების ინტეგრაცია სწავლების პროცესში. 3. **სტუდენტთა ტუტორული მომზადება.** სპეციალური ტრენინგების, სახელმძღვანელოების და შეფასების სისტემების განვითარება ტუტორებისთვის. 4. **გრძელვადიანი მონიტორინგი.** პროექტის გავლენის შეფასება მონაწილეთა პროფესიულ და აკადემიურ განვითარებაზე. 5. **ინტერდისციპლინარული ინტეგრაცია.** STEM მიმართულებების ჩართვა და სასწავლო პროგრამის გაფართოება.

დასკვნა. „სამედიცინო საკვირაო სკოლა“ წარმოადგენს ინოვაციურ და ეფექტურ საგანმანათლებლო მოდელს, რომელიც აერთიანებს უნივერსიტეტის მესამე მისიის პრინციპებს, სტუდენტურ ლიდერობასა და საზოგადოებრივ ჩართულობას. პროექტმა ნათლად აჩვენა, რომ სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა საგანმანათლებლო პროცესში

მნიშვნელოვნად აძლიერებს როგორც მათ პროფესიულ განვითარებას, ისე საზოგადოებრივ სარგებელს.

აღნიშნული მოდელი შეიძლება ჩაითვალოს რეპლიკაციისთვის შესაფერის პრაქტიკად, რომელიც ხელს უწყობს თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემის ტრანსფორმაციას და ქმნის მდგრად საფუძველს პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისათვის.

სამართალი

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც მზღვეველის მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველი

რობიზონ ხურცილავა
robinzon.khurtsilava@atsu.edu.ge
დავითი ხურციძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.18

წინამდებარე სტატია მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის განზრახვის და უხეში გაუფრთხილებლობის მიმოხილვას და მის მიმართებას მზღვეველის მოვალეობის გათავისუფლების საფუძველთან. სტატიაში განხილულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის კონტექსტში, ძირითადი აქცენტი გაკეთდება სსკ, 829-ე მუხლზე. ნაშრომი ასახავს ქართულ სამართლებრივ პრაქტიკასა და დოქტრინაში არსებულ გამოწვევებს, მათ შორის, „უხეში გაუფრთხილებლობის“ ცნების არარსებულ დეფინიციას და პრაქტიკაში მზღვეველების მხრიდან მის არაეთგვაროვან ინტერპრეტაციას. გაანალიზებულია როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ასევე გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტებები განსახილველ საკითხთან მიმართებით. ნაშრომი ხაზს უსვამს კანონმდებლობის ცვლილების საჭიროებაზე, რომელიც მიმართული იქნება როგორც სადაზღვევო კომპანიების, ასევე ავტომობილების მფლობელების უფლებების პრაქტიკული დაცვისკენ. კვლევის დროს გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ლოგიკური ანალიზისა და შედარებით-სამართლებრივი მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: *ავტოსატრანსპორტო საშუალება, დამზღვევის განზრახვა, დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობა*

შესავალი. საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და პირთა კერძოსამართლებლივი ურთიერთობების გაფართოებამ, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის საჭიროება. თავის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებზე სასყიდლიანი ან უსასყიდლო გარიგებების დადებას ნიშნავს. ვინაიდან, ადამიანთა

კონსტიტუციით მინიჭებულმა ეკონომიკურმა თავისუფლებამ პირთა სამართლებრივ ურთიერთობებზე ასახვა რეალურად ჰპოვა, აუცილებელი გახდა სამოქალაქო ბრუნვის საკანონმდებლო დონეზე დაცვა. ახალმა სამოქალაქო კოდექსმა დაარეგულირა თითქმის ყველა ურთიერთობა, რომელსაც საზოგადოების საჭიროება მოითხოვდა და კოდექსი, ასევე, ისეთ ურთიერთობებს შეეხო, რომელთა წარმოშობის მოლოდინი უცხო ქვეყანათა გამოცდილების საფუძველზე არსებობდა. 1997 წლის კოდექსმა სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებს უფლებათა დაცვის კანონისმიერი გარანტიები მისცა, კანონმდებელმა თითოეულ თავში გაითვალისწინა ისეთი ნორმები, რომლითაც დავის წარმოშობის შემთხვევაში კერძო სამართლის სუბიექტი შეძლებს თავისი ინტერესების დაცვას.

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა, როგორც კონტინენტური სამართლის ოჯახის წევრი, შეიცავს ორ უმნიშვნელოვანეს პოსტულატს: ხელშეკრულების თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის პრინციპს. თითოული მათგანი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში ადამიანებს ანიჭებენ უფლებამოსილებას შევიდნენ სამართლებრივ ურთიერთობებში და თავადვე განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი, რომელსაც საკანონმდებლო ნორმებთან ერთად მბოჭავი ძალა გააჩნია.[1]

სწორედ სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც "სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას" წარმოადგენს.[2]

იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ხანია არის დავა, დაზღვევის ხელშეკრულება რეალურია და თუ კონსესუალური. სასამართლო ერთ შემთხვევაში ამბობს, რომ რეალურია, ხოლო მეორე შემთხვევაში - კონსესუალური. დღესდღეობით, დადგენილი პრაქტიკით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულებაა, რომლის საგანი შეიძლება იყოს ქონება ან პიროვნება. ამასთან, დაზღვევის სინალაგმატური ბუნება განაპირობებს, როგორც დამზღვევის ვალდებულებას გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი, ასევე მზღვეველის ვალდებულებას აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი.[3]

სამოქალაქო კოდექსის მე-8 და 361-ე მუხლები ადგენენ

[1] ძლიერიშვილი, ზ. სახელშეკრულებო სამართალი, 2014, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 55, https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2021/06/58.-sakhelshekruleblo-samarthali.pdf

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება, საქმე N ას - 663-624-2011.

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 13 მაისის განჩინება, საქმე №ას-122-2025.

სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერადგანახორციელონუფლება-მოვალეობები.აღნიშნული ნორმების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია. სსკ-ს მე-8 მუხლი განსაზღვრავს ზოგად კეთილსინდისიერებას, ხოლო სსკ-ს 361-ე მუხლი ადგენს "სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას".[1] სამოქალაქო ბრუნვის ეს ორი ქვაკუთხედი დაზღვევის ხელშეკრულების სუბიექტებს უსაზღვრავს კეთილსინდისიერების მაღალ სტანდარტს, რომლის ძალით დამზღვევს ეკისრება ვალდებულება მოუაროს დაზღვევის ობიექტს, არ დააზიანოს იგი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ხოლო მზღვეველს უწესებს მოთხოვნას აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი გამომრიცხავი გარემოებების არარსებობისას.[2] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლი დამზღვევსა და მზღვეველს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მოწესრიგებას, დაზღვევის ხელშეკრულების არსისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების ურთიერთმიმართების განსაზღვრავს ისახავს მიზნად. სსკ-ს 799-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება."[3] მოცემული ნორმა ვალდებულებას ორივე მხარეს აკისრებს, მიემართება მხარეთა შეთანხმებას და სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებას ხელშეკრულების პირობებს უკავშირებს. იმისათვის, რომ შემდგომში არ წარმოიშვას აზრთასხვადასხვაობა ანაზღაურებასთან მიმართებით, წინასწარ უნდა განისაზღვროს როგორც სადაზღვევო რისკები, ასევე გამონაკლისები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელი ზღუდავს როგორც დამზღვევის, ასევე მზღვეველის თვითნებობას და ჰიპოთეტურად ადგენს სამართლიან ბალანსს, რომელიც მიმართულია გარიგების მხარეთა ინტერესების დაცვისაკენ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია დამზღვევის განზრახვით ან უხეში

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმე №ას-1338-1376-2014.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 27 მარტის განჩინება, საქმე №ას-1529-2024

[3] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 01/04/2026, მუხ. 799, ნაწ. 1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=138

გაუფრთხილებლობით.[1] აღნიშნული ნორმის მიზანი სუბიექტური და მორალური რისკით სადაზღვევო შემთხვევათა პრევენციაა. მიუხედავად საკანონმდებლო ჩანაწერისა, პრაქტიკაში პრობლემას წარმოადგენს, ბრალის ხარისხის დადგენა, რაც ხშირად სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. ამავდროულად, "უმნიშვნელოვანესია სსკ-ის 829-ე მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევის ვიწრო განმარტება, იმგვარად, რომ მზღვეველები პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე არაკეთილსინდისიერად არ წახალისდნენ და ამით, საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს."[2]

ავტოსატრანსპორტო საშუალება, როგორც დაზღვევის საგანი. დაზღვევის არსებობის მთავარი მიზეზი რისკის განაწილებაა. დაზღვევის ბუნება რეალურად მოითხოვს, რომ დაზღვეული მოვლენების დადგომა, ან სულ მცირე მათი სიმძიმე და დადგომის დრო, იყოს პირობითი და არა გარდაუვალი, რათა შეიქმნას გარემო, რომელშიც კერძო სადაზღვევო კომპანიებს სურთ ფუნქციონირება და ადამიანებს სურთ დაზღვევის შეძენა.[3]

საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით და დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონით. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგებას, ხოლო, მეორე მხრივ, „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონი მიმართულია სადაზღვევო საქმიანობის რეგულირებისკენ. ზემოხსენებული ორივე კანონი ცნებების დონეზე მაინც უნდა უზრუნველყოფდეს დაზღვევის კლასიფიკაციათა იდენტურობას. აღნიშნული კი ცნებათა ერთიანი სისტემის დანერგვას აფერხებს.[4]

მიუხედავად იმისა, რა ტიპის დაზღვევა გვაქვს სახეზე, სადაზღვევო რისკი დაზღვევის ხელშეკრულების არსებითი პირობაა. პირველ რიგში, უნდა გავმიჯნოთ სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო რისკი. შემთხვევა არის აწ უკვე დამდგარი მოვლენა, რომელიც წარმოშობს ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო რისკი არის ამ შემთხვევის დადგომის საფუძველი. რისკი შემთხვევის დადგომამდე შესაძლებელია

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 01/04/2026, მუხ. 829, ნაწ. 1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=138

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას-595-2022 28 აპრილი, 2023 წელი.

[3] Jeffrey W. Stempel, Peter N. Swisher, Erik S. Knutsen. Principles of Insurance Law, 2012, 59.

[4] ირემაშვილი, ქ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 799, 2016, 4.

იყოს განჭვრეტადი, თუმცა რისკის რეალიზაციის ალბათობა არ უნდა იყოს წინასწარ შეცნობადი. ზოგადად, რისკ-ფაქტორები იმდენად განჭვრეტადია, რომ მზღვეველებს წიანასწარ შესწევთ ძალა შეაფასონ ისინი.[1] სადაზღვევო რისკი არის ხელშეკრულების დადებამდე არსებული რისკი, უბრალოდ დაზღვევის ხელშეკრულებით ხდება მისი დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის გადაცემა. ამავდროულად, ნიშანდობლივია გამონაკლისების გამოკვეთა, ვინაიდან მათი არსებობა გამორიცხავს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შესაძლებლობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „სადაზღვევო ხელშეკრულებაში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებაა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომლებიც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამორიცხავს. საგამონაკლისო შემთხვევების გაფართოების დაშვება, ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმების ჩართვის მიზანს. საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების იმპერატიულ დანაწესთა იმ წყებას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს.“[2]

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქონების დაზღვევა სადაზღვევო მომსახურების ყველაზე გავრცელებულ ფორმად ითვლება. ნებისმიერი სამართალურთიერთობის აუცილებელ ელემენტს მისი ობიექტი წარმოადგენს. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ამავდროულად, რელევანტურია დაზღვევის საგნის გამოკვეთა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას წარმოადგენს. მანქანის დაზღვევისას დამზღვევი ერგვარად სიმშვიდეს ყიდულობს, ვინაიდან მან იცის, რომ იმ შემთხვევაში თუ ავტომობილი დაზიანდება, ზიანსსადაზღვევოკომპანიაანაზღაურებს.[3]აღნიშნულიდანგამომდინარე, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევისას, დაზღვევის საგანი არის თავად ეს საშუალება, ხოლო ობიექტი არის ის შესაძლო ზიანი, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას, შემთხვევის შედეგად შეიძლება დადგეს.

[1] ირემაშვილი, ქ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 799, 2016, 6-7.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას-1147-1067-2017, 29 დეკემბერი, 2017 წელი, თბილისი.

[3] Teenkamp, M, Mostert , F J, J Mostert, J H. The claims handling process of motor vehicle Insurance, Corporate Ownership & Control / Volume 7, Issue 1, Fall 2009, 302, https://virtusinterpress.org/IMG/pdf/cocv7i1c2p5.pdf

ზოგადად ავტოსატრანსპორტო საშუალება სამოქალაქო სამართლის ობიექტს წარმოადგენს, თუმცა მასზე, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროზე რეგულირება საჯაროსამართლებრივ ინტერესს ატარებს. "საგზაო მოძრაობისშესახებ"საქართველოსკანონისმე-5მუხლისმე-5ნაწილიადგენს მის დეფინიციას, რომლის თანახმად, "ავტოსატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი) არის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება გზაზე ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად."[1] საავტომობილო დაზღვევა კიდევ უფრო აქტუალურია იმ მოცემულობით, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სრული კონტროლის განხორციელება ადამიანს არ შეუძლია, ასევე მფლობელი ვალდებულია დაიცვას საგზაო უსაფრთხოების და წინდახედულობის ნორმები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მფლობელის ბრალთან საგზაო შემთხვევის დადგომისას.

ქართული კანონმდებლობა საავტომობილო დაზღვევას ნებაყოფლობით დაზღვევათა კატეგორიაში ანაწილებს და სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს, ერთის მხრივ სადაზღვევო ლიცენზირებულ კომპანიებს და მეორეს მხრივ, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ანიჭებს თავისუფლებას, თავად განსაზღვრონ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობა.

სადაზღვევო ინტერესი და მისი მიმართება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლებთან. იურიდიულ ლიტერატურაში ოდითგანვე მიუთითებდნენ, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ალეატორული გარიგებების მსგავსია. მისი პირობითი ხასიათი იმით ვლინდება, რომ ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ მაშინ წარმოიშვება, როცა სადაზღვევო შემთხვევა დადგება.[2] თუმცა სადაზღვევო ინტერესი არის დაზღვევის ხელშეკრულების განმასხვავებელი ფაქტორი პირობითი გარიგებებისგან. სადაზღვევო ინტერესი არის სამართლებრივი ინტერესი, რომელიც დამზღვევს გააჩნია სადაზღვევო ობიექტის მიმართ. პირადი დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ინტერესი მიემართება დამზღვევის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ხოლო ქონების დაზღვევისას კი - ქონების შენარჩუნებას. სადაზღვევო ინტერესი მჭიდრო კავშირს გამოხატავს დამზღვევსა და დაზღვევის ობიექტს შორის. "დაზღვევის ობიექტის ღირებულება გამოხატულებას ფულად ერთეულში პოულობს. სადაზღვევო ინტერესის ღირებულება კი შეიძლება ბევრად აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის ღირებულებას, რადგან სადაზღვევო ინტერესი

[1] საქართველოს კანონი "საგზაო მოძრაობის შესახებ", კონსოლიდირებული ვერსია - 13/12/2024, მუხ. 5, https://matsne.gov.ge/document/view/2169396?publication=32

[2] ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, 2016, 25.

მატერიალური და მორალური ინტერესების ერთობლიობაა.”[1] მიიჩნევა, რომ თუ დამზღვევს გააჩნია ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ, ის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას განიცდის ზიანს. სადაზღვევო ინტერესის არსებობა შეიძლება განხილულ იქნეს დამზღვევის მოთხოვნის უფლების წინაპირობად. მართალია მსგავსი მოსაზრება პირდაპირ არ იკვეთება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან, თუმცა “არაპირდაპირ გამომდინარეობს ცალკეული ქართული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან”.[2]

ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევისას ინტერესს ქონების შენარჩუნება წარმოადგენს.[3] ერთადერთი ფაქტორი, რომელიც სადაზღვევო ინტერესს ზიანს აყენებს არის სადაზღვევო შემთხვევა.

სადაზღვევო შემთხვევა არის ნებისმიერი მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. განმარტებას საჭიროებს, თუ კონკრეტულად რა მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს სადაზღვევო შემთხვევად. განსხვავებულია განმარტებაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე. პრაქტიკაში მზღვეველი აფასებს არის თუ არა დამდგარი მოვლენა სადაზღვევო შემთხვევა, ხოლო დავის წარმოშობის შემთხვევაში სასამართლო.

მხარეები დაზღვევის ხელშეკრულების დადების წინ თანხმდებიან სადაზღვევო რისკზე. “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ი) ქვეპუნქტი განმარტავს სადაზღვევო რისკს, რომლის თანახმად, იგი არის “მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.”[4] “სადაზღვევო შემთხვევა კი უკვე დამდგარი რისკია, რომლის დადგომის შესაძლებლობას ითვალისწინებს დაზღვევის ხელშეკრულება.”[5] ამასთან, სადაზღვევო რისკი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 802-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არის ხელშეკრულების არსებითი პირობა.[6]

---

[1] ირემაშვილი, ქ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 799, 2016, 15.

[2] თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N 2ბ/3360-18, 19 მარტი, 2019 წელი. საქართველოს უზენაესი სასამრთლოს განჩინება საქმე N ას-733-1003-05 21 ოქტომბერი, 2005წ., ქ. თბილისი

[3] კაპანაძე, თ. სადაზღვევო ურთიერთობის ალეატორული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სამეცნიერო ჟურნალი “ახალგაზრდა ადვოკატები”, 2016, 11, https://www.barristers.ge/public/uploads/docs/Jurnali-N6.pdf

[4] საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, კონსილიდირებული ვერსია: 02/04/2025, მუხ.2, ი) ქვეპუნქტი, https://matsne.gov.ge/document/view/29884?publication=36

[5] ქურდუბაძე, ს. დაზღვევა საქართველოს კანონმდებობაში, 2022, თბილისი, 30, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/395962/1/Dazgveva_Saqartvelos_Kanonmdeblobashi.pdf

[6] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 01/04/2026, მუხ. 802,

სადაზღვევო შემთხვევა კი არის რისკის რეალიზების შედეგი. შესაბამისად, მხოლოდ რისკის რეალიზების რეალურად დადგომისას წარმოიშობა ანაზღაურების ვალდებულება. ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევისას პრაქტიკაში იგი ფარავს ავტოსაგზაო შემთხვევას, აფეთქებას, გარეგან დაზიანებას, ხანძარს, სტიქიურ მოვლენებს, ქურდობას. ეს მცირე ჩამონათვალი არის ანაზღაურების მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები, რომლებიც გამონაკლისების არარსებობისას მზღვეველის მოვალეობის შესრულების ვალდებულობას წარმოშობს.

თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება რეალიზდეს. "იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც დამზღვევებს სურთ, კერძოდ, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 799.1 (დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება) და 820-ე (ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით) მუხლები."[1] შესაბამისად, პირველ რიგში, აუცილებელია დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც აზღვევს როგორც რისკს, ასევე ამ რისკის რეალიზებით დამდგარ შემთხვევას.

მაშასადამე, სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს "დამდგარ რისკს". რისკი არის ვარაუდი, მოლოდინი იმისა, რომ დაზიანდება ობიექტი, ინტერესი. ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევისას, შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა და შემთხვევითობის ნიშნები სხვა სახეებთან შედარებით მეტადაა გამოკვეთილი, ვინაიდან ავტომობილი მომეტებული საფრთხის ობიექტად მიიჩნევა და ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომის რისკი დღითიდღე კიდევ უფრო იმატებს. ამავდროულად, ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომის მიზეზი ხშირ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა ბრალთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, თუ სახეზე გვექნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, მზღვეველს წარმოეშობა მოვალეობა აანაზღაუროს ზიანი. მიუხედავად აღნიშნული დანაწესისა, სამოქალაქო კოდექსი, დამზღვევის ბრალის ხარისხს მზღვეველის პასუხიმგებლობის გამომრიცხავ გარემოებასთან აკავშირებს.

ნაწ. 2, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=138

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას-1147-1067-2017 29 დეკემბერი, 2017 წელი, თბილისი.

უცხო ქვეყანათა საავტომობილო სადაზღვევო პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო. სადაზღვევო ურთიერთობების რეგულირება არა მხოლოდ ფიზიკური და იურიდიული პირების, არამედ სახელმწიფოს უფლებამოსილებაა. სახელმწიფო მხოლოდ და მხოლოდ არის პოზიტიური კანონმდებელი, რომელიც ურთიერთობის რეგულირების საკანონმდებლო ბაზას ქმნის. კანონმდებლობისა და სადაზღვევო სისტემის გაუმჯობესებაზე პრაქტიკულ ასახვას ჰპოვებს უცხო ქვეყანათა გამოცდილება.

აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა სადაზღვევო პოლიტიკასთან მიმართებით. ზოგადად, სატრანსპორტო საშუალებები და კერძოდ, ავტომობილები, შეერთებულ შტატებში მომეტებული რისკის წყაროდ აღიქმება და ავტოსაგზაო შემთხვევისას ზიანის ანაზღაურების საკითხები საკმაოდ პრობლემურია. 1920-იან წლებში შტატების საკანონმდებლო ორგანოებმა დაიწყეს გზების ძიება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულებს კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა ჰქონოდათ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაზიანებები გამოწვეული იყო საავტომობილო საშუალების განზრახ ან გაუფრთხილებლობით, დაუდევარი მართვის შედეგად.[1]

როგორც წესი, საავტომობილო დაზღვევის პოლისები შეიცავს პირობების ფართო სპექტრს, რომლებიც ზღუდავს დამზღვევის მიერ დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას და მოითხოვს მისი მხრიდან მოვლა-პატრონობას.[2]

საავტომობილო დაზღვევა ევროპის ბევრ ქვეყანაში სავალდებულო დაზღვევის სახეობას წარმოადგენს და მათზე სახელმწიფოთა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება ვრცელდება. დიდი ბრიტანეთის 1988 წლის საგზაო მოძრაობის შესახებ კანონი დაზღვევის არარსებობისას საავტომობილო სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას სისხლის სამართლის დანაშაულად აქცევს. ამავდროულად ევროკავშირი გვთავაზობს დირექტივებს, რომლებიც მიზნად ისახავს საავტომობილო შემთხვევების დროს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე გამოსაყენებელი წესების ჰარმონიზაციას.[3] მიუხედავად ევროპული ქვეყნების გამოცდილებისა, ქართული კანონმდებლობა დღესდღეობით, არ იცნობს ნებისმიერი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის სავალდებულობას.

[1] Fischer, J. Insurance Law: A Guide to Fundamental Principles, Legal Doctrines, and Commercial Practices , 2019, 323.

[2] John, N. Weston-Simons, C, Hodgson, L, Insurance Law Handbook , 2022, 298.

[3] Gürses, Ö. The Law of Compulsory Motor Vehicle Insurance, 2019, 1.

საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც მზღვეველის პასუხისმგებლობის გამორიცხვის დანაწესი არსებობს. მეტიც ჩვენი კანომდებლობა ევროპული სადაზღვევო სამართლის ნორმებს იდენტურად იმეორებს. სსკ-ს 829-ე მუხლი უმჯობესი იქნება განვიხილოთ გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის 81-ე პარაგრაფთან კავშირში. 2008 წელს გერმანიაში განხორციელდა სადაზღვევო რეფორმა, რომელიც მოცემულ ნორმასაც შეეხო. გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის რეფორმამდელი რედაქციის 61-ე პარაგრაფის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდებოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევას განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოიწვევდა. იურიდიულ დოქტრინაში ამგვარ მიდგომას "ან ყველაფერი ან არაფერი" უწოდებენ.[1] ამ პრინციპთან მიმართებით დისკუსიამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, სადაზღვევო სამართლის რეფორმის კომისიის მიერ ამ საკითხზე მუშაობის დაწყების შემდგომ.

„ყველაფერი ან არაფერი" პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივ შედეგს, რომლის მიხედვითაც დამზღვევის მოთხოვნა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემასთან დაკავშირებით ან სრულად კმაყოფილდება ან სრულად უარყოფილია. პრინციპი მიზნად ისახავდა მხარეებისთვის კეთილსინდისიერების საკმაოდ მაღალი სტანდარტის დაკისრებას. თუმცა, მას ასევე ჰქონდა უარყოფითი მხარეები, რადგან ვალდებულებების უმნიშვნელო დარღვევასაც კი დამზღვევისთვის შესაძლოა სერიოზული ფინანსური შედეგები მოჰყოლოდა. აგრეთვე პრინციპის მოწინააღმდეგეები უთითებდნენ, რომ მას გააჩნდა "ნამდვილი სადამსჯელო ხასიათი", იწვევდა პროპორციულობის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას,[2] ხელს უშლიდა ინდივიდუალურ შემთხვევაზე მორგებული გადაწყვეტილებების გამოტანას და ამცირებდა დაზღვევის სუბიექტთა ნდობას მზღვეველთა და სასამართლოს მიმართ.[3]

რეფორმის შემდგომი კანონი მოითხოვს მიზეზობრივი კავშირის დადგენას დამზღვევის მიერ მოვალეობის დარღვევასა და შედეგად დამდგარ ზიანს შორის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი პირდაპირ უწყობს ხელს ზიანის დადგომას, მზღვეველი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან. უფრო მეტიც, პროპორციული შემცირების მოდელს შეუძლია გააძლიეროს პასუხისმგებლობის

[1] Armbrüster, C. Das Alles-oder-nichts-Prinzip im Privatversicherungsrecht, 2003, 8, http://www.hgfv.de/hgfv/pdf/03_pub29.pdf

[2] Kramer, NJW 1972, 1974, 1975, მითითებულია: Armbrüster, C. Das Alles-oder-nichts-Prinzip im Privatversicherungsrecht, 2003, Verlag Versicherungswirtschaft GmbH Karlsruhe, 14.

[3] Lindacher, JuS. 1975, 289, 291. მითითებულია: Armbrüster, C. Das Alles-oder-nichts-Prinzipim Privatversicherungsrecht, 2003, Verlag Versicherungswirtschaft GmbH Karlsruhe, 15.

პრევენციული და შემაკავებელი ფუნქცია. გერმანულ დოქტრინაში უთითებდნენ, რომ „ყველაფერი ან არაფერი“ პრინციპის მოქმედების პირობებში, სასამართლოები ხშირად თავს იკავებდნენ ქმედების უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასებისგან, რადგან ასეთი კვალიფიკაცია დამზღვევისთვის სადაზღვევო ანაზღაურების სრულ დაკარგვას იწვევდა. სადაზღვევო თანხის პროპორციული შემცირების წესის შემოღებამ ეს პრობლემა მნიშვნელოვნად შეამსუბუქა. ახალი მიდგომის პირობებში სასამართლოს აღარ უწევს არჩევანის გაკეთება ორ უკიდურესობას შორის. მას შეუძლია გაითვალისწინოს დამზღვევის ბრალის ხარისხი და სადაზღვევო ანაზღაურება შეამციროს სწორედ ამ ხარისხის პროპორციულად.[1]

დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია მოვალეობის განზრახდარღვევასთანმიმართებით. თუმცა, დამკვიდრებულიპრაქტიკით მოვალეობის განზრახ დარღვევის შემთხვევებში პასუხისმგებლობისგან სრული გათავისუფლება მიზანშეწონილი და სამართლიანია. გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის რეფორმის კომისიაც ამ დასკვნამდე მივიდა.

ახალი რედაქცია განზრახვას არ შეეხო და კიდევ ერთხელ დაადასტურა დამზღვევის განზრახვის დროს მზღვეველის ავტომატურად პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხი. „ყველაფერი ან არაფერი“ პრინციპის მომხრეების აზრით, მასთან დაკავშირებული პრევენციული ეფექტი სხვადასხვა ლეგიტიმურ ინტერესს ემსახურება.[2] ანაზღაურების სრული დაკარგვის რისკი მიზნად ისახავს დამზღვევის წახალისებას, გულმოდგინედ შეასრულოს თავისი ვალდებულებები. მათი მოსაზრებით ამ პრინციპს ჰქონდა შემაკავებელი ეფექტი, კიდევ უფრო ზრდიდა სადაზღვევო ინტერესს და მხარეთა შორის ნდობას.[3] ამავდროულად განზრახვასთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკის სიმწირე აჩვენებს, რომ ნორმა პრაქტიკული დანიშნულებისაა და რეალურად უზრუნველყოფს მხარეთა უფლებების დაცვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის თანახმად მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობით. აღნიშნული ნორმის ფორმულირება იდენტურია გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის ძველი რედაქციის. თუმცა სადაზღვევო რეფორმაზე მოქმედმა კომისიამ არ ჩათვალა საჭიროდ ხისტი მიდგომის გამოჩენა და იგი ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირებით:

[1] Zwischenbericht der Kommission zur Reform des Versicherungsvertragsrechts vom 30. Mai 2002, section B.6. 0 Heiss (2008), above n. 18, at § 28, para. 187.

[2] Stoecker, P. Der Vorsatz des Versicherungsnehmers bei der Herbeiführung des Versicherungsfalles im Sinne des § 103 VVG, 13-18.

[3] Baumgärtel, VersR 1968, 818, L. Raiser, ZVersWiss 1978, 375.

“დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვევის შემთხვევაში, მზღვეველს უფლება აქვს შეამციროს სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის ბრალის სიმძიმის შესაბამისად”.[1]

„ყველაფერი ან არაფერი“ პრინციპს ხშირად ეწინააღმდეგებიან, რადგან ამტკიცებენ, რომ მას შემოაქვს ერთგვარი სასჯელის ელემენტი, რომელიც უცხოა კერძო სამართლებრივი სისტემისთვის.[2] შედარებით-სამართლებრივ ანგარიშში, რომელიც მომზადდა გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის რეფორმის კომისიის მუშაობის პარალელურად, გაცხადებულია: „ყველაფერი ან არაფერი“ პრინციპის სასჯელის ბუნება აღარ ჩანს მიზანშეწონილი. დღესდღეობით, ადამიანების უმეტესობის ცხოვრების პირობები ძალიან რთულია, სადაზღვევო კონტრაქტების დადება ძალიან გავრცელებულია, ხოლო სადაზღვევო ობიექტის ღირებულება საკმაოდ მაღალია იმისთვის, რომ ასეთი მკვეთრი შედეგები დამზღვევის მხრიდან გაუფრთხილებლობას დაუკავშირდეს“.[3] აქედან გამომდინარე, კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა უხეშ გაუფრთხილებლობაზე ბრალის ხარისხის შესაბამისად სადაზღვევო ანაზღაურების შემცირება.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება პროპორციულ ანაზღაურებასთან მიმართებით არ ყოფილა ინოვაცია. შვეიცარიის სადაზღვევო სამართალში ჯერ კიდევ 1908 წლის დაზღვევის შესახებ კანონით არსებობდა პროპორციული შემცირების მოდელი. თუმცა აღნიშნული კანონის თავდაპირველი რედაქცია, ყველა შემთხვევაში არ უშვებდა პროპორციული შემცირების მექანიზმის გამოყენებას, დადგენილი იყო კონკრეტული გამონაკლისები, როგორებიცაა სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება, დანაკარგის შესახებ შეტყობინების ვალდებულება.[4]

გერმანელმა კანონმდებელმა შვეიცარიისგან განსხვავებით არ შეზღუდა პროპორციული შემცირების გამოყენების ფარგლები და ის ნებისმიერ უხეშ გაუფრთხიებლობაზე გაავრცელა. 2011 წელს კი წარდგენილ იქნა შვეიცარიის დაზღვევის შესახებ კანონის ახალი კანონპროექტი, რომელმაც აღარ შეზღუდა პროპორციული ანაზღაურების

[1] Insurance Contract Act of 23 November 2007 (Federal Law Gazette I, p. 2631), as last amended by Article 4 of the Act of 11 April 2024 (Federal Law Gazette 2024 I No. 119), Section 81.

[2] Armbrüster, C. Das Alles-oder-nichts-Prinzip im Privatversicherungsrecht, 2003, 14, http://www.hgfv.de/hgfv/pdf/03_pub29.pdf

[3] Basedow/Fock, Bd. 1,376.

[4] Heiss, H. Proportionality in the new German insurance contract act 2008, Erasmus Law Review, Volume 5, Issue 2 (2012), 111-112.

ფარგლები და საკითხი გერმანიის მსგავსად დაარეგულირა.[1]

მიუხედავად იმისა, რომ "ყველაფერი ან არაფერი" პრინციპი უხეში გაუფრთხილებლობის დროს გერმანიის კანონმდებლობიდან 2008 წელს იქნა ამოღებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში იგი 1997 წლის რედაქციის მსგავსად გვხვდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია საკანონმდებლო ცვლილების გარდაუვალობა, რათა არ განხორციელდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვა, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ძალიან ხშირად მზღვეველთა მხრიდან ანაზღაურებაზე უარის თქმის მიზეზად სახელდება. მართალია, ჩვენი კანონმდებლობა ცვლილებას საჭიროებს, თუმცა არსებული მოცემულობით სადაზღვევო შემთხვევებისას დამზღვევის ბრალის ხარისხის კონკრეტულად განსაზღვრა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის განზრახვა, როგორც მზღვეველის მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველი. "დამზღვევის უპირატესი ანაზღაურების თეორიის" თანახმად მზღვეველი ვალდებულია აუნაზღაუროს ზიანი დამზღვევს, ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულების უმთავრესი მიზანი ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირის ინტერესების დაცვაა. [2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა მოითხოვს სამართალსუბიექტთა ინტერესების სამართლიან ბალანსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპული ქვეყნების მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დაზღვევის თავი მოიცავს 829-ე მუხლს, რომელიც გვაწვდის მზღვეველის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. „მოცემული იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი მზღვეველს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან დამზღვევის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებმა აღნიშნულისაგან განსხვავებულ პირობაზე შეთანხმების სურვილის არსებობისას, ამის შესახებ ხელშეკრულებაში პირდაპირ უნდა მიუთითონ. თუ ხელშეკრულებით მხარეები პირდაპირ არ გაითვალისწინებენ ამ პირობას, აღნიშნული შემთხვევა დარეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლით, რომელიც განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მომხდარი შემთხვევისას ზიანის ანაზღაურების

[1] Bundesgesetz über den Versicherungsvertrag (Versicherungsvertragsgesetz, VVG) (Entwurf), SR 221.229.1, მითითებულია: Heiss, H. Proportionality in the new German insurance contract act 2008, Erasmus Law Review, Volume 5, Issue 2 (2012), 111-112.

[2] მოწონელიძე, ნ, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, 2015, თბილისი, 107, https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natalia_mowonelidze.pdf

ვალდებულებას გამორიცხავს.“[1] ამავდროულად, ხელშეკრულებაში გამონაკლისების მითითება და შემდგომში ჩამოთვლილთაგან რომელიმე მათგანის დადგომა ანაზღაურებაზე ავტომატურად უარის თქმის საფუძველია.

წარმოდგენილი ნორმის ანალიზისთვის უმჯობესია იგი ორ ნაწილად გავყოთ, პირველ ნაწილში განვიხილოთ დამზღვევის განზრახვა, ხოლო მეორე ნაწილში უხეში გაუფრთხილებლობა.

ვალდებულობის არაკეთილსინდისიერი შესრულება სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივი რისკია, რომელსაც სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათი გააჩნია. სამოქალაქო სამართალდარღვევა სუბიექტის ისეთი ქმედებაა, რომელიც იწვევს პირის კეთილდღეობის შემცირებას, ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების წარმოშობას.[2]

თანამედროვე პოზიტიურ სამოქალაქო სამართალში ვერ შევხვდებით ბრალის დეფინიციას, აღნიშნულს განსაზღვრავს დოქტრინა, რომლის თანახმად ამოსავალი წერტილი სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი ყურადღებიანობის მოთხოვნების დაცვაა.[3]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, “ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახვის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული. განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით.”[4]

სამოქალაქო სამართლის მიზნებისთვის განზრახვა არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი.[5] ავტოდაზღვევისას

[1] საქართველოს უზენესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-1319-1257-2014, 30 ოქტომბერი, 2015 წელი.

[2] ქოჩაშვილი, ქ, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 80, http://openlibrary.ge/bitstream/123456789/7204/1/Sam%20Jurn%20N1%202009.pdf

[3] ქოჩაშვილი, ქ. ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 88, http://openlibrary.ge/bitstream/123456789/7204/1/Sam%20Jurn%20N1%202009.pdf

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება N-ას-1529-2024, 27 მარტი, 2025 წელი, თბილისი.

[5] Fikentscher W., Schuldrecht, 8, Auflage, Berlin - New-York, 1992, 312, მითითებულია: ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, (რედ: ჭანტურია ლ.,

დამზღვევის განზრახვას წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებით დაცული სამართლებრივი ფასეულობის შელახვა.

იმისათვის, რომ პირი განზრახვით მოქმედებდეს, აუცილებელია გააჩნდეს უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნის ელემენტი.[1] კერძო სამართალი არ გამოყოფს განზრახვის სახეებს, ვინაიდან თავად განზრახვის არსებობა სრულად არის საკმარისი ვალდებულების წარმოსაშობად.

სადაზღვევო ურთიერთობის ფარგლებში, სსკ. 829-ე მუხლის დანაწესი სამოქალაქო-სამართლებრივი კრიტერიუმების შესაბამისად, განზრახვის აუცილებელ პირობას დამზღვევის მიერ კონკრეტული გარემოებების არსებობისას სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევის სურვილს უკავშირებს. ამ დროს პირის უპირველესი ნებაა გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა. მზღვეველს კანონმდებელი ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან იგი ცდება ზრუნვის სტანდარტში.[2]

განზრახვა არის მოვალეობის დარღვევა. ავტოდაზღვევისას განზრახვა გამოიხატება სადაზღვევო შემთხვევის განზრახ გამოწვევით, ძირითადად, ავარიის მანიპულირებისას. ასევე განზრახვად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი მძღოლი განზრახ მიატოვებს შემთხვევის ადგილს, რათა არ დაეკისროს პასუხიმგებლობა ავტომობილის ალკოჰოლური თრობის დროს მართვისთვის.[3]

მოცემულ შემთხვევაში, დამზღვევი განზრახ აზიანებს სადაზღვევო ფასეულობას, ანუ სადაზღვევო ინტერესს და ცდილობს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ობიექტურად პოტენციური სადაზღვევო რისკი გადააქციოს სუბიექტურად განხორციელებულად. ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა მხარეთა კეთილსინდისიერებას სამართლებრივი ურთიერთობის ქვაკუთხედად მიიჩნევს, ისეთი სადაზღვევო ქმედება, რომელიც არ არის გამოწვეული დამზღვევის მართლზომიერი მოქმედებით მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

ცალსახაა, რომ დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ, დამზღვევის მიერ ქონების შენარჩუნების ინტერესი მცირდება. მორალური რისკი კი არის დამზღვევის მიერ სადაზღვევო ობიექტის მიმართ

ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001.

[1] კროპჰოლერი, ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, § 276, 154.

[2] მოწონელიძე, ნ, დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობის შესახებ საკანონმდებლო დანაწესის და პრინციპის „ან ყველაფერი ან არაფერი“ რეფორმის საჭიროება , 2020.

[3] გველესიანი, ს. პრინციპი — ყველაფერი ან არაფერი“ — მიდგომების რადიკალური ცვლილება გერმანულ სადაზღვეო სამართალში და ცვლილებების საჭიროება ქართულ კანონმდებლობაში, 2021, 60.

ინტერესის დაკარგვის საფრთხე. მორალური რისკი არის დამზღვევის მოტივაცია გაზარდოს რისკის მოცულობა სადაზღვევო კომპანიის ხაჯზე. მორალური რისკი პირდაპირაა დაკავშირებული სადაზღვევო ინტერესის თეორიასთან, ვინაიდან აღნიშნული პრინციპი არის რისკის შემცირების მექანიზმი. რომ არა სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის არსებობა, მორალური რისკის შემცირების ბერკეტი როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად არ იარსებებდა. ნიშანდობლივია, რომ პრაქტიკაში დამზღვევის კეთილსინდისიერება მორალური რისკის შემცირების წინაპირობაა.[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სატრანსპორტო საშუალების მფლობელის განზრახვა გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა აზიანებს არა მარტო მზღვეველის ინტერესებს, არამედ საფრთხეს უქმნის საგზაო უსაფრთხოებასა და მოძრაობის სხვა მონაწილეებს. მაშასადამე, კანონმდებლის მიდგომა და პრინციპი "ან ყველაფერი ან არაფერი" ადგენს სამართლიან ბალანსს სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილეებს შორის.

დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობის მიმართება მზღვეველის ანაზღაურების მოვალეობისგან გათავისუფლებასთან. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნება სწორად ჩამოყალიბებული და საზოგადოების საჭიროებაზე მორგებული კანონმდებლობით არის შესაძლებელი. იმისათვის, რომ სამართლებრივი ურთიერთობები არ იყოს ქაოსური და მიიღოს სისტემური ხასიათი, აუცილებელია სამოქალაქო სამართალსუბიექტთათვის, სამართლებრივი ტერმინების განმარტებების დონეზე მიწოდება მაინც.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სასამართლო დავათა სიმრავლე გამოწვეულია მზღვეველთა მიერ მარტივი და უხეში გაუფრთხილებლობის არასწორ განმარტებასთან. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სადაზღვევო კომპანიათა მიერ მარტივი გაუფრთხილებლობის უხეშ გაუფრთხილებლობად ჩათვლა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. სწორედ ამიტომ, რელევანტურია საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტებების გაზიარება, რომლებსაც ეტაპობრივად განვიხილავთ.

განსახილველ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსი დამზღვევის უხეშ გაუფრთხილებლობას უკავშირებს მზღვეველის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს, თუმცა კანონი არ განსაზღვრავს "უხეში გაუფრთხილებლობის" ნორმატიულ დეფინიციას. იმისთვის, რომ არ წარმოიშვას სამართლებრივი ვაკუუმი, რელევანტულია ზემოხსენებული

[1] ირემაშვილი, ქ. მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, 2016, 17.

ტერმინი განიმარტოს დოქტრინის საფუძველზე. თუმცა მხოლოდ დოქტრინალური განმარტება ვერ იქნება პრაქტიკულად სარგებლის მომტანი, ვინაიდან სამოქალაქო ურთიერთობათა გაფართოება ყოველდღიურად დავათა ახალ შემადგენლობას გვთავაზობს. შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებების შევსება პრაქტიკის დამდგენი სასამართლოს უფლებამოსილებაა.

გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ წინდახედულებას.[1] აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს ნდობის პრინციპი, რომლის თანახმად სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე შეიძლება დაეყრდნოს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო ბრუნვის თითოეული სუბიექტი იმოქმედებს კეთილსინდისიერად.[2]

დოქტრინის თანახმად გაუფრთხილებლობა იყოფა უხეშ (culpa lata) და მარტივ (culpa levis) ფორმებად. სამოქალაქო სამართალსუბიექტის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის ბრალის ცალკეული ფორმის არსებობა იურიდიული მნიშვნელობის მქონეა და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს წარმოშობს.[3] უხეში გაუფრთხილებლობა ხშირ შემთხვევაში განზრახვასაც ემსგავსება. უხეში გაუფრთხილებლობის დროს სუბიექტი ითვალისწინებს ქცევის შედეგს, მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გუგრილად ეკიდება მის დადგომას.

ნებისმიერი პირი, რომელიც უგულებელყოფს საგზაო მოძრაობის დროს საჭირო სიფრთხილეს, იქცევა გაუფრთხილებლობით. უხეშ გაუფრთხილებლობას ახასიათებს სუბიექტური და ობიექტური ნიშნები. უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ კანონის ობიექტური მოთხოვნები, არამედ მოქმედი პირის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მახასიათებლები, ე.წ. სუბიექტური მოთხოვნები. ქმედების უხეშ გაუფრთხილებლობად კვალიფიკაციისთვის საჭიროა სუბიექტურად გაუმართლებელი გადაცდომა.[4]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, "სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალურ დეფინიციას. ამდენად, მისი არსებობა უნდა დადგინდეს

[1] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, პარაგრაფი 276, ნაწ 2

[2] კროპჰოლერი, ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, § 242, 13.

[3] ჩიტაშვილი, ნ. ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი, N1, , 151, თბილისი. 2009 წ.

[4] OLG Celle 09.06.2005 - 8 U 182/04

ყოველი კონკრეტული შემთხვევის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად. მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება. მარტივი გაუფრთხილებლობისას კი გონივრული წინდახედულებისა და ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია. უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც სამოქალაქო ბრუნვისათვის საჭირო გულმოდგინების განსაკუთრებით მძიმე, უჩვეულო ხარისხით დარღვევა, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოიყენება, როცა ამის შესახებ პირდაპირ უთითებს კანონი"[1]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, „როგორც წესი, სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელი, მიუხედავად იმისა, მართავს თუ არა ის ამ საშუალებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე, თუ ზიანი მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგია. ამ გამონაკლისს განაპირობებს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი გამოყენება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია."[2]

უხეში გაუფრთხილებლობა შეფასებითი კატეგორიაა და იგი უნდა შეფასდეს შემთხვევის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, უხეში გაუფრთხილებლობა სახეზეა მაშინ, როცა მძღოლი "მოძრაობს არაფხიზელ

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას-745-713-2014 30 აპრილი, 2015 წელი, თბილისი.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-1184-1129-2013 26 ნოემბერი, 2015 წელი, ქ.თბილისი.

მდგომარეობაში, გადაჭარბებული სიჩქარით, გადაკვეთს შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფ უწყვეტ ღერძულა ხაზს და იმოძრავებს მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, მკვეთრად არღვევს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს და თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არ ემორჩილება უჩვეულოდ მაღალი ხარისხით."[1] მსგავსი განმარტების დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქმნის შედარებით მკაფიო შეფასებით ჩარჩოს. მართალია, უხეში გაუფრთხილებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, თუმცა მსგავსი განმარტება ეხმარება სასამართლოს და სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილეებს განასხვავონ მარტივი გაუფრთხილებლობა ისეთი ქმედებისგან, რომელიც თავისი სიმძიმით განზრახ ქცევას უახლოვდება. ამასთან, უზენაესი სასამართლოს განმარტება ხელს უწყობს სამართლებრივ პროგნოზირებადობას, რადგან ნათელია ის კრიტერიუმები, რომელთა არსებობისას ქმედება შეიძლება შეფასდეს უხეშ გაუფრთხილებლობად.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, უხეში გაუფრთხილებლობის ცნება არ ეფუძნება მხოლოდ საგზაო მოძრაობის ქცევითი მოთხოვნილებების საფუძველზე დაფუძნებულ ობიექტურ სტანდარტს. პირიქით, ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სუბიექტურ, პირად ასპექტთან დაკავშირებული გარემოებები.[2]

გერმანიის სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა „მომენტალური გაუფრთხილებლობის" კონცეფცია, რომლის თანახმად ყველა მომენტალური გადაცდომა არ მიეკუთვნება უხეშ გაუფრთხილებლობას.[3] დადგენილია კონკრეტული გადაცდომები, რომლებიც მიიჩნევა უხეშ გაუფრთხილებლობად: შუქნიშნის წესის დარღვევა,[4] გაჩერების მაჩვენებლის უგულებელყოფა, მართვის დროს სხვა აქტივობების შესრულება (მაგ: CD-ის შეცვლა). უხეში გაფრთხილებლობა სახეზეა, მაგალითად, თუ მძღოლი 50 კმ/სთ სიჩქარის ნაცვლად 90 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს ან ღამით სოფლის გზაზე სიჩქარის ლიმიტს 50%-ით აჭარბებს. როგორც მოგვეხსენება, გერმანიის დაზღვევის კანონმდებლობა უხეში გაუფრთხილებლობისას ამცირებს ანაზღაურების ოდენობას. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა. მაგ:

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე №ას-287-2025 30 მაისი, 2025 წელი, თბილისი.

[2] BGH 11.05.1953 - IV ZR 170/52

[3] BGH 08.07.1992 - IV ZR 223/91

[4] BGH 08.07.1992 - IV ZR 223/91

უხეში გაუფრთხილებლობა დადასტურდა ავტომობილის გასაღების არასაკმარისი დაცვის შემთხვევაში, როცა მასზე წვდომა მესამე პირებსაც ჰქონდათ. ამ შემთხვევაში სასამართლომ მართებულად მიიჩნია სადაზღვევო ანაზღაურების 50%-ით შემცირება.[1]

არსებობს აზრთასხვადასხვაობა, სარეგისტრაციო დოკუმენტის მანქანაში დატოვება ითვლება თუ არა უხეშ გაუფრთხილებლობად. გერმანიაში არ არსებობს მყარი სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ავტომობილის სარეგისტრაციო დოკუმენტის ხელთათმანების განყოფილებაში დატოვება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას არ ჩაითვალა უხეშ გაუფრთხილებლობად. აღნიშნულთან მიმართებით გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის 81-ე პარაგრაფის გამოყენება რეგულარულად ვერ ხერხდება, რადგან არ არის ნათელი, თუ რამდენად შეუწყო ხელი ამ გარემოებამ სატრანსპორტო საშუალების მოპარვას. [2]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით: "მარტივ გაუფრთხილებლობად შეიძლება შეფასდეს ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორიცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანმხვედრი მიმართულებით წინ მოძრავი ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის არ დათმობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე, ან არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მესამე პირისათვის და ა.შ."[3]

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მძღოლის ბრალეულობის მარტივ ან უხეშ გაუფრთხილებლობად დაკვალიფიცირება განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას და იგი უნდა განისაზღვროს საგზაო მოძრაობის უშუალო მონაწილის კონკრეტული მოქმედების დადგენითა და ამგვარი მოქმედებით დამდგარი შედეგის მიმართ მისი სუბიექტური დამოკიდებულებით. ერთ-ერთ საქმეში პალატამ მარტივ გაუფრთხილებლობად შეაფასა დამზღვევის მოქმედება იმ მოცემულობით, რომ მძღოლმა უკუსვლის რეჟიმში მომართა ავტომანქანა, თუმცა გზის საფარის დახრილობის გამო იგი დაგორდა და შეეჯახა 1 მეტრის მანძილზე მდგომ ბოძს. უზენაესმა სასამართლომ

[1] BHJJ/Burmann, 21. Aufl. 2010, VVG § 81 Rn. 1-31

[2] BGH 06.03.1996 - IV ZR 383/94

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე ას-1306-1226-2015 თბილისი, 1 ივლისი, 2016 წელი.

არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და დაადგინა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომისას მძღოლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია იმ ხარისხის უყურადღებობას, რომელიც შეიძლება შეფასდეს უჩვეულოდ მაღალი ხარისხის უყურადღებობად, რაც თავის მხრივ, ქმედების უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილად მიჩნევის შესაძლებლობას იძლევა.[1] ასევე მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდა მძღოლის საჭესთან ჩაძინება და აღნიშნულის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევა. ამგვარი დასკვნა დაეფუძნა საქმეში დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: დაზღვეულ ავტომობილს მართავდა უფლებამოსილი მძღოლი; ავტოსაგზაო შემთხვევისას მძღოლი იმყოფებოდა ფხიზელ მდგომარეობაში; მძღოლი მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით საკუთარ ზოლში; შემთხვევა მოხდა ღამით, უამინდობისას; ამ ფაქტების ერთობლიობა, საქმის მასალების გათვალისწინებით, იძლეოდა დამზღვევის მოქმედების მარტივ და არა უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას.”[2]

სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისგან გათავისუფლების შესაძლებლობა მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაშია შესაძლებელი. სხვა საქმეში “უზენაესი სასამართლოს მიერ მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდა ერთ შემთხვევაში, როცა დაზღვეული ცდილობდა პარკინგიდან მანქანის გამოყვანას და შეეჯახა იქვე მდგომ გაჩერებულ ავტომობილს, ხოლო მეორე შემთხვევაში - ვერ დაიცვა საჭირო დისტანცია და შეეჯახა მის წინ მდგომ მანქანას”.[3] ამასთან ერთ ერთ საქმეში პალატამ განმარტა, რომ “ ავტომანქანაზე უკანა მხრიდან შეჯახება ობიექტური თვალსაზრისითაც, ყველა შემთხვევაში, ვერ მიიჩნევა უხეშ გაუფრთხილებელ ქმედებად.” აღნიშნულ დავაში საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ “მძღოლის მიერ შეჯახება განაპირობა მისმა უყურადღებობამ, კერძოდ, მან ვერ შეამჩნია მის წინ შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გაჩერებული ავტომანქანა, ამასთან, მას ამკრძალავი შუქნიშანი არ გადაუკვეთავს. მოსარჩელის მიზანსა და განზრახვას არ წარმოადგენდა შუქნიშნის დაუმორჩილებლობა ან შუქნიშნის წითელ ფერზე გავლა.”[4] შესაბამისად, არ იკვეთებოდა უხეში გაუფრთხილებლობის ნიშნები.

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე ას-1647-2023 31 ივლისი, 2024 წელი ქ. თბილისი.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას-1479-2019 21 იანვარი, 2020 წელი ქ. თბილისი.

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე № ას-1058-2024 5 თებერვალი, 2025 წელი, თბილისი.

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას-715-2024 28 თებერვალი, 2025 წელი, თბილისი.

ამიტომ, უხეში გაუფრთხილებლობის ცნება არ უნდა იქნეს განმარტებული ზედაპირულად. მისი დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის ქმედება აშკარად სცდება შეცდომის ფარგლებს და წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულებისა და ყურადღებიანობის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას.

ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქმედების გარეგნული შეფასება, არამედ ყველა ფაქტობრივი გარემოების ერთობლივი ანალიზი: პირის მდგომარეობა, დარღვევის ხარისხი, შედეგის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობა და პირის სუბიექტური დამოკიდებულება დამდგარი შედეგის მიმართ.

შესაბამისად, უხეში გაუფრთხილებლობა უნდა შეფასდეს როგორც საგამონაკლისო შემთხვევა, ქცევა, რომელიც უჩვეულოდ მაღალი ხარისხით არღვევს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ სიფრთხილეს. მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს დამზღვევისა და მზღვეველის ინტერესებს შორის და თავიდან აგვარიდებს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმას იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა მხოლოდ მარტივი გაუფრთხილებლობა ან მომენტალური შეცდომა.

შესაძლოა, არც ისე შორეულ მომავალში თვითმართვადი მანქანები ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდნენ. [1] საავტომობილო ინჟინირების საზოგადოების (SAE) განმარტებით ავტონომიური მართვის ექვსი დონე არსებობს. სპექტრი ნულიდან იწყება იმ ავტომობილებით, რომლებსაც არ აქვთ ავტონომიური მართვის ტექნოლოგია და მთავრდება მეხუთე დონემდე, რომელიც სრულად ავტონომიურ ავტომობილებს აღწერს. დღესდღეობით ყველაზე მეტად გამოყენებადი და გავრცელებული არის მე-2 დონის ავტომატიზაციის მქონე ავტომობილები, რომლებიც შეზღუდულნი არიან გეოგრაფიული არეალით. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები საავარიო სიტუაციებს ამცირებენ, მაინც არსებობს საგზაო შემთხვევების დადგომის რისკები. მართალია შემცირდება ავარიები მძღოლის ბრალით, თუმცა მოიმატებს სისტემური გაუმართაობის შემთხვევები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აქამდე, ავტომობილებში არსებული სისტემები მხოლოდ მართვის დამხმარე საშუალებებად ითვლებოდა და ამიტომ მოითხოვდა მძღოლის მთლიან ყურადღებას საჭესთან მუდმივი კონტაქტის გზით. გარდა ამისა, ისეთი მწარმოებლები, როგორიცაა Tesla, ცალსახად აცხადებენ, რომ თვითმართვადი სისტემები საჭიროებენ ადამიანის ზედამხედველობას და მძღოლი პასუხისმგებელია მართვის მომენტალურად აღდგენაზე საჭიროების შემთხვევაში. ამ

[1] Ivanova1, L, Kalashnikov, N. The Liability Limits of Self-Driving Cars, 2022, 6.

დეტალს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება, რადგან ის არა მხოლოდ საშუალებას მისცემს მანქანებს ლეგალურად იმოძრაონ საზოგადოებრივ გზებზე (ვენის კონვენციის შესაბამისად), არამედ ასევე მოითხოვს, რომ ავტომობილის მძღოლი სრულად იყოს პასუხისმგებელი.[1] ჩნდება კითხვა, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა ავტომატიზებული, თვითმართვადი მანქანის ექსპლუატაციისას, როგორ უნდა გადაწყდეს დამზღვევის ბრალის საკითხი.

დღევანდელი ავტოდაზღვევა როგორც წესი, ფარავს ავტომობილის „საკუთრების, მოვლა-პატრონობის, გამოყენების“ შედეგად გამოწვეულ დაზიანებებს, სადაც „სარგებლობა“ გულისხმობს ავტომობილის ექსპლუატაციას. ზოგადად, მძღოლის დაუდევრობით გამოწვეულ ავარიაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მგზავრს არ ეკისრება, თუ არ იკვეთება მისი აშკარა მოქმედება ზიანის დადგომაში.[2] თვითმართვადი ავტომობილის შემთხვევაში მძღოლი ერთგვარად მგზავრის სტატუსს იძენს. ჩვენი კანონმდებლობით, 829-ე მუხლით დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობით დამდგარი ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ავტომატიზებული მანქანის მართვისას, კატეგორიების მიხედვით, მძღოლის მოქმედებათა არეალი შეზღუდულია. საქართველოში თვითმართვადი ავტომობილების მოძრაობაში შემოსვლა გამოიწვევს სადაზღვევო კომპანიების მიერ სპეციალური პირობების შეთავაზებას, ამავდროულად გაჩნდება კანონმდებლობის თანამედროვე პირობებთან მისადაგების საჭიროება. თვითმართვადი ავტომობილის მიერ განხორციელებული ავტოსაგზაო შემთხვევა ვერ ჩაითვლება მფლობელის განზრახვად ან უხეშ გაუფრთხილებლობად, თუ არ გამოიკვეთა მძღოლის უშუალო მოქმედება, მაგ: მანქანის პროგრამული უზრუნველყოფის მოდიფიკაცია. ასეთ შემთხვევაში ბრალის საკითხის დადგენა დიდ სირთულესთან და სპეციფიკურ ტექნიკურ ცოდნასთანაა დაკავშირებული და გამოწვევას წარმოადგენს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე თვითმართვადი სატრანსპორტო საშუალებების მომრავლება აუცილებელს გახდის ავტომწარმოებლის და მძღოლის ბრალს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენას, რაც პირდაპირაა დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ზიანის ანაზღაურებასთან.

მტკიცების სტანდარტი ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი

[1] Voitchosky, J. The effects of self-driving vehicles on the insurance industry, 2019, Geneva, 25, https://core.ac.uk/download/pdf/286406054.pdf

[2] Ezra,E, Rogers, R, Chan, R. Life on autopilot: Self-driving cars raise liability and insurance questions and uncertainties, 2024.

საგამონაკლისო შემთხვევების სადავოობისას სამართალწარმოების ეტაპზე. ზოგადად, კანონით დადგენილია, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე დამზღვევი მოვალეა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს.[1] სადაზღვევა შემთხვევის დადგომისას მზღვეველის ინტერესს წარმოადგენს ზიანის შემცირება და მისი ზუსტი ოდენობის განსაზღვრა. ამ მიზნით სადაზღვევო კომპანია იწყებს გარკვეული პროცედურული საკითხების განხორციელებას და საქმის შესწავლის შემდეგ ატყობინებს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს ანაზღაურების შესახებ. ხშირ შემთხვევაში საჭიროა ექსპერტიზის დანიშვნა, რათა დადგინდეს დამზღვევის ბრალი. მიუხედავად, დამზღვევის სადაზღვევო ინტერესისა, მზღვეველები უარს აცხადებენ მოვალეობის შესრულებაზე და საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლზე მიუთითებენ. ასეთ შემთხვევაში დამზღვევის უფლების დაცვის ერთადერთ საშუალებას სასამართლო წარმოადგენს.

უზენაესი სასამართლოს განამარტებით, მზღვეველის საპროცესო ვალდებულებაა, დაადასტუროს დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობის ფაქტი. "დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავის განხილვისას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი შემდეგნაირია - "სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის causa proxima-ს არსებობა დამზღვევმა უნდა ამტკიცოს,[2] მზღვეველმა უნდა ამტკიცოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი ხელშეკრულების გამონაკლისს წარმოადგენს, რის გამოც, სადაზღვევო დაფარვა მასზე ვერ გავრცელდება."[3] თუმცა სადაზღვევო შემთხვევისას მძღოლის ბრალის გამამართლებელი ობიექტური გარემოების მტკიცების ტვირთი სწორედ დამზღვევს ეკისრება, რომელმაც რელევანტური მტკიცებულებების წარმოდგენის გზით უნდა ზიდოს ხსენებული მტკიცების ტვირთი.[4]

განზრახვაც და უხეში გაუფრთხილებლობაც პირის მოქმედებით ან უმოქმედობით გამოიხატება. ამ დროს ირღვევა წინდახედულობის ნორმებიც და საჭირო ზრუნვის სტანდარტიც. ხშირ შემთხვევაში სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია დადგინდეს სადაზღვევო შემთხვევის რეალური მიზეზი. ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთ გზას ექსპერტიზა წარმოადგენს. ყველა საქმეში, რომელიც სასამართლოში

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 814, ნაწ. 1, კონსოლიდირებული ვერსია - [01/04/2026] , https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=138

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-1091-2022 23 თებერვალი, 2023 წელი, ქ. თბილისი.

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ას-1346-2024 23 იანვარი, 2025 წელი, თბილისი.

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას-1475-2024 24 იანვარი, 2025 წელი, ქ. თბილისი.

მიმდინარეობს მხარეთა პოზიციები ძირითადად ექსპერტის დასკვნას ეყრდნობა. თუმცა არის შემთხვევებიც, რომ ზოგადად ექსპერტთა კომპეტენცია ვერ ფარავს დავის გადასაწყვეტად აუცილებელ დასკვნათა საჭიროებას. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ექსპერტის დასკვნაზე დაყრდნობა მოსამართლის მხრიდან იქნება მნიშვნელოვანი დარღვევა და ხელს შეუშლის დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას.

მოგეხსენებათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, "სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ."[1] ამავდროულად, ამავე კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით, "ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში."[2]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, "მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა ნიშნავს მათ ერთობლიობაში შესწავლა-ანალიზს, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლო გამოიტანს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ. მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს მათი სარწმუნოობისა თუ არასარწმუნოობის თვალსაზრისით."[3]

აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც დავის საგანს წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად გადასახდელი სადაზღვევო თანხის დაკისრება, სასამართლომ დამზღვევს უნდა მოსთხოვოს სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დამტკიცება, ხოლო მზღვეველს უნდა დაეკისროს ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოებების დადასტურება. სასამართლო ვალდებულია მტკიცებულებათა ერთობლიობით მიიღოს გადაწყვეტილება და ექსპერტიზის დასკვნის არსებობისას არ მიანიჭოს მას წინასწარი განსჯის გარეშე უპირატესობა.

---

[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 16/04/2025, მუხ.105.

[2] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 16/04/2025, მუხ.172.

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას-1339-1377-2014 24 ივნისი, 2015 წელი ქ. თბილისი.

დასკვნა. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა წარმოადგენს იმ განსაკუთრებულ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურების გზით მოქალაქეთა ეკონომიკური ინტერესების დაცვას ემსახურება. აღნიშნული ინსტიტუტის ეფექტური ფუნქციონირება დამოკიდებულია როგორც ხელშეკრულების სათანადო ფორმულირებაზე, ისე მხარეთა კეთილსინდისიერ ქცევასა და კანონმდებლობის მდგრადობაზე. საქართველოში დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი, ქმნის იმგვარ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს მავნე ქცევის პრევენციას, კერძოდ, იმ შემთხვევათა თავიდან აცილებას, როდესაც დამზღვევი თვითონ უწყობს ხელს სადაზღვევო შემთხვევის დადგომას.

სტატიში განხილულ იქნა გერმანიის მაგალითი, რომელმაც შეცვალა უხეში გაუფრთხილებლობის მიმართ დამოკიდებულება და ანაზღაურების ოდენობის შემცირება დამზღვევის ბრალის ხარისხს დაუკავშირა, მაშინ როცა საქართველოში კვლავ მოქმედებს მკაცრი მიდგომა - სრული გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან უხეში გაუფრთხილებლობის ან განზრახი ქმედების არსებობის შემთხვევაში. ეს კი გაუმართლებლად დიდი ტვირთი არის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სადაზღვევო ობიექტის ღირებულება მაღალია და საზოგადოების ეკონომიკური ინტერესი კიდევ უფრო იზრდება.

დამზღვევის ბრალის ხარისხის დადგენა იურიდიულად რთული და კომპლექსური ამოცანაა, რომელიც მოითხოვს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური გარემოებების სრულფასოვან შეფასებას. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია მარტივი და უხეში გაუფრთხილებლობის ერთმანეთიგან გამიჯვნა, რაც ზრდის სასამართლო დავების რაოდენობას. ამავდროულად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ცალსახად ამკვიდრებს მტკიცების ტვირთის ზუსტ განაწილებას, რაც წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიას მხარეთა თანაბარი სამართლებრივი პოზიციების დასაცავად.

კიდევ უფრო საინტერესო პერსპექტივას ქმნის ტექნოლოგიური პროგრესი, კერძოდ, თვითმართვადი სატრანსპორტო საშუალებების განვითარება. ეს გარემოება არსებითად ცვლის ბრალეულობის საკითხს, ვინაიდან მძღოლის აქტიური როლი მინიმუმამდეა დაყვანილი, ხოლო პასუხისმგებლობა შესაძლოა ავტომწარმოებელს ან პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელს დაეკისროს. ასეთ მოცემულობაში, სადაზღვევო სექტორი და კანონმდებლობა უნდა მოერგოს ახალ

ტექნოლოგიურ რეალობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიმოხილვისას გამოიკვეთა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა განხილვა და გათვალისწინება სადაზვევო კანონმდებლობას სრულყოფილთან დაახლოვებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი საჭიროებს მოდერნიზაციას, რათა დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის სრული გამორიცხვის ნაცვლად გათვალისწინებულ იქნას ბრალის ხარისხის შესაბამისად ანაზღაურების პროპორციული შემცირება. ეს რეკომენდაცია შეესაბამება გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის რეფორმირებულ პრაქტიკას და უზრუნველყოფს ხელშეკრულების მხარეთა უფლებების თანაზომიერ დაცვას.

ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, საჭიროა კანონმდებლობის განვითარება თვითმართვადი სატრანსპორტო საშუალებების სპეციფიკის შესაბამისი რეგულაციებით. კერძოდ, საჭიროა დაზღვევის სპეციფიკური პროდუქტების შემუშავება, რომლებიც დაიცავენ როგორც მომხმარებლის, ისე სადაზღვევო კომპანიის ინტერესებს.

ამავდროულად, უმნიშვნელოვანესია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სამართლიანი გადანაწილება და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ამრიგად, არსებული რეგულაციების გადახედვა, სამართლებრივი განმარტებების დაზუსტება და პრაქტიკის განზოგადება აუცილებელია დაზღვევის ინსტიტუტის ეფექტური, სამართლიანი და მდგრადი ფუნქციონირებისათვის. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების გონივრული ბალანსის დაცვა და საზოგადოების ნდობის გამყარება სადაზღვევო სისტემისადმი.

ლიტერატურა და წყაროები

გველესიანი, ს. 2021. *პრინციპი — „ყველაფერი ან არაფერი“ — მიდგომების რადიკალური ცვლილება გერმანულ სადაზღვეო სამართალში და ცვლილებების საჭიროება ქართულ კანონმდებლობაში.* თბილისი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

ირემაშვილი, ქ. 2016. *მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში.* თბილისი.

ირემაშვილი, ქ. 2016. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,* მუხ. 799. თბილისი.

კაპანაძე, თ. 2016. „სადაზღვევო ურთიერთობის ალეატორული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით“, *ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები.* https://www.barristers.ge/public/uploads/docs/Jurnali-N6.pdf

კროპჰოლერი, ი. 2014. *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი,* 2014, § 276. თბილისი.

მოწონელიძე, ნ. 2020. *დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობის შესახებ საკანონმდებლო დანაწესის და პრინციპის „ან ყველაფერი ან არაფერი“ რეფორმის საჭიროება.* თბილისი.

მოწონელიძე, ნ. 2015. *სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება.* თბილისი.

https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natalia_mowonelidze.pdf

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია - 01/04/2026 https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=138

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია – 16/04/2025, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962/www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/hudoc.echr.coe.int/eng?publication=171 *საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ,* კონსილიდირებული ვერსია: 02/04/2025, https://matsne.gov.ge/document/view/29884?publication=36

საქართველოს კანონი “საგზაო მოძრაობის შესახებ”, კონსოლიდირებული ვერსია - 13/12/2024,
https://matsne.gov.ge/document/view/2169396?publication=32

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება N-ას-1529-2024, 27 მარტი, 2025 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენესი სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე №ას-1319-1257-2014, 30 ოქტომბერი, 2015 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე №ას-1147-1067-2017 29 დეკემბერი, 2017 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის N ას - 663 - 624 - 2011 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 13 მაისის განჩინება. საქმე №ას-122-2025.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება. საქმე №ას-1338-1376-2014.*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 27 მარტის განჩინება.* საქმე №ას-1529-2024 თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე №ას-595-2022 28 აპრილი, 2023 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე №ას-745-713-2014 30 აპრილი, 2015 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე №ას-287-2025 30 მაისი, 2025 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე ას-1306-1226-2015 თბილისი, 1 ივლისი, 2016 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე ას-1647-2023 31 ივლისი, 2024 წელი ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე №ას-1479-2019 21 იანვარი, 2020 წელი ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე საქმე № ას-1058-2024 5 თებერვალი, 2025 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე №ას-715-2024 28 თებერვალი, 2025 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე №ას-1091-2022 23 თებერვალი, 2023 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე №ას-1346-2024 23 იანვარი, 2025 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე №ას-1475-2024 24 იანვარი, 2025 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. საქმე №ას-1339-1377-2014 24 ივნისი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამრთლოს განჩინება. საქმე №ას-1147-1067-2017 29 დეკემბერი, 2017 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე №ას-1184-1129-2013 26 ნოემბერი, 2015 წელი, თბილისი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე N 2ბ/3360-18, 19 მარტი, 2019 წელი, თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამრთლოს განჩინება. საქმე N ას-733-1003-05 21 ოქტომბერი, 2005 წელი, თბილისი.

ქოჩაშვილი, ქ. 2009. „ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა“, *სამართლის ჟურნალი N1*, 2009, http://openlibrary.ge/bitstream/123456789/7204/1/Sam%20Jurn%20N1%202009.pdf

ქურდუბაძე, ს. 2022. *დაზღვევა საქართველოს კანონმდებლობაში,* თბილისი, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/395962/1/Dazgveva_Saqartvelos_Kanonmdeblobashi.pdf

ჩიტაშვილი, ნ. 2009. „ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის“, *სამართლის ჟურნალი, N1*, თბილისი, 2009.

ძლიერიშვილი, ზ. 2014. *სახელშეკრულებო სამართალი,* თბილისი: მერიდიანი. https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2021/06/58.-sakhelshekruleblo-samarthali.pdf

Ezra, E., Rogers, R., Chan, R. 2024. *Life on autopilot: Self-driving cars raise liability and insurance questions and uncertainties.*

Fischer, J. 2019. *Insurance Law: A Guide to Fundamental Principles, Legal Doctrines, and Commercial Practices.*

Gürses, Ö. 2019. *The Law of Compulsory Motor Vehicle Insurance.*

Ivanova, L., Kalashnikov, N. 2022. *The Liability Limits of Self-Driving Cars.*

Jeffrey, W., Stempel, Peter N., Swisher, Erik S. 2012. *Knutsen, Principles of Insurance Law.*

John, N., Weston-Simons, C., Hodgson, L. 2022. *Insurance Law Handbook*.

Teenkamp, M., Mostert, F. J., Mostert, J. H. 2009. *"The claims handling process of motor vehicle insurance", Corporate Ownership & Control, Volume 7, Issue 1, Fall 2009.*

Voitchosky, J. 2019. *The effects of self-driving vehicles on the insurance industry, Geneva.*

Armbrüster, C. 2003. *Das Alles-oder-nichts-Prinzip im Privatversicherungsrecht.*

Basedow/Fock, Bd. 1.

Baumgärtel, VersR 1968, 818; L. Raiser, ZVersWiss 1978, 375.

BGH 11.05.1953 - IV ZR 170/52.

BGH 08.07.1992 - IV ZR 223/91.

BGH 06.03.1996 - IV ZR 383/94.

BHJJ/Burmann, 21. Aufl. 2010, VVG § 81 Rn. 1–31.

Bundesgesetz über den Versicherungsvertrag (Versicherungsvertragsgesetz, VVG) (Entwurf), SR 221.229.1, მითითებულია: Heiss, H.Fikentscher, W., *Schuldrecht*, 8. Auflage, Berlin-New York, 1992, 312, მითითებულია: ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, რედ.: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბილისი, 2001.

Kramer, NJW 1972, 1974, 1975. მითითებულია: Armbrüster, C, Das Alles-oder-nichts-Prinzip im Privatversicherungsrecht, 2003, Verlag Versicherungswirtschaft GmbH Karlsruhe

Lindacher, JuS 1975, 289, 291. მითითებულია: Armbrüster, C, Das Alles-oder-nichts-Prinzipim Privatversicherungsrecht, 2003, Verlag Versicherungswirtschaft GmbH Karlsruhe

OLG Celle 09.06.2005 - 8 U 182/04.

Stoecker, P., *Der Vorsatz des Versicherungsnehmers bei der Herbeiführung des Versicherungsfalles im Sinne des § 103 VVG.*

Zwischenbericht der Kommission zur Reform des Versicherungsvertragsrechts vom 30. Mai 2002, section B.6.

Law

Intent and Gross Negligence of the Motor Vehicle Owner as Grounds for Releasing the Insurer from the Performance of Its Obligation

Robizon Khurtsilava
robizon.khurtsilava@atsu.edu.ge
Daviti Khurtsidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.18

The article examines the concepts of the vehicle owner's intent and gross negligence, and their relation to the insurer's exemption from liability. The article discusses the legal regulation of motor vehicle insurance in the context of Georgian legislation, with the main focus on Article 829 of the Civil Code of Georgia. The paper reflects the challenges existing in Georgian legal practice and doctrine, including the absence of a legal definition of "gross negligence" and its inconsistent interpretation by insurers in practice. The article analyzes the interpretations of both the Supreme Court of Georgia and the German Federal Court regarding the issue under consideration. The paper emphasizes the need for legislative reform aimed at the practical protection of the rights of both insurance companies and motor vehicle owners. The research applies the methods of analysis, synthesis, logical analysis, and comparative legal study.

Keywords: *Motor vehicle, Policyholder's intent, Policyholder's gross negligence*

Introduction. Georgia's transition to a market economy and the expansion of private-law relations between individuals made the need for stability in civil circulation even more evident. The new Civil Code regulated almost all relationships required by societal needs, and the Code also addressed such relationships whose emergence was anticipated based on the experience of foreign countries.

The 1997 Code provided the subjects of civil circulation with statutory guarantees for the protection of their rights. In each chapter, the legislator included provisions through which, in the event of a dispute, a private-law subject would be able to protect his or her interests.

One of the forms of legal relationship is the insurance contract, which constitutes "an important guarantee for the protection of the rights of participants in civil circulation.".[1]

[1] Supreme Court of Georgia, Case № 663-624-2011, 17 February, 2012.

Articles 8 and 361 of the Civil Code establish the obligation of participants in civil-law relations to exercise their rights and perform their duties properly and in good faith. This implies "respect by the participants of civil-law relations for the interests of the other party to the relationship, as well as an awareness of their own role and responsibility."[1] These two cornerstones of civil circulation establish a high standard of good faith for the parties to an insurance contract. Under this standard, the policyholder is obliged to take proper care of the insured object and not to damage it intentionally or through gross negligence, while the insurer is required to compensate the damage caused by an insured event, unless excluding circumstances exist.

In order to avoid future disagreements regarding compensation, both the insured risks and the exclusions must be determined in advance. Accordingly, the legislator restricts the arbitrariness of both the policyholder and the insurer and, hypothetically, establishes a fair balance aimed at protecting the interests of the parties to the transaction.

Pursuant to Article 829 of the Civil Code of Georgia, the insurer is released from the obligation to provide compensation if the insured event was caused by the intent or gross negligence of the policyholder.[2] The purpose of this provision is to prevent insured events arising from subjective and moral risk. Despite the legislative wording, in practice, determining the degree of fault remains problematic, and it often serves as a ground for refusing to pay insurance compensation.

At the same time, "it is of utmost importance that the exceptional case in insurance provided for under Article 829 of the Civil Code of Georgia be interpreted narrowly, so that insurers are not unfairly encouraged to avoid liability, thereby endangering the legal function and purpose of insurance within the legal system."[3]

Motor Vehicle as an Object of Insurance. The main reason for the existence of insurance is the distribution of risk. The nature of insurance essentially requires that the occurrence of insured events, or at least their severity and timing, be contingent rather than inevitable, in order to create an environment in which private insurance companies are willing to operate and individuals are willing to purchase insurance.[4]

Regardless of the type of insurance at issue, insurance risk is an essential

[1] Supreme Court of Georgia, Case № 1338-1376-2014, 29 June, 2015.

[2] Civil Code of Georgia, consolidated version of 13/12/2024, Article 829.

[3] Supreme Court of Georgia, Case № 595-2022, 28 April, 2023.

[4] Jeffrey W. Stempel, Peter N. Swisher, Erik S. Knutsen, Principles of Insurance Law, 2012, 59.

term of the insurance contract. First of all, it is necessary to distinguish between an insured event and an insurance risk. An insured event is an occurrence that has already taken place and gives rise to the obligation to provide compensation, whereas risk is the basis for the occurrence of that event.

Before the insured event occurs, the risk may be foreseeable; however, the probability of the risk materializing must not be known in advance. In general, risk factors are sufficiently foreseeable that insurers are able to assess them in advance.[1] Insurance risk is a risk that exists before the conclusion of the contract; through the insurance contract, it is simply transferred by the policyholder to the insurer. At the same time, it is important to identify the exclusions, since their existence precludes the possibility of paying insurance compensation.

According to the interpretation of the Supreme Court of Georgia, "the purpose of implementing exclusionary provisions in an insurance contract is to exhaustively define the range of circumstances that exclude the insurer's liability. Allowing the expansion of exceptional cases contradicts the purpose of including such clauses in the contract."

Pursuant to Article 4 of the Law of Georgia on Insurance, the object of insurance may be any property or personal non-property interest that does not contradict the legislation of Georgia. At the same time, it is relevant to identify the subject matter of insurance, which consists in compensation for damage caused as a result of the occurrence of an insured event. In motor vehicle insurance, the policyholder, in a certain sense, purchases peace of mind, since they know that if the vehicle is damaged, the insurance company will compensate the loss.[2] Accordingly, in motor vehicle insurance, the subject matter of insurance is the vehicle itself, while the object of insurance is the potential damage that may arise as a result of an accident during the operation of the vehicle.

In general, a motor vehicle constitutes an object of civil law; however, its regulation as a source of increased danger also serves a public-law interest. Motor vehicle insurance is even more relevant in view of the fact that a person cannot exercise full control over a vehicle. In addition, the owner is obliged to comply with the rules of road safety and due care, which are directly connected to the owner's fault in the event of a traffic accident.

Insurable Interest and Its Relation to the Grounds for Claiming Compensation for Damage. Insurable interest is a legal interest that the policyholder has in relation to the object of insurance. In the case of personal insurance, the insurable

[1] Jeffrey W. Stempel, Peter N. Swisher, Erik S. Knutsen, Principles of Insurance Law, 2012, 6–7.

[2] Teenkamp, M, Mostert , F J , J Mostert, J H, The claims handling process of motor vehicle Insurance, Corporate Ownership & Control / Volume 7, Issue 1, Fall 2009, 302, https://virtusinterpress.org/IMG/pdf/cocv7i1c2p5.pdf

interest relates to the life and health of the policyholder, whereas in property insurance it concerns the preservation of property.

Insurable interest reflects a close connection between the policyholder and the object of insurance. "The value of the object of insurance is expressed in monetary terms. However, the value of the insurable interest may significantly exceed the value of the object of insurance, since insurable interest is a combination of material and moral interests."[1] It is considered that if the policyholder has an interest in the object of insurance, they will suffer damage upon the occurrence of an insured event. The existence of an insurable interest may be regarded as a prerequisite for the policyholder's right to claim compensation.

In the case of motor vehicle insurance, the relevant interest lies in the preservation of the property.[2] The only factor that causes harm to the insurable interest is the insured event.

Before concluding the insurance contract, the parties agree on the insurance risk. Subparagraph "i" of Article 2 of the Law of Georgia on Insurance defines insurance risk as "an event that contains the elements of possibility and randomness of its occurrence and for which insurance is obtained."[3] "An insured event, on the other hand, is a risk that has already materialized, the possibility of which is provided for by the insurance contract."[4] Furthermore, pursuant to Article 802(2) of the Civil Code of Georgia, insurance risk is an essential term of the contract.[5]

An insured event is the result of the materialization of risk. In practice, in the case of motor vehicle insurance, it covers road traffic accidents, explosions, external damage, fire, natural disasters, and theft.

Risk is an assumption or expectation that the object or interest may be damaged. In motor vehicle insurance, the possibility of the occurrence of an event and the element of randomness are more clearly expressed than in other types of insurance, since a vehicle is regarded as a source of increased danger, and the risk of road traffic accidents is increasing day by day.

At the same time, the cause of a road traffic accident is often connected

[1] Iremashvili, K., Commentary on the Civil Code of Georgia, Article 799, 2016,15.

[2] Kapanadze, T., The Aleatory Nature of the Insurance Relationship and Its Impact on the Essential Terms of the Contract under Georgian Legislation, Scientific Journal "Young Lawyers," 2016, p. 11, https://www.barristers.ge/public/uploads/docs/Jurnali-N6.pdf

[3] Law of Georgia on Insurance, consolidated version of 02/04/2025, Article 2, subparagraph "i". https://matsne.gov.ge/document/view/29884?publication=36.

[4] Kurdubadze, S., Insurance in Georgian Legislation, 2022, Tbilisi, 30. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/395962/1/Dazgveva_Saqartvelos_Kanonmdeblobashi.pdf

[5] Civil Code of Georgia, consolidated version of 13/12/2024, Article 802, paragraph 2. https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=133.

to the fault of vehicle owners. Accordingly, if the factual and legal grounds for claiming compensation for damage are present, the insurer becomes obliged to compensate the damage.

Despite this rule, the Civil Code connects the degree of the policyholder's fault with a circumstance excluding the insurer's liability.

Motor Vehicle Insurance Policy in Foreign Countries and the Related Legislative Framework. The regulation of insurance relations falls within the authority not only of natural and legal persons, but also of the state. The experience of foreign countries has a practical impact on the improvement of legislation and the insurance system.

The approach of the United States of America to insurance policy is noteworthy. In the 1920s, state legislatures began searching for ways to ensure that victims of road traffic accidents would be able to receive compensation, particularly where the injuries were caused by the intentional, negligent, or careless driving of a motor vehicle.[1]

As a rule, motor vehicle insurance policies contain a wide range of conditions that restrict the policyholder's use of the insured vehicle and require the policyholder to maintain and take proper care of it.[2]

Motor vehicle insurance is a compulsory form of insurance in many European countries and falls within the scope of the states' public-law authority. The United Kingdom's Road Traffic Act 1988 makes the use of a motor vehicle without insurance a criminal offence.

At the same time, the European Union provides directives aimed at harmonizing the rules applicable to civil liability insurance in respect of motor vehicle accidents.[3]

Article 829 of the Civil Code of Georgia would be better examined in connection with Section 81 of the German Insurance Contract Act. In 2008, an insurance law reform was carried out in Germany, which also affected this provision.

Under Section 61 of the pre-reform version of the German Insurance Contract Act, the insurer was released from the obligation to compensate the damage if the policyholder caused the insured event intentionally or through gross negligence. In legal doctrine, this approach is referred to as the "all-or-nothing" principle..[4] The discussion concerning this principle became particularly relevant

[1] Fischer, J, Insurance Law: A Guide to Fundamental Principles, Legal Doctrines, and Commercial Practices , 2019, 323.

[2] John, N. Weston-Simons, C, Hodgson, L, Insurance Law Handbook , 2022, 298.

[3] Gürses, Ö. The Law of Compulsory Motor Vehicle Insurance, 2019, 1.

[4] Armbrüster, C. Das Alles-oder-nichts-Prinzip im Privatversicherungsrecht, 2003, 8, http://www.

after the Insurance Law Reform Commission began working on this issue.

The "all-or-nothing" principle represents a legal consequence under which the insured's claim for insurance compensation is either fully satisfied or fully rejected. The principle was aimed at imposing a rather high standard of good faith on the parties.

However, it also had negative aspects, since even a minor breach of obligations could lead to serious financial consequences for the policyholder. Opponents of the principle also argued that it had a "genuinely punitive character," resulted in a violation of the constitutional principle of proportionality, hindered the adoption of decisions tailored to individual cases, and reduced the trust of insurance participants in insurers and the courts.[1]

The post-reform law requires the establishment of a causal link between the policyholder's breach of duty and the resulting damage. Only where the policyholder directly contributes to the occurrence of the damage may the insurer be released from liability.

Moreover, the model of proportional reduction can strengthen the preventive and deterrent function of liability. In German doctrine, it was noted that under the "all-or-nothing" principle, courts often refrained from qualifying conduct as gross negligence, because such a qualification resulted in the policyholder's complete loss of insurance compensation.

The introduction of the rule on proportional reduction of the insurance amount significantly alleviated this problem. Under the new approach, the court no longer has to choose between two extremes. It may take into account the degree of the policyholder's fault and reduce the insurance compensation precisely in proportion to that degree.[2]

The new wording did not affect intent and once again confirmed the issue of the insurer's automatic release from liability where the insured acts intentionally.

According to supporters of the "all-or-nothing" principle, the preventive effect associated with it serves various legitimate interests.[3] The risk of completely losing compensation is intended to encourage the policyholder to perform their obligations diligently. In their view, this principle had a deterrent effect, further strengthened the insurable interest, and increased trust between the parties.[4] At

hgfv.de/hgfv/pdf/03_pub29.pdf

[1] Lindacher, JuS. 1975, 289, 291. Cited in: Armbrüster, C, Das Alles-oder-nichts-Prinzipim Privatversicherungsrecht, 2003, Verlag Versicherungswirtschaft GmbH Karlsruhe, 15.

[2] Zwischenbericht der Kommission zur Reform des Versicherungsvertragsrechts vom 30. Mai 2002, section B.6. 0 Heiss (2008), above n. 18, at § 28, para. 187.

[3] Stoecker, P. Der Vorsatz des Versicherungsnehmers bei der Herbeiführung des Versicherungsfalles im Sinne des § 103 VVG, 13-18.

[4] Baumgärtel, VersR. 1968, 818, L. Raiser, ZVersWiss 1978, 375.

the same time, the scarcity of case law concerning intent indicates that the norm has practical significance and, in reality, ensures the protection of the parties' rights.

Pursuant to Article 829 of the Civil Code of Georgia, the insurer is released from the obligation to provide compensation if the insured event was caused by the gross negligence of the policyholder. The wording of this provision is identical to the old version of the German Insurance Contract Act.

However, the commission working on insurance law reform did not consider it necessary to adopt such a rigid approach and formulated the provision as follows: "Where the policyholder causes the insured event through gross negligence, the insurer has the right to reduce the insurance compensation in proportion to the severity of the policyholder's fault."[1]

The "all-or-nothing" principle is often opposed on the ground that it introduces a certain punitive element, which is foreign to the private-law system.[2] In the comparative legal report prepared in parallel with the work of the German Insurance Contract Act Reform Commission, it is stated that the punitive nature of the "all-or-nothing" principle no longer appears appropriate.

Nowadays, the living conditions of most people are highly complex, the conclusion of insurance contracts is very widespread, and the value of the insured object is sufficiently high that such severe consequences should not be linked to negligence on the part of the policyholder.[3] Accordingly, the Commission considered it appropriate to reduce insurance compensation in cases of gross negligence in proportion to the degree of fault.

It should be noted that the amendment introduced into German legislation concerning proportional compensation was not an innovation. In Swiss insurance law, the model of proportional reduction had already existed under the Insurance Contract Act of 1908. However, the original wording of that Act did not allow the mechanism of proportional reduction to be applied in all cases; specific exceptions were established, such as the obligation to take precautionary measures and the obligation to notify the insurer of the loss.[4]

Unlike the Swiss legislator, the German legislator did not restrict the scope of application of proportional reduction and extended it to any case of gross negligence.

[1] Insurance Contract Act of 23 November 2007 (Federal Law Gazette I, p. 2631), as last amended by Article 4 of the Act of 11 April 2024 (Federal Law Gazette 2024 I No. 119), Section 81.

[2] Armbrüster, C, Das Alles-oder-nichts-Prinzip im Privatversicherungsrecht , 2003, 14, http://www.hgfv.de/hgfv/pdf/03_pub29.pdf

[3] Basedow/Fock, Bd. 1,376.

[4] Heiss, H. Proportionality in the new German insurance contract act 2008, Erasmus Law Review, Volume 5, Issue 2 (2012), 111-112.

In 2011, a new draft law on insurance was introduced in Switzerland, which no longer restricted the scope of proportional compensation and regulated the issue in a manner similar to Germany.[1]

Although the "all-or-nothing" principle in cases of gross negligence was removed from German legislation in 2008, it still appears in the Civil Code of Georgia in a form similar to its 1997 wording.

In light of the foregoing, the inevitability of legislative amendment is logical, in order to prevent a disproportionate restriction of the rights of the subjects of legal relations, since this provision is very often invoked by insurers as a ground for refusing compensation.

It is true that our legislation requires amendment; however, under the current legal framework, the precise determination of the degree of the policyholder's fault in insured events is of decisive importance.

Intent of the Motor Vehicle Owner as a Ground for Releasing the Insurer from the Performance of Its Obligation. According to the "Theory of the policyholder's priority compensation," the insurer is obliged to compensate the policyholder for the damage, since the primary purpose of an insurance contract is to protect the interests of the person entitled to receive compensation.[2]

Like many European countries, the insurance chapter of the Civil Code of Georgia includes Article 829, which provides a ground for releasing the insurer from liability.

"Given that Article 829 of the Civil Code releases the insurer from the obligation to compensate damage in the event of the policyholder's intent or gross negligence, if the parties to an insurance contract wish to agree on a condition different from the foregoing, they must expressly indicate this in the contract.

The bad-faith performance of an obligation is an ordinary risk of civil circulation and is of a civil-law nature. A civil wrong is an act of a subject that results in the reduction of a person's well-being and gives rise to negative consequences of a property or non-property nature."[3]

In modern positive civil law, no definition of fault can be found; it is defined by legal doctrine, according to which the starting point is compliance with the

[1] Bundesgesetz über den Versicherungsvertrag (Versicherungsvertragsgesetz, VVG) (Entwurf), SR 221.229.1, Cited in: Heiss,H, Proportionality in the new German insurance contract act 2008, Erasmus Law Review, Volume 5, Issue 2 (2012), 111-112.

[2] Motsonelidze, N., Subrogation as a Means of Satisfying the Insurer's Claim, 2015, Tbilisi, p. 107. https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natalia_mowonelidze.pdf

[3] Kochashvili, K., Fault as a Condition of Civil Liability, Law Journal No. 1, 2009, p. 80, http://openlibrary.ge/bitstream/123456789/7204/1/Sam%20Jurn%20N1%202009.pdf

standards of attentiveness characteristic of civil circulation. [1]

According to the interpretation of the Supreme Court of Georgia, "the legal category of fault has particular legal significance in both continental and common-law systems. In civil law, two forms of fault are distinguished: intent (dolus) and negligence (culpa), which are elements of the subjective composition of a person's conduct.

In civil-law doctrine and judicial practice, the concept of intent developed in criminal law is applied. A person acts intentionally when they are aware both of the consequence of their action and of its incompatibility with their duties, and nevertheless act of their own will."[2]

For the purposes of civil law, intent means knowledge and desire of the unlawful result.[3] In motor vehicle insurance, the policyholder's intent consists in impairing the legal value protected by the insurance contract.

Within the framework of an insurance relationship, the rule set forth in Article 829 of the Civil Code of Georgia, in accordance with civil-law criteria, links the necessary condition of intent to the policyholder's desire to cause the insured event under specific circumstances. In such a case, the person's primary will is to bring about the insured event.

The legislator releases the insurer from liability because such conduct falls outside the required standard of care.[4]

Intent constitutes a breach of duty. In motor vehicle insurance, intent is expressed through the deliberate causing of an insured event, mainly in cases involving the manipulation of an accident.

Intent may also be found where a driver under the influence of alcohol deliberately leaves the scene of the accident in order to avoid liability for driving a vehicle while intoxicated. [5]

In the present case, the policyholder intentionally damages the insured value, that is, the insurable interest, and attempts, through unlawful conduct, to transform an objectively potential insurance risk into a subjectively realized one.

Moral risk, on the other hand, is the risk that the policyholder may lose

[1] Kochashvili, K., Fault as a Condition of Civil Liability, Law Journal No. 1, 2009, p. 88, http://openlibrary.ge/bitstream/123456789/7204/1/Sam%20Jurn%20N1%202009.pdf

[2] Supreme Court of Georgia, Case № 1529-2024, 27 March, 2025.

[3] Fikentscher W., Schuldrecht, 8, Auflage, Berlin - New-York, 1992, 312, Cited in: Zoidze, B., Commentary on the Civil Code of Georgia, Book Three, eds. Chanturia, L., Zoidze, B., Ninidze, T., Shengelia, R., Khetsuriani, J., Tbilisi, 2001.

[4] Motsonelidze, N., The Need to Reform the Legislative Provision on the Policyholder's Gross Negligence and the "All-or-Nothing" Principle, 2020.

[5] Gvelesiani, S., The "All-or-Nothing" Principle — A Radical Change of Approaches in German Insurance Law and the Need for Changes in Georgian Legislation, 2021, p. 60.

interest in the insured object. Moral risk is directly connected to the theory of insurable interest, since this principle functions as a mechanism for reducing risk. Without the existence of the doctrine of insurable interest, there would be no lever for reducing moral risk, either theoretically or practically.

It is noteworthy that, in practice, the good faith of the policyholder is a prerequisite for reducing moral risk.[1]

As already noted, the motor vehicle owner's intent to cause an insured event harms not only the interests of the insurer, but also endangers road safety and other road users.

Therefore, the legislator's approach and the "all-or-nothing" principle establish a fair balance between the participants in the insurance relationship.

The Relation of the Policyholder Gross Negligence to the Insurer's Release from the Obligation to Provide Compensation. The stability of civil circulation can be maintained through properly formulated legislation adapted to the needs of society. In order for legal relations not to be chaotic, but to acquire a systematic character, it is necessary, at the very least, to provide subjects of civil law with definitions of legal terms.

With regard to this issue, the abundance of court disputes is caused by insurers' incorrect interpretation of ordinary negligence and gross negligence. Case law demonstrates that insurance companies' qualification of ordinary negligence as gross negligence lacks a legal basis.

A person acts negligently when they fail to exercise the prudence required in civil circulation.[2] The basis for this is the principle of trust, according to which a participant in a civil-law relationship may rely on the expectation that each subject of civil circulation will act in good faith.[3]

Any person who disregards the caution required during road traffic acts negligently. Gross negligence is characterized by both subjective and objective elements. In cases of gross negligence, not only the objective requirements of the law must be taken into account, but also the individual abilities and characteristics of the acting person, the so-called subjective requirements.

In order to qualify conduct as gross negligence, a subjectively unjustifiable deviation is required.[4]

According to the established case law of the Supreme Court of Georgia, "as a rule, the legal possessor of a vehicle, regardless of whether they are driving that

[1] Iremashvili, K., Criteria for the Balance of Rights of the Parties in Insurance Relationships, 2016, p. 17.

[2] German Civil Code, Section 276, paragraph 2.

[3] Kropholler, J., German Civil Code: Study Commentary, Tbilisi, 2014, Section 242, p. 13.

[4] OLG Celle 09.06.2005 - 8 U 182/04.

vehicle, is liable before the injured party if the damage results from the operation of their vehicle.

This exception is conditioned by the fact that a vehicle is a potential source of danger, and its use creates a relatively higher possibility of harmful consequences than ordinary activities. This is caused by the possession and use of material objects — through their operation or any other form of use — which have special qualitative characteristics and over which a person cannot establish full control."[1]

Gross negligence is an evaluative category and must be assessed through a comprehensive and logical evaluation of the factual circumstances giving rise to the case.

According to the interpretation of the Supreme Court of Georgia, gross negligence exists where the driver "drives while intoxicated, at excessive speed, crosses the continuous central line separating oncoming traffic flows and moves in the opposite direction, grossly violates road safety rules, and by their conduct fails to comply with the requirements of necessary attentiveness to an unusually high degree."[2] The positive aspect of such an interpretation lies in the fact that it creates a relatively clear evaluative framework. Although gross negligence must be assessed individually in each specific case, such an interpretation assists the court and the participants in the insurance relationship in distinguishing ordinary negligence from conduct which, by its severity, approaches intentional conduct.

To summarize the discussion, we can say that management is a subjective-objective relationship. In addition, the actions of the subject (planning, organizing, decision-making, monitoring, etc.) are aimed at regulating the activities of the object, while the actions of the object are used as feedback and form the basis for conclusions about the degree of realization of the subject's goals. Accordingly, the relationship between philosophy and management can be formulated as follows - philosophy, first of all, describes and perceives the subject-object relationship, while management deals with the issues of regulating (regulating) this relationship.

Contemporary Challenges of Public Administration in Developing Countries. It is well known that good and effective public administration contributes to and strengthens the building of a democratic, rule of law and inclusive state. Public trust in the political system increases the legitimacy of government when governance (in general) and the delivery of public services are effective, public officials are accessible to citizens, and government agencies and departments work together in a coordinated and coherent manner.

Accordingly, "management skills" are of particular importance in order to make the right decisions to achieve the goals set in the process of policy development and program planning, and to be able to predict trends and challenges. That is why the main direction of public administration reform in modern developing countries should be the establishment of transparent and open governance, which is reflected in such main directions as: implementation of governance reform, reform of the judicial system, formation of an inclusive economy, improvement of legislation, implementation of the right social policy, further rapprochement with the democratic world (in some cases, integration), etc.

It is this general attitude that can be seen as the main driving force of the civilized West when it seeks to contribute to the political, socio-economic and institutional development of developing or least developed countries (LDCs). This is multilateral cooperation in a wide range of common interests, for example: development of civil society; good governance; institutional development; fight against corruption; enhanced economic cooperation, including tax, trade integration and other areas; poverty reduction; cooperation in the area of freedom, security and justice, etc.

The list is quite extensive, which demonstrates the importance of the issue and the need for active involvement of various stakeholders in it. The above-mentioned requires, with equal force, both the transformation of the philosophy of governance and the improvement of society through the improvement of the

system of upbringing a free, responsible person, a modern citizen. At the same time, we should not forget that this is a unified, multifaceted process that does not yield immediate results and in many cases, it takes generations to receive the expected benefits.

To achieve the above, it is necessary to form a "solidarity civil society" and use innovative approaches in state governance, establish a way of thinking and living based on values and principles a priori, etc. In turn, to achieve this goal, it is necessary that state governance be designed for a long-term perspective, sustainability, involvement and be based on recognized management principles and approaches. Such an approach, once again, emphasizes the need for changes in order to make state governance more understandable and convincing for members of society.

The challenges facing developing countries have both a common national and global context. The processes taking place at the international level have already become a prerequisite for a number of changes in many countries, both developed and developing. Overcoming problems largely depends on the concerted actions of the government, non-governmental and business organizations, the academic community, citizens, their groups and associations, which should become a prerequisite for the development of a modern state and cooperation between states.

In such a situation, the issue of the distribution of responsibility comes to the fore. More specifically, we mean here not the form of responsibility, but the optimality of its use and distribution, as the determining basis for the subject-object relationship. Society must be ready to assume new joint responsibility, based on sustainable and inclusive cooperation, which will aim at a consistent restructuring of relations between the state and civil society, in favor of public interests and state development prospects. In this case, creating such a situation should become another priority direction for changing the philosophy of state management.

In the process of research, when defining the circle of problems, we relied on the analysis of the modern conditions of the developing world and the prospects that close cooperation with developed democratic countries, alliances, and Euro-Atlantic structures provides for them. Based on the comparison of these two realities, in many developing countries, the problem of the absence of not only cooperation, but even dialogue between the state and society is particularly acute. In recent years, relations between them have been limited to lobbying for their own interests and have not developed on the basis of mutual respect and consideration of each other's aspirations, which is no less painful.

When discussing the challenges of the relationship between the state and civil society, first of all, special attention should be paid to human and civil rights. Also - to equality, guaranteeing democratic values, and developing opportunities for broad, open involvement of each citizen in state progress or public life. Of course, it is practically impossible to achieve the above only in the conditions of assuming responsibility by the state and vice versa. Accordingly, each involved party must become a guarantor of this.

Accordingly, at the modern stage, the philosophy of state management in developing countries should be based on freedom, equality and inclusiveness. A person (citizen) should be free to choose, because it is precisely freedom of choice that shapes him as a person, equips him with values based on high moral criteria and makes him a full-fledged member of society, capable of actively participating in the construction of a modern state.

The logic of the reasoning we have developed is confirmed by the processes and events taking place in developed countries, when: the scale of delegation of initiatives to the broad masses of society and the lower levels of government is increasing; the necessity of forming an economy based on education and freedom of thought is becoming more urgent; the application of the principles of decentralization of management and deconcentration of power in state governance is expanding; the idea of a "new state" is gaining more strength, which should be effective, socially oriented, inclusive, based on the rule of law, etc.

In addition to all of the above, the global crises that have developed in the last 2 decades, and especially at the current stage, have posed completely new challenges to the state, activating not only the issue of its development, but even the existential issue itself. That is why the concepts of "modern state" and "state governance" require a completely new understanding. Many agree with the idea that "good governance" should mean the credibility, predictability, efficiency, logic and consistency of the government, openness and transparency of governance, accountability and responsibility, professionalism, participation, involvement and inclusiveness, etc. Accordingly, the need for changes in worldview and attitudes becomes even clearer.

The "New state" should become a system in which, in terms of influencing ongoing processes, all participants enjoy equal conditions and rights, functions and responsibilities. In this case, members of society become equal participants in the dynamic process of state development, as a result of which we obtain sustainable, development-oriented governance and active involvement of citizens, public groups or organizations in this process based on cooperation, their constructive,

active contribution to state development and the formation of civil society.

For centuries, the philosophy of state management and the corresponding models have determined the nature, character and perception of what, how and for what purpose society created in a particular historical period. Accordingly, it becomes vital to create appropriate conditions for each member of society to receive a full-fledged education, to develop its accessibility, to expand the opportunities for using the education received and to fully realize their personal potential. This is because only individuals equipped with modern knowledge and attitudes will be able to understand the philosophy of state management in a new way.

To illustrate the above, it is sufficient to recall the examples of the Russian Empire and its successor, the Soviet Union, when the actions of the metropolis conditioned the subordination of the conquered nations and the limitation of their development, by the potential of the dominant nation and/or class. The result of this is that the population of modern post-Soviet countries continues to experience a lack of social trust, both in each other and in institutions and future prospects. Unfortunately, for such individuals, the lack of agreements in the formation of vision, mission, goals and objectives, priorities and development mechanisms, both at the state and societal levels, remains a challenge. The most dangerous is the mentality and attitude of a member of such a society, which forms a type of citizen oriented towards "material well-being" and a fragmented society that has nothing to do with the concept of a "nation" (More details: Michal Boni 2008, 16).

This is further illustrated by examples of autocratic states where the government does nothing to improve the situation. On the contrary, it tries to save itself by blocking the just demands and aspirations of its citizens. However, it should also be noted that the scale of the population's unification around the current challenges of development, and especially the goal of preserving statehood itself, has clearly demonstrated the worldview and consciousness unanimity of modern society and its unconditional readiness to gain, protect and realize future prospects.

In the vast majority of developing countries, in order to accelerate the formation of a modern state, the following questions must be answered: How should "survival" and "adapted" social capital be developed so that they can be transformed into "developmental social capital"? How should a country's development model based on mutual trust and responsibility be formed? What role should the idea of "new public administration" play in achieving this? How should the UN Sustainable Development Goals be integrated into state policies and implemented, and so on.

In our opinion, the resolution of the above-mentioned issues should become the basis for managing the development of the state, forming a strategic outline and taking specific steps necessary for its realization. A model will be created within which a conscious unification of members of society will be ensured, based on their desire and readiness to manage processes with equal involvement and share responsibilities, based on their competence. "This, in turn, will have a positive impact on the correct perception of each other's behavior and decisions by the main parties involved and on the implementation of appropriate actions" (Gavtadze 2015, 230).

Given the context of the discussion, we should also touch on the issue of the need to implement strategic approaches in state management, which quite often causes certain inconveniences in developing countries with transitional economies. The point is that:

- Strategic approaches are less popular from a political point of view, since the current generation has to invest in the relevant goals, while future generations will be the recipients of the benefits;
- Serving strategic goals is associated with the expenditure of significant financial resources, which leads to a reduction in current consumption;
- The long-term perspective also raises some doubts due to the long period of obtaining results;
- Internal changes of power are quite frequent in developing countries, which are less characterized by heredity and institutional memory.

Nevertheless, a new understanding of public administration is impossible without integrating elements of strategic management into it. This is of particular importance for developing countries, because the introduction of strategic approaches moves governance from an impulsive, short-term decision-making system to a future-oriented, systematic and results-oriented approach. Such integration changes the philosophy of public administration in several key ways:

- **Establishes a long-term vision and ensures continuity of processes**. Developing countries often experience political instability, frequent changes of leadership, and fragmented policies. Strategic management helps public administrations establish long-term national development visions, clear priorities, and stable frameworks that are protected from political fluctuations. This will enhance the predictability and coherence needed for sustainable development.
- **Improves policy coherence and coordination of actions**. In developing countries, public institutions often struggle with siloed agencies, overlapping mandates of different levels of government, weak inter-agency coordination, etc. Strategic management tools, such as strategic planning, performance indicators,

and monitoring frameworks, help to bring efforts together. As a result, policies become more coherent, resources are used more efficiently, and alignment with national and global sustainable development goals is strengthened, etc.

- **Promotes evidence-based and participatory decision-making**. In most developing countries, traditional public administration is: procedural, bureaucratic, top-down. In contrast, a management philosophy focused on strategic management emphasizes: data-based policymaking, increased opportunities for stakeholder engagement, public participation, transparency, and accountability. This deepens public trust and ensures that policies are socially justifiable and have a greater chance of success.
- **Strengthens institutional capacity and enhances personal professionalism**. Sustainable development requires public institutions that can: plan, assess, identify risks, adapt to changes. Strategic management ensures stronger administrative discipline, modern management techniques, a culture of performance evaluation, continuous learning and professional growth within public institutions, and so on. This significantly increases the efficiency of the public sector.
- **Ensures better use of limited resources**. Developing countries are characterized by scarcity of budgetary resources, limited human capital, and a high need for rapid development. Because strategic management focuses on setting priorities, efficient resource allocation, impact assessment, and so on, it results in directing public resources to areas that have the highest social, economic, and environmental outcomes.
- **Improves resilience and the ability to adapt to global challenges**. Sustainable development is threatened by climate change, technological change, and global economic instability. Strategic management helps governments anticipate future risks, model scenarios, develop adaptive policies, and create resilience systems. All of the above makes development paths more robust and sustainable.

Conclusions. The problem raised in the article, of course, cannot be solved only by solving the issues discussed here. This is a multifaceted, complex and dynamic process that requires a high level of involvement of citizens with different types of education, attitudes and perspectives. Given their diversity, this problem may seem almost insoluble at first glance. Therefore, in civil relations and state management, special support is necessary for those processes that have a significant unifying charge. Success, first of all, depends on unification around principles and values, on the correct perception of processes, on free will and participation. As well as on other similar conditions, in relation to which the convergence of positions is largely determined by the scale of thinking, dignity and conscious involvement of a person.

The above leads to the need to generalize the issue, which once again emphasizes the importance of perceiving the connection between philosophy and management science. We support the view that management is not just a set of actions. At the same time, it also represents accumulated knowledge and skills, the use of which in a special form and purpose is not related to the formation of a market economy. Especially if we are talking about state management. In general, it can be considered that management (knowledge, skills, experience) is a kind of good, the correct and full use of which determines the success of the subject of management and its improvement-perfection. Accordingly, it can be perceived as a factor of state development.

It is from the position of socio-philosophical generalization that the systemic-organizational role of management in the normal functioning of society as a unified whole becomes clear. The possibility that a person, as a member of society, can find his own purpose through contribution to others creates a society where each member of society is subordinate to the whole. However, at the same time, he himself (as a part of the whole) can influence the character and quality of society (as a whole). This is the system-forming purpose of "management", which is so necessary for the modern state.

The issues discussed and conclusions reached by us in this study (which was preceded by the publication of several articles for the Georgian audience) necessarily require the existence of a society formed by free, highly moral individuals. Increasing the quality of freedom also implies readiness to take on appropriate responsibility. In our deep belief, it is precisely the freedom of choice that shapes a person as a person and, if equipped with values based on high moral criteria, makes him a full-fledged responsible member of society, who can fully participate in the development of the state.

At first glance, the described situation may sound overly optimistic, or even utopian. However, under the conditions of a properly formed educational system, it is possible to achieve a result close to ideal. As a clear proof of this, we can cite examples of developed, democratic countries, where the type of member of society we have described appears to be the initiator of active civil cooperation and, at the same time, the defender, the guarantor of this opportunity. That is why, in such countries, a person is developed from childhood with those qualities and skills that should appear in a modern citizen and, consequently, in society as a whole, which, in turn, is the basis of state development.

As a result, we get an expansion of the possibilities of achieving new joint responsibility, which ensures the development of sustainable processes based on participation. An inclusive model of state and society development is being

created, which is oriented not on the distribution of created economic wealth through the state social protection system (sometimes even in humiliating forms), but on expanding the possibilities of citizen participation in the process of creating this wealth, on receiving a deserved share of the good that belongs to him. Such a situation describes a form of cooperation between a working society striving for well-being and a "motivating state" (Holger Magel 2013), which, in fact, creates and determines the scale of development of opportunities for orientation towards the future.

The above-mentioned opinions and main research findings in the presented article allow us to formulate several specific conclusions regarding the issue under discussion. Namely:

- The state governance structure and priorities of developing countries should be based on ideological changes aimed at integrating the principles and spirit of "New Public Management" (NPM) into state governance. At the same time, the importance of NPM should be reconsidered taking into account modern challenges and its use as the ideological basis and main goal of the overall reform;
- The use of NPM in the reform of the administrative systems of developing countries should not be general. It is necessary to select its specific tools and mechanisms, which should be based on both international experience and local conditions, challenges and prospects;
- Before choosing a new mechanism, an analysis of the expected results of its use should be carried out in advance, in order to maximally prevent possible contradictions. This is because the prevention of any problem always requires fewer resources (human, time, money) than the elimination of its consequences, or at least their neutralization, reduction;
- Integrating strategic management into public administration establishes a governance philosophy that is: visionary, coordinated, evidence-based, people-centered, results-oriented. For developing countries, this integration is not only beneficial, it is critically important for achieving sustainable development, strengthening state capacity, and improving the quality of life of citizens;
- The change in the philosophy of state management and the introduction of new principles largely depend on the presence of appropriate highly qualified personnel, who will be equipped with the appropriate knowledge, attitudes and values. This, in turn, requires a fundamental reform of the education system, which is one of the cornerstones of the renewal of the entire governance system.

In final conclusion, we would like to note that the resolution of the above issues should form the basis for the formation of principles of state management in developing countries, the creation and implementation of a strategic framework,

under which conditions a conscious unification of members of society will be ensured, based on their readiness to manage processes with equal participation and share responsibilities, based on their qualifications and competence. Cooperative relations should be accompanied by openness of processes and the development of mutual control and monitoring capabilities for participants, which will make the actions of all parties involved more transparent and understandable.

References

Ferrari, L. 1956. "The Origin of the State according to Plato." *Laval théologique et philosophique*, 12(2), 145–151. https://doi.org/10.7202/1019942ar

Gavtadze, G. 2025. "The Substratum Relationship of Philosophy and Management as a Basis for a New Understanding of Management Science," Collection of scientific works *Economic Science and the Economy of Georgia,* vol. 1, 2025: 115-126, Tbilisi: "Universal" (in Georgian), https://www.researchgate.net/publication/396975486_red_ekonomikuri_metsniereba_da_sakartvelos_ekonomika_Eds_Economic_science_and_the_economy_of_Georgia;

Gavtadze, G. 2022. "European perspectives of Georgia and the challenges of forming the concept of "Moral economy", *International conferences Does the European Union contribute to moral progress?* Swadzim (Poznan), Poland.

Gavtadze, G. 2015. "Perspectives of Improving State Governance and Enhancing Civil Cooperation in Georgia," journal *Bulletin of Akaki Tsereteli State University*, #1(5), 2015: 219-232, Kutaisi (in Georgian), available at: https://moambe.atsu.edu.ge/ge/article/156

Hegel, G. 1971. *Aphorisms, Works of different years in two volumes.* V. 2, M., (in Russian), available at: https://www.philosophy.ru/library/raboty-raznykh-let-t-2/

Michal, Boni. 2008. "How to build the strategic orientation in governance? The Future of Regions in the Perspective of Global Changes." *Regional Development Forum, Ministry of regional development,* vol. 3, Part 1, Warsaw;

Mirzoyan, V.A. 2010. "Management as a subject of philosophical analysis," *Questions of philosophy*, 2010: 35-47, (in Russian), available at: http://vphil.ru/index.php?option=com_content&task=view&id=124&Itemid=52

Wiener, Norbert. 1961. *Cybernetics or control and communication in the animal and the machine*, second edition, The M.I.T. Press, Cambridge, Massachusetts. available at: https://uberty.org/wp-content/uploads/2015/07/Norbert_Wiener_Cybernetics.pdf

Plato. 2018. *State*, (in Georgian), Available at: https://interesi.files.wordpress.com/2018/01/platoni-saxelmwifo.pdf

საჯარო ადმინისტრირება

საჯარო ადმინისტრირების ფილოსოფიის გადახედვა - განვითარებადი ქვეყნების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საფუძველი

გიორგი ღავთაძე
george.gavtadze@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
აზა იფშირაძე
ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.20

თანამედროვეობა გაცილებით უფრო მომთხოვნი გახდა სახელმწიფო მმართველობის მიმართ. ამას განაპირობებს საზოგადოების სურვილი, რომ სახელმწიფო მმართველობა ეფუძნებოდეს მართვა-ლიდერობის თანამედროვე პრინციპებს. აღნიშნულის შედეგები დადებითად აისახება მოკლე, საშუალო ან გრძელვადიანი პერსპექტივის პროექტების განვითარების ინტენსივობასა და ხარისხზე, ამ პროცესში საზოგადოებისა და ორგანიზაციების აქტიურ, პოზიტიურ ჩართულობაზე. აღნიშნულის მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფო მართვის ფილოსოფიის ცვლილებაზე, როდესაც საზოგადოების წევრის პასუხისმგებლობის ამაღლებასა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული ქმედებები განაპირობებენ პერსპექტივას, სრულყოფასა და მდგრადობას. კვლევა ადასტურებს, რომ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში, სახელმწიფო მართვის არსებული ვითარება იდეალურისგან საკმაოდ შორს არის. აქვე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ერთი მხრივ, საერთაშორისო გამოცდილებისა და, მეორე მხრივ, ქვეყნის ხელისუფლებისა და საზოგადოების გაცნობიერებული კოორდინირებული, მიზანმიმართული ქმედებების შედეგად, უკეთესი გარემოს ფორმირება, ნამდვილად შესაძლებელია.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო მმართველობის ფილოსოფია; მსოფლმხედველობითი და ცნობიერებითი ტრანსფორმაცია*

შესავალი. განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფოებრივი განვითარების პრიორიტეტების შერჩევა და ცხოვრებაში დანერგვა არაერთ მნიშვნელოვან ფაქტორზეა დამოკიდებული. განვითარებულ სამყაროსთან მათი მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების პროცესი, მეტ-

ნაკლები წარმატებით, მიმდინარეობს უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვან სისტემურ ცვლილებებეთან არის დაკავშირებული. ცხადია, სათანადო რეფორმების გატარება იოლი არ არის, რადგან პროცესი მოითხოვს პოლიტიკურ ნებას, დიდ ძალისხმევასა და მნიშვნელოვან რესურსულ (მ.შ. ინტელექტუალური) პოტენციალს. აღნიშნული, განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია პოსტ-საბჭოთა წარსულის მქონე ქვეყნებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ განიცდიან ე.წ. „საბჭოური“ ცნობიერების ზეგავლენას მმართველობით საქმიანობაში და, განსაკუთრებით, საჯარო სექტორში.

არსებული ვითარების გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ხდება სახელმწიფო მართვის სრულყოფა და იმგვარი ორგანიზება, რომელიც ორიენტირებული იქნება სახელმწიფო-სოციუმის თანამშრომლობაზე. ეს, პირველ რიგში, ცნობიერებით, აღქმით და იდეოლოგიურ ცვლილებებზე უნდა იყოს მიმრთული. ვგულისხმობთ, როგორც თანამედროვე მოქალაქის ჩამოყალიბებას, ისე ერთობლივ ქმედებებს სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ჯგუფებისა თუ ცალკეული ინდივიდების ჩართულობით და, რა თქმა უნდა, შესაბამისი პროცესების სათანადო მართვას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის მიზნად დასახულ იქნა მართვის (როგორც საქმიანობის სისტემისა და თეორიული რეფლექსიის) ფილოსოფიის (როგორც ანალოგიური მიმართებების განზოგადებული აღქმის) ხელახალი გააზრების მნიშვნელობისა და შესაძლებლობის გაანალიზება, განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონტექსტში, განვითარებულ სამყაროსთან მათი შემდგომი დაახლოების პერსპექტივის გათვალისწინებით.

წარმოდგენილ სტატიაში, ფილოსოფია-მენეჯმენტის ურთიერთ–კვეთის მასშტაბების გამოკვეთის საფუძველზე, ჩვენ მივმართეთ არგუმენტირებულ მსჯელობას, შესაბამისი დასკვნების გამოსატანად, განვითარებად ქვეყნებში საჯარო მმართველობის სრულყოფის თეორიული საფუძვლების მომზადებისათვის, „ახალი საჯარო მენეჯმენტის“ სულისკვეთებისა და ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.

კვლევის პროცესი დაეფუძნა ინტერ- და კროსდისციპლინური მიდგომების გამოყენებას, რათა კვლევის ობიექტი მრავალი პერსპექტივიდან გააანალიზებულიყო, რამაც შექმნა უფრო სწორი და დროში სტაბილური რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობა. იმავდროულად, პრობლემა და მისი დაძლევის პერსპექტივა განხილულ იქნა სტრატეგიული განვითარების ჭრილში, მიმდინარე ეტაპის გამოწვევების გათვალისწინებით.

კვლევის პროცესში, განხილულ იქნა არაერთი ავტორის მოსაზრება და დამოკიდებულება, ანტიკური ხანიდან დაწყებული და უკანასკნელი პერიოდით დამთავრებული. აღნიშნულმა, საშუალება მოგვცა გაგვეანალიზებინა საკვლევი პრობლემის განვითარება დროში, მისი ევოლუცია, ცალკეული ისტორიული პერიოდისთვის დამახასიათებელი დამოკიდებულება და აღქმები.

სახელმწიფო მართვის ფილოსოფიის თეორიული გააზრება. ყველაზე უფრო განზოგადებული აღქმით, შეიძლება ითქვას, რომ მართვის ფილოსოფია არის სოციალური ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც იკვლევს, ერთი მხრივ, ცნებებსა და კონცეფციებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მართვის პროცესში ადამიანის როლსა და მოქმედების არეალზე და, მეორე მხრივ, პიროვნების მონაწილეობის ფორმებსა და მეთოდებს მენეჯმენტის კონცეფციების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში. მართვის ფილოსოფიას გააჩნია პრეტენზია წარმოადგენდეს მენეჯმენტის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემების განზოგადებულ, კონცეპტუალურ და სემანტიკურ ანალიზს, რომელიც წარმოაჩენს მენეჯმენტის კონცეფციების მეთოდოლოგიური პრინციპების და ძირითადი პარადიგმების ევოლუციას, ავითარებს ქცევით და ეთიკურ ნორმებს, მმართველობის ობიექტის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის (Mirzoyan 2010, 35-47).

სახელმწიფო მართვასთან მიმართებით, ზემოაღნიშნული მიდგომა უნდა დაეფუძნოს „მენეჯმენტის“ და „ფილოსოფიის“, როგორც მეცნიერებების, ყველაზე განზოგადებულ აღქმას, რადგან სახელმწიფო არ არის მოგებაზე ორიენტირებული ბიზნეს-სუბიექტი, რათა მის მართვასთან დაკავშირებული პროცესები მხოლოდ პრაგმატულ გათვლებამდე დავიდეს. სახელმწიფო, როგორც ღირებულებების, პრინციპების, ხედვების, გამოწვევების ირგვლივ ფორმირებული გაცნობიერებული და პასუხისმგებლიანი გაერთიანება, გაცილებით უფრო რთული, მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობრივი წარმონაქმნია. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, „მენეჯმენტი“ გულისხმობს როგორც თავად მართვას, ისე მმართველი და მართული სუბიექტების გარკვეულ ქმედებებს და, ასევე, ამ რეალობის თეორიულ ასახვას - მართვის მეცნიერებას (Norbert 1961, 496).

გარდა ამისა, „მენეჯმენტი“, რომელიც ეტიმოლოგიურად ნიშნავს „მართვას“, ფაქტობრივად, მეცნიერულ დონეზე ისახავს მიზნად მმართველობითი საქმიანობის ყველაზე ეფექტიანი შესაძლებლობების მიღწევას („მეცნიერული მენეჯმენტი“). თუმცა, თანამედროვე ეტაპზე, მისი შემეცნებითი არეალი კიდევ უფრო ვრცელი გახდა და იგი „მართვის მეცნიერების“ სინონიმადაც უნდა გამოვიყენოთ, რომელიც

სახელმწიფო მმართველობასაც მოიცავს. შედეგად, თანამედროვე ეტაპზე, სრულიად ჩვეულებრივ გამოყენებაში შევიდა ტერმინები „პოლიტიკური მენეჯმენტი“, „საჯარო ადმინისტრირება“ („ადმინისტრაციული მენეჯმენტი“), „სოციალური მენეჯმენტი“, „რეპუტაციის მართვა“ და ა.შ.

აღნიშნული მსჯელობა უნდა განვავრცოთ ფილოსოფიის არსთან მისი დაკავშირებით: ფილოსოფია - ეს არის სოციალური ცნობიერების ფორმა, რომელიც მიმართულია სამყაროსა და მასში ადამიანის ადგილის ჰოლისტიკური ხედვის შემუშავებაზე და იკვლევს „სუბიექტ-ობიექტის“ ურთიერთობის სხვადასხვა, მათ შორის, ესთეტიკურ და ეთიკურ ასპექტებს. თუ, აღნიშნული თვალთახედვით გავიაზრებთ მართვას, როგორც საქმიანობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის სხვათა შრომის არამხოლოდ უბრალო სისტემური რეგულირება, არამედ - მოწესრიგებაც.

შეჯამების სახით რომ ვთქვათ, მენეჯმენტი არის სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობა. ამასთან, სუბიექტის ქმედებები (დაგეგმვა, ორგანიზება, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება, კონტროლი და ა.შ.) მიზნად ისახავს ობიექტის აქტივობების რეგულირებას, მაშინ როდესაც, ობიექტის მოქმედებები გამოიყენება როგორც უკუკავშირი და ქმნის დასკვნების საფუძველს, სუბიექტის მიზნების რეალიზების ხარისხთან დაკავშირებით. შესაბამისად, ფილოსოფიისა და მენეჯმენტის ურთიერთკავშირი შემდეგნაირად შეიძლება ფორმულირდეს - ფილოსოფია, უპირველეს ყოვლისა, აღწერს და აღიქვამს სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობას, ხოლო მენეჯმენტი ეხება ამ ურთიერთობის რეგულირების (მოწესრიგების) საკითხებს.

საჯარო ადმინისტრირების თანამედროვე გამოწვევების განვითარებად ქვეყნებში. ცნობილია, რომ სწორი და ეფექტიანი საჯარო მმართველობა ხელს უწყობს და აძლიერებს დემოკრატიული, სამართლებრივი და ინკლუზიური სახელმწიფოს მშენებლობას. ამიტომ, თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „მართვის უნარი“, რათა სწორი გადაწყვეტილებები იქნას მიღებული პოლიტიკის შემუშავებისა და პროგრამების დაგეგმვის პროცესში. შესაბამისად, თანამედროვე განვითარებად ქვეყნებში, სახელმწიფო ადმინისტრირების რეფორმის მთავარი მიმართულება უნდა გახდეს გამჭვირვალე და ღია მმართველობის ჩამოყალიბება, რაც ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა მიმართულებებში.

სწორედ ეს ზოგადი დამოკიდებულება შეგვიძლია აღვიქვათ ცივილიზებული დასავლეთის მთავარ მამოძრავებელ მოტივად, როდესაც ის ცდილობს წვლილი შეიტანოს განვითარებადი თუ ნაკლებ განვითარებული ქვეყნების (LDC) პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ

და ინსტიტუციურ განვითარებაში. ეს არის მრავალმხრივი თანამშრომლობა საერთო ინტერესების ფართო სპექტრში, მაგალითად: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება; კარგი მმართველობა; ინსტიტუციური განვითარება; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; გაძლიერებული ეკონომიკური თანამშრომლობა, მათ შორის, საგადასახადო, სავაჭრო ინტეგრაცია და სხვა სფეროები; სიღარიბის შემცირება; თანამშრომლობა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სფეროში და ა.შ.

ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, რაც ცხადყოფს საკითხის მნიშვნელობას და მასში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობის აუცილებლობას. ზემოაღნიშნული, თანაბარი ძალით მოითხოვს, როგორც მმართველობის ფილოსოფიის ტრანსფორმაციას, ისე საზოგადოების გაჯანსაღებას თავისუფალი, პასუხისმგებლიანი, თანამედროვე მოქალაქის აღზრდის სისტემის სრულყოფის გზით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს არის ერთიანი, მრავალწახნაგოვანი პროცესი, რომელიც არ იძლევა მყისიერ შედეგებს და მისგან მოსალოდნელი სარგებლის მიღებას, წლები სჭირდება.

განვითარებადი ქვეყნების გამოწვევებს გააჩნიათ როგორც საერთო ეროვნული, ისე გლობალური კონტექსტი. საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესები უკვე გახდნენ არაერთი ცვლილებების წინაპირობა ბევრ სახელმწიფოში, როგორც განვითარებულში, ისე განვითარებადში. პრობლემების დაძლევა დიდად არის დამოკიდებული მთავრობის, არასამთავრობო და ბიზნეს ორგანიზაციების, აკადემიური საზოგადოების, მოქალაქეების, მათი ჯგუფებისა და ასოციაციების შეთანხმებულ ქმედებებზე, რაც თანამედროვე სახელმწიფოს განვითარებისა და სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის წინაპირობად უნდა იქცეს.

მსგავს ვითარებაში წინა პლანზე გამოდის პასუხისმგებლობის განაწილების საკითხი, რაშიც ვგულისხმობთ არა პასუხისმგებლობის ფორმას, არამედ მისი გამოყენებისა და განაწილების ოპტიმალურობას, როგორც სუბიექტ-ობიექტის ურთიერთკავშირის განმსაზღვრელ საფუძველს. აღნიშნულის რეალიზებისათვის საჭირო ვითარების ფორმირება, სახელმწიფო მართვის ფილოსოფიის ცვლილების კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს.

სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობის გამოწვევებზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანისა და სამოქალაქო უფლებებს, ასევე - თანასწორობას, დემოკრატიული ღირებულებების გარანტირებას და სახელმწიფოებრივ პროგრესსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითოეული მოქალაქის ფართო, ღია ჩართულობის შესაძლებლობების განვითარებას. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე,

განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო მართვის ფილოსოფია უნდა დაეფუძნოს თავისუფლებას, თანასწორობასა და ინკლუზიურობას. ჩვენს მიერ განვითარებული მსჯელობის ლოგიკურობას ადასტურებს განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები და მოვლენები, როდესაც: იზრდება ინიციატივების დელეგირების მასშტაბები საზოგადოების ფართო მასებისა და მმართველობის ქვედა რგოლებისათვის; აქტუალიზდება განათლებასა და აზროვნების თავისუფლებაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების აუცილებლობა; ფართოვდება მართვის დეცენტრალიზებისა და ძალაუფლების დეკონცენტრაციის პრინციპების გამოყენება სახელმწიფო მმართველობაში; მეტ ძალას იკრებს „ახალი სახელმწიფოს“ იდეა, რომელიც უნდა იყოს ეფექტიანი, სოციალურად ორიენტირებული, ინკლუზიური, კანონის უზენაესობაზე დამყარებული და ა.შ.

სწორედ ამიტომ, „თანამედროვე სახელმწიფოსა“ და „სახელმწიფო მართვის“ ცნებებს სრულიად ახლებური გააზრება სჭირდება. „კარგი მმართველობა“ უნდა გულისხმობდეს ხელისუფლების სანდოობას, პროგნოზირებადობას, ეფექტიანობას, ლოგიკურობასა და თანმიმდევრულობას, მმართველობის ღიაობასა და გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და პასუხისმგებლობას, პროფესიონალიზმს, თანამონაწილეობას, ჩართულობასა და ინკლუზიურობას და ა.შ. „ახალი სახელმწიფო“ უნდა გახდეს სისტემა, რომელშიც მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ყველა მონაწილე სარგებლობს თანაბარი პირობებით და უფლებებით, ფუნქციებითა და პასუხისმგებლობით. ამ შემთხვევაში, საზოგადოების წევრები ხდებიან სახელმწიფოს განვითარების დინამიური პროცესის თანაბარუფლებიანი მონაწილეები, რის შედეგად, ვიღებთ მდგრად, განვითარებაზე ორიენტირებულ მმართველობასა და ამ პროცესში თანამშრომლობაზე დაფუძნებულ აქტიურ ჩართულობას მოქალაქეთა, საზოგადოებრივი ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების მხრიდან, მათ კონსტრუქციულ, აქტიურ კონტრიბუციას სახელმწიფოებრივი განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საქმეში.

განვითარებად ქვეყანათა დიდ უმრავლესობაში, თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დაჩქარების მიზნით, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვებს: როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ურთიერთნდობასა და პასუხისმგებლობის განაწილებაზე დაფუძნებული ქვეყნის განვითარების მოდელი? რა როლი ენიჭება „ახალი საჯარო ადმინისტრირების“ იდეას ამის მიღწევაში? როგორ უნდა განხორციელდეს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება სახელმწიფოებრივ პოლიტიკებში

და მათი იმპლემენტირება და ასე შემდეგ. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტა უნდა გახდეს სახელმწიფოს განვითარების მართვის, სტრატეგიული მონახაზის ჩამოყალიბებისა და მისი რეალიზაციისთვის აუცილებელი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის საფუძველი. „აღნიშნული, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს ძირითადი ჩართული მხარეების მიერ ერთმანეთის ქცევისა და მიღებული გადაწყვეტილებების სწორად აღქმასა და სათანადო ქმედებების განხორციელებაზე“ (ღავთაძე 2015, 230).

მსჯელობის კონტექსტიდან გამომდინარე, უნდა შევეხოთ სახელმწიფო მართვაში სტრატეგიული მიდგომების იმპლემეტირების აუცილებლობის საკითხსაც, რაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე განვითარებად ქვეყნებში, საკმაოდ ხშირად, გარკვეულ უხერხულობებს იწვევს. საქმე იმაშია, რომ:

- სტრატეგიული მიდგომები ნაკლებ პოპულარულია პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან შესაბამის მიზნებში ინვესტირება უწევს მოცემულ თაობას, ხოლო სიკეთის მიმღები იქნება მომავალი თაობები;
- სტრატეგიული მიზნების მომსახურება მნიშვნელოვან ფულადი რესურსის ხარჯვასთან არის დაკავშირებული, რაც მიმდინარე მოხმარების შეკვეცას იწვევს;
- გრძელვადიანი პერსპექტივა გარკვეულ ეჭვებასც აჩენს, შედეგების მიღების ხანგრძლივი ვადის გამო;
- განვითარებად ქვეყნებში შიდასახელისუფლებო ცვლილებები საკმაოდ ხშირია, რომელთაც მემკვიდრეობითობა და ინსტიტუციური მეხსიერება ნაკლებად ახასიათებთ.

მიუხედავად ამისა, საჯარო ადმინისტრირების ახლებური გააზრება შეუძლებელია მასში სტრატეგიული მართვის ელემენტების ინტეგრირების გარეშე. ეს, განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან სტრატეგიული მიდგომების დანერგვას, მმართველობა გადაჰყავს იმპულსური, მოკლევადიანი გადაწყვეტილების მიღების სისტემიდან, მომავალზე ორიენტირებულ, სისტემურ და შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომაზე. ასეთი ინტეგრაცია, საჯარო ადმინისტრირების ფილოსოფიას რამდენიმე ძირითადი გზით ცვლის:

- აყალიბებს გრძელვადიან ხედვას და უზრუნველყოფს პროცესების უწყვეტობას;
- აუმჯობესებს პოლიტიკის თანმიმდევრულობისა და ქმედებათა

კოორდინაციის ხარისხს;

- ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და თანამონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღებას;
- აძლიერებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებსა და ამაღლებს პიროვნულ პროფესიონალიზმს;
- უზრუნველყოფს შეზღუდული რესურსების უკეთ გამოყენებას;
- აუმჯობესებს მდგრადობასა და გლობალური გამოწვევებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობას.

დასკვნები. სტატიაში წამოჭრილი პრობლემა მხოლოდ აქ განხილული საკითხების გადაწყვეტით, ცხადია, ვერ გადაიჭრება. ეს არის მრავალმხრივი, რთული და დინამიკური პროცესი, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა სახის განათლების, დამოკიდებულების და პერსპექტივის მქონე მოქალაქეების მაღალ ჩართულობას. მათი განსხვავებულობის გათვალისწინებით, აღნიშნული პრობლემა, ერთი შეხედვით, თითქმის გადაუჭრელად შეიძლება ჩანდეს. ამიტომ, სამოქალაქო ურთიერთობებსა და სახელმწიფოებრივ მართვაში, აუცილებელია განსაკუთრებული მხარდაჭერაიმპროცესებისა,რომელთაცმნიშვნელოვანიგამაერთიანებელი მუხტი გააჩნიათ.

წინამდებარე კვლევაში (რომელსაც წინ უძღოდა რამდენიმე სტატიის გამოქვეყნება ქართულენოვანი აუდიტორიისათვის), ჩვენს მიერ განხილული საკითხები და მიღებული დასკვნები, აუცილებლობით მოითხოვსთავისუფალი,მაღალზნეობრივიპიროვნებებითფორმირებული საზოგადოების არსებობას. თავისუფლების ხარისხის ამაღლება, იმთავითვე, გულისხმობს შესაბამისი პასუხისმგებლობის აღებისათვის მზადყოფნასაც. ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ არჩვანის თავისუფლება აყალიბებს ადამიანს პიროვნებად და, მაღალზნეობრივ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ღირებულებებით აღჭურვის შემთხვევაში, ქმნის მისგან საზოგადოების სრულფასოვან პასუხისმგებლიან წევრს, რომელსაც სრულყოფილად შეუძლია ჩართვა სახელმწიფოებრივ განვითარებაში.

შეიძლება, ერთი შეხედვით, აღწერილი ვითარება ზედმეტად ოპტიმისტურად, ან მეტიც, უტოპიურადაც კი ჟღერდეს, მაგრამ, სწორად ფორმირებული საგანამანათლებლო სისტემის პირობებში, იდეალურთან მიახლოებული შედეგის მიღება, შესაძლებელია. ამის ნათელ დასტურად შეგვლიძლია მოვიყვანოთ განვითარებული, დემოკრატიული ქვეყნების მაგალითები, სადაც ჩვენს მიერ აღწერილი საზოგადოების წევრის ტიპი, თვით გვევლინება აქტიური სამოქალაქო თანამშრომლობის ინიციატორად და, იმავდროულად, ამ შესაძლებლობის დამცველად, გარანტად.

წარმოდგენილ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები და ძირითადი

კვლევითი მიგნებები საშუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე კონკრეტული დასკვნა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ:

- განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო მმართველობითი სტრუტურა და პრიორიტეტები უნდა დაეფუძნოს იდეოლოგიურ ცვლილებებს, რაც მიმართული იქნება სახელმწიფო მართვაში „ახალი საჯარო მენეჯმენტის“ (NPM) პრინციპებისა და სულისკვეთების ინტეგრირებაზე. პარალელურად, უნდა მოხდეს NPM-ის მნიშვნელობის გადააზრება თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით და მისი გამოყენება, როგორც მთლიანი რეფორმის იდეოლოგიური საფუძვლისა და ძირითადი მიზნისა;
- განვითარებადი ქვეყნების ადმინისტრაციული სისტემების რეფორმირების დროს NPM-ს გამოყენება არ უნდა იყოს ზოგადი. აუცილებელია მისი კონკრეტული ხელსაწყოებისა და მექანიზმების შერჩევა, რაც უნდა დაეყრდნოს როგორც საერთაშრისო გამოცდილებას, ისე ლოკალურ პირობებს, გამოწვევებსა და პერსპექტივებს;
- ცალკეული ახალი მექანიზმის შერჩვამდე, წინმსწრებად, უნდა განხორციელდეს მისი გამოყენების მოსალოდნელი შედეგების ანალიზი, შესაძლო წინააღმდეგობების მაქსიმალური პრევენცირებისათვის. ეს იმიტომ, რომ ნებისმიერი პრობლემის პრევენცირება, ყოველთვის უფრო ნაკლებ რესურსს (ადამიანურს, დროითს, ფულადს) მოითხოვს, ვიდრე მისი შედეგების აღმოფხვრა, ან თუნდაც, მათი განეიტრალება, შემცირება;
- სტრატეგიული მენეჯმენტის საჯარო ადმინისტრირებაში ინტეგრირება აყალიბებს მმართველობის ფილოსოფიას, რომელიც არის: ხედვითი, კოორდინირებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ადამიანებზე ორიენტირებული, შედეგებზე ორიენტირებული. განვითარებადი ქვეყნებისთვის, ეს ინტეგრაცია არა მხოლოდ სასარგებლოა, არამედ ის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მისაღწევად, სახელმწიფო შესაძლებლობების გასაძლიერებლად და მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- სახელმწიფო მართვის ფილოსოფიის ცვლილება და ახალი პრინციპების დანერგვა, ბევრად არის დამოკიდებული სათანადო მაღალკვალიფიციური კადრის არსებობაზე, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან შესაბამისი ცოდნით, დამოკიდებულებებითა და ღირებულებებით. აღნიშნული, თავის მხრივ, განათლების სისტემის ფუნდამენტურ რეფორმირებას მოითხოვს, რაც მთლიანი

მმართველობითი სისტემის გაახლების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

საბოლოო შეჯამების სახით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნული საკითხების გადაჭრა უნდა დაედოს საფუძვლად განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო მართვის პრინციპების ფორმირებას, სტრატეგიული მონახაზის შექმნასა და განხორციელებას, რა პირობებშიც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების წევრთა გაცნობიერებული გაერთიანება, დაფუძნებული მათ მზადყოფნაზე თანასწორი ჩართულობით მართონ პროცესები და გაინაწილონ პასუხისმგებლობები, მათი კვალიფიკაციიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე. თანამშრომლობით ურთიერთობას თან უნდა დაერთოს პროცესების ღიაობა და მონაწილეთათვის ურთიერთკონტროლისა და მონიტორინგის შესაძლებლობათა განვითარება, რაც ყველა ჩართული მხარის ქმედებებს უფრო გამჭვირვალესა და აღქმადს გახდის.